

# რეტენატუნა და სეროვნება

**N2**

02/2006

1522/2  
2006

*შაუბის*

გიორგი  
გიგაური

**21**

**25** ემზარ  
კვიტაიუვილი

*შაბის*

ოტია  
იოსელიანი

**3**

*ქრისტე*

დენიზა სუმბაძე

**55**

*აბიჯები*

კორნელი  
კეკელიძე


**47**

*თეატრი*

მანანა 74  
გეგეჭკორი




ბესო ყაზაიშვილი ფორჯ და ბარბარა ბუშებთან ერთად ამერიკაში



ბესო ყაზაიშვილი

სამი ცხოვრება



ბესო ყაზაიშვილი

არჩევან

# რიტეინატუნა და სეროენება



N2  
02/2006

გამომცემლობა  
„ეროვნული მწერლობა“  
ყოგელთვიური ყურნალი

ISSN 1512-3189

პროექტის ავტორი და  
ხელმძღვანელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი:

ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის

მოადგილე:

მანანა მიქელაძე

პასუხისმგებელი მდივანი:

ზურაბ თორია

რედაქტორი:

დავით ტაკიძე

მხატვარ-დიზაინერი:

მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:

გოგი წერეთელი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42

ტელ.: (+995 32) 93 18 69;

8 99 25 60 14

ს ა რ ჩ ე ვ ი

წილის, ჯიშის

3 ოკია იოსელიანი - ბელის სიმლეხა /დასახელი/

21 გიორგი გიგაუჩი - ახალი ექსები

23 ვოვა (ვლადიმეხ) მაჩაიძე - მკვლედი

25 ემზახ ჯვიტაიშვილი - ახალი ექსები

29 ბულო ჯობიაშვილი - ნოველები

34 ვეჩიყო ზამთახაძე - ექსები

თარგმანი

36 ხაჩუცი მუხოტამი - მეშვიდე /თარგმანა მანანა მიქელაძემ/

42 ვლადიმეხ ნაბოკოვი - ბახმანი /თარგმანა ილია მჭედლიშვილმა/

არქივიდან

47 ჯიხნელი ჯეჯელიძე - ცდილისს ენივერსიტეტი 1918-1928

/იბეჭდება შემოკლებით/

წარდგენს

53 სალომე უსტახაშვილი - მინიატურები

წერილები

55 დენიზა სუმბაძე - მცხეთელი მოგვები და მაცხოვრის

ჯვახცმის ისტორია

60 ნესტან სუღავა - "ახლი, სახე და დანიშნულება მძლეოთ"

პუბლიცა

69 დავით გიგინეიშვილი - მუსიკალური გაზაფხული მიუნხენში


მხატვრობა

71 ბუელი წეხეთელი - ის მშვიდობისათვის მოვიდა

თარგმანი

74 მანანა გეგეჭკოი - ფიქები ქართულ თეატრზე

80 დოკომატივიდან



გამოცემის სპონსორია  
მამთიანობი

საქონსუფუცავალი სპეციალ:

ქაბუს ამილქიანი, ზაჩანა ზრუფაძე, ნანი ზრუფაძე,  
პრასკოვია ზრუფაძე, ნანა ზრუფაძე, მაყვანა ვინაშვილი,  
თამარ ჩხენკელი, ვაჟა ჩხენკელი



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემხახურება



ოქოს  
ოქოსიანი

## ბენის სიმღერა

/დასასრული/



ნოეს ქალმა რომ მკლავი მკლავში გაუყარა, თითქოს იქვე, ოთახში მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი... თუმცა, ეს „მნიშვნელოვანი“ უშანგის გამოჩენამდე ჩაისახა. მერე, კარებში საქმეთა მმართველი რომ შემოხვდათ, ორთავეს ისეთნაირად შეაჩერდა, თვალები წასცვივდა და აქეთ წამოსვლის მაგივრად უკან-უკან წავიდა. ნოეს წელი მთლიანად გაუმაგრდა, ხერხემალში რაღაც მუხის კეტივით შეუდგა. შეუდგა, გაჯგმა, გაჭრა და უცებ შეაშინა: ასე რომ დავრჩე, რა მეშველება, მოხრა გამიჭირდებაო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, კიბეზე რომ ჩამოდიოდნენ და მთავარი ინჟინერი შეეჩებათ... სწორედ რომ შეეჩებათ, რაკი კი არ დადის, დაშლივინებს, ვერასოდეს ვერავის ამჩნევს და თუ მარჯვედ არა ხარ და გზიდან დროზე არ ჩამოეცალე, შეიძლება დაგეჯახოს, შეიძლება ორად გაგყოს კიდევ და ისე გადაგაკვივალოს... შეიძლება და ვერც უსაყვედურებ, იგი ბრგვა, თავდალუზული, მარტორქასავით ტლანქი და

(დასაწყისი იხ. „ლიტ. და ხელ.“ №1)

მხოლოდ პირდაპირ შეუძლია იხედოს და იაროს. მიხვევ-მოხვევა, გვერდზე გადგომა და, მით უმეტეს, გახტომა რომ ინდომოს, ვერც შეძლებს... და აი, იმ მარტორქის კიბესთან შეჩქვივებამ, ხელის მოჩრდილვამ და გაოგნებამ ნოე რომ არ დააფრთხო და გზა არ დაათმობინა, ამ უჩვეულო სითამამე-შეუპოვრობამ თვითონაც ისე შეაკრთო, მაშინვე თვალების ახამხამება, წელში მოდრეკა და პირზე მუჯვე, პირმოთნე ღიმილის აფარება, მონანიება მოინდომა, მაგრამ სხეულში რა წელკავი ჰქონდა გამჯდარი, რომ არც ერთი, არც მეორე და არც მესამე არ დაანება. სიამაყის თუ თავხედობის აქამდე განუცდელმა, სიჯიუტე-სიკერპემ ისე შეიპყრო, ვერაფრით მოისაზრა, თავი მისგან როგორ დაეხსნა. აქამდე რომ ეგონა, საერთოდ ვერ მხედავს და არ მამჩნევსო, თავის მხრიდანაც ისე ახერხებდა, თვალში არ შეჩროდა. ახლა, რაკი პირიქით, სულ არ შეეპუა... მარტორქამ, აქამდე ნოე რომ აკეთებდა, გვერდზე გადგებოდა და პირზე ხელს აიფარებდა, კინალამ ამნაირი რაღაც თვითონვე დააპირა. აქეთ.. პირაქეთ მოესალმა, ხელიც კი ნაუცბათევედ შეისროლა, — გაუმარჯოსო! — და ამ ერთ სიტყვასაც არ დააჯერა, დაუმატა, — ნოეს, ნოეს გაუმარჯოსო!..

ნოე სალამს რავა დაამადლიდა, მაგრამ რაღაც ეს ყველაფერი ერთად ვერ აღიქვა, ვერ გადახარშა და პასუხი მაშინვე ვერ მიაგო. ამასობაში, კიბის ძირში მოულოდნელად დაპატარაებულსა და დაჩიავებულ, მთავარ ინჟინერს გასცდნენ კიდევც.

— ემდურით? — ჰკითხა ქალმა, როცა დაწესებულების ეზოს ჭიშკარს მიუახლოვდნენ.

— ვემდური?..

— აქ.. ხომ ერთად მუშაობთ... ვინმე თქვენთანაა და ემდურით?

— ერთად, მარა... არც ვემადლიერები...

— დღეს ვინ ვის ემადლიერება. მაგრამ, თქვენ ნამეტანი შეურიგებელი ყოფილხართ...

— მთავარი ინჟინერია, თავგასული... გაქსუებული...

— არც ეს უნდა გვიკვირდეს... წინასწარ ვიცოდი... იმიტომ ზიხართ თქვენ იქ, იმ ბნელ კუნჭულში... მაგრამ ჩემთან მაინც უნდა გეპასუხებოდნენ... ხომ გაიგებენ, ვინცა ვარ და იფიქრებენ... თუმცა, თუ საერთოდ ასეთი ხართ, ჩემი გულისთვის თქვენს შეუვალლობას რატომ უნდა უღალატოთ.

იმ, რაღაც, ხისტის წელში გადგომისა არ იყოს, რა ეცანოეს და რა მდურება და შეუვალობა აუტყდა, არაფერი ესმოდა, რა ეთქვა, ისიც არ იცოდა, მაგრამ ქუჩას რომ დაადგნენ, „ის“ ვილაცა, თუ რაღაცა თითქოს შიგნიდან მხრებშიც შეუდგა და ხერხემალი რომ გაუმაგრა, ბეჭებშიც გაშალა.

— ორ დღეს ვართ ამ ქვეყანაზე... ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება არ ვიყოთ, ის, რაცა

24373

საქართველოს  
პარლამენტის  
ქრონიკელი  
ბიბლიოთეკა

ვართ... — ნოე პირველად ამბობდა ამას. აქამდე ასე არც კი უფიქრია და ისევ და ისევ თავისი თავის შეეშინდა, ამ ჭკუაზე რომ დავრჩე, ამქვეყნად აღარ დამედგომებაო.

— მივხვდი, მაშინვე მივხვდი!.. — ქალი რალაცნაირი სისათუთითაც კი შეეხო მაჯაზე, თითქოს მოჭერასაც ლამობდა. — მშურს, მშურს, მშურს. თქვენ მაინც მამაკაცი ხართ, ძლიერი... თუმცა, ძლიერი ამ დაბეჩავებულ ქვეყანაში, ალბათ, მეტისმეტია, მაგრამ თავისნათქვამა, თავისი გამტანი, არდამთმობი... ქალმაც ხომ რალაცა უნდა ქნას... და მე, ვითომ ეს გზა გამოვძებნე. ასე ვიფარო ვინმე თქვენისთანა გაჯიუტებული, ყველაფერს რომ კარგავს, მაგრამ თავის თავს ვერ ელევა და იმის შემწეობით აქაურობას და ამისთანეობას ისე გავეცალო, როგორმე ლაფით არ დავისვარო. ნავალ და ჯანდაბამდე გზა გქონიათ... როგორც უნირიათ, ისე სწირონ... დღეს ჩვენ ვერავინ ვშველით, მაგრამ თავსაც ვიღუპავთ... ყველას რომ თავის გადარჩენა შეგვძლებოდა — ქვეყანას გადარჩებოდა.

— ახლა ვლუპავთ, თვარა, რაც არ გვინდა თუ არ ვიზამთ, მაშინ არ დავლუპავთ. — ნოე ამ ტროტუარზე, ამ ჭადრების ქვეშ დააბიჯებდა ყოველდღე და არ ახსოვს, ოდესმე, ამ დახრილი ტოტების ფოთლებს წადებოდა. ან ის მოთენთილობა და გულაცრუება სად გაქრა, ახლა რომ ამჩნევს, თურმე, ხუნდდადებულივით ყოველთვის თან ჰხლებია და ასე მუხლგამართულს არასოდეს უვლია. აქ დაბადებული და გაზრდილი კაცისთვის ასე უცნაური და უცხო რამ გახადა აქაურობა?! უცხო თუ შენი, შენი ახლაა. აქამდე რომ შენი გეგონა და უცხო, სხვისი ყოფილა. ამნაირი უნდა იყოს შენი და არა იმნაირი, აქამდე რომ იყო...

ოთხი-ხუთი საათის წინათ არ ამოიარა ეს გზა?.. ჩვეულებრივი, ყოველდღიური... და სად იყო ეს თავისი, ახლა რომაა. ასე თვალსა და ხელს შუა ფერი რამ უცვალა... ეს სავალალოცაა, როგორ უნდა იარსებო და იცხოვრო აქ, მართლა რომ განყრეს ღმერთი და ერთ დღეს ყველა და ყველაფერი გაუცხოვდეს? ავია თუ კარგი, შენია და ერთ დღეს შეცრად გასხვისდეს?! და შენი ხელით აშენებული სახლის ხიზანი — მდგმური აღმოჩნდე?!

— ჰო, მართლა, ნამეტანი მოგვდის... არა, დიდხანს თქვენს შენუხებას კი არ ვაპირებ, მაგრამ შესვენება თქვენც ხომ გინდათ და თუ აქ სადმე კაფეა... მოდი, მე დაგპატიჟებთ, ჩვენ ხომ „სიყრმის მეგობრები“ ვართ. — და ისევ იმ თილისმით გაიღიმა, ნოეს რომ ტანში ბიჯგივით ჰქონდა შემდგარი და უკვე ისედაც წელგამართულს, ახლა ქედუხრელს ხდიდა.

ნოეს ხურდა ფულის გარდა არაფერი ებადა. სად გაემხილა, თორემ შესვენებაზე ამიტომ ვერ წავიდა. რომ იკითხო, გეტყვიან: ახლა შიმშილით ვინ კვდებო? იქნება მართლა არ კვდება, მაგრამ

საუზმე თუ რაიმე გაახერხე, სადელი ყოველთვის არაა. უმისობა ყოველთვის შეიძლება, მით უმეტეს, ტყე-ღრეში მონანნალე კაცისთვის. თუმცა ტყე... ჩვენ არ ვიცით ტყის ფასი, თორემ მშიერ-მწყურვალს არასოდეს დაგტოვებს. სოკოც კია ისეთი, უმად რომ იჭმება... ზამთარში, თოვლი რომ გადაქექო, ბუძგურაში გამოხვეულ დაკროლილ ნაბლს ამოარჩევ და ჯიბეები რომ არ გეყოფა, უბეს აივსებ... ჩვენ ღმერთმა მდიდარი ბუნებით გაგვანებებია და ჭირვეული ბავშვივითა ვართ, ნაირნაირს რომ ურჩევენ და მიძალეხამ უმადობა დამართა.

ნოეს გამოუცდია ტყის მაინძლობა. აი, დაჭრილ გედს რომ ღამეებს უთევდა, მონადირეებს რომ არ მოეკლათ და მოკლე ტარიანი ნამლევა ბარით ძველისძველი, ალბათ ათასწლოვანი, ურთხელის მინაში ჩარჩენილ ფესვებს თხრიდა. ღამეც იქვე გაუთევია საწნახელის სისხო ჩაშვავებული წიფლის „ტახტზე.“ მამიდა ამას მიჩვეულია, ან არც იცის ნოე როდის ბრუნდება. ფეხდაუდგმელი და ხელუხლებელი ტყეები შორსაა, სახლში დაბრუნება არც ღირს, თუ მეორე დღე კვირაა და ისევ ნასასვლელი ხარ. იმ ურთხელის რვაფეხა ჯირკია, მეორე დღეს რომ მინას ამოგლიჯა, იმ გუბურა-ტბის თავზე დამხობილ მთაზე ვერ აიტანა. გედმაც ფრთა მოიჩინა და გაფრინდა, ნოეს კი სამახსოვროდ ძვირფასი „სავარძელი“ დაუტოვა. მას აქეთია, რომ აკითხავს, გაჯარჯულ ფესვებში ჩაჯდება, ბუნება მაინძლობს და გედის სიმღერას ასმენინებს...

ღილით მამიდამისმა ჩაი, პური და ყველიც კი... და საღამოსაც რალაცა, ლობიო, აჯაფსანდალი, ან ფხალი, მწვანილი... ზოგჯერ კვერცხიც, პურიც — თავისთავად... და ეს შიმშილს არ ნიშნავს, მაგრამ ნელინადმი ერთხელ ფესვაცმელი ხომ გინდა და, რალაცა, შარვალი და ბლუზა. პიჯაკი თუ არა, რალაცა ჯუბაც... აბა, ტიტველი რომ ირბინო, შენს ჭკუაზე ვინ გაგიშვებს. თამბაქოს არ მონევ და გაგისკდება გული და ჩაბარდები პატრონს... ნოეს ხელფასი და მამიდის პენსია იმ ორ იჯრას არ ეყოფა, რომ ამხნის, დაყრუებული ქალი კიდეც ორ ადგილას არ მუშაობდეს. დამპალია და დარკილული ის ძველი ოდა-სახლი, რალაცა, ცოტა ხე-ტყის მასალა იყიდეს, კაცი რომ ვერ გაიგებს რა ღირს. მერე კი, ნოე ყველაფერს თავისი ხელით ჯახირობს... ხურობს, თვითონ მოაშენა სახლს და ის ფიცრული მოხურული, ვითომ სახე-ლოსნოსავით რომ უნდოდა და იმ რალაც-რალაცებით რომ თავს იტყუებს: ტყე-ღრე ხეტიალისას დაჯდარკულ ტოტებს და ფესვებს წამოიმძღვანებს და მერე სახლში უკირკიტებს, ფხეკავს და ხეხავს. ღმერთნინაშე, თვითონ არაფერში ერევა. იმ „ტყის ნახატს“ იმ გუნებაზე რალაცას მიამსგავსებს, მერე, სხვა დროს და სხვანაირ ხასიათზე — სხვას, მაგრამ ეს არაფერს

ცვლის, ხის ბორჯღალი, როგორცაა, იმად რჩება. იქნებ ეს იყოს, რომ ნოემ იქ გადაჭრას, ან იმდენად დაარიგოს, რამდენადაც მას ჰგონია, ასე უფრო მიესადაგება იმას, რადაც თავიდან მოეჩვენა.

არავინ იცის ამის თაობაზე... მაგრამ.. მამიდამ იმდენად, რომ მისი ნოვეიე ძველი ბუხრისთვის შეშას ამარაგებს და იქ, მოხურულის თაროებზე და კედლებზეც ხის „რაღაცნაირი,“ ვითომ ცხოველები თუ ფრინველები... თუ მთლად უარესი — ჯოჯოები უწყვია და სულ არ ჰგონია, რომ ტყიდან მხარით მოთრეული იმ ჯღვარკი ტოტებისა და ჯირკებისგანაა. ნოეს ამისთვის, ზოგჯერ, ჭამა-სმაც კი ავიწყდება, იმდენს წვალობს, მაგრამ თუ მას ასე უნდა, ალბათ ასე სჯობს. თუმცა, ისიც ხომბა, რომ ნოემ ფანჯრის ჩარჩო გამოცვალა და კარი მთლად გააახლა... ლობიოს ამოსალესი კოვზი, ჩოგანი, სუთი, ქვიჯა და რა ვიცი, რა არა... და ქალებს დოუდგათ თვალები, რა იციენ, თვარა, ამისთანა სასიძო ბარე ორი არაა...

მამიდა საცოდავი, ართვალი, ყრუ შინაბერაა. ნოესია, თუ რაიმე უძრავი და მოძრავი გააჩნია, მარა პატრონობა და გამაგრება უნდა, ყველაფერი ძველია და დრომოჭმული. ამას კი, შენი ხელითაც რომ აკეთო, მაინც ხარჯი სჭირდება. რაღაცა ჩასაცემელ-დასახურავიც ხომ გინდა, მაღაზიის თაროებზე მტვერ-ნაყრილსაც ხომ უფასოდ არავინ მოგცემს, მტერ-მოყვარეშიც ხომ მთლად ვერ გამოწყვები... და სადაა ყოველდღე ეს ჯიბის ფული. თამბაქო რა ნოვეიეს საქმეა, შხამი ვითომ რა შეღავათია, მარა უმწეოს, უნუგემოს რომ ხელი მიგინვდება, ისაა. პატარა, უნიათო თვითმკვლევლობაა. მგზავრობა, გაზეთი და სამსახურში ყოველდღე „შესვენება...“ არაა ამდენის საშუალება. თუ მიეჩვევი, დილიდან საღამომდე რა მოგაშივებს. „მუცელს აღორებ ღორია, აქორებ — ქორი.“

შესვენებაზე წადი აქვე, ამ პატარა დაბის გვერდზე კიდევაც შემორჩენილი მდელოებიანი ტყე რომ დაერქმევა და ჩრდილი იჩრდილე და ხილი იხილე. წლის დროს გააჩნია, თორემ ველური წვრილი მარწყვი იცის და ტყის პირობაზე — მსხვილი მაყვალი. წკიპად უნდა მოკრეფა, თითები არ უნდა გაგიშავოს. ნაბლის შეწვა და მოხარშვა არცაა აუცილებელი, არც ნიფელის წინიბოსი... და ეს ერთ საათში ყველაფერი ესწრება, როცა იცი სად რა გეგულება და სხვებს რომ ჭენჭყო ჰგონიათ, ზამთარ-ზაფხულ იქ, იმ ლელქაში ჩაფლული წყაროს თვალია. მაღლიდან რომ არ გადმოედინება, ამდენად შეუმჩნეველი, მაგრამ ნოესთვის საჩინო... თვალის ლივლივს ზედ უნდა დაემხო, დაერტნო და ისე დალიო.

მაგრამ...

მაგრამ არ გასამხელებელი და სამუნათო, მით უმეტეს, სასტუმრო და სამაინძლო...

ბედის სამდურავი რაც სხვას არ ეთქმის, ამ მხრივ სხვაზე მეტი არც ნოეს ეთქმის. მაგრამ ახლა რა ჯადოქარი შეუძვრა ამ წელსა და ტვინში, რომ აგერ, თავის ტყავში ხალვათად დაბინავებულს, გარეთ ერეკება და მის ჩამცხრალ, ჩანაცრისფერებულ არსებაში იმის ჩასახლებას უპირებს, ერთ დროს, როცა ოცნება და ზმანება შეეძლო, მაშინაც არ გაუბედავს.

— ჰო, კი, ამჯერად თქვენი სტუმარი ვიქნები... სიყრმის და ოცნების მეგობრები რაკი ვართ, მეგობრებად უნდა დავრჩეთ... — ამისთანა რამ, ნოეს, უცხო ქალისთვის ეთქვას კი არა, ალბათ, არასოდეს არც გაუფიქრებია, მაგრამ ახლა, მისდა გასაოცრად, წარბშეუხრელად თქვა და ამისთანა თვალგაუსწორებელ ქალს შეაჩერდა. თურმე, კაციშვილმა არ იცის ბედი რას უქადის!

სტუმარი, (ისიც ქალი და მერე როგორი ქალი!) აგერ, გვერდით რომ მოგყვება, ყველა დროის ყოველნაირი ნატვრის ერთად ახდენას რომ ჰგავს. თუ სადმე სამართალია, ხშირ-ხშირად იმიტომ უცქერი, მოასწრო, მოინიო, თორემ, ა, საცაა გაგელვიძება, გაახელ თვალს და მორჩა. მეორედ ასეთ ბედნიერებას სიზმრადაც ველარ ეღირსები.

ნოემ მაგი არ იცის, რომ ბედი იცინის? შე კაცო, მაგას რა დიდი სიბრძნე და ზებუნებრივობა უნდა, ნოეს ჭკუაც და სამოანგარიშეო განათლებაც ეყოფა; მაგრამ იცინოს რა, რა ენაღვლება თუ გაუნყრა ღმერთი და დღეს, რატომღაც, ამისთანა სასწაული მოიგუნება. არ ეყო, რაც მთელი სიცოცხლე შეჭირვებული ჰყავდა? დღესაა ამ ჭკუაზე და უნდა მოასწროს, თორემ ხვალ ისევ იმ ბნელ ჯურღმულში მიიმწყვდევს და დააქვესკნელებს!

იცინოს და ნოეც აცინოს... გაიცინოს ერთი ამ ნოემაც, დაიქცევა ქვეყანა?

რაა, კაცო, ეს, რა ხდება! ფოთლებს, ფოთლებს შეხედე!.. რაფერ ბრწყინავენ და რაფერ ელვარებს ზედ ეს მზის სხივები!.. სად იყო, ბატონო, აქამდე ეს ყველაფერი, ან ახლა საიდან მოვიდა, საიდან გაჩნდა... ეს ჩიტები, ტყეში კი, მარა აქაც იყვნენ და ამდენნაირი?! და, თუ იყვნენ, დღემდე რატომ სდუმდნენ, ან ახლა რამ ააჟღურტულათ ამნაირად!..

ბედი იცინის?.. კი, შენი ჭირიმე, იცინოს, ღმერთმა შეარგოს! ნოეს კი, მაგრამ ჭადრებს, ბელურებსა და მესკიებსაც დასცინის?

ა, ბატონო, ეს, თეთრი ყვავილის დაჩიქვული ბუჩქი, დღეს აყვავდა? ამ დილის აქეთ? გუშინ, გუშინნინ, შარშან, შარშანნინ?!

იცინე, ბატონო, იცინე. ნოეს აწი მაინც ეცოდინება, რას ნიშნავს წუთისოფლისგან მასხრად და აბუჩად აგდება. ვითომ, ამდენ ხანს რომ ეგონა, შენ თქვი, თორემ მაგის მეტი რა მინახავსო.

ნოემ სახეზე ხელი იტაცა: ეს ოხერი შავი მეჭეჭა ხალი ცხვირიდან გამიქრა თუ რა ღვთის

წყრომაა, უკვე რა ხანია სულ არ გამხსენებიაო! არა, ხალი კია ვითომ თავის ადგილზე, მაგრამ თითქოს დამომცროებული თუ მართლა „მამაკაცურად დამშვენებული“ და ის, რაც იყო, ვითომ არცაა. ან, რაცაა, ურიგო აღარ უნდა იყოს და რასაც არ გიკეთებს, არაფერს გიშავებს. თუ მართლა არ გამშვენებს, არც გაუშნობს.

ასე იქმნებოდა, ალბათ, ზღაპრები მათხოვრებზე და მზეთუნახავებზე. შერეკილები, უქნარები და ნაცარქექიები რომ მზეჭაბუკებად იქცეოდნენ, დევებს ამარცხებდნენ და მეფის ქალიშვილებს ირთავდნენ...

და დღეს, დილიდანვე, ცხრათვალა მზე და ასეთი ნანატრი დარი იყო?.. თუ, ესეც ამ კარგი ქალითაა? უქალოდ ნახევარი მაინც ხარ თუ სულ არაფერი და ამინდიც არ ამინდობს, ჩიტი რომ ჩიტია, ისიც არ მღერის და მზეც არ მზეობს?!

კი, ბატონო, მაგრამ ეს ქალი, სადაც აუცილებელია და სადაც არა, ყველგან საჭიროა?!. ყველაფერი, მართლა, ქალით იწყება და ქალითაა?!

ქალი და ყველაფერი, ან სულ არაფერი?!

.....

კაფეში წყალწყალა ყავა დალიეს და ხელის დადება, ოთხკუთხა, შელანძღული ყველის ხაჭაპური მიატანეს. ნოე, ალბათ, სხვასთან და სხვა დროს სირცხვილით დაინვებოდა. ჯერ, ქალს თავი დააპატიჟებინა და მეორეც, ასეთი სუფრა რომ გაუმართა. მაგრამ მოხდა ყოვლად საოცარი და აუხსნელი — ამ ქალს, რატომღაც, არ ეკრძალოდა... რისიც მუდამ რცხვენოდა, ამ ქალთან აღარ ეთაკილებოდა, როგორც ბიჭობაში, თანაკლასელ ცელქზე ცელქ გოგოს, ხათუნას. მასწავლებელმა გაკვეთილზე მოუსვენრობისათვის და პირმორღვეული სიცილისთვის რომ დასაჯა, წინ მერხელ გოგოებს დააშორა და საკლასო ოთახის ბოლოში გატრუნულ, შავხალიან ნოეს გვერდით ჯდომა მიუსაჯა. დაუდგარი, მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე გოგო იყო, სიცილისთვის დაბადებული და უბედურებაშიც ბედნიერების გამომძაღველი. ხათუნას ვაჟი ვერ შეიყვარებდა, რაკი ქალაბიჭა იყო, მაგრამ როგორც ქალაბიჭა, ყველას უყვარდა. გოგოები რომ აყოლიებული ჰყავდა და დააშორიშორეს, უეშმაკო, უღიმილო ნოეს გადაბირება ინდომა. ცხვირ-პირი ნუ ჩამოგტირის, ეს ნუთისოფელი დარდის ღირსი არააო და თანამერხელს ორივე ყურიც კი აუწია — ნუ ჩამოგიყრიაო. ამაზე, ნოეს გარდა, მთელი კლასი იცინოდა. მერე და მერე დაუჩემა, ვიძმაკაცოთო. ნოემ მხრები აიჩეჩა: როგორ უნდა ვიძმაკაცოთ, როცა შენ გოგო ხარო?!

— მაშინ, თუ გინდა, შენ იყავი გოგო და მე ბიჭი ვიქნებო. — კინაღამ მთელი კლასის გასაგონად უჩურჩულა, როცა მასწავლებელი დაფას იყო მიცილებული და უძნელეს ამოცანას

ხსნიდა. ნოემ ვერც ამით გაიგო ვერაფერი. წყენით კი ხათუნასაგან არავის არაფერი სწყინდა და არც ნოეს.

— აი, როგორ და... — ხელებით მთელი კლასის გოგო-ბიჭებს მოახედა და ნოეს ხალზე აკოცა.

ატყდა, მაგრამ რა კისკის-ხარხარი ატყდა. ხათუნასაც დაატოვებინეს გაკვეთილი და ნოესაც. ამოცანა დარჩა ამოუხსნელი, თორემ ხათუნა-ბიჭმა სიყვარული თვალსა და ხელს შუა ასხნა.

ხათუნასთან არაფერი იყო საჩოთირო და საუხერხულო, ის ამის ნებას არავის რთავდა და ნოეც დაყოლიებული ჰყავდა. არადა, სწავლით კარგად სწავლობდა და სკოლა რომ დაამთავრეს და უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრეს, უკან აღარ დაბრუნდა და უკრაინაში, უშვილო ოფიცერ ბიძასთან გადაიხვეწა. ნოემ ხათუნასი მას აქეთია არაფერი იცის, რაკი მისი მშობლები და და-ძმებიც დედაქალაქში გადაბარგდნენ და აქაურობა ჩალის ფასად მიაყიდეს... ეთაკილებოდა კი არა, როგორც ერთ დროს ხათუნასთან, თითქოს ესახელებოდა კიდევ თუ... თავიც კი მოჰქონდა, რომ ცხვირზე ასეთი ხალი ჰქონდა, რომ ჯიბის ფული არ გააჩნდა, გაქექილი პიჯაკი ეცვა, ერთი კვირის წინათ გაუთოებული შარვალი და თავისი ხელით ლანჩგამონებებული ფეხსაცმლებით სტუმარს სასტუმროსკენ მიაცილებდა...

მიაცილებდა, მაგრამ ნოეს მიცილებულ, თუნდაც კარგ ქალს, ვინ რად ჩააგებდა. ხეირიან ღამისსათევს არავინ მისცემდა, თუ არ ეცოდინებოდათ ვინაა და ამ ღვთისაგან და კაცისაგან დაინყებულ რაიონში რა დაკარგა და რას ეძებს. გაიგებდნენ და, უბრალოს კი არა, საუკეთესოსაც არავინ დააჯერებდა. ხვალ, ზეგ ნოე რალაცას გაახერხებდა. აბა, ასე, მართლა სტუმრის ხარჯზე ცხოვრებას კი არ აპირებდა, მაგრამ თუ შეიტყობდნენ „ქალაქს“ ვინ მოავლინეს, (აქაურები თავიანთ რაიონულ ცენტრ-დაბას ქალაქს ეძახდნენ, მისამართზეც ასე აწერდნენ), მოგჭამა ჭირი, ამისთანა „მოვლენას“ ნოეს თვალით აღარავინ დაანახვებდა და ბედმა ბიჭობაში თანაკლესელი ხათუნას სიცილი არ შეარჩინა, ახლა ამ ბედის სიცილს სატირლად გაუხდიდნენ.

— დედა არ მახსოვს. მამიდა მყავს ერთი. — სრულიად მოულოდნელად და უადგილოდ დაიწყო ნოემ. შეჩერდა კიდევ, მაგრამ სტუმრის კვერნისფერი ჩემოდანი არ დაუდგამს. ჩემოდანი კი არა, სახლიც რომ ზურგზე მოეკიდებინა, მინაზე დასადგმელად რავა შეელოდა, ამ ქალის სახლი თუ ერქმეოდა.

— მე დედა... მაგრამ ბაბუდა მყავდა... — რალაც მოწინება-სათნობით ჩაილაპარაკა ქალმა. — მაგრამ ამაზე სხვა დროს.

„სხვა დროს?!“ ნოე სახტად დარჩა. სხვა დროს რანაირად?.. სხვა დროსაც აპირებდა ეს დალოცვილი ნოესთან შეხვედრებს და



ნაცნობობას?! აბა, მეგობრობასო, ამის გაფიქრებას ხომ ვერ გაბედავდა!

— ცოტა მოშორებით კია, მარა უბრალო, ძველებური ოდა-სახლია...

ცაგო მაშინვე მიტრიალდა და სახეში შეაჩერდა იმ ნაამები ღიმილით, წინასწარ რომ იცოდა, ახლა ისეთ გონივრულს გეტყვიან, რაც უეჭველად გაამებს.

— დიახ, დიახ, კიდევ შემოგრჩათ ჩვენებური ძველი ხის სახლი?

— ზოგი ჭირი მარგებელია, რომ იტყვიან... — ნოემ კი არ ითაკილა, გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ რა დროს ბოკონებზე შეკოლიკებული ფარღალა ხის ოდებია, ორსართულიან, მოპირკეთებულ, აბჯღვალელებულ სრა-სახლებში ცხოვრობს ქვეყანაო. შეიშნო, „ზოგი ჭირი მარგებელია“ და კარგად ვგრძნობთ თავსო.

— და... შენ და მამიდა?..

— მამიდას სტუმარი, მგონი მთლად გადავიწყდა... ისე, ისიც ჩემსავით ხალიანია...

— მამიდაც?!

— მამიდაც. — და ნოეს სიცილი აუტყდა. — ხალი, რამდენადაც ჩემთვის „მამაკაცურია“, ქალისთვის, ალბათ, იმდენად ქალური არ იქნება.

ცაგოსაც ისეთი სიცილი წასკდა, იქვე, გზისპირა ხეს ზურგით მიანვა.

— ხომ ძალიან გონიერი ვარ, შენ რომ გიპოვე და გაგიცანი?

— ალბათ, ალბათ, ქალბატონო... თორემ ამის სურვილი დღემდე არავის გასჩენია.

— დავიჯერო, ჩემს გარდა ყველა სულელია? მარტო მე ვარ ჭკვიანი?

— აბა, ის დავიჯერო, თქვენს გარდა ყველა ჭკვიანია? ღმერთი და რჯული, ძალიან კი დამენანებოდით, მაგრამ მაინც ასე კი აჯობებდა.

— ღმერთმანი!.. — დაეთანხმა ცაგოც და ცაცხვის ფოთოლს მისწვდა, მოწყვიტა და ყუნწით კბილებში დაიჭირა.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ერთი ოთახი და ორი ხელი ქვეშაგები ყოველთვის აქვს მამიდას სტუმრისთვის. ხომ იცით, ადამიანი იმედითაა. საწყალს, ოდესმე მაინც თუ ეგონა გათხოვდებოდა და მზითვს იწყობდა. ისეთი ძველი საბნები აქვს, ცისფერი ატლასის და წყვილი ლიანდაგით შეკერილი, ახლა რომ ვეღარსად ნახავთ.

— მამიდა გათხოვებას უკვე აღარ აპირებს?

— ვერ გეტყვით... ამის გარდა, ის, აგერ, ოცი წელიწადია ძმაზე, მამაჩემზე მგლოვიარეთაა.

— ოცი წელიწადია?!

— კი. მამიდა შურს ძიობს და შავებს არ იხდის, მკვლევებმა არ იფიქრონ, რომ მათი მსხვერპლი გამოიგლოვეს, შერჩათ და დაივიწყონ, რომ კაცის ცოდვა აწევთ.

— მამა მოკლეს?

— მამა დარაჯი იყო იმ საწყობებისა, რომელიც გამფლანგველმა „პატრონებმა“ დასწვეს. დარაჯმა, რა თქმა უნდა, ეს იცოდა,

მაგრამ ძიების დროს არ ათქმევინეს: „შენ ცამდე მართალი ხარ, გაგანთავისუფლებთ, ოღონდ ჩვენ ნუ გაგვცემ და ნუ დაგვლუპავ“ — ო. მოატყუეს, რაღა თქმა უნდა, როცა ყველაფერი ალალ კაცს თავზე დაამსხვრიეს და სამაგალითოდ დასაჯეს. ეტყობა, პატიმრები შეუჩინდნენ გაასაჩივრეო, თორემ მამამ რა იცოდა. საჩივარი რომ დაანერინეს, ცეცხლის წამკიდებლები ისევ აწრიადნენ, შეუთვალეს: ენას კბილი დააჭირე, მალე დაგიხსნითო. მამა იმათ კიდევ ენდობოდა? აქეთ მამიდას მოსყიდვა სცადეს, მაგრამ ახლოს არავინ წაიკარა და კიდევ რომ სადავიდარაბო არ გამხდარიყო, ნამდვილი დამნაშავეები არ ეპოვათ, მამა უეცრად ავად გახდა, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფოდვე გარდაიცვალა... საჩივრის განცხადებაც უგზო-უკვლოდ გაქრა... მამიდა მამას ყოველლამე სიზმრებში ხედავდა და სანამ ჩვენ ამას გვაცნობებდნენ, მანამდე იცოდა, რომ ძმა დაელუპა. მამიდა უბირი, მცირემცოდნე ქალია, ბავშვობიდანვე ყურს აკლდა და ბედისწერისა და განგების სჯერა. იმ ღამესაც ესიზმრა, ნაშუალამევს წამოვარდა, მეც კაი ხელა ბიჭი ვიყავი, ვითომ მიყვავდი განწირულთან, მაგრამ სად წავსულიყავით, ვისთან მივსულიყავით, რა უნდა გვექნა, რა ვიცოდით...

— მაგრამ ძმის უბედურება მაშინვე... მე მჯერა წინათგრძნობისა.

— უფრო ადრეც, როცა საწყობებს წვავდნენ, ისიც ისიზმრა, საშველად გაიქცა, მაგრამ ვეღარ მიუსწრო, იქაურობა ცეცხლის ალში იყო გახვეული.

— თანახმა ვარ, ნავიდეთ მამიდასთან! იქნებ ჩვენც რაიმე გვინინასწარმეტყველოს... თუმცა, არა... „კარგი რამ გჭირდეს...“

— მამიდა მარჩიელი არაა, „პროფესიით“ დამლაგებელია, მხვეტავი...

ქალი შეჩერდა. იქვე, ტროტუარის კიდეზე ვეება, თეთრად დატალულ ჭადარს მიეყრდნო. ნოეს მოაცივინდა, ოდნავ შესამჩნევი, ეჭვიანი ღიმილი გაუჩნდა, ადამიანი უშუალოებისა და გულუბრყვილობის საზღვარს რომ გადავა და გაფიქრებინებს ასეთ სიმართლეს ბავშვები და სულელები ლაპარაკობენო.

— კი, კი. რაც მახსოვს სკოლის დამლაგებელია. ბავშვებისაგან ამტვერებულ-ალიანცებულ იმდენ ოთახს ხვეტავს, რეცხავს და ასუფთავებს, ჩვენ შემოვლა გაგვიჭირდება. მოხუცდა, პენსიაც დაენიშნა, მაგრამ „დასასვენებლად“ არავინ იმეტებს.

— დამლაგებელს არავინ გაიმეტებს...

— არავინ.. და რატომღაც მგონია, თქვენ უნდა მოგეწონოთ მამიდაჩემი...

— როგორც თქვენ ჩემი ბაბუდა... ჰო, მაგრამ სხვა დროს ასეთი რამ მომხდარა?

— არა, საიდან... ჩემს მეტს არავისა ჰყავს დამლაგებელი მამიდა, ვის უნდა, ან ჩვენში ამას ვინ გაამხელს...

— არადა, ხომ არიან?..

— აბა, რავა!.. შეილება წარმოება-  
დანესებულებას დროებით დირექტორი არ  
ჰყავდეს, ან მთავარი ინჟინერი, საავადმყოფოს  
- მთავარი ექიმი, აღმასკომს — თავმჯდომარე,  
მაგრამ დამლაგებელი ჰყავთ. ჰყავთ არა ერთი  
და ორი, მაგრამ... ა, დავიაროთ მთელი ქალაქი,  
გავაჩეროთ ყველა გამვლელი და თუ ერთი მაინც  
იტყვის, რომ მისი დედა, დეიდა, მამიდა, ან  
ახლობელი მხვეტელად მუშაობს. ვინ გაგიმხელს  
და თავს ვინ მოიჭრის. ერთადერთი სამსახურია  
ჩვენში, რომელსაც უფასოდ, უქრთამოდ  
არიგებენ.

— თქვენი წარმოების დირექტორობა კი ვიცო.  
რა ჯდება...

— და ამიტომ არ აპირებთ ისეთ რევიზიას,  
ამდენი თანხა წყალში არ ჩაეყაროს...

— ვიაროთ... — ქალი გზას დაადგა. —  
მამიდასთან მეჩქარება.

— მე არც ერთ თქვენს ნათქვამში ეჭვი არ  
მეპარება.

— და გიკვირთ, რატომ ვარ მაინც ასეთი  
ბნელი დანესებულების რევიზორი?

— არა, კი არ მიკვირს, არ მჯერა.

— მაშინ, ის არაა მართალი, რომ ჩემს  
ნათქვამში ეჭვი არ მეპარებათ.

— არ მეპარება და ამიტომ არ მჯერა.

— რაკი ჩვენს შორის ისიც არაა დასამალი,  
რომ მამიდა დამლაგებელია, ისიც უნდა ითქვას,  
რატომ ვარ მე ასეთი „ღირსეული“  
თანამდებობის უღირსი პატრონი.

— ეს, ალბათ, ისე, უბრალოდ უნდა აიხსნას,  
რომ მე წინასწარ ვერ მივხვდები.

— მართალია. ჩემი სიძეა ჩვენში თქვენი  
დარგის ყველაფრისა და ყველა  
მაკონტროლებელთა მთლად თავიდათავი  
უფროსი... დასა და სიძეს შორის  
დაუსრულებელი ომია. ორი და ვართ. მე, ასე,  
მარტოხელა... ის კიდევ... გაყრაზეა საქმე. ჩემი  
და ატირებულ დედაჩემთან მოვარდება, კვიის და  
ჩხავის: არ მინდა არაფერი ნაარმი, არ მინდაო!  
დაგვეღუპება შვილები, დაგვექცევა ოჯახიო!..  
სიძე გვიხსნის, არაა უგუნური კაცი, და  
გვიმტკიცებს: ან სულ უადგილოდ, უმუშევარი  
უნდა დავრჩე, ან, რაც „მეკუთვნის“ უნდა  
მივიღო. ვიყო, ვიჯდე ჩემ ადგილზე და არ ავიღო,  
ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვიქნები... სხვანაირად  
არავინ მენდობა... უნდა აიღო და მისცე. ეს  
კრიალოსანივითაა აცმული... სხვანაირად,  
უანგაროდ, რომც ინდომოს, ვერ იზამს... და  
მთლად უმუშევარი, ისიც ქალაქში... შავი პურის  
გროშებიც არ იქნება... რად გვინდა  
დანვრილებით, რაც ყველამ კარგად იცის და  
ბრმა ხარ თუ თვალხილული, გინდა თუ არ  
გინდა, არავინ გეკითხება. და საქმე ასე  
გადაწყდა, მე მაინც უმუშევარი მეტქმოდა,  
ნახევარ შტატზე ვიყავი, ვითომ, ეკონომისტად  
და ჩემი სიძისთვის ძნელი არ იყო დავენიშნე ამ  
თანამდებობაზე და ჩემ დას დაემუქრა: ა,

ქალბატონო, შენს დაიაში ეჭვი ხომ არ მეპარება,  
იმუშაოს უმნიშვნელოდ, სინდის-ნამუსიანად და  
მერე მოდით და გამამტყუნეთო...

— აი, სად ყოფილა ძაღლის თავი  
დამარხული!.. — აღმოხდა ნოეს.

— ორი სიტყვით ასეა...

— დაუჯერებელია, მაგრამ ყველაფერი  
გასაგებია... და შენ ისა ხარ, რაცა ხარ...

— და უნდა ვიყო ის, რაცა ვარ... რაც ჩემი  
ბაბუდა იყო და რაც შენი მამიდაც ისაა, რაცაა.

— ბაბუდა?..

— ბაბუდა მატრო...

— ჩვენში არავინ არაა ის, რაცაა.

— მაგრამ ვინც ის არაა რაცაა, ის როგორ  
იქნება, რაც არაა.

— და, ალბათ, ესაა რაც ბოლოს მოგვიღებს.

— მაგრამ სანამ შენ და შენი მამიდა ხართ..  
და ბაბუდაჩემი იყო...

— მაგრამ ასე, უცხოვსთან, პირველად ვთქვი,  
რომ მამიდა მხვეტავია. ალბათ, ამდენ ხანსაც  
მეჭეჭივით არ დავმალავდი, რომ მცონოდა,  
შეიძლებოდა გამემხილა.

— მამიდასთან, მამიდასთან, სხვაგან ჩვენ,  
ჯერჯერობით, არსად მიგვესვლება!

— მაგრამ შენი ბაბუდაც ხომ...

— ბაბუდა, სამწუხაროდ, რა ხანია აღარაა.  
თუმცა დიდხანს იცოცხლა და დიდხანს  
გვზრდიდა... რაც ეკლესია-მონასტრები  
დაარბიეს... ჩვენთან იყო...

.....

ეზოს სალობავად ორ სარს შუა ჩანყობილი  
ნაბლისა და მუხის ნაპობი მესერიც კი  
შემორჩენოდათ. ჭიშკარიც ხის, რიკულეებიანი და  
სახლიც, ძველებური, გამწე აივანით. სიშავმდე  
რუხი, ჩაჟამებული კედლებით, ჩვენებური  
მრგვალი, ხავსმოდებული კრამიტით  
დახურული. გზის მეორე მხრიდან რომ ქალაქი  
მოდგომოდა და ხუთსართულიანი, ბეტონის  
ბრტყელსახურავიანი, რახვი ხეხილიან, მწვანე  
კოინდარში გალურსულ ოდას ავი თვალით  
დაჰყურებდა.

სოფლური ეზო, ქალაქის პირობაზე დიდი,  
ჭიშკრამდე ხასხასა კოინდრით, სატალავრედ,  
საბოსტნედ და საყანედაც კი შემორჩენოდათ.  
ოღროჩოღრო გზის ერთ მხარეს ქალაქი და  
მეორე მხარეს სოფელი დადგომოდნენ  
ერთმანეთს პირისპირ. ძაღლსაც კი აღარაფერი  
უგავდა ჩვენებურს. ქალაქში ქუჩა-ქუჩა  
მონანნალე ძუქნას, ნაგაზის გარდა, ინგლისურ  
ბულდოგთანაც შეუცოდავს. რუსულ  
მყეფარასთანაც და ძნელი გასარჩევი იყო, ნოეს  
მურიას გაბანჯველულ ტანზე ვისი ცხვირ-პირი,  
ყურები და კუდი ება. ხმაც აღარც ერთს უგავდა.  
უცხოვს უღრენდა, პატრონს ელაქუცებოდა.  
ყევდა, ქუხდა და ამავე დროს ჭაჭყანებდა.  
თუმცა, ერთგულება ყველა ჯიშიდან

დაეგროვებინა და როცა ნოემ აუხსნა: წყნარად, გაიცანი, ეს ჩვენიაო! — მაშინვე თვალები ალერსით აევსო და ნახსვისარი კუდის ქიცინს მოჰყვა. ცაგოს ძაღლის თითქოს ძალიან ეშინოდა, მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა, ამ უჯიშო ნაგაზის თავზე ხელის გადასმა და მოფერება მოუხდა — დაჯერებულმა, რომ შემპარავი არ იყო, ქალისა და კაცის გარჩევა შეეძლო და გრძნობდა, ეზოში ვინ რა სულისკვეთებით შემოადგამდა მარჯვენა თუ მარცხენა ფეხს.

მამიდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაბალი, ფაშფაშა და ცხვირბუკა ქალი გამოდგა. რალა თქმა უნდა, იმ მემკვიდრეობით ხალ-მეჭეჭით, ნოე რომ ქირქილებდა, რომლითაც თურმე ასე ამაყობდა მისი მამა-ბაბუა და ზედ იმისთანა ბალანს იზრდიდა, სამულვაშებსაც კი ეძახდნენ. ეს ბოლოდროინდელი მემკვირეები — მამიდა და ძმისშვილი, იმ მესამე უღვაშს — შავ ჯაგარს რატომღაც იპარსავდნენ და, ეს კი არა, ნოეს, თურმე მთლად მოკვეთას და მოშორებასაც კი ურჩევდნენ.

მათ ეზოში ასეთი ქალის დანახვით მამიდა არ ატირებულა, მაგრამ ცრემლები ღანვებზე თავისთავად ჩამოედინა და ნიკაპთან გაესკვნა, რომელსაც ვერც კი ამჩნევდა, რაკი არ ტიროდა და ასევე უნებურად, ხელის ზურგით, ან სახელოთი ინმენდდა.

ყურს გვარიანად აკლდა, მაგრამ ეტყობოდა, მაინც ახალი დაყრუებული იყო და ნოე რას ეუბნებოდა, დაახლოებითაც ვერ ხვდებოდა. ერთს რომ ეუბნებოდნენ, მეორეს — სულ სხვას პასუხობდა და არც იმის გაგებას აპირებდა, მართლა ის უნდა ეთქვა, თუ მისგან სხვანაირ პასუხს მოელოდნენ.

— გაიცანი, მამიდა, ეს ჩვენი სტუმარიაო! — ძმისშვილმა რომ აუხსნა, მამიდამ ცხვირი მუშტით მოიქირჩიძალა, თვალცრემლიანმა უცქირა, უცხო და თავი უნდოდ გაიქნია.

— ნოვია, ბიჭო, შენი ჭირის სანაცვლოთ ვიყო, ტყუილი რო არ იცოდი, ახლა რატო ამბოვ?! — არა, მამიდა! რა ტყუილი, რის ტყუილი?! — აბა, ამნეირ ქალს შენ ვინ გამოგატანს... არ დეიჯერო მაგი შენ, ნოვია!..

ძმისშვილმა მხარზე ხელი მოხვია, უკან მიაბრუნა:

— ჩუ, ქალო!.. რას ამბობ! გადაირიე?.. სტუმარია, სტუმარი!

— ნამეტანი კარქი... ნამეტანი... ნამეტანი... სანყალი, მიხვდა, რომ სისულელე

ნამოტორტლა, სტუმარს მუდარით და შენდობით მიუბრუნდა. ენა მეტად ვედარ მოაბრუნა, კიდევ უარესი არაფერი ნამომცდესო.

— ალბათ, მამიდა ძალიან წუხს შენს მარტოხელობას, როგორც დედაჩემი ჩემსას... — ცაგო მამიდასთან დაიხარა და თავი გაიქნია: ეგ

არაფერიო და გაუღიმა.

— უი, ნოვია, რავალი ხვთისნიერია, არ გიკვირს?!

— კი, მამიდა, კი... ღვთისნიერია.

— მერე, ბიჭო, წინდანინ ხო უნდა მაცოდინო?!. სტუმართან რო შევრცხვით და თავი მოგვეჭრას!..

— არა, მამიდა, არა. რა თავმოჭრილიცა ვართ, ამაზე მეტი არ დაგვემართება.

— აბა, ჩვენ რო ვართ, ამნეირათ ვივარგებთ ამნაირ ურცხო ადამიანთან?!. — ძაღლს თავში ჩაარტყა. — გადი, მურა და დეილუპე საცხა!.. მაგის ფერება ვინ გეიგონა, არა, შენი ჭირიმე, არ ქნა მაგი!.. სტუმარმა რა იცის, რო შენ ჭკუა გეკითხება... მობრძანდი, დედაშვილობამ, მობრძანდი, მარა... — ნოეს შეაჩერდა. — ამნეირ ურცხოსთან... ასე, ამნეირათ ვივარგებთ?!.

— ვივარგებთ, მამიდა, ვივარგებთ, ამნაირ უცხოსთან ვივარგებთ...

.....

— არა, ბატონო ნოე, საქმე არც ასე ხელწამოკრულადაა, როგორც მე თქვენ თავიდან გითხარი. თუმცა, მაშინვე ისიც ვთქვი, რომ აქ ჩემი დის, სიძისა და დისშვილების... რომლებიც, ალბათ, ჩემიცაა...

— თქვენ, ჯერ... რა ისეთი... — ვითომ წამოიწყო ნოემ, მაგრამ ცაგომ ცოტა უხერხულადაც კი გააწყვეტინა.

— აარა!.. რა თქმა უნდა, არა! ეს ყველაფერი მონაგონია... სულ არაფერს წარმოადგენს, მე ავიღებ თუ არ ავიღებ. მე მიინდა ეს თუ არა.

— როგორ არაა, რაფერ არაა! — ოდნავ ხმამაღლაც კი მოუვიდა ნოეს, თუმცა იმის შიში არ ჰქონია, მამიდა გაიგონებდა, ან ვინმე, მაგრამ ნოეს უკვე აღმფოთებაც შეეძლო. — ჩემი ნება არ უნდა იყოს, მე პატიოსანი ვიქნები თუ გარენარი?!

— მით უმეტეს, ქალი!..

— ქალი?!

— ქალი... მე ქალი ვარ, ბატონო ნოე!..

— ქალი... კი, ქალი... მაგრამ ქალი და კაცი სულ ერთი არაა? ადამიანი...

— კი, ადამიანი... კაცისშვილი... სულ ერთია, მაგრამ მაინც ქალი!.. წარმოიდგინე, სამმართველოს კონტროლი... ვინც უნდა იყოს... ჩამოდის... დადის ასე, როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში და მიაქვს „თავისი“ ხურჯინით... და ხდება ცნობილი, როგორც იტყვიან, „ფულის პატრონი“ ქალბატონი...

ნოემ თვალები დახუჭა, მეჭეჭიან ცხვირზე ხელი ჩამოისვა და ჩაიღრინა: — ...ქალიც სულ ერთია და კაციც...

— მაგრამ, ბატონო ჩემო, ეს ასე უბრალო საქმე არაა, ამ ალება-არალების უკან ადამიანებია, მათი ბედი და იღბალი, ხვალინდელი დღე, მომავალი. როგორც ჩემი სიძე

ამბობს: „ასეა ანყობილი“ და „დაკანონებული.“ ის უშენოდაც აღებულია და ჯიბეში გიდევეს. ეს ამათაც იციან და იმათაც...

— ჰო... საუბედროოდ... — ნოემ თავი დაიქნია, მაგრამ მაშინვე შეცბა. — „დაკანონებულია“?! — და ქალს შეუღეველად თვალეში შეაჩერდა: — ღმერთო, დიდებულო! და რა უნდა ეშველოს?!.

— უნდა ავილო... — განწირულის ხმით ჩაილაპარაკა ცაგომ, რასაც ნოე არაფრით მოელოდა და გამომცდელად ჩაუსაფრდა, ამას მართლა იზამს თუ ამ აუცილებლობის გამო ამბობსო.

— უნდა აილო?!.

— უნდა...

— ქრთამი.. ქრთამი?!

— როგორმე მინდა, თქვენ მაინც გამიგოთ... მომისმინეთ, მომისმინეთ! ჯერ მათქმევიწიე... თორემ, განა თქვენი აზრი არ მინდა ვიცოდე? აბა, რა მრჯის... ან ვინ მძალეებს... და, ამის

— რა არ იცი?!.

— არ ვიცი, იქნებ ამ ამბავს იქიდან ჩემი სიძეც ადევნებს თვალყურს და ის, რაც ცხოვრების წესად ექცათ, ალბათ, ისეთი უსუსურები და უნიათონი არ არიან, რომ იღებენ, მიაქვთ და მორჩილად გარდა, მე ჩემი, როგორ გითხრა... ჩემი თავისაც მინდა ვიცოდე... ჩემი ალლოს, თუ ადამიანის შეცნობის უნარი... ჩემს თავს თუ მაინც შემიძლია ვენდო... ამ, ასე ზნედაცემულ და ნილაბაცემულ ბრბოში შემწევს უნარი ადამიანი, თუ ის სადმე კიდევაა გადარჩენილი, ამოვიცნო? გამოვარჩიო ამ მძარცველ-მგლეჯელებში ის თითო-ოროლა? და, რა თქმა უნდა, ჩემთვის თქვენს პასუხს და, თუ გნებავთ, რჩევას ამდენადაც აქვს მნიშვნელობა. მგონია გიცანით და ღმერთმა ნუ ჰქნას, ეს ასე არ იყოს, მაშინ აქ რა მინდა. მაგრამ ისიც სასურველია... სასურველი კი არა — აუცილებელი, ვიცოდე თქვენ ისა ხართ, რომელსაც არ აძლევენ და არ იღებს, თუ აძლევენ და მაინც არ იღებს, — იძულებით პატიოსანი, თუ ბუნებით... — ამაზე ქალმა ოდნავ გაიღიმა და ამით ასე, რალაცნაირი, თითქოს უფლებამოსილება თუ შეუვალობა ოდნავ შეარბილა, თუმცა, უფრო ზრდილობისთვის, თორემ რასაც მოითხოვდა, ამის მთლიანად მოსურნე იყო.

კაცმა რომ თქვას, ამაზე ღრმად ნაფიქრი არც კი ჰქონდა ნოეს. ძალიან რომ მისძალეზოდნენ და იმ დონის ადგილი სჭეროდა, რომელსაც წილი ერგება, თუ წილის ნაწილი და როგორც ხელფასზე უარს არ ამბობს, იმასაც აიღებდა? არა, ალბათ, მაგრამ ეს არ მომხდარა, არავის არაფერი მიუცია და არც უნდომებია. არიან ის წვრილფეხობაც, რომლებიც რალაცა პურის ფულს ითხოვენ, ცოლ-შვილის პატრონებია, მტერ-მოყვრის, ნოესავით თავგაცეიბულები და უოჯახონი კი არა და, რალაცას, ლუკმას ნაუტეხავენ, რომ არაფერი დაწერონ და

უსახელო საჩივრები არ გააგზავნონ. ამით კი არაფერი, მაგრამ ერთხელ და ორჯერ, ხუთჯერ და ათჯერ რომ წავა და წავა, მერე იქიდან ვინმე ქე იტყვის: გააჩუმეთ, მაგ შობელძალი, ვილაცაა, რალაცა ძვალი გადაუგდეთო! ამიტომ, ჭკვიანმა ხელმძღვანელმა ეს უნდა იცოდეს, წინ უნდა გაიხედოს და ის წასაგდები ძვალი ბარემ მანამ მიაშაოს, სანამ საქმეს წაახდენდეს... ამდენად წაახდენდეს, რომ უფროსობას ათქმევიწიებენ: მაქაურობას მოაშორეთ, თორემ ჩვენ მოგივლითო!

ცაგო ჭიქაში ჩარჩენილ უშაქრო ჩაის წრუპავდა. ფანჯარაში სადღაც შორს გაჭიატებულ სინათლეებს გასცქეროდა და უფრო შორს, თითო-ოროლა ვარსკვლავს. არაფერზე ეტყობოდა დაღლა, ან ეს საუბარი თუ მობეზრდა და დაწოლას რომ ინდომებდა.

ნოემ ქალების ბევრი არაფერი იცოდა, ან ეს იცოდა — ერთს ფიქრობენ და მეორეს ამბობენ, მაგრამ ესეც თუ ისეთი იყო, ღმერთისთვის მადლობა უნდა შეენირა, რომ ასე ეული და ერთი კაკალა დარჩა. ან ნოეს, ართვალს და დატაკს ვინ ინდომებდა, მაგრამ რომ ენდომებინა, ოჯახს ოჯახი დაერქმეოდა?

— ჩაი... კიდევ ხომ არ.. აჰ? — რალაცნაირი, თვალეზის ოდნავ მოჭუტვით, თითქოს წაიხუმრა კიდევ და ვითომ სასმელზე შეეპატიჟა. — მეტს არაფერს სვამთ და ესეც არა?... — თან, თუ დაღლილია და არ იმჩნევს, არ დამთანხმდება და მეც მალე ძილი ნებისა უნდა ვუსურვო.

— ოო!.. როგორც ბევრი სხვით, ამითაც დამავალბებთ! — თითქოს გაუხარდა, რომ თვითონ მან კი არა, ნოემ არ ისურვა ამ შუალამისას ჩვეულებრივ თავის მიღება და თვალის მოტყუება.

მამიდა შემობატურდა შეშფოთებული, რომ მის სასტუმრო ქვეშაგებს პატრონი მოევილინა და ამ ქალს რასაა, რომ ნოე ჩაციებია და თვალს არ ახუჭვინებს.

— გოუმზეურებელი ქეა, მარა რო არ გელოდით... — მოიბოდიშა. — ისე, დაწოლით დეინოლება, მართლა ისე კი არაა...

ნოემ გაუღიმა და თავი დაუქნია, თქმით კი არაფერი უთქვამს, მაინც ვერ გააგონებდა. სტუმარმა მადლობით შესცინა და დააშოშმინა.

.....

— ჩვენ ჩაის არ ვცემთ პატივს, ქართველები... არადა, მთელი მსოფლიო... თუმცა, ჩვენი ჩაის პატრონს არ გაგვენბილება... — თქვა ქალმა, როცა ნოემ ამჯერად ჭიქებს იმდენი დააკლო, ლამბაქებზე არ გადმოღვარა. მაგრამ ამისთვის დაფიქრება, მონდომება დასჭირდა. რაც ასჯერ და ათასჯერ უქნია და დღეს, ჩქარობდა თუ რალაცნაირად ფაციფუცობდა, კარგა ლამაზად რომ უნდოდა და არ გამოსდიოდა. რატომ, რაში სჭირდებოდა, ვერ აეხსნა, თითქოს ხელსშვიგნით

ხელიც კი უთრთოდა. რა, თავს იწონებდა და კეკლუცობდა?.. რა სისულელა, ქალს და, მით უმეტეს, ამისთანა ქალს თავს ჩაის მოდულებით, დასხმით და მირთმევით კი არა, თუ გნებავთ, ზღაპრული პურ-ღვინით გააკვირვებ? არა, რა თქმა უნდა, ეს რომ ენდომებინა, თვითონ ნოეს არ ეყოფოდა თავი სასაცილოდ, მაგრამ ადამიანი არაა თავისი თავის მფლობელი და რასაც სხვას უძრახავს, ან თავის თავს რომ უწბილებს, იმასაც ჩადის... არ ენდომებდა და აკეთებს...

ამიტომაა?!

დასწყევლოს ღმერთმა... ალბათ... ამიტომაა ამდენი უსამართლობა რომ ხდება, არც მათ უნდათ და სჩადიან, თვითონაც გამობენ და აკეთებენ. თვითონვე იძრობენ სულს და ეშმაკს აბარებენ?!

ამიტომ... და ამის თქმა ხომ არ უნდოდა სტუმარს, ნოეს განდობოდა, რომ მერყეობს, თანაღრობს, არ უნდა აღება და ეშინია, მაინც რომ აიღოს... არსაქნელი ჰქნას... და ამიტომ ხომ არ სჭირდება ნოეს თანადგომა და თანაღობა, რომ, ალბათ, დედამისის და დის გარდა კიდევ უნდა ვინმე, გარეშე, შემთხვევით გაცნობილი ვიგინდარა, ვინც გინდა იყოს, მით უმეტეს, იმ წარმოებაში, საიდანაც უნდა აიღოს, რომ მხარს არ დაუჭერს, არ ანდომებინებს... შეაძლებინებს არ ენდომოს...

ნოე ერთხანს ჯიუტად ჩააჩერდა, იმდენად ჩაცვივებით, რომ ქალი ერთბაშად მოტრიალდა, ღანვებზე ვარდისფერმა გადაუარა.

— გისმენთ, ბატონო ნოე! — ესლა თქვა.

ნოემ ალბათ პირველად ჩახედა ქალს თვალებში ასე ახლოდან და ასე შიგ ჩასაძრომად, ჩასასახლებლად... მოეჩვენა, მისი კაბის სითეთრე თითქოს შიგნიდან ილანდებოდა... შიგნიდან ჟონავდა, შიგნიდან... ისახებოდა კი არა და, ნათობდა. იმიტომ კი არ იყო თეთრი, რომ ჭუჭყიანი არ იყო...

ცაგო ალბათ სიცილით გადაბჟირდებოდა, ეს რომ ნოეს ხმამაღლა ეთქვა, რომ მამიდასავით... მამიდა რა... მამიდას თეთრი არასოდეს სცმია და აქამდე არასოდეს უფიქრია მამიდის სითეთრეზე. მამიდა და თეთრი!.. ამ მშვენიერ, ქათქათა ქალსა და თავის ართვალ, ჩოლბოტ მამიდას შორის რაიმე, თუნდაც იოტის ოდენა მსგავსება?!. ამიტომ იყო, ამ უცხო, უცნობ ადამიანს ერთბაშად დაუახლოვდა და მიეთვისა?! კინალამ მამიდასავით გაუნყრა:

— და უნდა აილო?!

ქალმა პირი აარიდა და ერთხანს ჭიქას ჩააჩერდა. ამას დიდი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა, რომ ნოესთვის ეს ქვეყნის დაქცევა იქნებოდა.

— მადლობელი ვარ... — რატომ იხდიდა მადლობას, თითქოს გასაგებიც იყო და გაუგებარიც. — ჯერ, ჩვენში რაც ხდება და... მერე, ჩემი ამბავი ასე უბრალო არაა: თუ პატიოსანი ხარ, არ აიღებ და თუ უპატიოსნო —

აიღებ.

— საერთოდ, რაა და რაც ხდება... შავი შავია და თეთრი თეთრი!.. — ასე მართლა ძალიან ახლობელს, ან ვიგინდარას ელაპარაკებიან, როცა არ უნდათ მასთან ბევრი მიეთმოეთიე და მოკლედ მოჭრიან: სხვისა სხვამ თქვას, შენ შენი იცოდეთ!

ქალმა ეს მორჩილად მიიღო, ალბათ, წელან რომ მადლობა თქვა, ამიტომაც თქვა, მისი ბედი რომ ასე გაითავისეს და გულთან ასე ახლოს მიიტანეს, გარეგნული კრძალვა და რიდი ბუნებრივად ჩამოეცალა.

— რომ არ ავილო...

— უნდა აილო?!

— რომ არა...

— რა, რა, რა რომ არა?!

— რომ არ ავილო, ჩემი დის... და ჩვენი ოჯახი დაინგრევა. ახლა აქ უკვე ყოფნა-არყოფნის საკითხია... დედა ბაბუდასავით მორწმუნე ქალია, შვილებზე დაფეთებული და ხატივით მლოცველი. არიან ადამიანები... ქალები, დედები, რომ სიყვარული სიბრძავედ ექცევათ და განსჯის უნარს ჰკარგავენ. ეს იმის ბრალიცაა, ალბათ, რომ ჩვენ ძმა არ გვყავდა, ჩვენ ორ დას შორის იმ ერთს ჰყავს მთელი ჩვენი გვარისა და ჯილაგის მომავალი. ბაბუდაც ხომ უშვილძიროდ გადაეგო, მონაზონი...

— მონაზონი?!

— მონაზონი... მონასტერი რომ დაურბიეს, ჩვენ შემოგვეკედლა, ჩვენი ოჯახი აქცია მონასტრად. ლუკმას ვერ ჩავიდებდით პირში, ღმერთისთვის მადლობა არ გვეთქვა. გარეთ უღმერთობა მძვინვარებდა... ჩვენში ამიტომ ხომ არაა, ოჯახები რომ ინგრევა და პარტახდება განუკითხავად... რაკი გამგონი რომ დაგიგულე, ნამეტანი ხომ არ მომივიდა?..

— ილაპარაკე, ღვთის გულისათვის... — აღმოხდა ნოეს.

— გვარის შეურცხვენლობა, სახელი, თავმოყვარეობა და, იქნებ, პატივმოყვარეობაც... არ ვიცი, ჩემ დაში ეს გაცნობიერებულია თუ ჯიშად მოგვდგამს... მამა ომის შემდეგ რომ არ გადაესახლებინათ, თუ ძმა არ გვეყოლებოდა, ჩვენ, ალბათ, ვინ იცის, ცხრა დანი ვიქნებოდით... ბაბუა კი ის იყო, ღერ უღვაშში რომ მილიონს ენდობოდნენ.. და ასეთი კაცი იმ დროს ჩვენში სანთლით საძებარი არ იყო და ბაბუდა, გითხარი, მონაზონი...

— იყვნენ... იყვნენ ასეთები... თუმცა, რა „ასეთები“? როგორიც უნდა ყოფილიყვნენ, როგორიცაა ჩვეულებრივი ვიგინდარა მოკვდავი...

— ახლა ეს ჩემი სიძის ხუმრობასავით განჩინებაა, დღევანდელი პატიოსნება ესაა, შენი უნდა აილო რაც გერგება, რაც შენია, თორემ რომ არ აილო, ის არ შეგერგება. არ შეიძლება რაიმე წარმოებამ, დაწესებულებამ, უბრალო საამქრო რომ საამქროა, ქვას რომ ამტვრევს, კირს წვავს,

თუ რკინას ჭედავს, ან, რაც გინდა, ვთქვათ ბავშვის წინდებს რომ ქსოვს, მან სახელმწიფო ფული გადარიცხოს და მანქანა-დანადგარი, ან ნედლეული მიიღოს. ვერ აწარმოებს, რომ ნაწარმი თვლით ჩააბაროს სახელმწიფოს და გასაღდეს... გადარიცხული ფულით ნემსში გასაყრელ ძაფს ვერ იშოვის. თავისი ფულით უნდა იყიდოს და ეს თავისი ფული ბაბუამისის დატოვებულია თუ ბაბუდის, მამამისის თუ მამიდამისის?...

— ასეც რომ იყოს...

— ამას ვილა კითხულობს!

— არ იკითხოს, აილოს და მისცეს?!

— სხვანაირად... ბავშვებმა ფეხშიშველა შეიძლება სოფელში იარონ, ისიც ორღობეში და მინდორში, თორემ ოღროჩოღრო ასფალტი აქაცაა და ადუღებულ გუდრონში რომ ფეხი ჩაუცდეთ...

— ამიტომ, შენ უნდა აილო?! — ნოეს ისე მკაცრად და მბრძანებლურად ნათქვამი მთავრობამაც იცის, ხალხმაც, ერმაც და ბერმაც... როგორც ჩემი სიძე ამბობს, რასაც ისინი იღებენ ხელფასია, რასაც საზღვარგარეთელი ყველა მუშა-მოსამსახურე იღებს... ჯამაგირია, რომ იარსებო... დანაკლისს ივსებ, რაც გერგებოდა და არ გარგუნეს...

ნოე ადგა, ფანჯარასთან მივიდა და ცას შეამტერდა, ქალს ზურგი შეაქცია.

— ყველაფერი მართალია და ყველაფერი ტყუილი!.. — ქალს დაეთანხმა და იმ „ვილაცას“ არა, მაგრამ ეს ხომ აქამდეც ასე იყო? ახლა, დღეს თუ ამაღამ, რატომაა ყველაფერი უჩვეულო, დღევანდელამდე არასოდეს რომ არ უქნია კი არა, არც უფიქრია. არ დასჭირვებია და ასე პირისპირ არ დამდგარა ტყუილ-მართალთან და აქამდე ამნაირად არ უნდომებია? არა, ვითომ არ იცოდა ცხოვრების მღვრიე მდინარეს ისე მიჰქონდა? ვერც ამას იტყვის. არა, იქნება ჩაძირული ჰყავდა ამ ადღლამუზებულ მდინარებას, მაგრამ ტალღებზე ქაფივით, ან ხმელი ნაფოტივით არ აჰყოლია, საითაც პირს იზამდა, იქით წაეღო. ჩაძირული იყო ქვასავით, მაგრამ ეგდო თავისთვის, თავის საანგარიშოსთან ოთახის კუთხეში მიკუნჭული და მისრესილი, მაგრამ არა წყალნაღებული და ღვარცოფს გატანებული... დაბეჩავებული, ვნებადათრგუნვილი, თვალგაუხელებელი და არაფრის დამნახავი. ამიტომ ცოლზე და ოჯახზე ფიქრისთვისაც უძღურნი. ტყეში განმარტოებული თუ ოცნებობდა როგორც შორეულზე, ან დაკარგულზე, რომელიც ეკუთვნოდა, სჭირდებოდა, აუცილებელი იყო, მაგრამ შეუძლებელი, მიუწვდომელი. იმ მზეთუნახავზე შეყვარებულივით, რომელიც ცხრათავიანმა გველეშაპმა მოიტაცა და ზღვის გაღმა თუ სადღაც შორეულ კუნძულზე ჰყავდა დატყვევებული. ნოეს და მის ყრუანჩელა, ჩოლბოტ მამიდას ხომალდი კი არა, ნავიც არ

გააჩნდათ, არც მფრინავი ნოხი და არც უჩინმაჩინის ქუდი. ზღვაზე ხიდს თუ გადებდა, თორემ სხვანაირად არაფრით ურჩხულის ხელიდან ქალის გამოგლეჯა არ მოხერხდებოდა. ამის გარდა, კაცმა არ იცის, იმ მზეთუნახავს დევთან ყოფნა და მის ციხე-კოშკში პარპაში ერჩია თუ ნოესთან და მის მამიდასთან დღე-დღეზე წასაქცევად განწირულ, ფარღალა, ძველისძველ ოდა-სახლში ძილმღვიძარე თვლემბა — თავზე დანგრევამდე იქნებ როგორმე გარეთ გავასწროო.

— ხომ არ დაისვენებთ?.. — მუდარასავით ჩაილაპარაკა ნოემ, რომ როგორმე, ქალს რაც უნდა გაჭირვებოდა, უძილობისთვის ერთხანს კიდეც გაეძლო.

— არა, თუ შეიძლება, ერთხანს კიდეც არა.

— მაშინ, დაიწყე... ჰო, თუ გააგრძელებ.

— ცოტას ჩაის კიდეც ხომ არ დამიმატებთ? ნახევარი ჭიქა კი მაქვს, მაგრამ მერე არ მინდა სათქმელი გამიწყდეს... ალბათ აქ უნდა ითქვას, რაც არსად თქმულა... ალბათ, ჩვენ კი არა, თვითონ ვითარება ამბობს. არ გჯერა, რომ არაფერი შემთხვევით არ ხდება?

— თითქოს... ვითომ ყველაფერი გაანგარიშებულია, მაგრამ ისე უთავბოლოდ, რომ ადამიანი წინასწარ ვერაფერს გაუგებს...

— ასეა თუ ისე, მაინც ამ უთავბოლობაში არის რაღაც რთული, მრავალუცხოვნიანი ამოცანა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვჭირდებით ამოსახსნელად...

— კი... ჩაი ჩაია, მაგრამ ცოტა... რაიმე სასმელს ხომ არ...

— ჰო, მაგრამ თავიდან ხომ დავილოცეთ. ოჯახში პირველად შემოვედი და სხვანაირად არ შეიძლებოდა.

— დალოცვა კი, მაგრამ ეს ხის სირჩები ისე პატარებია, თან ისე სქელი გამომივიდა, შიგ არაფერი ეტევა...

— „გამოგივიდა“?!

— ჰო, ასეთ რაღაცებს თვითონვე... რაღაცას... ტყეში თუ ხშირად დახეტილობ... რაღაცას გადაეყრები კიდეც... მე მაგისტანებისა რა გამეგება, მაგრამ თვითონ ყველა ხეა ისეთი, რომელიც... ჰგავს რაღაცას და თავი და ბოლო რომ წააჭრა, ქერქი გააცალო და ღრუ ამოუნმინდო, თავისთავადაა... ხატვა არ ვიცი, მაგრამ გამოქვაბულის კედლებზეც ხომ ხატავდნენ... ნეტავ რას ვყვები, რისიც არაფერი გამეგება, მაგრამ ბუნებაში არის ლამაზი, გამძლე და შეგენანება კაცს, სადღაც, ხრამში რომ აგდია. იქნება ასი წლისაცაა, იქნებ მეტისაც...

— ხრამში ჩაგდებული ხე ასი წლის?!

— ხე, უთხოვარი — ურთხელი, ულპობადი ხე...

ცაგომ ფეხიანი მძიმე ხის სასმისი ხელში დაიჭირა.

— რაკი თქვენი ნახელავია, მოდი, ერთხელ

კიდევ ამივსეთ.

— სასმელიც ჩვენია...

— როგორ, თქვენი? საკუთარი ქარხანა გაქვთ?!

— აქ, თქვენც დაინახეთ, ქალაქის პირობაზე დიდი ეზო გვაქვს. რა თქმა უნდა, გვართმევდნენ, აბა, აქამდე ვინ შეგვარჩინდა. მაგრამ მამიდას ცოტ-ცოტა ყურს ყოველთვის აკლდა, „არ ესმოდა,“ რომ ამდენი არ გვეკუთვნოდა... ეჰ, ამ მინის თაობაზე რამდენი ნივილ-კივილი და დავიდარაბა გადაგვხდენია, ვინ მოთვლის... და გვაქვს ცოტა ვენახი, ცოტ-ცოტა ხეხილი და ვაგროვებთ: რამდენი ვაშლი ჩამოვარდება, მსხალი, კორკიმელი, ჭანჭური და ტყემალი; ნათალს და ნახიჩნს არ ვაგდებთ, ვუყრით თავს წლიდან წლამდე და გვაქვს პატარა, არყის სახადი, სპილენძის ქვაბი. ადრე, ერთხანს რომ გვართმევდნენ და მინაში ვმარხავდით... გვაქვს ხილისა და ჭაჭის არაყი. მამიდა, კიდევ, ალუბლის, პიტნის და ვარდის ნაყენს ამზადებს, ვურევთ და თუ მეგობრები მაინცდამაინც არა, ნათესავები ხომ... მამიდას ხომ ჰყავს მხვეტავ-დამლაგებლები და იციან თავშეყრა...

— ბატონო ნოე! იმის თქმაც ხომ არ გინდა, ჩვენც ვიდღესასწაულოთ, ამ შენი ნახელავი სასმისით დავლიოთ? — ქალს ისეთი სიცილი წასკდა, ნოემ შავ ხალზე ხელი აიფარა.

— ჯერ ეს... სტუმრის სადღეგრძელო ვთქვათ...

— სტუმარი ჩვენში ხომ ღვთისაა...

— იმ მამიდას გაფიცებ, ნუ დამაძალებ, თორემ უარს ვერ გეტყვი და სულ ცოტადა უნდა, ამდენმა დაგუბებულმა ბოლმამ რომ ჯებირი გაანგრის და ნაგვლეკოს. მე თუ არა, თავი შეიბრაღე.

ნოეს გაეღიმა და შევსებულ სირჩებს ფრთხილად კიდევ დაამატა.

— კარგი, რაკი აგრეა... ცაგომ სასმისი აიღო.

— მაშინ, მე ვიტყვი. თქვენს სტუმარს გაუმარჯოს! ამჯერად მაინც არ გაცუდებოდეს ადამიანის რწმენა და იმედი. ღმერთმა ნუ დაგილიოთ სტუმარი და მასპინძლობის უნარი...

ნოემ, სასმისს რომ სცლიდა, ცალი თვალით ქალი ისევ შეათვალა, შეაჩერდა... „კი, ბატონო, არ გათხოვდა... არ გათხოვილა, მაგრამ არ უყვარდა? ამისთანას ხელიდან ვინ გაუშვებდა...“

ცაგომ ცარიელი სასმისი დადგა და მუჭით დაიჭირა.

— ჰოდა, რაკი ეს ვთქვით, ბარემ ისიც ვთქვათ, რაზეც მამაკაცებთან არ ლაპარაკობენ. იქნებ, არაფერი გასაოცებელი და განსაკუთრებული... იმიტომ არ ვთამბაბლობ, რომ თქვენგან ქათინაურს მოველი. ამიტომაც მომწონხარ, რომ ხობტა-დიდებას თავზე არავის აყრი.

— მაგრამ თვალში ვიხედები და ეს ჩემი მოსწრებული ხალი სულაც არ მიშლის დავინახო.

— და იცით ქალის სისუსტე და ბოროტად არ იყენებთ, რაკი იცით, ეს სისუსტეებია, რომ ნელ-ნელა უთხრის ძირს და ღუპავს ადამიანს. ბაბუდაჩემი ახალგაზრდობაში აცდუნა, ალბათ, და ცოდვებისაგან რომ თავი დაეხსნა, მონაზვნად აღიკვეცა... მაგრამ დავანებოთ ამ „ჭეშმარიტებას“ თავი.

— და მაინც, ახალს ვერაფერს ვიტყვით.

— ჩვენ კი არა, ჩვენზე მეტი რომ იციან და ამის მეტი არაფერი უკეთებიათ, ისინიც ვერაფერს ამბობენ ისეთს, რაც არ თქმულა, ან უთქვამთ და ამით მაინც არაფერი შეცვლილა. ან, თუ შეცვლილა, უარესით შეცვლილა.

— ადამიანი უარესდება და უარესდება.

— სხვა გზა, ეტყობა, არ გვაქვს. ქვეყნიერება უარ და უარ მიდის... იმას არ ვგულისხმობ...

— ვიცი, ქარხნებისა და მანქანების ბოლზე არაა საქმე. — ნოემ მხრები ოდნავ აწურა და თვალები აახამხამა: მეგონა, ამდენს რომ მიგიხვდებოდე, იცი და რატომ არ მენდო.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ქალმა მობოდიშებასავით მიაგება. — ეს იმის ბრალია...

— ხელი გაინვდინა მაგიდაზე, სასმისი მოშორებით დადგა. ყურთბალიშებიან და მუთაქებიან ფარდაგადაფარებულ ტახტზე მიგდებულ თავის ხელჩანთას გახედა. — ბარემ ყველაფერში გამოგიტყდები... — ნოემ კმაყოფილებით ჩაიღიმა და თვალები მუდართ მიაპყრო. — ისე, როგორც თქვენ, ან, საერთოდ მწვევლები, არ ვენევი, მაგრამ ასე საღამოს, ან როცა თავს მარტო დავიგულებ... ეს, ალბათ, ნამდვილი მწვევლებისთვის გაუგებარია, მაგრამ არიან ასეთებიც... სხვა დროს, სადაც არ შეუძლიათ მოსწიონ, თითქოს არც უნდათ, ან უმისობა შეუძლიათ. აი, სადაც და ვისთანაც... როცა იციან ეს შეიძლება...

— ახლავე. — ნოე, კი არ წამოგა, წამოხტა და ტახტიდან შავი ჩანთა აიტაცა და პატრონს თეთრ კალთაში ჩაუდო.

— გმადლობ... — რატომღაც თავის დაქნევით თქვა ქალმა და კაცი მიხვდა, რომ ეს მარტო ჩანთის მიწოდებისათვის არ უთქვამს, რომ ნოე იყო იმ გამონაკლისთაგანი, „სადაც და ვისთანაც“ შეიძლებოდა ამ „ცოდვის“ ჩადენა.

ნოესთვის, ამდენი მოულოდნელი ნდობის შემდეგ, კიდევ ასეთი სიახლოვე თავზე დაუტევარი ბედნიერება იყო დ იმაზელა თუ შეეძლო ეოცნება, რომ ამდამინდელი ღამე უსასრულოდ გაგრძელებულიყო. სტუმრისთვის მგზავრობას და მერე მთელი დღის მისვლა-მოსვლას ერთბაშად არ ენია. დაწოლა და ძილი არ ენდომებინა.

ცაგომ სიგარეტს მოუკიდა.

— რატომ მინდა ასე სულწასულად გითხრა ყველაფერი, იცი?

ნოემ თავი გაუბედავად დაუქნია.

— რამდენჯერ მინატრია ისეთი ვინმე, რომელთანაც შეიძლებოდა...

— დიიახ, დიიახ!.. — გაანყვეტინა ქალმა, თითქოს ეშინოდა, ვაითუ ამის მეტს ვერ მიმიხვდეს და ეს საბაბად ცოტააო, — და კიდევ იმიტომ, რომ არ გიცნობ...

ნოე რალაცნაირი ნდობით შეიშმუშნა და სკამის საზურგეს მკლავი გადაადო, ხელი მუშტად შეკრა. ეს ღამე ყოველნაირად უღირსი ღამე იყო. ნოეს რაც გადახდილი ჰქონდა, ამის საფასურად არ იკმარებდა!..

— ანდა, იმდენად გიცნობ, რაც თქვენდამი ნდობას მიჩენს. ან შენი არ ვიცი ის, რისი ნდობაც არ შეიძლება და სანამ იმდენად არ დავაახლოვებულვართ, რომ დავშორდეთ, თითქოს მინდა მოვასწრო, თუნდაც ერთი ღამით მოვიშორო ტვირთი. არ ვიცი რატომ მგონია, ჭირის გაზიარება ჭირისაგან გვიხსნის, მაგრამ ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ისე მივეჩვიეთ უბედურების მალვას, როგორც კუზიანი კუზს, ყრუ სიყრუეს...

— როგორც მე და მამიდა ამ შავ მეჭექა ხალს... — და, რატომღაც, ნოემ ცხვირთან თითქვ ცი მიიტანა, ვითომ ისედაც თვალსაჩინო არ ყოფილიყო.

— მოითმინე... ხალი, ეს არაფერი... და ასე მგონია, როგორც მას, კუზიანს, ასე უდანაშაულოდ დასჯილს, უნდა, ალბათ, ზოგჯერ ერთი ღამით მაინც მოიშოროს, გულაღმა დაწვეს და დაიძინოს, ან ქუჩაში, ნაცნობ-მეგობრებში გაჯგვიმულად გაიაროს... მეც, მგონი მეც... ქალი რომ ქალთან, ან მამაკაცი მამაკაცთან იტყვის, სხვაა... კი, ალბათ, ისიც შვებაა... ან, ვინც მას დიდი ხანია იცნობს და იცის „კუზიანია“, მისთვის ახალი ამბავი სულ არაა, ის დადლილია ამ ნუნუნით და სივავლახით... მას მოსმენილი აქვს, იცის, ახალს ვერაფერს ეტყვი და ვერც ის განუგეშებს იმაზე მეტად, რაც არ უქნია. შენც ხომ არ მოსწევ? — ქალმა სგარეტის კოლოფი გადმოდო. — შენც მოუკიდე, თორემ მამიდას რომ გაეღვიძოს და იმის გაგება მოინადინოს, ვინაა ეს ჩვენი სტუმარი, ამ ნაშუაღამევს რომ ჩემს ნოეს თვალს არ ახუჭვინებსო...

— არა, მადლობთ, ფილტრიანს არ ვენევი. — ჯიბიდან ორი თითით „უფილტრო“ მოხერხებულად ამოაძვრინა და ბზის ხარატულა მუნდშტუკში ჩაარგო.

— ბოდიშს ვიხდი, ერთი კიდევ დამისხი...

ნოემ ერთხანს ყურებს არ დაუჯერა, მერე კი ერთბაშად წამოხტა და სასმისი აუვსო.

— მამიდას სადღეგრძელო მინდა დავლიო. ბედნიერებაა დღეს ასეთი ახლობლის ყოლა... და ჩემი ბაბუდის ხსოვნისა. აი, ამათ შეძლეს ყოფილიყვნენ ის, რაც იყვნენ. არ დასჭირვებიათ ცხვრის ტყავი...

— კი, მამიდა... მართლაც რომ...

— და ისიც ბედნიერებაა, რომ შენ იცი მისი ფასი და ჩემი ღვთისნიერი ბაბუდაც აქ უკეთესად დავინახე. აი, რამ დამაახლოვა თქვენთან ყველაზე მეტად... „დამაახლოვა,“

იქნებ არაა ეს ის სიტყვა, რისი თქმაც მინდა.

— მაგრამ, ხომ ვიცი...

— რომ არა, მაშინ ხომ არ ვიტყვოდი. მაგრამ მაინც... ნდობა... იმ ჩემი ერთი შეხედვით ადამიანის ცნობის გამართლებაში რამაც დამარწმუნა... მგონი ვთქვი თუ არა, ვიცი, მაინც გასაგებია... და შენ იცი, მამიდა ვინაა. ვინც ყველაფერს გაძლევს რაც გააჩნია და ძალიან გჭირდება — გულწრფელ სიყვარულს. მე მის თვალეში მაშინვე დავინახე, როცა ჭიშკართან შემოგვეგება. რაც აბადია და რასაც თავისი დიდი შრომით ჰქმნის... და ყველაფერს უანგაროდ... შენგან არ მოითხოვს ახალ სახლს და ახალ ავეჯს, ხავერდის კაბას და ფეხსაცმელებს... არაფერს ვამბობ ავტომანქანაზე, როცა დღეს ნათესავების თვალში ის კაცი კაცი არაა, ვისაც არა ჰყავს კი არა, ვისაც ჰყავს და დაუძველდა, ან შეკეთებული და გადაღებილი ჰყავს... არავინ კითხულობს საიდან, რა ჯიბითა და სალაროთი. იცის, რომ ავტომანქანა სჭირდება დღეს ადამიანს და უნდა ჰყავდეს, რომ იანგარიშოს არაფერი გამოუვა. ჩვენში ამისთანა საქონლის მყიდველი არავინაა და ბევრს ჰყავს. ისე, როგორც თქვენი წარმოების დირექტორს, მთავარ ინჟინერს, ბუღალტერს და, ალბათ, ყველას, შენსა და შენისთანა თუ კიდევ ვინმეა, თითო-ოროლას გარდა. და თქვენს შორისაც, ვისაც უნდა და ხელი არ მიუწვდება, ან სულ რაღაც, ალბათ ასში ერთ-ორს, რომ „რაც არ ერგება არ შეერგება“ ჰგონია... მე, ალბათ, კიდევ დავლევ ნახევარ ჭიქა ჩაის, უფრო მაგარს, მაგრამ ჯერ არა, წყალი დაადგი... ჩაი ცხელი უნდა იყოს.

— ჩაის ამბავი მე მკითხე! — ნოე ყინჩად წამოდგა და ტიხრის კარისკენ შეტრიალდა.

— აი, ხომ ხედავ, რა ძნელია ჩემთან მეგობრობა და ამიტომაც, რომ არ მყვანან. შენ ბედნიერი ხარ, ბატონო ნოე, გაგიჭირდება და ტყეს შეაფარებ თავს. ალბათ, შენს მხატვარ ხეებთან და მგალობელ ფრინველებთან შეგიძლია ღამეც გაათიო.

ნოეს თვალები გაუბრწყინდა:

— თქვენ გულთმისანი ხართ!..

— რა გულთმისნობა უნდა, თქვენს მაგიდებით დახრიგულ ოთახში რომ შემოვიხედე და კარებში გავეხიდე, შენს უკან რომ ქალი იჯდა...

— ნორა, მგონი...

— რატომ, „მგონი“?..

— ჰო, ნორა, ნორა.

— ჰო, ნორა იყოს... და როცა იქაურობას თვალი მოვავლე, შენ ნორას ეფარებოდი, მაგრამ მას თავი არ გაუწევია, ისე დამინახა. შენ წინ ჰყავდი, მაგრამ შენი სკამი მისთვის ცარიელი იყო. შენ იქ ან მარტოდმარტო ხარ, ან არა ხარ... მე ამით უმალ დავინახე, ვინემ შენი მოყამული ცხვირ-პირით და თუნდაც შენი ათვალ-ნუნებულნი შავი მეჭექა ხალით. შენ იქ რომ



ყოფილიყავი, როგორც სხვები...

— არა ვარ!.. — აღმოხდა ნოეს და ნაუცბათევად გატრიალდა, ოთახიდან გავარდა და კარი მიიხურა.

როცა ნოე ცხელი ჩაიდნით შემობრუნდა, ქალი ფეხზე იდგა და ხმადაბლა უჩურჩულა:

— მამიდას ფოსტლები ექნება საშინაო...

ისედაც გაოგნებული ნოე ამან დააბნია კი არა, გააღუნა.

— მამიდას ჩუსტები?!

— მამიდას ძველი, გაცვეთილი ფაჩურები, თუნდაც ერთადერთი იყოს, ჩვენ დილამდე დავუბრუნებთ...

ეს უკვე მეტისმეტი, აუტანელი „სიახლოვე“ და დაუჯერებელი „გამინაურება“ იყო. ჯერ იმის დანახვა, რაც მან მისვლისთანავე ღია კარიდან თვალის მოვლებით დაინახა და მერე, დაფეხვილი მამიდას ფეხნასადგმელი ჯღანების ნდომა... უთუოდ ამ ქალსაც ჰქონდა თავისი ნაკლი და „სიმახინჯე.“ მამიდა იმდენი მტვრისა და ნაგვის ნახვეტ-ნანმენდი რომ მოჯახირდებოდა, ქუსლმოქცეულ ფეხსაცემელს გაყრიდა და უქუსლო ჯღანებში ფეხს წადგამდა, ის სანეხველაზე გადასაგდებად არ გამოდგებოდა... თუ, ასარჩევად ჰქონდა და მათ შორის ხელუხლებელიც.

.....

— მამიდას მარილების დაგროვება ჰქონია ცერა თითთან...

ნოემ ეს, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ეს უზომო თანაგრძნობა თუ სტუმრის უღმობელი გამინაურება, სანაგვე ორმოში ჩახედვასავით ეჩოთირა. რაღაცა გულს დააკლდა და გადაუდროებულზე დაღლა იგრძნო. იქნებ აღარც იყო საჭირო საუბრის კიდევ და კიდევ გაჭიანურება და მეტად მიახლოება. იქნებ, აქამდეც უნდა შეეწყვიტათ. ის მანძილი ხომ არ მოკლდებოდა, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანს?

— ბატონო ნოე, ცოტას გავივლი და ისე ვილაპარაკებ... — ფანჯარასთან მივიდა, ღამეულ ცას შეაჩერდა და იკითხა: — ჰო, თავიდან სულ დამავინწყდა შეკითხვა, აქ, ამ თქვენს ახლომახლო, მოქმედი ეკლესია თუა?

— არის, ძლივს, ერთადერთი. მორწმუნე დედაბრის და ერთი ქველმოქმედი საქმოსნის მეოხებით...

— ამოდენა, რაც უნდა იყოს, რაიონია შეთხელებული სოფლებით, მაგრამ მრევლი მიანც იქნება... თუ დადის ხალხი ნირვალოცვაზე, ზიარებას თუ იღებს?

ნოემ მხრები აიწურა.

— კარგად არ ვიცი, მაგრამ ძალიან ცოტა... მღვდელი, ის „ქველმოქმედი“ რომ არა, ამდენ ხანს გაიქცეოდა, აღსარებისა და ზიარებისას ვერაფერს გეტყვით. ისე, არც მღვდელს ემად-

ლიერებიან.

— ფიქრობთ, რომ ემადლიერებოდნენ, ეკლესიაში ივლიან, იმარხულებენ და ეზიარებიან?

— ღმერთი შემნდობია, აღიარებული ცოდვა ხომ მონანიებაა...

— კი, ბატონო, ცოდვა, რომელიც ჩაიდინე და მოინანიე, შეგენდობა, მაგრამ ხვალ თუ ისევ ჩაიდენ და ისევ მოინანიებ, ისევ შეგინდობენ? და რამდენჯერ! ჩვენ ხომ ყოველდღე უნდა ვცოდოთ. იქნებ მამიდას შეეძლოს მონანიება იმისა, რომ რომელიმე მაგიდის, ან კარადის ქვეშ არ გამოხვეტა. მოინანიოს და მერე გამოგავოს. ბაბუდამ ისე იცხოვრა და გვაცხოვრა, ცოდვებისაგან დაგვივარდა, მაგრამ დედაჩემს არ შეუძლია შენდობა ევედროს ღმერთს ჩემი სიძის გამო. გზამართალს შენ და შენმა შვილმა და მომავალმა ერთად უნდა იაროთ... ახლა მე ვარ ჩამოსული, რომ ვცოდო... მადროვე. ვიცი, ნოე, რომ თუ ღმერთია და ჩვენ ღმერთმა შეგვექმნა, მაშინ, როგორიც შეგვექმნა, ისეთი ვართ. ჩვენ რატომ უნდა ვაგოთ პასუხი და ვინანიოთ... მესმის, ჩვენ კი არა, თვით მღვდლები და ბერ-მონაზვნები სცოდავენ... გავგიგონია და ნაგვიკითხავს... „არა იპარო“-ო, გაჭირვებულს და მშიერ-მწყურვალს აფრთხილებს. არა იმათ, ვისაც ბევრი აქვთ და პირიქით ძარცვავენ. თუ უცოდველი არავინაა, ეგ, ალბათ, ეკლესიის უარყოფამდე მიგვიყვანს... ჩვენ — ყოველნაირ ბოროტებამდე და, ბოლოს და ბოლოს, რაც გვეჭირს, იმის გამართლება-დაკანონებას ვინდომებთ. და რა გამოვა, ისინი მართალნი აღმოჩნდებიან და მამიდა, შენ და, ჯერჯერობით, მეც — დამნაშავეებად. ხომ არ შეიძლება თქვენი წარმოების... ვთქვათ მშოვნელები, ან მქონებლები მართალნი იყვნენ და შენცა და მამიდაც? მაშინ, სადაა სამართალი და ღმერთი?.. აი, მე გეტყვი ახლა აღსარებას... ამიტომ იყო, ალბათ, საჭირო ეკლესია, ადამიანს სჭირდებოდა აღსარება, როგორც არსებობის ანგარიშგება. ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ — რევიზია, თორემ ის იგივე მფლანგველი, გამტაცებელი და მიმთვისებელია, რომელიც, ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, იჯიბავს. და აი, აღსარებას გაბარებ წინდანი, ცოდვის ჩადენამდე, რაკი მე ხვალ უნდა ვცოდო, თორემ დავანგრევ ჩემი დის ოჯახს. დისშვილებს, იგივე ჩემს შვილებს, დავტოვებ ულუკმაპუროდ და ჩვენი ბნელი, ძველი ბინის ამარა. დედაჩემს, ვთქვათ, სანთლის ფული არ ექნება და ღმერთი შეუნდობს... მე კი, ჩემს მხრივ, ავიღებ და რა მერქმევა მერე, ეს შენთვის მომინდვია... არა, ბატონო ნოე, არა, იმის თქმას კი არ ვაპირებ, ან არ მეშინია, რომ ამისთვის დღეს არა, ხვალ დამიჭერენ და ჩვენში თავისუფალი რა ვართ, ტუსადი და პატიმარი რა უნდა იყოს, ისიც ქალი. თუმცა, ამას იტყვი თუ არ იტყვი, რაკი აიღე, თუ ცოდვად არ ჩათვლი, დანაშაულია. ამას დღეს

გაგიგებენ თუ ხვალ... რაც ადრე გაგიგებენ და განსჯიან, უკეთესია, თორემ რაც დრო გავა, დანაშაული გაიზრდება და, ამდენად, სასჯელიც. ჩემი სიძე ამბობს: დღეს სხვანაირად არ ხერხდებაო. მართალია, არ ხერხდება. მე და შენ ვამბობთ, რომ ალება არ შეიძლება. ყოველთვის და ყოველნაირ ვითარებაში ცოდვა ცოდვაა — „არა იპარო!“

— არა იპარო!.. — ნოემ თავი მოწყვეტით გაიქნია.

— არ შეიძლება... ჩვენ, ძველისძველი, ბიჯგებით რომაა გამაგრებული, მიწის პირზე ორი ოთახი გვაქვს, ერთი მთლიანად ბნელი. თავიდან ჩვენი სიძეც ჩვენთან ცხოვრობდა. მან და ჩემმა დამ უმაღლესი რომ დაამთავრეს, შეუღლდნენ. სიძე მთელია, მის სოფელში ახლა აღარავინ ცხოვრობს. დედამისი და ორი დედაბერი იყო დარჩენილი, ამ ხუთი წლის წინათ ერთმანეთის მიყოლებით მიაბარეს მიწას. ახლა მათ საფლავებზე მგლები დათარეშობენ. ჩვენს სიძეს რომ არ ემუშავა, რა ექნა, ან შენსავით რომ ემუშავა... აი, არ გყოლოდა ასეთი ღვთისნიერი მამიდა, არ გქონოდა ეს ეზო და სახლი, ამაღამ მეც რომ მერგო და მგონი ყველაზე წმინდა ადგილია, რაც თავი მახსოვს და სადმე, ვინმესთან ღამე გამითევია.

ნოემ უფრო იმით შემოფოთებულმა, რას მოითხოვდნენ მისგან, წამოიძახა:

— არა, მაინც არა!..

— ალბათ, ჩვენი ჩაის წყალი ჩაშრა ჩაიდანში.

— სკამზე დაეშვა და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილმა ხელები თავზე მოიჭირა.

— ჩაი, კი, ახლავე...

— მოდი, მაშინ მე, სანამ მაგ ჩაის... მანამდე ერთი ჩემგან დაღუპული კაცის... სადღეგრძელოს თუ მოსაგონარს დავლევ...

— თქვენგან დაღუპული?!

— ჩემგან... სიყვარულისგან... ამაღამ... ადამიანებმა ხომ არ ვიცით რა გვჭირს... და, ალბათ, მერე გეტყვი... რაკი ერთმანეთში ვურევ: „თქვენ“, „შენ“, „გეტყვი“, „გეტყვით...“ არადა, ჩვენებურად უნდა იყოს — „მე“ და არა „ჩვენ“ და „თქვენ“. აღრეული გვაქვს ყველაფერი და ენაც, რა თქმა უნდა... ჯერ ხომ არ გათენდება?

— არა, მამალმა წელან მეორედ თუ მესამედ იყვილა.

— აქ ჯერ კიდევ ყვივის მამალი... მე ისე ღმერთგამწყრალი ვარ, არ გამიგონია... ან, გავიგონე და ვერ გავიაზრე... თვითმკვლელს ღმერთი არ შეუნდობსო... არადა, თუ სამართალია, ყველაზე დიდი შესანდობარი იმას ეკუთნის...

— შეუნდოს ღმერთმა. — ნოემ სასმისი ხარბად გამოცალა. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, კიდევ და კიდევ გამოცლიდა.

— ნუ... ჯერჯერობით მაინც ნუ დავიძინებთ, რა? ან ჩვენი ძილი რა ძილია? რისთვის გვიძინავს, ან რისთვის ვიღვიძებთ?

— მე მიჩვეული ვარ, ხშირად მთელი ღამეები ვზივარ მოხურულში და რალაცას ვჩიკნი... რაც მამიდა დაყრუვდა, არავინ ხელს აღარ მიშლის.

— და ეს ღამეც ასე ჩავთვალათ, ვზივართ და რალაცას ვჩიკნით, ვჩიხიკედელაობთ... ხატს და ჯვარს არა, მაგრამ რალაცა სასანთლეს — შანდალს, ან სასმისს... ან... იმ შენი ხევის ტბის თუ გუბის დაჭრილ გედს ვდარაჯობთ, რომ მონადირეებმა არ მოკლან... ნოე ბატონო, გედის ხორცი იჭმება?

გედის ხსენებაზე ნოე გაიბადრა და თვალები აუპარპალდა:

— არ ვიცი... რო არ ვიცი... მაგრამ გედების გადაფრენა იმდენად იშვიათია, ალბათ არა...

— არა, არა...

— არა.

— და შენ მაინც დარაჯობდი, ღამეებს უთევდი, რომ არ მოეკლათ.

— მოსაკლავად ესროლეს, როცა დაჭრეს.

— იჭმებოდა თუ არა, არც ის იცოდა და მოსაკლავად ესროლა!

— გედს...

— გედს...

— როცა ასე იშვიათია მისი გამოჩენა... გამორჩნდა და...

— მე გადაფრენა არც დამინახავს, დაჭრილს ტბორში წავანყდი.

— და შეგეშინდა, ახლა დაჭრილისთვის ისევ არ ესროლათ და არ მოეკლათ.

— ჩვენი მთები უკაცრიელია, იქ ვითომ არავინ დადის...

— მაგრამ დარაჯობდი...

— რა თქმა უნდა, ალბათ სხვაგან, გადმოფრენის დროს დაჭრეს და ცალი ფრთით იფრინა, რომ იქაურობას გასცლოდა და სადღაც ულრანის ხევხუვებში თავი შეეფარებინა...

— რომ ისევ არ მოეკლათ... აი, აი, აი!.. ესა ვართ, ნოე ბატონო, ჩვენ ადამიანები... და, ბოლოს და ბოლოს, რაა გედი?..

— გედი...

— რაა?.. არც მეტი, არც ნაკლები — მშვენიერება... არ გვინდა... ნუ მოვყვებით გედის ზღაპრებს და ლეგენდებს, გედის სიმღერას და გედის.. მშვენიერებაა ისე, როგორც... ბევრი და თითქმის ყველაფერი, რაც ბუნებაა და რაც ბუნებას შეუქმნია. და ვკლავთ მშვენიერებას. ჩვენ ჩვენი ხელით ვიკლავთ მშვენიერებას. ის გვარგია თუ არა, ამას თავი დავანებოთ... თუმცა, გედი ჩვენ გვარგია: გვხიბლავს, როცა არის, როცა დაფრინავს, როცა დაცურავს, როცა ცოცხალია და არ მღერის... არ უნდა გედს სიმღერა, რაკი მისი სილამაზე მღერის და მღერის, როცა კვდება, როცა იცის, რომ აღარ იქნება და ჰგონია სიმღერა დარჩება...

— არა... არ უმღერია! — ახარა ნოემ.

— არ მომკვდარა...

— არა, ფრთა მოიჩინა და გაფრინდა.

— კარგია, ძალზე კარგია, რომ გაფრინდა,

მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი.

— მთავარი რააა არაა?  
 — არა... იმიტომ, რომ ჩვენ ვკლავდით.  
 — ვკლავდით... — დაეთანხმა ქალს ნოე და ყურები ჩამოყარა.  
 — და მკვლელს ეწყინა, რომ ვერ მოკლა... რომ მოეკლა ისიამოვნებდა. ვერ ვკლავთ მშვენიერებას და ვწუხვართ. ვკლავთ ცის, წყლის და ტყის მშვენიერებას და ხელი ცას მიგვიწვდებოდა...  
 ნოე სკამიდან აღშფოთებული წამოვარდა, ქალს მკლავში ხელი დაავლო და შეევედრა:  
 — ადექი, თუ ღმერთი გნამს, ადექი!  
 ქალი ნებას იოლად დაჰყვა.  
 — აღარ მაცლი?  
 — არა, აღარ... წამოდი, ინამე ღმერთი და წამოდი... აგერ, ა!.. — ნოემ ტიხრის კარი შეაღო.  
 — აგერ, მამიდასთან...  
 — მამიდასთან...  
 — ტახტზე თქვენთვისაა დაგებული და... მამიდასთან...  
 მოესმა ნოეს, როცა კარი მაგრად გამოხურა და ზურგს უკან სახელური ორივე ხელით მაგრად დაიჭირა.

.....

— ოღონდ აქ არაა!.. აააქ არრრა!.. — რომ ვერ ამოიბღავლა, გულ-გვამს ჩაზმუვლა და შეძლო ოთახი უხმაუროდ გაერბინა. წინა კარიდან აივანში გავარდა და იქაც ამოიგმინა. — აქ არაა!.. აქ არავითარი!.. — და ხუთი საფეხური კიბე ერთი ფეხის დაკვრით ჩაიარა. — არც აქ და... აქ, არსად!.. — ბნელოდა, მაგრამ ყველაფერს ხედავდა. დანახვაც არ უნდოდა, ისე ხედავდა ჭიშკართან მობნელებულ მანქანას და ჭიშკრის ლატანებს მომწყდარ სამ მძვინვარე აჩრდილს.  
 — ოღონდ, ოღონდ აქ არა და!.. სადაც უნდათ... რაც უნდათ!.. რანაირადაც უნდათ!.. — ეზო გადაიჯლიგინა და ჭიშკარს შიგნიდან მიანყდა.  
 — აპა, ეს ღვთისგლახა სად ეგდებოდა! — აღმოხდა რომელიღაცას გადაღმიდან. რაკი ბოლმისაგან საკუთარი ხმა წართმეული ჰქონდათ, რომელმა თქვა ძნელი მისახვედრი იყო.  
 — გადაღმა გადმოეთრიოს და აქვე მივასიკვდილებ! — ეს მაინც მარტორქა იყო, რაკი სიტყვებს კბილებში სისინით სცრიდა.  
 — გადმოდი, ნოვია, გადაღმა გადმოდი, შე უბედურო!.. — მთავრი ბულალტერი სათქმელს ბოლმისაგან ღეჭავდა.  
 — ოღონდ აქ არა! — აღმოხდა ნოეს და ჭიშკარს არ გაკარებია, ალაგეს გადაეგლო.  
 — ამას ველაპარაკო?! — გაიოცა მთავარმა ინიუნერმა, მაგრამ დირექტორი წინ გადაუდგა, მაინძელს მხარზე ხელი დაჰკრა.  
 — თუ არ ვათქმევინეთ, ხო დეინახეთ, მთელი ქალაქი ფეხზე დავაყენეთ და სადაა...  
 — რა გვიქნა ეს, რა გვიქნა... — ატირებას

არაფერი უკლდა ჟორა ხეიჩას.  
 — მე მაგის!.. — სანებლიძეს უხეშად უბიძგა და გვერდზე გადასწია გუბელაქემ. — მიმიშვით, მე მაგის ავი და კაი, მე მაგის კვტარი და ცოცხალი! მე მაგის მტერი და მოყვარე!..  
 — მაცალე, მე მაცალე! - სანებლიძეს გაჯიუტება რამდენადაც შეეძლო, იმდენად არ დანებდა და ნოეს მხრიდან ხელი არ აიღო. — ნოვია... ნოვე... რა ბევრი ლაპარაკი გინდა... ქალი... სტუმარი ქალი სად გადაიკარგა?..  
 — ჰო, ბიჭო, ჰო ნოვია, ქალი, რევიზორი ქალი... — პირზე ხელს იფარებდა, ბულალტერს რომ არ ეღრიალა.  
 ნოე წარბშეუხრელად სამარესავით დუმდა.  
 — დაყრუვდი?! — აღმოხდა სანებლიძეს.  
 — დავილუპეთ! — აკვნესდა ხეიჩა. — იცი, ნოვია, რა გვჭირს?..  
 ბნელშიაც კარგად ჩანდა, რომ ნოე ავისმომასწავებლად დუმდა.  
 — მაგის მათხოვარი დედ-მამის სული... გამოდი აქით... მაგის მახვენარის და ხელში შემყურეს დედაც... - სანებლიძე რომ უდიერად ჩამოიშორა და მარტორქის მოკლედ მოქნეული გაშლილი ხელი მარცხენა ყბაში მოხვდა, ნოე შებარბაცდა, მაგრამ არ ნაქცეულა. არადა, უნდა ნაქცეულიყო. ყურებმა კი უნივლა, თორემ არც თვალთ დაბნელება. ცხვირში რაღაც სიმწრის სისველე იგრძნო, მაგრამ არც სისხლი ნახეთქია, ეგონა. ეს კი იყო, სახეზე ხუთივე თითის კვალმა ბჟუილი დაუნყო და მარტო კი არ გაუწითლდა და ამდენად დააჩნდა — მაშინვე წამოსივდა და დაუბრუნდა.  
 — რა შობი, კაცო, დაკარქე ჭკუა! — ჩაიხლიჩინა მთავარმა ბულალტერმა, თუ წარმოების უფროსმა. მათი ხმა ნოეს ერთმანეთში არასოდეს არეგია, მაგრამ ახლა, ორივე, ბოლმისაგან ყელში ხელნაჭერილივით, მოგუდულად გნისობდა, ვითომ ორივე სილაგანწულს მფარველობდა და ვერ მოინამებდი, რომელი რას და რა ხმით წიოკობდა.  
 — რას ვშობი კი არა, წინილასავით ამოვადრობ სულს ამ ხვთის გლახას, ამას! — დანაკლავზე დამდგარი კუროსავით ბლორინობდა მთავარი ინიუნერი.  
 — რა რტყმევა უნდა, იტყვის ეშობელძალი, აპა, რას იზამს. — ეს ჟორა იყო. „ეშობელძალი“, „ე დედაგალღეტილი“ და „მამამიოხრებული“ მისი სიტყვა-პასუხია. როცა ნერვებს აიშლის, ანგარიშიც რომ შეეშალოს, ციფრებსაც კი ამნაირად აგინებს.  
 — იტყვის, რეიზა არ უნდა თქვას ამ უპატრონომ, თვარა კი...  
 — ღმერთს არანაირათ არ უქნია, მარა ორ სიტყვას ხო ამბობდა?!  
 — რა ვიცი, რა ჭირს, ამას ამოუნყდა გვარი და ჯილაგი... ერთი დაცაცხანება უნდოდა, რომ ფერი წასვლოდა და ეშმაკთან გაგვეგზავნა! — გაშლილი ხელი მუშტად შეკრა მარტორქამ და

24373



მოსაქნევად დაიჭირა. — ხმა ამოიღოს, თვარა, რტყმევა შენ ანი მკითხე და თუ რტყმევას დავაჯერე, მერე ნახოს...

ნოემ იცოდა, ეს დარტყმა გაფრთხილება იყო, მაინც მოზომილი, ჭკუაზე მოსაყვანი, თორემ მისი მოქნეული და დარტყმული ყოველთვის თავ-ყბა-ცხვირ-პირ გამაერთიანებელი და ტვინის შემრყევი იყო. მთავარი ინჟინერი რომ წარმოებაში დადიოდა, საითაც პირს იზამდა, გზას ფაცხაფუცხით უცლიდნენ — ფეხებში არ გავებლანდოთ, გავგსრესსო.

— ხმა, ხმა ამოიღე, შე ბედგამწყრალო! — დირექტორმა ხმადაბალი მუქარა ამჯობინა. მუშტმოდერილს ისევ წინ ჩამოუდგა და განწირულს ორივე ხელი მხრებზე ჩაავლო, დაინია და თავდახრილ ნოეს ქვევიდან შეაჩერდა. — ნოე, მართლა და მართლა... ენა მაინც რა უყავი?

— ამასთან რა უნდოდა იმ... ქალია თუ ქაჯი, ჩვენ ხალხი არ ვართ?! — ჟორა მუშტებს გულზე იბრაგუნებდა და პირიდან დორბლს ჰყრიდა.

— ერთს დავარტყავ, რო უნდა ისე, და გავათავებ მაგ უღლეურს! — ჭიშკარს, ალაგეს და ღობეს აწყდებოდა მარტორქა. — მეტი კი არ დარჩება და თუ დარჩება, ტყვიით გავუხვრეტ მაგ ცარიელ გოგრას. რას ბედავს, რო ბედავს?!

— აცალე, თვარა მერე რაღას იტყვის... — ხელი წაავლო სანებლიძემ ისევ განეულ და კბილებადრჭიალებულ მოძალადეს.

— ბიჭო, ქალი სადაა, ბიჭო! — ნოეს ჟორამ ნიკაპში მუშტი ამოდო, თავი აახრევიანა.

— რა ბიჭი ეგაა... სადაც მაგი აგდია, იმ ახლომახლო თუ მეტი კაცი არაა, ქალები ნიფხავს იცვლიენ. მაგისთვის ხელსაც არ უნდა ვისვრიდე, თავი მომეჭრება. — და მარტორქამ პერანგი ამოიწარა, წელში გარჭობილ დამბაჩაზე ხელი გაივლო. — არ იცის ჩემი ამბავი? ტვინს დავანთხევიებ... მაგისანეებისთვის მისწავლებია ჭკუა!

— გაიწიე, კაცო, იქით, შარს არ გადავეყაროთ!

— ხმა ამოიღოს ამ ღვთის გლახამ, კაცივით რო გაჯგიმულა, თვარა გავაცხებიე სული!

— სული თუ ამოხადე, რაღას იტყვის, ე შობელძალი, ისედაც ენაჩავარდნილია! — დამბაჩამ ბულალტერი ისე დააფრთხო, თითქოს შუბლში ტყვიის დახლას თვითონ უპირებდნენ.

— ქალი, ქალი... — დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაყვავებით მოინდომა სანებლიძემ ენაჩავადებული ნოეს გადმოხირობა. — ქალი სადაა... საქმეზეა ჩამოსული და თუ იცნობდი, შენთან სწავლობდა და შენი მეგობარია...

— მეგობარი!.. — პირში ეცა იარაღზე ხელდადებული. — ვისი რა მეგობარია ეს ხიდის ყურის მათხოვარი.. ვინ ნახა ამ მაიმახის მეგობარი კი არა, მაგის ახლოს გამვლელი ვინმე.

— რაფერ არა, ხო შენი თვალთ გინახავს?

— რა მინახავს... რო მინახავს, მაგას დევიჯერებდი? ალბათ, მაგ უღლეურს კიბეებზე

დაედარა...

— ჯანდაბას მაგის თავი, მარა რატო კრინტს არ ძრავს ეს დედაგალეტილი?! — ცალი ხელით რომ ნოეს გულისპირში სწვდა, მეორე მარტორქას გაუქნია. — განიე მა ოხრად დასარჩენი, თვარა რო გაგივარდეს, ტყვიამ ბრუნდი მართალი კი არ იცის. — და ჟორამ მეორე ხელი შუბლზე შემოირტყა. — ისე, ამ მამამიოხრებულმა რო აწყობილი წარმოება აგვირიოს, მაინც თავის მოსაკლავად გვაქსაქმე!

— და, ახლა, ამას ველლაბუცო აქანე?! — გადაირია მარტორქა და ნოეს გულისპირში ჩაფრენილი ხვიჩია გვერდზე მიაგდო, მაგრამ სანამ დამბაჩაშემართული განწირულს მიუბრუნდებოდა, სანებლიძემ არ აცალა, ისევ შუაში ჩადგა და ისევ ახსნა-განმარტება მოიმარჯვა.

— ქალი... ის ქალი აქ შენს სამეგობროთ და სასიყვარულოთ კი არაა მოვლენილი, საქმე... საქმე აქეს და სად გადვიკარქა, რეკავენ ზეიდან, ერთი ამბავია!

— უხსენი, ახლა, ამ გამოთავყვანებულს და აბარე ანგარიში! — აღმუვლდა ინჟინერი. სანებლიძე ბეჭით გააჩინა, იარალი დამუნჯებულ-დაყრუებულს ბრტყლად გულის ფიცარზე უთავა.

— მოიცა, გურგენ, მოიცა! — ისევ შუაში ჩადგომა მოინდომა დირექტორმა, რომ ბულალტერი ერთბაშად გონს მოეგო.

— კი, კი... კი მარა, რა ჭირს ამ შობელძალს, ჯერ ის ვიკითხოთ, რაა ამისანა გოუმხელელი... — და ნოეს ერთბაშად მიუტრიალდა. — ბიჭო, ნოვია, დიდი ჭკუა არასდროს გეკითხებოდა, მარა იმ ციფრებს ქე ანგარიშობდი. რა ღმერთი გინყრება, რამ გაგაქვავა? გეკითხებიენ, ქალი, სტუმარი ქალი სადააო. თქვი და ჯანდაბას შენი თავი.

ნოე ისევ და ისევ დუმდა. ეთქვა, ქალი ამ დრომოჭმულ ოდაში მამიდასთან ჰყავდა და ამათთვის ჩაებარებინა, როცა მარტო აქ კი არა, ამ ქვეყანაზეც ნოეს იმედად იყო? ქალი, რომელსაც უნდოდა ქალად დარჩენილიყო. ხელიდან წასული ქვეყანა და წარმოება-დანესებულებები კი არა, თავი, როგორმე თავი გადაერჩინა... ნოეს ბედმა მოხედა თუ რაც მოხდა, ხომ მოხდა... ქალი მართლა იღუპებოდა თუ ეს დაქცეული ქვეყანა მთლად პარტახდებოდა და გადარჩენა ნოეს ხელთ იყო, ერთადერთი, რისთვისაც ის განჩნდა და დღემდე იღარლილა, ამისთვის ღირდა. ახლა ამას ცოცხალი თავით ვერ შეეღეოდა, ვერ გაიმეტებდა, რაკი ამის მერე თავსაც დაღუპავდა, ქალსაც და ყველაფერს ერთად, რისთვისაც ამქვეყნად ბოგინი ღირდა. უნდა ეკაცა და ენა რომ ვერასოდეს ამოედგა, ერჩია, ვინემ ახლა კრინტი დაეძრა.

დირექტორს და ბულალტერს რომ მაინც არ გაემეტებინათ, იცოდა, მარტორქა არ დაინდობდა და დარტყმითაც დამანგრეველად

დაარტყამდა და თუ ტყვიას სასიკვდილოდ არ დაახლიდა, აცდენით არ ააცდენდა და მიძიმედ დაჭრიდა. ის არც მუშტებს იქნევდა უმიზნოდ და არც იარაღს ატრიალებდა უსისხლოდ. მას, ვინც გვერდს არ უვლიდა, თვითონ უვლიდა. ამ წარმოებაში რაც ეს ძვირად ღირებული ქვა ტყდებოდა, იხერხებოდა და პირკეთებოდა, ამის დამთვლელი და გამბაზრებელი თვითონვე იყო. მან იცოდა, ვისთვის რა მიეცა და ვისთვის პირში რა ჩალა გამოევიღო. ყველაფერი, თავი და ბოლო, თვითონ იყო და ყველაფერს თვითონვე მუშტით და იარაღით იცავდა. სამთავრობო „ამხანაგებიც“ თუ რაიმეს თხოვდნენ, თორემ ვერ უბრძანებდნენ. დიდიან-პატარიანად ყველამ იცოდა, დამბაჩა დღე წელში ჰქონდა გარჭობილი, ღამე სასთუმალში ედო და ტყვიას ტყვიაში აჯენდა. მარტორქასავით პირდაპირ, ჯიქურ მიმბტომი იყო და ღონეც ერჩოდა. ორ კაცს ერთმანეთს შეახეთქებდა და ერთმანეთის ცხვირპირს დაალენიანებდა. ქალები არ უყვარდა. თანამშრომლებს ნორაზე განგებ აეჭვიანებდა და ნორაც ქვეყნის დასანახად იღებებოდა, კაბინეტშიც უჯდა, საღრეობო სუფრაზეც გვერდს უმშვენებდა, მაგრამ ხელწავლებულს არავინ ნასწრებია. რესტორნებს კეტავდა და დილაამდე გლარჯავდა, მაგრამ ფეხშეშლილი არავის უნახავს. იცოდა, რა დრო-ჟამში ცხოვრობდა და როგორ ეცხოვრა. ვერ აცნობიერებდა, რომ ის თავისმა დრო-ჟამმა მემკვიდრედ შვა, მაგრამ იცოდა, ან მარტორქად უნდა ეცხოვრა, ან ნოე ხვედურელად, რომ ყრუ, დაფეხვილი მამიდის მეტი პატრონი არ ჰყოლოდა, რომ აჩრდილივით ევლო და ქუჩაში შემხვედრს ნოე რომ არ გადადგომოდა და გზა არ მიეცა, ნოეში გაევიღო, როგორც ჩრდილში. ან ისეთი, როგორიც თვითონაა, საითაც პირს იზამს, გზა უნდა გაინმინდოს. ფეხებში რომ ვინმე გამოედოს, კი არ გადაალაჯებს — გათელავს. ადამიანი ამითაც უბედურია, რომ ეს უნდო წუთისოფელი ისე აითრევიანებს, თავის თავისთვის იქნებ ერთი დღეც არ აცხოვროს.

ნოე იყო ახლა მარტორქის ფეხებში გამოდებული და იცოდა, ვერც დირექტორის რჩევა-დარიგება და ვერც ბულალტრის ლანძღვა-გინებით მფარველობა ვერ დაიხსნიდა. არადა ნოეს, თუ ღმერთმა ამქვეყნად კაცად მოაფლინა, ახლა უნდა ეკაცა. რაც მარტორქა მთელი ცხოვრება დაუთმობელი იყო და ყოველთვის თავისი გაჰქონდა, ნოეს ერთხელ, ერთხელ მაინც უნდა ექნა არ დაეთმო ის, რაც შეუღვევლია. რაც, როგორც უნდა იყოს და შენ-შენ უნდა იყო. ერთხელ, ერთადერთხელ და მერე თუნდაც ისე ექალაჩუნა და ეაჩრდილა, რომ ვერავის შეემჩნია და ქალებს მისი თანდასწრებით მკერდი გაემიშვლებინათ და ნიფხავი ისე გამოეცვალათ, კაცი ვერ დაენახათ.

ნოეს ძალისხმევა და თავგანწირვა ისაა, რომ ხმა არ გაიღოს და ქალი არ გასცეს. ქალს არავინ

არაფერს ავნებს, ბუზსაც არავინ აუფრენს, ნოხებს დაუგებენ და ჩიტის რძეს ასმევენ. ფეხიც რომ მიესო, გაჯიუტებულიყო და ცოცხალი თავით უკადრი არ ეკადრებინა, არ გასვრილიყო, არ გაბინძურებულიყო და ქალი ქალად დარჩენილიყო, სასიკვდილოდ არავინ გაიმეტებდა, მის სიძეს და მისთანებს უამისოდაც თავისას მიართმევდნენ და ამით გადაბრუნებული ქვეყანა არ გადმობრუნდებოდა.

ნოე ხვედურელის ქვეყანა კი...  
თუ ქვეყანა ჰქონდა...

რომ არ ჰქონდა, ეს ყოფილა და პოვნის, აღმოჩენის, მიგნებისთანავე დაექცევა...

დაიქცეოდა ის, რასაც ამ ერთხელ დაერქვა ქვეყანა და მეტად არც ყოფილა და რომც იქნეს, არ ექნება.

ერთი, ერთადერთი კრინტის დაძვრა უნდა: ეგერაა, ოთახში, ტახტზე, მამიდას სამზითვო ქვეშაგებში და თავში იხალეთო, და მოთავდა კაცი ისე, რომ არც დაწყებულა.

არა, კრინტის დაძვრაც არ უნდა, თითი...  
თითი რომ გაიშვიროს, საკმარისია, იყო და არა იყო რა...

არადა, დანდობა არ იქნება, იმ ენასაც ჩაუციებენ, იმ ხელსაც და თითსაც მოამტვრევენ და არაფერი დარჩება. თუმცა, რაც არ იყო რა დარჩება, მაგრამ სიმუნჯეს და თითის გაუშვერლობას შეუძლია — თუ არ იყავი, იქნე. იმ ქალს უშენოდაც უცხოვრია, უშენოდაც გაძლებს, მაგრამ შენ — ნოე, არ იყავი უდღევანდელიოდ და, რაღა თქმა უნდა, რაც არ იყავი, რა იქნები?!

უნდა იყო... ერთხელ ხომ მაინც უნდა იყო...

არადა, მარტორქამ თავის ძგერება იცის, კედელს გაანგრევს და არც იარაღი უმტყუნებს. ნაქცეულს არ სცემენო, ეს მარტორქას გაგონილიც არა აქვს და არც აპირებს. ნოემ იცის, მისი ძალისხმევა და თავგანწირვა სიმუნჯესი თითის გაუნძრევლობას თუ განვდება და თუ არა, მაგრამ შეუძლებელი უნდა შეძლოს და ეს შეძლოს. ეს იქნება გადარჩენა, მარტორქას გადაურჩება თუ არა — გადარჩენა!

მაგრამ...

გამკლავების იმედი არაა, მაგრამ ნოე მარტო მონჯლრეული სკამის ბინადარი კი არაა. მთაბარში, კლდე-ღრეში ნავალია, მუხლმაგარი. მკლავი თუ არა, მუხლი ერჩის...

მაგრამ, თავის ცხვირ-პირში დარტყმამდე... მარტორქა ორივე ხელით დაიჭერს, თავისკენ დაიქნევს და თავს ისე აძგერებს, ამის მერე, ტვინშერყეულმა, ხელიც რომ გაიქნოს, ვერავის და ვერაფერს დაინახავს.

მაგრამ მანამდე... იქნებ გონების დაკარგვამდე და განურჩევლობამდე, უნდა იცოდეს მერე რა ჰქნას და როგორ უპასუხოს, როგორ მოიქცეს და ჩაიყოლიოს, ჩაიშთაგონოს, ჩაისხეულოს, რომ მერე უგონოდაც იძალისძალოს და დაცემულმა, გულაღმა გაშხლარ-

თულმა თუ მკლავი ვერ უწვდინა, გონმიხდილმა ნიხლი. თავზე დამდგარს და ფეხზე დამბაჩა-შეყენებულს ნიხლი ლაჯებს შორის ამოსცხოს ცალი ფეხი... მაგრამ ძალუმად, და კი არ ჰკრას, ამოარტყას, რომ უკან არ გადავარდეს და ჩაიკეცოს, მეორე ფეხი ფეხზეშეყენებული დამბაჩაჩაბლუჯულ ხელში ისე ამოჰკრას, მაჯაში უღრძოს.

ეს ახლავე, ახლავე მისხალ-მისხალ გათვალოს და დარტყამდე სხეულს დაასწავლოს, რომ გონმიხდილმა ისე იმოქმედოს, როგორც სხვამ, რაკი ნოეს თავი ველარ ითავებს და იმ „სხვამ“ ზედმიწევნით იცოდეს რა აკეთოს და რა ძალისხმევით აკეთოს.

და აი, მარტორქა კლდიდან მორღვეული ლოდვიით წამოვიდა. ორივე, დირექტორიც და ბუღალტერიც მიყარ-მოყარა; ნოეს იდაყვებში

სწვდა, სწვდა და თავისკენ ისე მონყევით დაიქნია, თავის ძგერება კი არა, სულ რომ არ გაენძრია, ნოე ცხვირ-პირს მაინც შეაღწევდა.

მერინდელი ნოემ არ იცის, მაგრამ სხეულს დასწავლილი ჰქონდა რა ეკეთებინა და ლაჯებში ამორტყმულმა ნიხლმა მარტორქა გადმოაპირ-ქვა და მეორე ნიხლის მაჯაში არტყამ ხელი სახსარში ამოუგდო, მალლა აუღრიცა და ნოეს ქუხილიც არ გაუგონია, მაგრამ ზევით ატრიალებული დამბაჩის გასროლილმა ტყვიამ პატრონს წინ წამოვარდნილი ნიკაპის ქვეშ ყბა შეუნგრია...

ნოემ რომ თვალი გაახილა, ჭიშკარზე თავმიღრეცილი გულადმა ეგდო და თავზე მრუმე ნისლში გახვეული თეთრი ქალი ადგა.

მადლობა ღმერთს, რომ მამიდას არაფერი გაუგია.





გიორგი  
გიგაური

## ახალი დექები

### ერთხელ სიკვდილი

ჩემს სასთუმალთან კემსავ იმედებს,  
ვარაუდების ვრჩები იმედად,  
გამამხნეველ სიტყვებს იმეტებ,  
მავანმა ესეც ვერ გაიმეტა.

მანც გეტყობა შიში გამხელის,  
ექვ მიზეზებს დარდიმანდობის,  
გიშრის თვალეში გიდგას ნაღველი  
ფიქრის, რომელსაც ვერ გამანდობდი...

გულს არ გავიტყვ მუზების მეხრე,  
ვარ მინდობილი ღამეს მთვარიანს,  
მე მიწერია სიკვდილი ერთხელ,  
ერთხელ სიკვდილი ასატანია!

### ღალი

მთის ყური ამოვიარე,  
საჯიხვე წამოიმართა,  
გავშალე ხავსის ლოგინი,  
ეხი ვიგულვე ბინადა.  
დარბაზში დალი მენვია  
ულამაზესი პირადა,  
ტანთ ეცვა ნისლის ქათიბი,  
ზედ ვარსკვლავები ბრწყინავდა.  
კლდეში ბერხენი დავთოფე,  
როცა ცისკარმა ინათა,  
ავაბრიალეთ კოცონი  
მწვადების მოსანვნიმდა...  
აქეთ ბორგავდა არაგვი,  
იქით მყინვარი გმინავდა.

### გიორგი ლეონიძის ხსოვნას

ჭირისუფლობდა დაგვალულ ოლეს,  
ჩრდილში ჩარჩენილ სტრიქონს უფრთოდა,  
უჯარმის ციხის ხავსიან ყორეს  
და ყველა ქართველს ჭირისუფლობდა.

ხელთ ეპყრა ჩანგი - სიმღერის საჭე,  
წელთა სიმრავლე უჩნდა ურჩხულად...  
და ერთხელ, როცა დახედა ნანერს,  
დაღონებულმა ჩაიჩურჩულა:

—წარბშეუხრელი ვიყავი ჭირში,  
მხნედ მივყვებოდი აღზევანს ურმებს,  
კვალში ჩამიდგა სიბერის შიში,  
საშიში შიში ყოფილა თურმე!..

მაშინ ვერ ვგრძნობდი  
პოეტის ტკივილს,  
ჩემთვის უცნობი იყო სიბერე,  
ახლა კი ჩემიც ბარბაცებს ტივი,  
წლებმა ვარდები გადამიბელეს.

### მთავი

თერგზე, არაგვზე ბორგავენ მთები,  
არწივთა გუნდის მონატრულეები,  
განდეგილები განგების ნებით  
და უფლისაგან მონათლულეები.

მიუბჯენიათ ცისტვის თავები,  
გაუმართიათ მზესთან ნადიმი,  
ტანშემოსილებს ვეფხვის ტყავებით  
და შუბლწაკრულებს  
ნისლის მანდილით.

წვიმით ილბობენ მკერდებს ნატყვიარს,  
მუხლზე ეხვევათ ტევრი ხეხილის,  
ჩემი სუნთქვა და  
ჩემი ხატია  
კავკასიონის მთათა გრეხილი.

### ვერნი საჟი

ჭრელ დარბაზს როცა შევავლებ მზერას,  
შეერევიან სხივებს ღრუბლები,  
გუდიაშვილის ლამაზებს ვზვერავ,  
ფიროსმანის ლომს ვესაუბრები.

ფერების განცდა, მწველი და წმინდა,  
ცისარტყელები საით - სადამდე...  
ამ ნახატებში ვიცოცხლო მინდა,  
ამ ნახატებში მინდა გავთავდე.

### დაბადება

მზეს მადლობა...  
მოვესწარი  
შვილთაშვილის დაბადებას,  
დაფიქრება დარდიანი  
ჩავლილ დღეებს ჩაბარდება.

გავლომგულდი...  
მარანიდან  
მხრები როგორ გავატიო,  
ათი ყანნი...  
ათი ლამე  
თეთრად უნდა გავათიო.

მოვილხინოთ,  
არ იქნება  
არავისი მომდურება,  
ახლა რა დროს მოწყენაა  
ან ჩანგების მოდუნება.

ვუმზერ ყმანვილს,  
სარაინდოს,  
აღტაცებას ველარ ვმაღავ,  
ზღაპრებსა და ლეგენდებში  
გადავდივარ ყირამალა!

...ლომა ბიჭო,  
სიზმრის ცეცხლო,  
ჯიმ-ჯილაგით ბევრზე მეტო,  
სამშობლოში  
ქართულ სულის  
აღზევება დაგებედოს.

### მზესიყვარული

მზესიყვარულმა გადამარჩინა  
დადუმებას და  
ბნელში დარჩენას,  
ლამემ ის სხივი ველარ დაჩრდილა,  
მე რომ მომავლის გზები მაჩვენა.

მე სიყვარულმა ამომიყვანა  
უუამკარობის მღვრიე ტბორიდან,  
უნასთა ტალახს დღესაც მივკვალავ  
და ასპარეზი არის კორიდა...

ვერ დამაჩოქა რქენამ ფარულმა,  
შედრკა მაცილი,  
რალა მაჩივლებს,  
გადამარჩინა მე სიყვარულმა,  
მე სიყვარული გადავარჩინე.

### დაისის შუქი

წლებს რწმენით გადავაბიჯე,  
ავდრიანსა თუ დარიანს,  
გადამიკეტეს, გავალე დილეგის მძიმე კარია.  
ავანთე გულის ცეცხლითა  
მტრისგან ჩამქრალი კვარია,  
ბაყ-ბაყ დევს დაშნით ვეტიე,  
ზედ მივამსხვრიე ფარია.  
მთაზე გავჭერი ბილიკი, კლდე გავიარე სალია,  
ჭიუხზე მუხლი გავმართე,  
სხივს შევაშველე მხარია.  
გონიერს წიგნი ვასწავლე,  
ჭკუა ვასწავლე შარიანს,  
კოშკში ვაჭლერე ფანდური,  
ჯვარში დავრეკე ზარია.  
...მეწვია შუქი დაისის,  
მაპკურა წმინდა ცვარია,  
დამხედა,  
დამაიმედა,  
დღეგრძელობისა  
დალია.  
დამადო ბედისწერამა გადაუხდელი ვალია,—  
დააფრთიანა ბიჭები, ამოაგელვა ხმალია!

### ფრიდონ ხალვაშ

გოდერძის ქედზე იქეც ლაღადად,  
კაცო, ჭოროხის ტალღის ხმაურო,  
წამო, გაჩუქებ უფრო მაღალ მთას  
და ხოდაბუნებს—საგიგაუროს.

შენ საქართველოს სუნთქვას პატრონობ  
ლექსების ლაშქრით, გულით და გონით,  
მეგობრობაში, ფრიდონ ბატონო,  
ავთანდილობას გაგინეე მგონი...


### ცხოვრება ჩემი

ბობოქარია ცხოვრება ჩემი,  
წვიმიან ამინდს ჯაბნის ფერებით,  
განწილ დღეებს,  
გალეწილს კევრით,  
არც ვემდური და  
არც ვეფერები.

არსთა გამრიგემ მიბოძა ჯილდოდ,—  
არ გავამრუდო რწმენით სავალი,  
კაცობის ტვირთი ბოლომდე ვზიდო  
ჩემი და ჩემი შთამომავალის!

05. 12. 05.  
ქ. ბათუმი





ვოვა (ვლადიმერ)  
 მახაძე

## მ ა ვ ტ ა ი

ნახევრად სავსე აბაზანის ძვიდზე გამხდარი კაცი იჯდა, მუხლზე გაყვითლებული ფურცლები ედო და ხელნაწერს ხმამაღლა კითხულობდა, ჩაცვნილი ლოყები და შეშუპებული უპეები, ჭროლა თვალების ჩაცევა და ამობურცული, ნოჭიანი მუხლი თეთრ ღამეებს მოგაგონებდათ. ხანდახან მშრალი ხველება ახშობდა ისედაც ჩახშობილ ხმას.

აგურისფერ ფილაქნებზე გადმოღვრილ წყალში, ჭერიდან ჩამოცვენილი, თეთრად ატალახებული, ბათქაში, ფეხსაცმლის ლანჩებს ზომავდა და არავითარ ყურადღებებს არ აქცევდა კუთხეში მიგდებულ სისუფთავით გამოთაყვანებულ იატაკის სანმენდ ჩვარს.

კაცმა კითხვა შეწყვიტა, გვერდზე მიიხედა და იკითხა:

— არ მისმენ?

— არა, ვთამაშობ.

პასუხი ხუთიოდე წლის ადამიანმა გასცა, იგი სერიოზული სახით უყურებდა უსუსურ ტალღებში მოქანავე გემს.

— შენ მიკითხავდი.

ხელნაწერი ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

— ზღაპრები არ მიყვარს.

— არც მე.

— აბა რატო სთქვი „დაცემულები ცაში

არიან“- ო, - ეშმაკური თვალების სიღრმეში ნიშნისმოგების სიხარული გაკრთა.

— ესე იგი მისმენდი.

— არა, ვთამაშობდი, — გაჯიუტდა ბიჭი, — ცაში ღრუბელია — ღრუბელი?

— ჰო, ღრუბელი, წვიმას რომ გააწვიმებს.

ღრუბელი, წვიმას რომ გააწვიმებს, რა კარგი ნათქვამია, რა ადვილად და კარგად ნათქვამი, წვიმას რომ გააწვიმებს... გაიფიქრა და თმაზე ხელი გადაუსვა. ბიჭმა თავი მოარიდა.

— დედა მინდა.

— მალე მოვა... ასე დაიბარა... კამფეტებსაც მოგიტანს.

— კამფეტი კი არა, ეზოში მინდა.

— ოო, მეგობარი მოგენატრა? ერთად ვითამაშოთ, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ.

გინდა, შენს გემს ლუზა გავუკეთო? ბიჭი გამოცოცხლდა. პატარა ხელები აბაზანაში ჩაყო. ტალღები დაიბადნენ, მამლაყინნებივით წამოიქოჩრნენ და გემი მოძებნეს. კაცმა სადღაც ნაფოტი იპოვნა, გემს ძაფი მიაბა და დიდი ამბით ჩაუშვა წყალში.

— არ იძირება, ეს რა ლუზაა? — აიმრიზა ბიჭი.

კაცი დაფიქრდა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა, რალაც უცხო, შორეულმა და გაიყოლა წამით ანთებული ღანვების ფერი.

— ეს ჯობია, ჩემო პატარა მეგობარო, ეს ჯობია, რად გინდა შეჩერება... მიანდე გემი ტალღებს. აცალე დაეუფლოს სისწრაფის თვითნებობას, შეებას ქარიშხლების დებოშს. შენ ვერ წარმოიდგენ, რა არის ჩაძირვა, არ იცი, რა არის გაუშლელი იალქნის უძღურება და დარბევა — როცა ვერ იტან დგომას. ველარ იტან დღეთა ერთფეროვნებას, რა კარგია, რო ეს ყველაფერი არ იცი შენ და რა ცუდია, რომ როდისმე გაიგებ ამას.

— მე მაინც მინდა ლუზა.

ბიჭის ხმაში სისველე გაჩნდა, კაცმა ფილაქანს კუთხე ჩამოატეხა და ნაფიქრი შეცვალა. გემი ჩაიძირა. მდუმარედ იდგა ეს ორი უცნაური მეგობარი და განიცდიდა ფსკერზე მოქანავე, ოდნავ გვერდზე გადახრილ გემს. უცბად ბიჭი გადაიხარა, დასწვდა და, გახარებული და გამარჯვებული სახით ამოიღო წყლიდან. კაცმა შვევით ამოისუნთქა, აკანკალებული ხელით ჩამოართვა სათამაშო და თაროზე შემოდო.

ზარი დაირეკა.

— დედაშენია, ალბათ, — თქვა მან და ხელნაწერი ამოიღო. მისმინე, კარგად მისმინე ჩემო პატარა მეგობარო. შენთან სერიოზული საქმე მაქვს. რვეული გამომართვი, მინდა გისახსოვრო. ეს ჩემი სულია, ჩემი ცხოვრების იდეა... ათი წელი ვწერდი, ათი წელი... ამის არსებობა არავინ იცის. მოდი, დღეიდან ჩვენი საერთო საიდუმლო იყოს. შემპირდი, რომ არავის არაფერს ეტყვი, არავის ანახებ, სანამ არ გაიზრდები და არ წაიკითხავ. მინდა შენ იყო ჩემი პირველი მკითხველი, შემპირდი...

— კარგი.

\*\*\*

მთელი საღამო სიბნელესავით უძრავად იწვა იგი დივანზე.

განიერი საფერფლე დაცივნით უმზერდა ზოზინით დარწულ გრძელ კვამლს.

ოთახის სიცარიელით შეშინებული სიჩუმე და სიჩუმით შემთბარი ჰაერი სხვადასხვა ენაზე დუმდნენ.

რატომღაც, საკუთარ თავზე მესამე პირში გაიფიქრა ირონიულად! — „უკიდურესი სიმარტივე უიღბლო გენიოსის სახით და ჩაქნეული ხელებით ელოდაო დასასრულს“. გაიფიქრა და ამ გაცვეთილმა, თითქოსდა უვნებელმა ფიქრმა მაინც საშინლად შესძრა. წამოდგა, ოთახში გაიარა და სიგარეტს მოუკიდა. სუსტი ალით განათებული სილუეტი სარკეში აბარბაცდა. ნერვიულმა ბგერებმა სიჩუმე გააგდეს გარეთ. ჰო, ეს შენ ხარ, ძლივს გიცანი, როგორ შეცვლილხარ, გახსოვს, რა ამაყად მისწორებდი თვალს — სად გაქრა შენი სიამაყე?

გახსოვს, რა ძლიერი იყავი — რა იქნა შენი სიძლიერე? არ გახსოვს? არ იცი? მე კი ყველაფერი მახსოვს და ყველაფერი ვიცი. გაგახსენებ კიდეც, სიმართლეს მოგახლი პირში — არც შენ მინდობდი ერთ დროს...

რა სასაცილო ხარ, რა პატარა...

ადრე კი ჰმ, ადრე... გეგონა შენს ირგვლივ ტრიალებდა სამყარო, გეგონა ყველაფრის უფლება გქონდა. ზევიდან დაჰყურებდი ადამიანებს და მოთამაშე ტიკინებს უწოდებდი. ეს კიდე რაა? მატლების ტლიკინა საზოგადოებაო, გაიძახოდი. ჰო, შენი სიტყვებია, შენ არ გესიამოვნა? მეტსაც გეტყვი. ზეკაცობის მაძიებელი ქვეკაცი აღმოჩნდი: მშვენიერებას აუბრალოებდი, თანაგრძნობას ზიზლით უყურებდი, სიყვარულს — სიძულვილით, ქრისტეს დასცინოდი და მის მცნებებს მონების ძილისპირული დაარქვი, მაკიაველს კი ადიდებდი, რალაცას ჯღაბნიდი კიდეც და არავის უმხელდი. რატომ? რისი

გეშინოდა. შენ ხომ ძლიერი იყავი... ხა, ხა, ხა, ძლიერი... მერე? შენ როგორღაც მიხვდი.

დაინახე უფსკრული, შეგზარა თვალში სიბინძურემ და... წაიქეცი. უარყოფილი სინდისი მოგველინა მსაჯულად. მხოლოდ მაშინ იგრძენი, რომ ბოროტი ხარ — თუმცა ვნება არავისთვის მიგიყენებია. იგრძენი რომ მკვლელი ხარ, მკვლელი!

— თუმცა არავინ მოგიკლავს, და იქეცი ქვეყანაზე ყველაზე სუსტ ადამიანად და ამით ამაღლდი... მაგრამ ამაღლებული ეშმა სრულიად არ არის ანგელოსი! შემოქმედს მონანიება კი არ უყვარს, არამედ აფასებს! ! ! შენ კი თითქმის ხსნილი იყავი, თითქმის გადარჩი — თურმე კი, ეს „თითქმის“ ტრაგედიის ბოლო მოქმედების დასაწყისი ყოფილა, შენ იმდენად უძლური აღმოჩნდი — ველარ შეძელი ხსნის გზას გაყოლოდი — რადგან არა მარტო იგრძენი ბოროტი, არამედ ინამე იგი, ინამე გესმის! განაზოგადე და ისე მიიღე... ყველაში აღმოაჩინე და აღიარე მისი აუცილებლობა. შენ ვერ შეიცანი სიკეთის ღვთაებრივი სიდიადე — განუყოფელი და უკვდავი. სასაცილოა, ხედავდი ჩრდილს, მზეს კი ვერა... ნუთუ ბრმას, დაბრმავების გეშინოდა?!

რწმენამ და იდეამ ძალები მოგცა — იდეა შეგენირა, როცა პირიქით უნდა მომხდარიყო.

ძალები მოგცა, მაგრამ ვერ გამოიყენე სიცოცხლისათვის, ხსნისთვის და იქეცი იმად, რაც მე ვარ დღეს! შენ იქეცი „მ“-დ, თვით-მკვლელად, შენივე თავის ჯალათად...


აღშფოთებულმა და შეძრწუნებულმა აკანკალებული მუშტი რალაცას მოუღერა, მერე ნელა დაუსვა და გაფითრდა. შემზარავი ხარხარი მოაწყდა ფანჯრებს. ვინ იცინის?! ვინ არის აქ?!

შეშლილი სარკეს მიენარცხა, დაკრუნჩხული თითებით თავისივე ყელს სწვდა და... მოეშვა.

— შენ... შენ... — ღია თვალებში ტანჯვა გაიყინა, ოთახში აღარავინ იყო.

სანერ მაგიდაზე ერთტყვიანი რევოლვერი შეშინებული სიჩუმის ენაზე სდუმდა...





**მწიგნობარი წმინდა**

გამომეცხადე, იგრძენი იქაც —  
ნატრული ვიყავ დვითურ სიმშვიდის...  
აჩნდა თითები დაორთქლილ ჭიქას,  
დაფოთლილ ჩრდილში სუფრას მიშლიდი.

რაა სათუო ან გასაკვირი,  
დავინყებასთან ვისწავლე შებმა,  
შენც ვერას გაკლებს ჟამი, მზაკვარი,  
ვერ შეგიცვალეს იერი წლებმა.

ლოცვად აღვლენილს, სხვა შუქი გახლავს,  
შენი სიმაღლეს სხვა სიმაღლეა,  
ერთგულო უღლის, თან გაგყვა დაღლა,  
რა მოგაშორებს ღიმილს, ნაღვლიანს...

**წარუბი მოქცეულის წრიალი**

დრო ხომ შემჩნეულია —  
გაპარვაში, გასვლაში?!...  
შეუმჩნევლად დაგაგლახებს,  
სირბილს მოსდევს ლასლასი.

მბრძანებელის საუფლოს  
რითი აღარ მოსავენ;  
დაჭმუჭნული დროისაგან,  
ვეფერებით დროსავე.

მოსრავს ყოველს, თვითონ მას  
ვერა ძალა ვერ აღგვის...  
დაგცეს, დაგაუძღუროს —  
ხელობაა ვერაგის.

რიყეზე ვართ, არყოფნის  
გვერეკება ჩვენ ქარი;  
მარადისის ნამცეცები  
გვრჩება აუკენკარი.

სანამ ყრუ, დამხუთავი  
თალი დაგებურება,  
ამდენ საცოდაობის  
დაგმლის მხოლოდ ყურება.

**აბაოლ ვნარ**

მიჰქრი, მიექანები,  
გასავლელი ყავლო!..  
ქვეყნად არავინ არი-  
უთავგადასავლო.

უფსკრულზე გადავმბტარვარ,  
რკინის მხეხდა ბადე...  
ჩემს მტერს, მე რაც გადამხდა,  
კენჩხო გადამხადე.

ემზარ  
წვიცაიძვილი

**ახალი ცანახი**

**მთიდან დაშვება**

გაეხვედი, ლურჯი ცა რომ გახია,  
მონყდა, ნამგალა ფრთებს წურავს გვრიტი-  
არვის გავს, ქართლო, შენი სახეა,  
სხვა ჟრუანტელს და სიამეს მგვრიდი.

ოქროს ირევენ პურის ყანები,  
ფშატების ვერცხლში ნევს ასურეთი,  
რას ვიფიქრებდი, სათაყვანები,  
თუ ველად გაჭრას მომასურვებდი.

ასკილის ცეცხლზე თვალეები მენვის,  
ვუმზერ თეთრ ღრუბლებს, გაშლილს  
ზენრებად,  
მივარღვევ ძეძვნარს, ჯაგნარებს ენრის,  
მზე, მონრიალე, თავზე მეცრება.

მწყემსი ბიჭების, ზღაპრის მხარეა,  
მაბრუებს, მსუსხავს, თქმა მიჭირს, რითი?!.  
არც იმან იცის, რა უხარია,  
ჟრიალა ლაჟვარდს ასკდება გვრიტი.

აღარ გამოიღია-  
მწუხარება, ჭირი...  
რალა გასარჩევია-  
სხვას თუ თავს დაეცირი.

აღმართ-აღმართ ავდივარ,  
ვეგებები ავდარს...  
ცრემლი, რაც დამდენია,  
ქალაქს წალეკავდა.

მენანება მეღანში  
ამოთხვრილი ნები...  
ხსნა ნებაა ბუნების,  
როცა დამეხსნები!

**დაცარიელებული სოფლები**

დროდადრო, გულის ფართხალი, ფერთხვა,  
ბედის მგმობელი დავრჩი...  
რა მოხდებოდა, ეცოცხლა ერთხანს—  
ძმას, სულაკაურს, არჩილს.

მასთანვე, ადრე მომეველო, ნეტა—  
შენაქო, მუცო, დართლო...  
უცეცხლოდ, ყელი გადაგეკეცა,  
ბუხარო, განაჭვარტლო.

ქვეყნის სანუხარს შევრჩით მარტონი,  
სხვა ჭირი დაგვეძგერა;  
მეცხვარეთ მოდგმა, არ ჩანს პატრონი,  
რამდენი ჩაქრა კერა.

**აღგომის დილა**

უნყობენ კვერცხებს, ყვავილებს,  
ჩუმი დამეცა ელდა...  
სასაფლაოზე წრიალი  
სახეთა, წასაშლელთა.  
ჩამოვჯექ, დაგუბებულმა  
წუხილმა შემაყოვნა...  
ვინ თვლის, ვინ გაამთლიანოს—  
ნანყვეტ - ნანყვეტი ხსოვნა.

**ბაღა - გამოღა მხარე**

თუ გადევრება, მზის ჩასვლამდე  
(მან მიპასუხოს, ვკითხე ვისაც)—  
ზანტი ღრუბელი ჩრდილოეთის,  
ქათქათა ღრუბელს, სამხრეთისას?

თვალს ვერ ვაშორებ იმათ რონინს,  
მიირწვიან მწკრივად, წყებად...  
ხომ ითქვა, მთა მთას შეხვდებაო,  
ღრუბლებს რა ღმერთი გაუწყრებათ?!

**ყველაფერს — თავისი ღრო**

საღამო ხანი. ქარ - წვიმა.  
შაშვი გაბმულად სტვენს.  
ანვება ფესვებს, რტოს, ყუნებს,  
ძალა სძრავს მინის წვენს.  
ვალს იხდის დედა - ბუნება,  
ყველა მისი გზით ვალს;  
ვლოცავ თვეთა რიგს, ყურძენზე  
ადრე ამწიფებს ბალს.

**აუცდენელი**

ვენვალე, ბნელი ნათელთან  
ვერაფრით ვერ შევახამე,  
სიკვდილს ვერავინ დაუძვრა,  
გადავურჩები რალა მე?!

ის დამრჩენია, დღე ჩემი  
ბოლომდე რომ დავალამო,  
სვე მეუბნება, დროც არი,  
ჩაგნთქას უძღების ხახამო.

**მოუსაველეთის რიგში**

დამდეგს, ამოუხსნელი,  
წუთისოფლის იგავი;  
ხუთი წლისამ ვიცოდი,  
უნდა მოვმკვდარიყავი.

მზე ვარვარებს, ვარ სხვებზე  
არც მეტი, არც ნაკლები...  
ჟამი მოდგა, სიბერის  
ფერით შევიფაკლები.

ვიცი, ყველას ხვედრია,  
რასაც ახლა მე ველი...  
წლებმა გამცრეს, არცა-რა  
მრჩება გასარკვეველი.

**დროგამოცლილი**

რას მერჩოდი, უფალო,  
სამონყალოდ დამდე,  
აღარაფერი დამრჩა—  
სამოცდაათამდე.

ტანში შიშმა იძალა,  
არც-როს ვგავდი მედგარს;  
ის ვარსკვლავიც ვერ მამჩნევს,  
ნარინჯისფრად ფეთქავს.

ღობე-ყორე, ტყე-ღრეში  
დავალ გულმდულარე;

ვინ იქნება შემკრები,  
რაც გზადაგზა ვყარე.

ეკალ-ბარდებს, გალექსილს,  
ნუ შერჩებით მარტოდ;  
მე ჩემი მჭირს, ბურღაში,  
თქვენც არ გაიხლართოთ.

**ღვება მარიამოვის დღესასწაული**

შემახსენეს, ნუხელი,  
თავი მამა—ბიძებმა...  
დარდი შვრება, ღამეში,  
ორ-სამჯერ მეღვიძება.

ჩათელილო ბალიშო,  
ცრემლით უნდა დაღამდე...  
თავს მივდებდი... სადა ხარ,  
ძველო ძილო, დიღამდე?!

ფშვინვას, ნარნარს, ვინ დაეძებს  
შიგ გულში მჩხვლეტს მე ნარი...  
გავიხედავ, კვლავ ღამეა,  
თეთრად გასათენარი.

მინავ, ხილი, ნაყოფი,  
ერთხანს უნდა მიზიდო...  
დაილოცოს ნუხილი,  
თუ ვარ, ისევ მისითო.

**სართვლოდ ნათქვამი**

გადის წელი მამლისა,  
ვარჩევ ნიგვზის ლებანს,  
შემოდგომა ყურძნითა და  
შინდით იცრემლება.

ფეთქავს ძარღვი, ეგებ აღდგეს  
მორღვეული ლიბო;  
თავს მივხედო, მოძულეებულს,  
ძალა მოვიკრიბო.

დადგა ჟამი, ის ღვთიური  
გამოვწურო წვეთი;  
ვერასფერი ვერ მიშველის,  
შემოდგომის მეტი!...

**შუა შამოღგომა**

ბუძვას, ნაბლისას, გადევსნა ბზარი,  
დგება სეზონი გარეულ იხვის,  
ნესტოებს ბერავს და ბაძავს ქარი—  
ყალყზე შემდგარი უღაყის ხვიხვინს.

მეხს შევეხიე, ახია ჩემზე,  
მღვრიე ნაღველმაც ბევრჯერ გამსრისა...  
დამასობს გულზე ყინულის ნემსებს,  
მიახლოვდება სუნთქვა ზამთრისა

**შინ ყოფნა მიყვარდა**

ზამთარია, ღამდება  
უცებ და ნაადრევად;  
კითხვისათვის მისწრებაა  
ასეთ დროს გაავდრება.

შემოდგომაც ჩემია,  
ჩამოცლილი წვიმებად;  
სწორედ მაშინ შემეძლო  
წიგნი წიგნზე მიმება.

მანაღვლებდა ნაკლებად  
ცათა ჭექა და რისხვა,  
სხვა მუსიკა მოჰქონდა  
თავანყვეტილ ქარიშხალს.

სად ჩაქანდა ის წლები?!  
ვჯახირობდით, ვწვალობდით,  
მაინც ვიჯექ მყუდროში,  
დედაჩემის წყალობით.

ახლაც, გორებს, გასუდრულს,  
ზამთრის ლანდი ჰფენია,  
ამ დილითაც ღრუბლების  
ტყვია სულ არ მწყენია.

არსად გაგეცევი, დარდო,  
წელმოღუნულს თუ მელი,  
ჩავყუჩდები, აქვე ბოლავს—  
მოღულუნე ღუმელი.

რას გაგიტანს ეს ქვეყანა—  
არეული და უნდო...  
მწირო, წყვილი სანთელი  
მშობლებს უნდა აუნთო.

**ღმერთმა იცოდეს!**

კოშკი, ღრუბლისა, დაშვავდა,  
გამოკრთა ოქროს ქოში...  
რა გულით გინდა, ჩაუშვა  
წყვდიაღში, უძიროში.

დაიკლაკნები და ველარ  
აგიცდენ, ელვის ლახტო,  
მტვრედაც ვერ დავეფინები  
ელვარე „ირმის ნახტომს“.

მარგილზე მაგებს,  
გულს მიპობს —

კაცთა სიშმაგე, ცოფი...  
თვითონ ხომ ვიცი, არა ვარ  
უკვალოდ გასაქრობი.

### ვიგონებ ჩავლილ ზამთრებს

სად ვარ გადატყორცნილი...  
ლურჯი თალი იშლება,  
მოდგა-ჩემი შემშლელი—  
ხეთა გადაშიშვლება.

სამოცი წლის გამქრალი—  
ჩანს მინდვრები, ნათიბი,  
გადაყვითლდნენ, ნათობენ—  
რა გზა, რა სურათები.

სივრცე, დაუსაზღვრავი,  
ლამის ვიქცე თვალეზად;  
ვიშორებ და ნაღველი  
ისევ მომეძალება.

ზამთრის დღეებს აკვრია,  
თუ რამ კარგი მებადა;  
ღმერთო, არ გამიწყვიტო  
ჯაჭვი მოგონებათა.

### ყველაფერს ვიმიტავ

შენი იმდენად დამყვება  
სიყვარული და რიდი,  
ნამით არ დავფიქრდებოდი,  
ათას წელს მოგიძღვნიდი.

არაფრის მქონემ, დაცლილმა,  
მეტი ამოვთქვა მე რა?  
თავად სანთელი, ხანდახან,  
სანთელს ამინთებ, მჯერა.

### სულსწრაფი

მივაბოტებ ქუჩაში,  
სული გარბის წინ-წინ;  
მთავარი ხომ სულია,  
სხეულია-ჭინჭი.

მოიტოვეს რამდენი  
ღამე და რიჟრაჟი;  
ხორცი ცვთება, იხევა,  
სული - ადის ცაში.

### შუშმჩნევლად გამსხლტარი

სცადე საუკუნეთა  
წამებამდე დაწურვა;  
უნდა გამოგაჩინოს  
სახემ შენმა, კაცურმა.

თავის გადასარჩენი,  
ხერხი გქონდეს ათამდე,  
წლები შემოგელევა,  
შენ არ უნდა გათავდე.

ათიოდე შემოდგომა,  
ამდენივე ზაფხული  
დაგრჩენია, ეგებ არც ღირს-  
ფართი-ფურთი,  
ფაფხური.

სულ სხვა მხრეს გაგრძელდება  
შენი ფრენა და ცურვა...  
რა ყოფილა ეს ცხოვრება—  
ფრჩხილზე ღვინის დაწურვა.

### ბოლო გზაზე

დათო ჯავახიშვილის ხსოვნას

ფარდა. ცოცვა და ცახცახი  
უკანასკნელ სხივის...  
შენ გმარხავენ, შენს ეზოში  
ხურმა წითლად ღვივის.

გრილ სუროზე, გარეშემო  
მთებზეც, მალე დათოვს.  
შენ რომ თვალი დაგიხუჭა,  
სხვა ძილია, დათო!  
ამაოა თავში ცემა,  
ურვა და გნიასი,  
არ სცოდნია მამულს შენსას,  
ძმაო, შენი ფასი.





გუნა  
წითაძე

## ნოველები

ყულფი

მაგიდასთან ახალგაზრდა ქალი ზის და წინ დადებულ, გაურკვეველი ხელით ნანერ წერილს ფაქიზად ათეთრებს:

„გივი!

როცა ამ წერილს მიიღებ, მე ცოცხალი აღარ ვიქნები. ძვირფასო, მინდოდა, გუშინვე მეთქვა ეს შენთვის, მაგრამ შემოგხედე დალლილ, ფიქრიან თვალებში და შემეცოდე. მაპატიე, მაპატიე, რომ თავს ვიკლავ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია, „ეს არის ერთადერთი გამოსავალი!“ — ვუთხარი ჩემს თავს გაღვიძებისთანავე და იმ წუთსვე შევუდექი სამზადისსაც.

დაახ, მე თავს ვიკლავ და ამით მორჩება ყველაფერი. ამით დაესმება წერტილი ჩვენს ტანჯვას — ჩემსას, შენსას, შენი ცოლისას!

საყვარელო, მე არ ვნანობ! თუნდაც იმიტომღირდა ჩემი მოსვლა ამქვეყნად, რომ შენ მენახე და არა მარტო მენახე, შემეყვარებინე კიდევც.

ოთხი თვე! ვინ რა იცის, რა ოთხი თვე იყო ეს ოთხი თვე ჩემთვის! 120 დღე, 2880 უბედნიერესი საათი! მოლოდინით, მღელვარებით, სიყვარულითა თუ სიხარულით გაჯერებული წუთები, წამები... „როგორც

იქნა, გიპოვე, ჩემო დაკარგულ ნახევარო, როგორც იქნა, გიპოვე, მაგრამ რა გვიან!“ — ახლაც ჩამესმის შენი ტკბილი ხმა, შენი ნაღვლიანი ხმა. ჩამესმის და ვტირი, ვტირი ჩემს უბედურებასაც, შენს უბედურებასაც... რატომ არიან ადამიანები ასე გულქვანი, რატომ არ აძლევენ ერთად შეყრის უფლებას ერთმანეთის მპოვნელ ნახევრებს... რატომ გადაელობა ჩვენს სიყვარულს შენი ცოლი, — ადამიანი, რომელიც მხოლოდ შემთხვევის წყალობით გახდა შენი შვილების დედა?! მე არ მინდა, სიკვდილის წინ მაინც, ცუდი რამე ვთქვა მასზე, მაგრამ რატომ არის ასე შეუგნებელი, რატომ არ გაუფრთხილდა შენს სიმშვიდეს, რატომ არ მოგცა შესაძლებლობა ყოფილიყავი ბედნიერი, გეცხოვრა მშვიდად და ადამიანურად? არა, არ მესმის, რად უნდა, გვერდით ჰყავდეს ადამიანი, რომელიც მხოლოდ ხორციით იქნება მასთან და არა სულით...

ვკვებები, მაგრამ, მაინც ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს, იმიტომ, რომ არა მარტო ერთხორც, ერთსულადაც ვიყავი შენთან.

ჩემო კეთილშობილო ვაჟკაცო... „ბავშვები, ბავშვები მეცოდებიან, ვერ მივატოვებო,“ — მითხარი, მითხარი და თანაც შიშით შემომხედე. ო, ნუთუ იფიქრე, რომ ამის გამო რისხვას დაგატეხდი თავს? ან კი თუ ჩემთან იცხოვრებდი, ნუთუ გეეჭვებოდა, რომ ღვიძლი შვილებივით შევიყვარებდი მათაც?! მე მესმის შენი. მესმის შენი კეთილი გულის და ამიტომ კიდევ უფრო მეტად მიყვარხარ. ნუ მიატოვებ ბავშვებს, გაზარდე ისინი შენნაირ კარგ ადამიანებად და ზოგჯერ-ზოგჯერ მოუყევი ლამაზი ზღაპარი შეყვარებულ ქალ-ვაჟზე, რომელთა ბედნიერებასაც ქვეყანა გადაელობა წინ. მოუყევი, როგორ ვერ გადაიტანა ქალმა ვაჟთან განშორება და როგორ წავიდა სულების სამეფოში, რომ იქიდან ელოცა საყვარელი ადამიანისთვის.

ძვირფასო, დამპირდი, რომ ვაჟკაცურად გადაიტან ამ ამბავს. დამპირდი, რომ არაფერს აუტეხ თავს, არაფერს აგრძნობინებ ცოლს, სანყალ, გაუნათლებელ დედაკაცს, რომელსაც არ ესმის და ვერც გაიგებს, რანი ვიყავით ჩვენ ერთმანეთისთვის... ღმერთმა შემინდოს... მივედივარ მშვიდი და ბედნიერი... ვიცი, დაცარიელდება შენთვის სამყარო, ვიცი, ხშირად მოხვალ ჩემს საფლავთან...“

„საფლავთან“ ქალი წამით შეჩერდა, წამიერადვე ნაიქვითინა კიდევაც და კვლავ განაგრძო წერილის ფაქიზად გადათეთრება: „მოხვალ და ატირდები, მაგრამ ჩემი სული, ჩემი ლოცვა მოგცემს ძალას, შეგმატებს რწმენას და გაგაბრუნებს უკან, შენი შვილებისაკენ. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მშვიდობით, ჩემო სიყვარულო. მარად შენი ლილი“.

ქალმა კიდევ ერთხელ გადაიკითხა გადათეთრებული ბარათი, შავი პირი უჯრაში ჩადო, ფაქიზი — კონვერტში, წაანერა კონვერტს მისამართი, ადრესატის სახელი, დაადო ზედ ხუთლარიანი და მეზობლის უმუშევარ ბიჭს გასძახა. ხუთლარიანით სახეგაბრწყინებულმა ბიჭმა ყურადღებით მოისმინა, სად უნდა მიეტანა ბარათი, რა დროს და რა ვითარებაში გადაეცა იგი ადრესატისთვის.

\* \* \*

თმაგანწილი, კისერზე ყულფჩამოცმული ქალი იატაკზეა გაშხლართული, აბრეშუმის სქელი თოკის ბოლოც იქვე გდია, იატაკზე, გველივითაა გაკლაკნილი. არეულ-დარეული მაგიდაც სასიკვდილო იარაღებითაა სავსე: ბასრი დანით, დაობებული კონსერვით, გამწვანებული ძეხვით, აგურით, ელექტროდენში შესაერთებელი გაშიშვლებული მავთულებით და რაღაც აბებით.

კარზე გააფთრებით არახუნებს ვიღაც, მერე ფანერის ძველი კარი ანჯამებიანად წყდება ჩარჩოს, საშინელი რახუნით ეცემა ქალის სიახლოვეს და ზედ კლინიკური შეშლილის ქანდაკებასავით ისვეტება ზორბა, საკინძემოღელილი და ბუღასავით თვალეზბრიალებული ახალგაზრდა კაცი.

კარის დაცემისაგან შეშინებული, კისერზე ყულფჩამოცმული ქალი თვალეზბრიალებული შეჰყურებს კაცს, რომელიც მყესეულად იმუხლება და ქალის დაჭყეტილი თვალების დანახვაზე თვითონაც არანაკლებ აჭყეტს ისედაც საცრისხელა თვალეზს.

— მაშ, ცოცხალი ხარ, ცოცხალი?!

— ეტყობა... თოკი... — ძლივგასაგონად კვნესის ქალი.

— მაშ, ცოცხალი ხარ, არა? ცოცხალი! — ჯერ შვებით იცინის, მერე ისევ შუბლს იკრავს კაცი და თითქოს უნდა უფრო ნათლად დარწმუნდესო, ყბაზე წავლებული ხელით უხმოდ უტრიალებს თავს აქეთ-იქით.

— ჩემო... — კვნესის თვალეზბრიალებული ქალი.

— მაშ ცოცხალი ხარ, არა? ცოცხალი! მე შენი დედა კი.. შენი! — უცებ ღრიალებს კაცი, — რაო, რაებს ბოდილობდი იმ წერილში?! შენ თუ თავის მოკვლა გინდა, მე რა შუაში ვარ, მე რაზე მხვევ შარში, შენი მკვდარიც... და შენი ცოცხალიც... მე შენი, ჰა? რაო, რაო?! — უკვე ფეხზე დგება და ნაქცეულ კარზე, ამჯერად უკვე დოინჯშემოყრილი დგება კაცი, — რაებს არახუნებ? რა ნახევარი, რის მეოთხედით?! ჯერ ერთი, მე ეგეთი ლამაზ-ლამაზი სიტყვები ცხოვრებაში არ მითქვამს შენთვის და მეორეც, ჩემს ცოლს რომ ლანძღავ, გაუნათლებელიო, შენ მყავხარ განათლებული?! რაო, რაო, რა ზღაპრები მოუყევი შენს შვილებსაო? რა შეყვარებულებიო, რის შეყვარებულებიო? ბელაია გარიაჩკა ხო არ გჭირს, შე უბედურო, შენნაირი ოცდათხუთმეტი მყავს გამოცვლილი და ვიდრე დავბერდები, სამასოთხმოცდათხუთმეტზეც ავა ალბათ, ყველამ შენსავით თუ დაიკონწიალა თავი ჭერზე, სალოლ მე, კი ვიქნები მაშინ გინესის წიგნში შესატანი ჩემი ორფეხა ჩურჩხელებით, თქვენი დედა... თქვენი, ყოფილისაც, ახლანდელისაც და მომავლისაც! აი — ეხლა მაგ თოკით რომ აგითრევ და სოლოლაკიდან მოედნამდე ხათქა-ხუთქით ჩაგარხინებ, მერე დაიმახსოვრებ კარგად, როგორ უნდა ახსენო ჩემი ცოლი. ვინაა გაუნათლებელი, შე ახვარო, ორი დისერტაცია აქვს უკვე ჯერ კიდევ ამ ასაკში

დაცული. ჩემი ცოლი რომაა, ჩემნაირი ხო არ გგოგნია, კაპუეტო, ძალით მყავს მოტაცებული, შვილები არ უნდა უმამოდ გაზარდოს, თორემ აქამდე ცხრაასჯერ მიმატოვებდა, ისეა ჩემგან და შენნაირი ქუჩის ქალებისგან განამებული. რა გინდოდა, ხომ გინდოდა პატიოსნად საფასურს, მეტი რა, ქალიშვილი ჩამბარდი, შეგაცდინე თუ ცოლობას გპირდებოდი? ეს რაები მოგიჩმახავს, შენი! დაგესიზმრა ეგეთი რამეები თუ?! რა ვიცი, სიყვარული მეც გამომივლია, მაგრამ შენ ვერ შეგატყვევებოდი რამეები?! — კაცი კარის პიედესტალიდან ჩამოდის, ოთახში იწყებს ბოლთის ცემას ღრმადწაფქრებული და ზურგზე ხელებდანყობილი, თოკის ბოლოსთან ჩერდება მოულოდნელად, — მაშ თავის მოკვლა გინდოდა სიყვარულის გამო, არა? კაცმა რომ თქვას, მითხარი ერთი, რამ შეგიშალა ხელი? თოკი განყდა? ამ თოკს რა განყვეტდა, — კაცი ჭერს აჰყურებს თვალეზბრიალებული, მერე თოკის სიგრძეს ზომავს თვალთ — სამი მეტრის სიმაღლე მაინც აქვს ამ ჭერს, ან ჩამობმით სად ჩამოაბი ეს მეტრანახევრიანი, ან დარჩენილი მეტრანახევრიდან როგორ გაიშოტე ძირს ეგრე ნარნარად, ჰა? აა.. აა.. — თავს აქნევს ღრმადწაფქრებული კაცი, — გეგონა, მეჩვიდმეტე საუკუნის მეთოდით შემბამდი, არა?! — რაც ძალი და ღონე აქვს, ურახუნებს წიხლს ჯერ ისევ გაშოტილ ქალს კაცი, — თვალეზბრიალებული რომ მართლა მკვდარივით აქვს დახუჭული?! ეხლა, მე შენ მართლა თუ არ ჩამოგაკონწიალე მაგ თოკით, კაცი არ ვიყო! — გაცეცხლებული კაცი თოკის ბოლოს იღებს და ნელ-ნელა იხვევს მკლავზე. თოკი თანდათან მოკლდება და თმაგანწილი და შიშისგან ხელახლა თვალეზბრიალებული ქალს ყულფი უკვე მჭიდროდ ეკვრის ყელზე. ქალი მექანიკურად მიჰყვება ზემოთ ანეულ თოკს და უკვე ფეხზე დამდგარი, ახრიალებული ამოვცდილობს თავიდან ყულფის გადაძრობას.

— ფუჰ, შენი! ბოზიც რომ აღარ ჰგავს ბოზს?! ისიც ვეღარ ეტევა თავის ადგილას. ყველაფრით როგორ სპეკულიანტობენ, რა საუკუნეა, მე ამათი! აღარ ახსენო ჩემი სახელი და მით უმეტეს ჩემი ცოლის, თორემ... — კაცმა ღონივრად ნაჰკრა ხელი ქალს, კუთხეში კისერზე წამოცმულ ყულფიანად მიაგდო, კარს გადააბიჯა და კიბზე გინება-გინებით დაეშვა.

ქალმა კვნესით წამოსწია წელი, ყულფი წვალეებით გადაიძრო კისრიდან და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ წყევლა-კრულვით ეცა მობილურ ტელეფონს:

— რა მიქენი, შე გაოხრებულო, შენ, ეგაა, რომ მპირდებოდი, ერთ დღეში აგინყობ ცხოვრებასო? ასე აწყობილმა იარეთ მთელი ცხოვრება შენც და შენმა მონაგარმაც!... დიახ, დიახ, ბატონო, შენი დანერვილი წერილიც სიტყვა-სიტყვით გადავწერე და ყველაფერიც ისე გავაკეთე, როგორც მითხარი... ყულფიც, აბებიც, დანაც, კონსერვიც, ჭირიც და სიკვდილიც! — წივილ-კივილს უმატა ქალმა, — არაფერი არ დამვიწყებია და რა მივიღე სანაცვლოდ, კინაღამ თავისი ხელით ჩამომაკონწიალა იმ გასიე-



ბულმა ღორმა... განენილიც ვიყავი და გამო-  
ტილიც... ყულფი კი არა, ქალო, ბედი ჩემი, გადმონ-  
გრეული კარი არ დამეცა ზედ, - ნიხლით შემოლენა,  
ვიდრე მართალი ეგონა... ძალიან კარგად ვითამაშე,  
მაგრამ ეგრევე იყიდა იმ ახვარმა და რა მექნა, გითხ-  
არი, კინალამ საკუთარი ხელით დამახრჩო-მეთქი...  
რა-ა?! შენ რა გენაღვლებოდა, ასედაც მოგებული  
რჩებოდი და ისედაც! მე არ ვიცი, სადაც გინდა და  
როგორც გინდა, ისე იშოვე ჩემი სამასი დოლარი და  
დამიბრუნე პროცენტისადა, ორი თვეა ბინის ქირა  
არ გადამიხდია, მე რა, სამსახური მაქვს, თუ?.. კი  
ბატონო, გჩუქნიდი, თუკი შენი ნასწავლი ხერხი  
ვაჭრიდა, მაგრამ... არა, არა, ვერ მოგართვი... რაო,  
რაო? გოვასთვის გადავწერო? გიუი ხომ არა ხარ, გო-  
ვას მასწავლი შენ? ეგრევე ჭირიანი ქათამივით  
ნამაძრობს თავს, თუ, გინდა, ახლა გოვაც დამაკარგ-  
ინო! გითხარი და გავათავე, — ორ დღეში დამი-  
ბრუნებ, თანაც პროცენტით! ... რაო, რაო? ოთხჯერ  
შენ გათხოვდი ამ ხერხით და ხუთი სხვა გაათხოვე?...  
არ ვიცი, ბატონო, მე შენი ჟურნალისტობა, დამიბ-  
რუნე ჩემი ცოდვა-ჭირით ნამოვნი ფული... ხომ გითხ-  
არი, ვიცი, რომ ჟურნალისტი ხარ, მჯერა, როგორ  
არ მჯერა, „სარკესაც“ ვკითხულობ და „სავარცხ-  
ელსაც“, „თბილისელებსაც“ და „ნალენჯიხელებ-  
საც“, „გზასაც“ და „ხრამსაც“, მაგრამ... რაო? ყვე-  
ლაზე დიდი ბიზნესი სწორედაც რომ სიტყვით კეთ-  
დება?!... პრეზიდენტებიც და პარლამენტარებიც  
ლამაზ-ლამაზი სიტყვებითა და გრძნობებზე თამა-  
შით?.. მერე ნორმალურები უჯერებენ ხოლმე?!..  
ბრიყვი და უტყინოა უფრო მეტი?.. რაა? აჩი?! აჩი  
ვიღა, ქალო, რა აჩი, რის ბაჩი, ცხოვრებაში არ მც-  
ნობია ეგეთი ვინმე... თვალთ არ მინახავს და ეგეთე-  
ბი მივწერო?!... ახალს დამინერ და დამანახებ კიდე-  
ვაც? ვინაა, რას წარმოადგენს?... მაღალი კი ბა-  
ტონო, მაგრამ გამხდარ-გამხმარი და კაცის ჩირი  
მინდა ახლა მე, თვითონაც ძლივს ვდგავარ ფეხზე?..  
აა, ბინა აქვს, პატრონი არ ჰყავს და ბანკში  
მუშაობს? რაც მთავარია, ბრიყვია და ნაღდად წაებ-  
მება?... ცხვირს ვჩივი, შე ქალო? ოცდამეერთე  
საუკუნეში ცხვირი რაღა პრობლემაა, ვითომ... აჰა,  
ესე იგი, თითქოს ხუთი წელია უნუგემო სიყვარუ-  
ლით ვიტანჯები, ხომ? რა ვიცი, აბა, კარგად  
დამიკონკრეტე მაგისი ხუთი წლის ისტორია... სურა-  
თიც მინდა და ნახვაც. ჯერ შორიდან დამანახე,  
ხუთი წელია, რაც გიჟივით მიყვარს თურმე და გარ-  
ეგნობით ხომ მაინც უნდა ვიცოდე, რანაირია, რას  
წარმოადგენს და რამსიგრძეა ბოლოსდაბოლოს ის  
ოხერი ცხვირიც... კაი, კაი, ხვალ ორ საათზე პარლა-  
მენტის წინ... მოხსენებაც, ფუჰ, მოხსენება კი არა,  
წერილიც გამზადებული გქონდეს ბარემ, ჩაო!

ქალმა სანოლზე მიაგდო ტელეფონი. რატომღაც  
გახალისებულმა წყნარად წაილიღინა: „აჩი, აჩუუ...  
აჩი, აჩუუ...“ და უცებ ძირს გართხმულ კარს და ზედ  
მიგდებულ ყულფს ჰკიდა თვალი. მცირე ფიქრის  
შემდეგ ქალმა სათუთად აახვია ყულფგამონასკუ-  
ლი თოკი, უჯრაში შეინახა და კართან უიმედო ჭიდ-  
ილის შემდეგ ჩანთიდან ლარიანი ამოიღო.

— რაფოო! — გასძახა მეზობელ უმუშევარ  
ბიჭს.

## ბანდიტი, ბანდიტზე უარესი და...

ნახევრადჩაბნელებულ ქუჩაში დარო წინ-  
წკალაშვილი, მეთერთმეტე საავადმყოფოს უმცრო-  
სი სანიტარი, მოდის და ჩუმი ბუტბუტით წყევლის  
თავისი დედისა და მამის პირველი შეხვედრის  
დღეს, თავის გაჩენას, გაზრდას, რვა კლასის  
დამთავრებას, მუშაობის დაწყებას, შინაბერად  
დარჩენას და განსაკუთრებით საავადმყოფოს მთა-  
ვარ ექიმს, რომლის ლოთობისა და სამსახურში  
დაგვიანებით გამოცხადების გამოც ასე დაავიანა  
მოლარემ ხელფასის გაცემა და რომლის ბრალიცაა  
ახლა ის, რომ დარო, დღისითაც და მზისითაც კი  
შიშით მოკანკალე, ასე გვიან აღმოჩნდა ქუჩაში.

მტკვარზე გადასასვლელი ხიდი მკრთალადაა გა-  
ნათებული. ზარდაცემული, დაფეთებული დარო  
შორიდანვე ამჩნევს მოპირდაპირე მხრიდან მომავა-  
ლი ჯან-ლონით სავსე მამაკაცის ფიგურას, ორივე  
ფეხს რაც შეიძლება გვერდულად ფარჩხავს, იყუნ-  
ცება და ცალთვალდახუჭული ისეთი ბაყაყურით  
აგრძელებს გზას წვალება-წვალებით, თუ კარგად  
არ დააკვირდი, ქალი კი არა, მართლა ხმელეთზე  
მოსიარულე მოზრდილი ბაყაყი გეგონება. შემხ-  
ვედრ მამაკაცს ლამისაა თვალზე ცრემლი ადგება  
ასეთი საბრალო ხეობრის დამხედვარეს, ქალ-ბაყაყ-  
ადან მხერა რატომღაც ცაზე გადააქვს და რაღაც  
არასასიამოვნოსაც ბუტბუტებს სრულიად უდანა-  
შაულო ღმერთის მისამართით.

„ახლა შეიძლება უკნიდან დამეძგეროს და  
პირდაპირ მტკვარში გადამიძახოს, ღმერთო, მიხს-  
ენი, ღმერთო, დამიფარე! — კენესის დარო — დაიქ-  
ცა ამ პერესტროიკის მომგონი, დაიქცა ამ  
დემოკრატიის მომგონი. ქაა, რა ყოფილა ეს  
დემოკრატია, შენ გენაცვალე! სად იყო ჩემს ახალ-  
გაზრდობაში ასეთი რამე, ვისაც მოეპრიანება, ქურ-  
დობს, ვისაც მოეპრიანება, კლავს. გაზეთს გადაშ-  
ლი და ამან მოკლა, იმან მოკლა; რადიოს ჩართავ, —  
იმან მოკლა, ამან მოკლა, ტელევიზორია და ამან  
ამას ყელი გამოლადრა, იმან იმას მუცელი გამო-  
ფატრა. მარტო რაც ჩვენს საავადმყოფოში ყოველ-  
დღე თუ ყოველდამ სახლსა თუ ქუჩაში დაჭრილ-  
დაჩეხილი მოყავთ... ვაიმეე, ღმერთო, დავილაღე,  
რაც მე, შებინდდება თუ არა, ამ ბაყაყურით დავდი-  
ვარ, ერთხელაც იქნება, ველარ გავსწორდები და...  
ნეტა, გაიარა თუ მომდევს? — ორივე თვალგახე-  
ლილი დარო ფრთხილად იხედება უკან. ზორბა მა-  
მაკაცი უკვე ხიდის ყურთანაა მისული, დარო ძლივს  
ახერხებს წელში გასწორებას და ქარივით სწრაფად  
ფარავს ხიდის დარჩენილ ნაწილს.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, იმას კი გადა-  
ვრჩი, ღმერთო, ნუ გააკეთებ, ისეთი ვინმე შემახ-  
ვედრო, ვინც მთელ ცხოვრებას დამილუპავს! გა-  
გიგონიათ, კაცო, ადამიანს ადამიანთან შეხვედრისა  
ემინოდეს?! რატომ არ არის ყველა ჩემნაირი. აბა,  
ჩემნაირი იყოს ყველა, თუ საშიში იქნებოდა ამ ქვეყ-  
ანაზე რამე? გინდა დღისით გველო მერე და გინდა  
ღამით, გინდ ფულიანს და გინდ უფულოს. ბალახ-  
ივით ვარ, უენო, უვნებელი. ჭიანჭველა რა არის,

ჭიანჭველა, იმის ცოდვაც კი არ დამიძია. დიდი რამე იქნებოდა, ყველა ჩემნაირი გაგეჩინა? — შეჩერდა და, ხიდზე მიმავალი კაცისა არ იყო, ცას საყვედურით ახედა დარომ, — მაშინ ხომ შენც უფრო მოსვენებული იქნებოდი და ჩვენცა, ჰა?!“

დაროს საცხოვრებელ კორპუსამდე ოციოდე მეტრიდაა დარჩენილი, ქუჩაც უფრო მეტადაა განათებული, ოდნავ დამშვიდებული ქალი გზას აგრძელებს და უცებ თვალთ უბნელდება: მის წინ ორიოდ ნაბიჯზე, არც მეტი, არც ნაკლები, ორმეტრიანი, ნვერ-ულვაშგაბურძენული მამაკაცი დგას და თავს აქნევს.

— მო-ვი-დეე? — ელდისგან კატასავით კნავის დარო.

მამაკაცი ისევ თავს აქნევს.

— რატომ? უნდა მომკლა?! — სივის ქალი.

მამაკაცს ფეხი უსხლტება და ორივე ხელით ებლაუჭება ხეს.

— ვაი, ჩემი ბედის დამწვარი ვარსკვლავო... — უცრემლო ზუზუნით, მონუსხულივით უახლოვდება ქალი კაცს.

კაცი თავს გვერდზე ატრიალებს და ისე ჩამოჰყურებს ქალს.

— რატო უნდა მომკლა, ზარში წამაგე? — ჩანთას მკერდში იხუტებს დარო.

მამაკაცი ფრუტუნებს და პირს ანკლაპუნებს.

— და მერე ხიდიდან უნდა გადამაგდო?

კაცს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ თავს ვერ აბამს. ცალ ხელს, როგორც იქნა, აცილებს ხეს და ქალის მიმართულებით იშვერს.

— უფრო ახლოს მოვიდე? — ტირის დარო, — ვაი ჩემ დღეს, ფულიც უნდა წამართვა? ახია ჩემზე, რა მინდოდა მეტროთი, — წამოვთრეულიყავი სამარშრუტოთი, ოცდაათი თეთრის ეკონომიას დავეხარბე და... თუმცა გუშინ არ იყო, ნუცას სამარშრუტოში რომ წაართვეს მთელი ჩანთა?

რატომღაც თვალეზგაბრწყინებული კაცი ენერგიულად უქნევს თავს და ლულულულით ინვდის ხელს დაროსკენ.

— და, ფულს რომ წამართმევ, მაინც უნდა მომკლა? — უკვე ხმამაღლა ტირის ქალი.

კაცი ჯერ თვალეზგაბრწყინებული უყურებს, მერე ისევ თავს უქნევს.

— რითი უნდა მომკლა, რევოლვერითა თუ დანითა? ვაი, ჩემო მზეო, დანისა უფრო მეშინია, რევოლვერით მომკალი, შენ გენაცვალე! — და რადგან ჩანთას ხელში ვერ აჭერინებს, გაშლილ მკლავზე ჰკიდებს კაცს. — ივლიანეს ქალიშვილი ვარ ჭოპორტიდანა; შენ შემოგეველე, რო მომკლავ, ბარემ დაუბარე კიდევაც მამაჩემსა, ივლიანე ჰქვია, მონადირე იყო-თქო, ადვილად იპოვნი... აბა, უპატრონოდ ხო არ ვეგდები აქა!

კაცი ისევ ენერგიულად უქნევს თავს და ახლა უკვე მკლავზე ჩანთაჩამოკიდებული ხელითაც ებლაუჭება ხეს.

პოლიციის მანქანა მუხრუჭების ღრჭიალით ჩერდება შორიახლოს, უფროსი ლეიტენანტი, მხარბეჭიანი, მრისხანე გამომეტყველების მამაკაცი ჯერ გამოდებული კარიდან გამოჰყურებს ხესთან მდგომ

საეჭვო ნყვილს, მერე მანქანიდან გადმოდის.

— აი... ეესა... ისა... აი, ამან, — ჯერ მთვარეულივით წრიალებს ადგილზე უმცროსი სანიტარი და სასოებით შესცქერის მისკენ მიმავალ ლეიტენანტს, მერე კი ორივე ხელს ინვდის მისკენ, — მიშველე, კარგო პოლიციელო, მიშველე, გზაზე გამომიხტა, ზარში წაგაგეო, ფული მომეო, ეგე, ჩემი ჩანთა მკლავზე აქვს ჩამოკიდებული. რო მოგკლავ, ხიდიდან გადაგაგდებ მერეო... რევოლვერით მოგკლავ, მამაშენსაც დავუბარებ, ივლიანესაო. კიდეე კარგი, მოხვედი, შენ გენაცვალე, შენს ვაჟკაცობას ვენაცვალე... ვაიმეე, რა ჩემდა ჭირად დამაგვიანდა, ვაიმეე, რა ჩემდა ჭირად შემხვდა!

— დანყნარდით, ქალბატონო, დანყნარდით, უკვე ნულარაფრის გეშინიათ! — ამშვიდებს უფროსი ლეიტენანტი და იარაღშემართული, ცალი ხელით მანქანისაკენ უბიძგებს ქალს, — თქვენ მანქანაში დაბრძანდით, ქალბატონო...

„ვაი, რა ჩემდა ჭირად შემხვდა, ვაი, რა ჩემდა ჭირადა! — მანქანისაკენ რატომღაც ისევ მიბაყაყურობს რატომღაც ისევ ცალთვალდახუჭული დარო, — ეგ ბანდიტი, ეგა... მაგრამ ეხლა რო ბანდიტზე უარესს ვადავეყარე? რასაც ტელევიზორი და რასაც ხალხი ამ პოლიციელების ავკაცობაზე ლაპარაკობს, რასაც გაზეთები მაგათზე წერენ... რატომ მითხრა, მანქანაში ჩაჯექი, ქალბატონოვო... ეხლა, ეტყობა ეგ იმ ყაჩაღისგან ფულს აიღებს და გაუშვებს, ანდაც შეიძლება ჯერ ყასიდად თანაც წამოიყვანოს, მერე კი მე წამიყვანს ამ მანქანითა და... ვაი, ჩემო დღევ და მოსწრებაე, კიდეე რო არ მომკლას, სადღა გამოვყო თავი მერე ამ სიბერეში წამუსახდილმა... არაფერსაც არ ჩავჯდები ამ მანქანაში... ღმერთო, მიშველე და ღმერთო, დამეხმარე, ერთი-ორი მართალი შურნალისტი გამომიგზავნე... კივილი ეხლავე ხო არ დავინყო, რო ხალხმა ძალით ნაჰგლიჯოს ჩემი თავი ამ გათახსირებულ პოლიციელსა? როგორი კურკურით მითხრა „ქალბატონოვო“, როგორ მომიჭირა ხელი, „მანქანაში დაბრძანდით.“ დაგაბრძანებ, გაოხრებულო შენა, კიდეე კარგი, ჩემი კორპუსის ახლოს ვდგავართ, ხალხი გამოვარდება, ხალხი გაარჩევს მტყუნანსაცა და მართალსაცა, სუყველამ იცის, რა პატიოსანიცა ვარ და რა ალალიცა. ეგე, ბედზე ჯიხურის წინა გოგინაანთ ბიჭი, გივი და გივა არა დგანან? ხალხსაც ეხლავე მოჰყრიან აქა და ქვეყანასაც გააგებინებენ“...

— მი-შვე-ლეეეე!

ვაშლი

„ყველაზე ლამაზი ვაშლი ამოარჩია და მე გამომინოდა. როგორ შეუფაკლდა ღანწები, ღმერთო, რა დიდებული, ამაყი და ამავე დროს რა სათნო გამოხედვა აქვს. თითები, თითები ხომ მთლად მაგიყებს, გრძელი, თითქოს ოდნავ შესიებული... ახ, მაგის სავსე მკერდზე დამაკონა! როგორ კისკისებს... გადავირევი... ღარიბი ვარო, რა საყ-

ვარლად დასცინის თავის სიღარიბეს. მეტი რა სიმდიდრე გინდა, გამოცხადებული ღვთაება ხარ, მშვენიერი, როგორც... როგორც... პოეტი მაინც ვიყო, რომ ღირსეული ხოტბა შემეცხა შენი მშვენიერ-სათვის. ეეხ, პოეტი! პოეტი კი არა, ნეტა, უბრალოდ გარეგნობა მაინც მივარგოდეს, რომ იმით მაინც მოვხიბლო. ქონება კი მაქვს, მაგრამ რა თავში იხლის ამ ქონებას, როგორც ცა და დედამიწა, ისე განვსხვავდებით ერთმანეთისგან. გამორიცხულია, რომ შემეყვაროს, სად ის და სად მე. რა განათლებულია, რა საინტერესო რამეებს ყვება. როგორ ერკვევა პოლიტიკაში. ღმერთო, რას ნიშნავს სული — მდიდარი სული! ამ ვაშლს როგორ შეეჭამ. შეეჭამ კი არა, მთელი სიცოცხლე შევიწინახავ. ბიოლოგს უნდა ვკითხო, ვინმეს, რა მოვუხერხო, რომ კი არ დაღუპეს, უბრალოდ დაჭენეს. მაშინ მართლა მთელი სიცოცხლე შეინახება... მღერის, ღმერთო, რა კისერი აქვს, მთვარესავით სავსე. ნეტა სწორი შედარება გამომივიდა? მთვარეს ხომ საერთოდ არა აქვს კისერი, მაგრამ რა მენაღვლება. როგორ მოიღერა ყელი, რა ხმა აქვს — სირინოზივით! მოხიბლავს კი არა, გადარევს კაცს. არა, არა, სად ის, სად მე... ალბათ უამრავს უყვარს, ბედნიერნი! ვინ იცის, რამდენია მათ შორის ლამაზი, ახოვანი, ღირსეული, ყველა სიკეთით შემკული. მე კი, მე ვინ ვარ, ალბათ უბრალოდ, დაუფიქრებლად გამომიწოდა ეს ვაშლიც... მორჩა ჩემი წყნარი, უზრუნველი ცხოვრება. დღეიდან ამ ანგელოზის მონა ვარ. შემეყვარებს თუ არ შემეყვარებს — ჩრდილივით უნდა ვდიო, ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ თავი შევაცვარო. ვინ იცის, ქვეყანაზე რა არ ხდება... ო, იზა, იზა, რა მადლობელი ვარ შენი, რომ ამ სუფრაზე მომიპატიჟე, რა მადლობელი! თანაც როგორი უარი გტკიცე... კიდევ კარგი, არ მომეშვი, კიდევ კარგი, ყველაფერი გააკეთე იმისათვის, რომ აქ მოგეყვანე. ან კი როგორ მეპარებოდა შენს კეთილგანწყობაში ეჭვი, მაპატიე, მეგობარო, მთელი სიცოცხლე შენი მადლობელი ვიქნები, თუნდაც მარტო ამ დღისათვის! ახ, წარმოდგენაც კი არ შემძლია, რა ბედნიერი ვიქნები, სასწაული რომ მოხდეს და ეგ ჩემი ცოლი გახდეს... ოხ, ღმერთო, ღმერთო, ძვირფასო, საყვარელო! რა მოხდება, რომ... სახელიც რა ლამაზი ჰქვია, აქამდე კი არ მიმიქცევია ყურადღება. პირიქით, ულამაზო სახელიც კი მეგონა. არა და ახლა ვგიჟდები, ისე მომწონს. — ლულუ! ახლა გვარი! მშვენიერი ჟღერადობა აქვს ორივეს ერთად — ლულუ ბალანაშვილი...

ლულუ, ლულუ, მიყვარხარ! ერთი ნახვით შემეყვარდი უკვე და თუ ცოლობაზე უარს მეტყვი, თავს არ ვიცოცხლებ, იცოდე, არ ვიცოცხლებ, იმიტომ, რომ ვიცი, ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთი იქნება უშენოდ!”

\* \* \*

„დამლუბა, ადამივით, ვაშლმა! ხუთი წელი გავიდა უკვე! იმ წუთასვე როგორ ვერ მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე. ჭარხალივით გაუნითლდა გაფიჭვინებული ლოყები: „მიირთვით, ძალიან გემ-

რიელია!“ ძალიან, ძალიან რომ მეტი არ იქნება“... ოხ, იზა, იზა, შე გველო!... ჰმ, თითები! სოსისივით თითებმა მაინც როგორ ვერ მიმახვედრეს... მტაცებელივით ფრჩხილებმა მაინც როგორ ვერ დამანახეს, ვისთან მქონდა საქმე. ეს თიმთიმა მკერდიც ნიკაპიდან ეწყებოდა მაშინვე... საზიზღარი სიცილი, — ვითომ კისკისი, მაგისი ჭკუით.

გემოვნება კი ჰქონია, ქალბატონს, — პრესტიჟული უბანი, თანამდებობა და ფულით სავსე ტომარა!

გოჭს რომ თავსაფარი წააკრა, ასეთი სახე ექნება ზუსტად. იმთავითვე ბუსავით მედიდურად იყურებოდა, მე კიდევ, საწყალი, — „რა დიდებული გამოხედვა აქვს, რა ამაყი და ამავე დროს სათნო“... ჰმ, „განათლებული!“ — რომ ვუთხრა, დღეს ვახტანგ გორგასალის გასვენებაა-მეთქი“, შეიცხადებს, — უი, ახალგაზრდა იყო?

მოსამსახურე არ ამყავდა ისე, წესიერად თუ არ გავიგებდი, ზედმინევენით თუ არ გამოვიკითხავდი მის ამბავს. ამაზე რამ ამატროკა ასე. ოხ, იზა, იზა, მე შენი... მართლა ლულუა ამის... ახლა გვარი? მაგის ბენვიც და მაგის ბალანიც! მთელი დღე ჭამის და მობილურზე ლაქლაქის მეტს არ აკეთებს არაფერს, მერე უკვირს კასრივით რომაა, — რა გინდა, ბატონო, პურს ხომ არ ვატანო, გეგონება, ღორს ცალ ფეხში ყველი ეჭიროს, მეორეთი პურს მიირთმევდეს და იმიტომ სუქდებადეს. ათ კილო სანოვავეს რომ დანთქავ ერთდროულად, გინდა მიგიყოლებია მერე კიდევ პური და გინდა არა. ეს ბავშვები არ მეცოდებოდეს! ო, ღმერთო, ღმერთო, რა ბედნიერი ვყოფილვარ თურმე, სანამ ამას გავიცნობდი... თავისუფლება დამაკარგვინა, სიმდიდრე დამაკარგვინა, სამსახური დამაკარგვინა, სასახლესავით ბინა დამაკარგვინა, ახლა კიდევ, — ამერიკაში წავიდეთ საცხოვრებლად, თორემ გაგეყრებო. წავალ, — სამშობლოს დაგვკარგავ, არ წავალ, — შვილებს.

ღმერთო, ღმერთო, რატომ გამიმეტე ასე, შენ ხომ იცოდი, იზას რაც ედო გულში, როცა თავგადაკლული მეპატიჟებოდა თავისთან. შენ ხომ იცოდი, რაც მოჰყვებოდა ჩვენს შეხვედრას. რატომ არ მომამტვრიე ფეხი, რომელიც იზასკენ გადავდგი, რატომ არ მომამტვრიე ხელი, რომელიც ვაშლისთვის გავინოდე!

ო, იზა, იზა, შე გველო, როგორ წააქეზე? — ახლავე შეაჭამე, გოგო, ახლავე, ხომ ხედავ არ ჭამსო?“ არ შემეჭამა მაინც, იქნებ გადავრჩენილიყავი.

ოხ, ადამ, ადამ, რალა ზუსტად შენაირად, რალა მეც ვაშლით... ვინ ვინ და შენ მაინც არ უნდა გამხსენებოდი, როცა ვაშლი პირისკენ გავაქანე? რა რა და შენი დაკარგული სამოთხე არ უნდა გამხსენებოდა, ადამ?!”





ვერონიკა  
გამყარაძე

ღეჟსები

\*\*\*

რა ვქნა ლოდინი თუ მეძნელება,  
მთები სიბნელით იყო მკერდასვე...  
ჩამოიმარცვლა სევდა თვეებად,  
მერე თვალებში უცებ შესახლდნენ...  
ო,რა უძილო იყო ჟამიც და,  
სიჩუმემ ქალაქს ღამე უთია.  
მე კი სიზმრებთან ფეხი დამიცდა,  
ღამეც დანებდა ძილს ამ ნუთია...  
ვისინჯავ ისევ ნაცვამ განწყობებს,  
ცხოვრებასავით იმედს ვსესხულობ,  
უმჯობესია იქნებ დავშორდეთ,  
რომ მერე წლებთან ერთად გესტუმრო.  
ზეცა ქალივით მალავს ნაოჭებს,  
სახეზე სისხამს სევდის ფერი აქვს...  
ვეძლევი ლოდინს რომ არ წამომცდეს,  
ეს დღე რომ სადღაც შემიმჩნევია.  
ახლა სიცოცხლეს ნუ დამანებებთ,  
სიმთვრალე მედგა ნუხელ თავდებად,  
დღეს კი სიზმრებად უნდა გავთენდე,  
თორემ უძილოდ ეს დღეც მთავრდება.  
ახლა ლოდინი უნდა გესესხო,

ჯერ კიდევ, სანამ არ არის გვიან,  
რომ თქვან ტკივილი წერდა ლექსებსო,  
მაგრამ ამ ტკივილს დღეს სხვისი ჰქვია.  
ღამე პირთამდე როცა ავივსე,  
ავგისტომ შვიდი შემოაცილა,  
თვეში ჩამდგარან მთები აისზე,  
და ეს დღეც იშვა ღამის ნაწილად.

\*\*\*

მწერ, რომ წლებივით დაიგვიანე  
და ჩემში ნუთის ხმაურს მოჰყევი  
და რომ გჯეროდა, უკვე ინანე,  
ჩაბარდა წარსულს ანმყო—მონყენით  
წამები საათს რჩება ნაოჭად  
შენ სიყვარული ლექსში დაღაღე,  
მე რომ მიყვარხარ, ასე საოცრად,  
ვერ ეყვარები მჯერა სხვა ქალებს...  
მაკმარე შენი ლექსი სასჯელად,  
შეინდე სიტყვა, როცა მოხაზავ,  
გებრალეობდეს შენი მარჯვენა,  
ნუ დაუხოცავ ანბანს ოჯახსაც...  
ენებას ჩამოთლის ჰანგებად ასო,  
ვეძლევი ლექსებს, როგორც სარეცელს...  
და მონატრება დაეძებს ნაცნობს,  
რომ სამუდამოდ ლოდინს გაექცეს...  
აღარ მომწერო რომ შენ მოტყუვდი,  
წლებმა სიცოცხლე შემოგაჩვია...  
წელში მოხრილა წამი—მოხუცი,  
ტანზე ჭაღარა წლები აცვია...  
აღარ მომწერო, რომ დაგვიანდა,  
რომ შერჩა გრძნობა შესანდობარებს...  
ნუთები—ცრემლი ადამიანთა,  
მარადისობის თვალებს მოპარეს...

\*\*\*

ჩამოიცალა ჩემში სტრიქონი  
და აღარ დარჩა სიტყვა სათქმელად...  
ბოლოს სიმორე შვებად ვიშოვე—  
ბოლოს სიცოცხლე ლექსად დამრჩება.  
ახლა კი მინდა გავექცე ანმყოს,  
წარსული მექცეს ღამის სახატედ.  
ახლა მე მხოლოდ სიკვდილი მანყობს,  
რაც მანუხებდა თურმე აქამდე.  
შენ კი არვიცი, ვის ან რას ელი,  
ან კი არსებობ, ღმერთო, საერთოდ...  
ნუ დაგზარდება გამოკრა ხელი,  
რომ ტრაგედიით ერთად გავერთოთ.  
დამტოვე, როგორც დედამ დამტოვა,  
მაშინ, როდესაც დღეებად მშობა.  
მე დაგრჩე უნდა დარდთან გაცნობად.  
გარდაიცვალოს ჩვენი ბავშვობაც.  
მიდი, გამოჰკარ ხელი მაგ ჩახმახს!  
წვიმა ტყვიებად ჩამოიცალა...  
დღეს ვერ განკურნა ტკივილი ნახვამ,  
ეს დღეც ტკივილით გარდაიცვალა.

როცა დამტოვებს ჟამი უშენოდ,  
ტყვია ცრემლივით გამოიმეტე,  
ახლა კი სიკვდილს უნდა ვუშველო,  
ჩემში რომ კლავდა ბოლო იმედებს.

\*\*\*

მომბეზრდა თითქოს ღამეც, ხმაურიც  
და უფერული დღის შეფრთხილებაც...  
გადაიღალა ჩემში ქალური  
ეჭვიც, სინდისიც, თავმონონებაც...  
იქნებ არა ვარ ის, ვინც დამბადეთ,  
ვისაც ელოდით იქნებ ის მოკვდა...  
ჩემში წვიმებიც ალაპარაკდნენ,  
ალაპარაკდა ქარიშხლის მოდგმაც...  
ეჰ, ჟამს უთქმელი ანუხებს ეჭვი,  
ჩემში კი დედა ჯერ ვერ შობილა...  
რა ვქნა, როდესაც ცრემლები მეწვის,  
ცრემლი, რაც დამყვა თურმე მშობლიდან...  
თურმე სევდასაც მოვებზრებივარ,  
თავი მობეზრდათ თურმე ტკივილებს...  
წვიმები იქნებ რითმის თმებია  
და მხოლოდ წვიმა თუ დამიტირებს...

\*\*\*

თავს წამომადგა ძილი და თურმე,  
მიეზიდება ფიქრებს ქურდულად,  
და ერთხელ კიდევ სიზმრით მაცდუნებს,  
გაიჭრიალა ღამის ურდულმაც.  
დღეს ყველაფერი სიკვდილს თამაშობს,  
და ყველგან შენი მოჩანს ხატება...  
წერს მონატრება წერილს საბავშვოს,  
ის კი ტკივილით დაიფატრება.  
ახლა ფიქრებთან ღამეებს ვათევ,  
და მოგონება ჩამოვიჟამე...  
მერე ტკივილი რჩება ბარათებს  
და ეხიზნება ლექსის ნიჟარებს.  
მე კი აქ სულ სხვა წუხილი მწერდა,  
წუხილი, რაც დღეს უკვე ვიშვილე...  
შენ დაგედევნე ლექსებშიც დედა  
და შენი სულის ვკრეფდი სიმშვიდეს...  
მერე ცრემლებიც მიდის უკვალოდ  
და მერე ცრემლებს გულზე მაკლავენ...  
შემინდე წრფელი ცოდვა უფალო,  
გარეთ ჩემს ნაცვლად წვიმა ქაქანებს.  
უნდა გათენდეს და მერე სისხამს,  
მხრებზე მოასხამს ნაციებ ქუჩებს...  
და თითქოს გული დარდებმა იხსნა,  
დედი შენც დარდად გიხილე უცებ...

\*\*\*

გემშვიდობები, მაგრამ აღარ მსურს,  
წასვლის წინ გითხრა ისევ ნახვამდის...  
ღამე ეძებდა თითქოს დასასრულს,  
მე კი დილამდე ძილს ვინახავდი.


მოხვალ და ისევ ჩუმიდ მეწვევი,  
და მონატრებაც უცებ გაცდებდა.  
ზამთარს დაცვივდა თოვლის ბენვები...  
მერე ლოდინიც მოვა საცდელად,  
ქარს თურმე მთებში გზა აბნევიდა,  
ჩამოუვარდა მთვარე კალთიდან.  
ქალაქს კი ნისლის სველ ნაბდებიანს,  
იმ ღამით ისევ თავზე აწვიმდა.  
წვიმა ქუჩების მრავალწერტილი,  
ვერ ეგუება ამინდის ესკიზს...  
და მოსროლილი ჩემი ბედივით,  
საკუთარ სხეულს გაურბის ლექსი.  
მთვრალი გულივით დღეც ნაბარბაცდა,  
წამით წამებმაც თვალი მილულეს...  
მე კი ამავსო ბოლომდის განცდამ  
და ვემსგავსები ცოდვის სილუეტს.  
აქ შესწყვეტია რითმს მაჯისცემა  
და ეს სტრიქონიც აქ წაიჩოქებს...  
წუხელ სიზმარი ვიგულე ჩემად,  
გამოქცეული ძილს და სიცოცხლეს.

\*\*\*

ასფალტზე მთვარე ზენრად ეფინა,  
იქნებ სურვილი ქონდა ამგვარი.  
გულს კი სიცოცხლე ვერ მოეთმინა...  
და დღეც დასრულდა, როგორც ამბავი.  
დედური სითბო მოგლიჯეს ნაღველს,  
დღეც ახლობელი იყო შვილივით...  
ნეტა ტკივილებს გავუძლო რამდენს,  
მობეზრებიათ ცრემლებს ტირილი  
წუთუ შესძლებდა ღამეს დაეთმო,  
დღე, როგორც მისი ბოლო მიჯნური  
არ ვშობილიყავ ნეტა საერთოდ  
კვდებოდა ღამე ნაცნობ სიჩუმით.  
აქ უთქმელობა ხველამ ჩაახშო,  
სათქმელსაც ჭლები შემოჩვევია...  
სიცოცხლეს, როგორც ბანქოს ვთამაშობ,  
ესეც დასრულდა, ბოლო ხელია.  
ინიციალი ეწერა საფლავს,  
სიკვდილმაც თითქოს თავი დაიხრჩო...  
ბარათში ცრემლებს ტკივილით ვნათლავ,  
და პაემანი მინდა დავნიშნო.  
და ბარათივით ღამემ დახია...  
ეს წამი, რადგან უკვე სხვისია...  
ვიცი ცხოვრებამ არ მაპატია,  
ჩემში მოკლული დედის მისია...

\*\*\*

ისევ შენ გეძებ, ვებრძვი მოლოდინს,  
სხვა ყველა განცდა თითქოს მომიკლეს...  
ვერ შეგიყვარე მაინც ბოლომდე,  
და სიკვდილამდე მრჩება ორი დღე.  
ვით ღვინოს ლოთი შემოგეჩვიე,  
თითქოს ვნებების ზღვაში დავცურავ...  
ისევ მოვისმენ ჟამის რეჟივებს,  
სიკვდილს რომ ხვდება ბოლოს კაცურად.



ხარუცი  
პურსაძე

მეშვიდე

- იმ ტალღამ, ერთი ოქტომბრის შუადღისას, მეც კინალამ ჩამითრია. მაშინ ათი წლისა ვიყავი... - ხმადაბლა დაიწყო თავისი ამბის მოყოლა მეშვიდე მთხრობელმა.

ამ ღამით, ის უკანასკნელი იყო, ვინც თავის ამბავს ყვებოდა. საათის ისრები თერთმეტს მიახლოვებოდა. ოთახში წრიულად ჩამომსხდარ მსმენელებს ღამის გაუვალი სიბნელიდან მოვარდნილი ქარი აშფოთებდათ. ქარი ხეთა ფოთლებს აშრიალედა და ფანჯრის მინებსაც კარგა ხანს აზანზარებდა. შემდეგ კი, უცებ, ჩუმად დაუსტვინა და სადღაც გადაიხვეწა.

- ... განსაკუთრებული, ჯერ არნახული ტალღა იყო, - განაგრძო მეშვიდე - მეც კინალამ ჩამითრია. ჩემს ნაცვლად კი ძალიან მნიშვნელოვანი რამ გადაყლაპა და იმქვეყანას წაიღო; ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მის დაბრუნებას მრავალი წელი დაჭირდა, ფასდაუდებელი და აუნაზღაურებელი მრავალი წელი...

მეშვიდე ორმოცდათხუთმეტით ნლის იქნებოდა. გამხდარი, ტანმაღალი კაცი იყო, უღვაშებს ატარებდა, თვალები კი დანის პირივით ვიწრო ქონდა. მარჯვენა თვალთან ღრმა ნაჭრილობები უჩანდა. მოკლედ შეჭრილ თმაში ალაგ-ალაგ ვერცხლი გამორეოდა. სახეზე ისეთი გამომეტყველება დასთამამებდა, როგორც ადამიანებს, სიჩუმეს პირველები არასოდეს რომ არ არღვევენ ხოლმე და

ეს გამომეტყველება ისე შესისხლბორცებოდა, თითქოს მრავალი წლის მანძილზე ამით სუნთქავდა. დროდადრო, ნაცრისფერი ტვიდის პიჯაკის ქვეშ უბრალო პერანგის საყელოს ისწორებდა.

რა ერქვა ან რას საქმიანობდა არავინ იცოდა. ყველა ჩუმად იჯდა და თხრობის გაგრძელებას ელოდა. მეშვიდემ ჩაახველა და გარსშემოხვეული სიჩუმე შემდეგი სიტყვებით გაარღვია:

- ჩემს შემთხვევაში ეს ტალღა აღმოჩნდა... არ ვიცი თქვენთან რა სახით მოვა, მაგრამ ჩემთან, ერთ ბედნავს დღეს, სწორედ გიგანტური და საბედისწერო ტალღის სახით მოვიდა.

- N პრეფექტურის ზღვისპირა ქალაქში ვიზრდებოდი. პატარა ქალაქია, მისი სახელი არაფერს გეტყვით. მამა ექიმი მყავდა, ბევრს შრომობდა და ბავშვობაში გაჭირვება არ გამომიცდია. რაც თავი მახსოვს, მხოლოდ ერთი კარგი მეგობარი მყავდა, სახელად „კ“ ერქვა, მეზობლად ცხოვრობდა და ერთი კლასით უკან სწავლობდა. სკოლაში ერთად დავდიოდით, ეზოშიც ერთად, ძმებივით ვთამაშობდით და მრავალწლიანი მეგობრობის მანძილზე, ერთხელაც არ გვიჩხუბია. ისე ნამდვილი ძმაც მყავდა, მაგრამ ექვსი წლით ჩემზე უფროსი იყო, ხასიათიც განსხვავებული გამოგვეყვა და საერთო ენას ვერასოდეს ვპოულობდით. ჩემი მეგობარი ძმაზე მეტად მიყვარდა.

„კ“ გამხდარი, ფერმკრთალი ბავშვი იყო, გოგონასავით ღამაზი სახე ქონდა. ენაბლუ გახლდათ და თანატოლებთან ურთიერთობა უჭირდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა თითქოს მხოლოდ სიტყვა კი არა, გონებაც ენაბლუ ქონდა. ფიზიკურად სუსტი იყო და სკოლაში, თამაშის დროს, სულ მისი დაცვა მიხდებოდა. მე კი, პირიქით, ძლიერი ვიყავი, სპორტი მიყვარდა და თვალი სულ პირველობისკენ მეჭირა. ყველაზე მეტად „კ“-ს კეთილი გული მიზიდავდა. გონებაზე ზღუდული არასოდეს ყოფილა, მაგრამ ენა არ უჭრიდა, წარმატებას ვერ აღწევდა და სკოლის პროგრამას ძლივს ეწეოდა. სამაგიეროდ, რა შესანიშნავად ხატავდა! მისი ფანქარი ან, თუ გნებავთ, ფუნჯიც ისეთ ცოცხალ ნახატებს ქმნიდა, მასწავლებლებსაც კი ხიბლავდა. სხვადასხვა კონკურსის ლაურეატი და გამარჯვებულიც არაერთხელ გამხდარა. უკვე ჩანდა, რომ დროთა განმავლობაში დიდი მხატვარი გამოიზრდებოდა. ყველაზე მეტად პეიზაჟი უყვარდა. სანაპიროზე მიდიოდა და ზღვის სივრცეებს ნატურიდან დაუღალავად ხატავდა. მუდამ გვერდით ვეჯექი და მისი ფანქრის ზუსტ და სწრაფ მოძრაობას თვალს ვადევნებდი. გაოცებული და აღტაცებული ვრჩებოდი სუფთა ფურცელზე ფორმებსა და ფერებს რა ელვის სისწრაფით აცოცხლებდა. ძალიან ნიჭიერი იყო!

და აი, ერთხელაც, სექტემბერში, ჩვენს მხარეს თავს უძლიერესი ტაიფუნი დაატყდა. რადიოს ცნობით ეს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ყველაზე ძლიერი ტაიფუნი იყო. მოსწავლეები მაშინვე დაითხოვეს, მაღაზიებმა ჟალუზები მჭიდროდ დახურეს და ყველა სტიქიის შესახვედრად მოემზადა. მამამ და უფროსმა ძმამ ხელი ლურსმნებსა და ჩაქუჩს წამოავლეს და დილიდანვე

დარაბების აჭედვა დაინყეს. დედა ბრინჯის ხმადს გამალებით ამზადებდა, დოქებს კი წყლით ავსებდა. შემდეგ ზურგჩანთებში ყველაზე ფასეული ნივთები ჩალავდა, იმ შემთხვევისთვის თუკი თავის გადარჩენა დაგვჭირდებოდა. უფროსებს ყოველწლიური ტაიფუნის ხიფათით სავესე უსიამოვნებად მიაჩნდათ, ჩვენ კი, ბავშვები, ვინც კონკრეტული რეალობისაგან ძალიან შორს ვიდექით, ამას სულსშემძვრელ, გრანდიოზულ მოვლენად აღვიქვამდით.

ნასადილევს ზეცამ ფერი სწრაფად იცვალა და პალიტრის ირეალური ტონები გადაიკრა. სანამ ქარი არ ამოვარდა, სანამ სახლის სახურავზე წვიმის წვეთების უცნაური, ქვიშის შრიალის მსგავსი, კაკუნის ხმა არ გაისმა, ვერანდაზე ვიდექი და ღრუბლებს დაჟინებით ვაკვირდებოდი. შემდეგ დარაბები ჩაიხურა და სახლი ბინდში ჩაიძირა. ოჯახი ერთ ოთახში შემოიკრიბა და რადიოს ცნობებს ყურადღებით უსმენდა. ნალექი ბევრი არ მოსულა, უმეტესი ზარალი ძლიერ ქარს მოჰქონდა, რომელიც სახლებს სახურავებს აგლეჯდა და რამდენიმე პატარა გემიც კი გადააბრუნა. დროდადრო სახლის კედლებს რალაც მძიმე საგნები ეხლებოდა. მამის ვარაუდით ეს მეზობელი სახურავების კრამიტები უნდა ყოფილიყო. ჩვენ დედის მომზადებულ ბრინჯის ხმადს შევექცეოდით, რადიო-ცნობებს ვუსმენდით და სტიქიის ჩანყნარებას მოთმინებით ველოდებოდით.

ის კი, არა და არ ცხრებოდა. ახალი ამბებით გვაცნობეს, ტაიფუნმა C პრეფექტურის აღმოსავლეთით ძირს დაინია, სისწრაფე მკვეთრად შეამცირა და ახლა დინჯად, თითქოს სეირნობით, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მოინეწვსო. ქარი კი არ ისვენებდა, ისევ ბობოქრობდა და გზად შემხვედრი ნივთების ქვეყნის დასალიერს გადახვეწას ცდილობდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ქარის ამოვარდნიდან უკვე მთელი საათი გავიდა და უცებ შევამჩნიე, რომ ირგვლივ საოცარი სიჩუმე ჩამონვა. ჩქამიც კი არსად ისმოდა... ისეთი ყოვლისმომცველი სიჩუმე გამეფდა, სადღაც შორს აკივლებული ჩიტის ხმაც კი გავიგონეთ. მამამ ერთი დარაბა დინჯად გამოალო და ღრიჭოდან ქუჩაში გაიხედა. ქარი ჩადგა და წვიმამაც გადაილო. ცა მძიმე, ტყვიისფერ ღრუბლებს დაეფარა, მათ შორის კი, დროდადრო, მძიმე წვეთები ცვივოდა.

„ახლა სწორედ ტაიფუნის შუაგულში ვართ, თხუთმეტი-ოცი წუთით ჩანყნარდება, შემდეგ ისევ ამოვარდება,“ – აგვიხსნა მამამ.

გარეთ თუ შეიძლება გავიდე-მეთქი, შევეკითხე. შეიძლება, ოღონდ შორს არ წახვიდე, როგორც კი ქარი დაუბერავს, მაშინვე უკან დაბრუნდიო, მიპასუხა. ქუჩაში გამოვედი და ირგვლივ მიმოვიხედე. ვერც კი დაიჯერებდი, რომ სულ ახლახან აქ ქარიშხალი დაქროდა. ცას ავხედე, ტაიფუნის “თვალი”, რომელიც ცივად და აგდებულად გადმოგვცქეროდა, სწორედ ჩემს თავს ზემოთ ეკიდა. რა თქმა უნდა, არავითარი თვალი არ არსებობდა. უბრალოდ ირგვლივ სწორედ ის სიჩუმე გვეკრა, რომელიც ატმოსფერული მორევის ცენტრში ყოველთვის იქმნება.

სანამ უფროსები სახლს ათვალეიერებდნენ და

ტაიფუნით მოყენებულ შესაძლო ზარალს იკვლევდნენ, ზღვის სანაპიროზე ჩასვლა გადავწყვიტე. გზა მეზობელთა ბალებიდან გადმოყრილი დამტვრეული ტოტებით გადავსებულყო. დროდადრო ისეთი მძიმე ტოტებიც მხვდებოდა, მარტოდმარტო მოზრდილი ადამიანიც რომ ვერ აწევდა. მთელი გზა კრამიტის ნამსხვრევებს მოეფინა. მოშორებით მინებჩამსხვრეული მანქანა იდგა. ძაღლის გადაბრუნებული ბუდრუგანაც კი ეგდო. ეს ყოველივე ზეციდან გარდმოსული დაუნდობელი ხელით გადაჯეგულ მინდორს დამსგავსებოდა.

„კ“-მ დამინახა ბილიკს როგორ მიეუყვებოდი, სახლიდან თავადაც გამოვიდა და საით გაგინევიო, მკითხა. ზღვისკენ-მეთქი, ვუპასუხე და ისიც უხმოდ გამომყვა. პატარა, თეთრი ძაღლიც გამოგვეკიდა; ის თეთრი ძაღლი „კ“-ს სახლში რომ ცხოვრობდა. „როგორც კი ქარი ამოვარდება, მაშინვე უნდა დავბრუნდეთ,“ – ვუთხარი და „კ“-მ თავი უხმოდ დამიქნა.

ზღვა სახლიდან ორასიოდ მეტრის დაშორებით იწყებოდა. კიბით ჯებირზე ავედით და პირდაპირ სანაპიროზე აღმოვჩნდით. ჩვენ ხომ აქ ყოველდღე სათამაშოდ დავდიოდით და ზღვას საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობდით. მაგრამ ტაიფუნის ცენტრში ყოველივე სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ზღვის შეფერილობა, ზღვის საღებავები, ტალღათა ხმაური, პანორამის სივრცე – ყველაფერი განსხვავებული მეჩვენა. ცოტა ხანს ჯებირზე ვისხედით და აქეთ-იქით მდუმარედ ვიყურებოდით. უცნაურია, მაგრად საოცრად დინჯი ტალღები მოგორავდა, თუმცა ტაიფუნის შუაგულში ვიყავით. უკანაც ჩვეულებრივზე დინჯად იხედა. ჩვენს თვალსაწიერში უკიდევანო, თეთრი ქვიშის სანაპირო განოლილიყო. ასე ღრმად ზღვა უკან არასოდეს დანეულა, და სანაპიროც უხერხულობამდე დაცლილი მეჩვენა. ასე გამოიყურება ოთახი, როცა იქიდან მთელ ავეჯს გამოიტანენ ხოლმე. ზღვით გამოიყვლილი საგნები სანაპიროს სარტყელად ეკვროდა. ჯებირიდან ჩამოვედი და ნაპირს მივაშურე – გამოიყვლილი საგნებს ვათვალეიერებდი. პლასტმასის სათამაშო, სანდლები, ავეჯის ნამტვრევები, ტანსაცმელი, უცნაური ქილა, გაუგებარ, უცხო ენაზე შექმნილი წარწერით დამშვენებული ხის კოლოფი და სხვა, უამრავი უცნობი ნივთი აქეთ-იქით მიმოფანტულიყო. მთელი სანაპირო ამგვარ ნივთებს ისე დაეხუნძლა, როგორც სავაჭრო ქუჩას ააჭრელებს ხოლმე ტკბილეულის დუქნები. როგორც ჩანს, ტაიფუნის ტალღებმა ეს ყველაფერი შორიდან მოზიდა. საინტერესო საგნებს ხელში ვიღებდი და ყურადღებით ვათვალეიერებდი. „კ“-ს ძაღლი კუდში დაგვსდევდა და რასაც ხელს მოვიკიდებდით, ისიც სუნავდა.

სულ ხუთიოდე წუთი დავრჩით, ჰო, ხუთიოდე წუთი და როცა თავი ავნიე, ტალღა უკვე გვეპარებოდა. უხმაუროდ შემოგვეპარა, ენა ჩუმად გამოყო და თითქმის ფეხები მოგვილოკა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე სწრაფად და თანაც ასე უხმაუროდ შეეძლო მოსულიყო. მე ხომ ზღვისპირეთში გავიზარდე და ბავშვის კვალობაზე ზღვის ხიფათია-

ნობა კარგად ვიცოდი. მშვენივრად მომეხსენებოდა დროდადრო რა მოულოდნელი განრისხება იცოდა. შესაბამისად ფრთხილად ვიქცევოდი და თავიც შორს გვეჭირა. მაგრამ ახლა მოშორებით ვიდექით და აქამდე ვერ მოაღწევს-მეთქი, მეგონა. მიუხედავად ამისა, ერთი ტალღა ჩუმად წამოგვეპარა, ჩემს ფეხებთან რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით გაჩერდა და ასევე უხმოდ მიიმალა. მეტი აღარც გამოჩენილა. ის კი, ახლახან რომ მოგორდა, სახიფათო სულაც არ ჩანდა. ჩვეულებრივი, მშვიდობიანი ტალღა იყო, ასეთს ნებისმიერ ქვიშიან ნაპირზე იხილავთ. მიუხედავად ამისა, რალაც იდუმალი განწირულობის შეგრძნება დამეუფლა და ზურგზე ჭიანჭველებმა ისე დამირბინა, თითქოს ხელით უხსენებელს ვეხებოდი. ეს უსაფუძვლო და ამასთანავე ყოვლისმომცველი შიში იყო და მე მას მთელი არსებით ვგრძნობდი. ცოცხალია! ტალღა ცოცხალია! მიხვდა, რომ აქა ვარ და ახლა ჩემი დატყვევება უნდა! სტეპში ჩამალულ ვეებერთელა ცხოველს გავდა უკვე რომ გრძნობდა თავისი ეშვებით როგორ დამგლეჯდა. „უნდა გავიქცე“, გამიელვა თავში!

„ჩქარა გავიქცეთ“, გავძახე „კ“-ს. ის კი ჩემ-გან ათიოდე მეტრის მოშორებით ჩაცუცქულიყო და რალაცას ყურადღებით ათვალეირებდა. მეგონა ხმამალლა ვყვიროდი, მას კი არაფერი ესმოდა. იქნებ ნაპოვნმა დააინტერესა ან ჩემი ხმა არ გაუგონია. ასეთი რამ ემართებოდა ხოლმე, რალაც გაიტაცებდა და ველარაფერს გააგონებდა. ან იქნებ მე ვერ ვიყვირე ისე ხმამალლა, როგორც მეგონა. მეც მემართებოდა ხოლმე. ხანდახან სხვისი ხმით ვყვიროდი.

მაშინ ჩემს ყურს ღრიალი მისწვდა. თანაც ისეთი, დედამინა რომ შეაზანზარა. თუმცა არა, თავდაპირველად უცნაური ბუყბუყი გაისმა, თითქოს წყლის ძლიერი ჭავლი დედამინიდან ამოხეთქვას ცდილობდა. ერთი წამიც და ეს ბუყბუყი ჯერ არსმენილ ღრიალში გადაიზარდა. „კ“-ს კი თავი მაინც არ აუნწევია. რალაც საგანს ისევე ყურადღებით ათვალეირებდა. ნუთუ ღრიალი არ ესმოდა? ნუთუ ძლიერი ხმა, მინისძვრას რომ ემსგავსებოდა, მხოლოდ ჩემს ყურს წვდებოდა? არ ვიცი, ახლაც ვერ გამიგია. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ განსაკუთრებული ბგერაც იყო და მისი გაგონება მხოლოდ მე შემეძლო?! ამის დასტური პატარა ძაღლიცაა ყური რომ არ გაუპარტყუნებია. არადა ძაღლი ხომ ბგერებს ძალიან მძაფრად შეიგრძნობს!

„კ“-სკენ გაქცევა დავაპირე. თავში ერთი აზრილა მიტრიალებდა: „ხელი უნდა ვტაცო, უნდა გავიქცეთ“. სხვა რა გზა მქონდა. მე ხომ ვიცოდი, რომ ახლა ტალღა მოასკდებოდა; „კ“-ს არ ესმოდა, თორემ მე ვიცოდი! და უცებ შევნიშნე, რომ ფეხები სულ სხვა მხარეს მიმაქანებდა. ჯებირისაკენ მართო გავრბოდი. ჯერ არნახული და არგანციდილი შიში მერეკებოდა. ხმაც შიშმა ჩამინყვიტა და ფეხებსაც თავად მართავდა. ჯებირამდე კისრისტეხით მივირბინე და მხოლოდ იქიდან დავუყვირე: „მოერიდე, ტალღა მოდის!“ და ამჯერად ხმა დამემორჩილა! ღრიალიც ჩაცხრა და როგორც იქნა „კ“-მ ჩემი ყვირილი გაიგონა, თავიც ასწია, მაგრამ... დაავიანა. სწორედ ამ დროს გიგანტური ტალღა გველივით შეი-

მართა და სანაპიროს თავს დაესხა. ასეთი სანაპირო ტალღა ჩემს ცხოვრებაში არ მენახა. სამსართულიანი სახლივით მაღალი იყო. თითქმის უხმაურად /ყოველ შემთხვევაში მე არაფერი მესმოდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე მეკრა/ ტალღა „კ“-ს თავზე წამოიმართა და ზეცა გადაფარა. „კ“ კი ისევე ვერაფერს ხვდებოდა, ჯერ მე შემომხედა, შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა და როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს საფრთხე გააცნობიერა. უცებ წამოიწია, გაქცევა სცადა, მაგრამ ველარ მოასწრო. ტალღა სანაპიროს პირდაპირ დაჯახებული ლოკომოტივის სიმძლავრით მოასკდა და ბიჭი თავის სიღრმეში ჩაითრია.

არც შეჩერებულა, ნაპირისკენ გამოქანდა, აფეთქებულებით შეიმართა, სანაპირო გადმოირბინა და ჯებირს ღმუილით დაეჯახა. უკან გახტომა მოვასწარი და მხოლოდ ტანსაცმელი დამისველა. შემდეგ ისევე ჯებირზე ავძვერი და უფსკრულს გავხედე. ტალღა შებრუნდა, სანაპიროს ზურგი აქცია და ახლა მთელი ძალით უკან, ზღვისკენ ისე მიექანებოდა, თითქოს ქვეყნის დასალიერს ვილაც იდგა და გიგანტურ ხალიჩას თავისკენ ექაჩებოდა. ზღვას დაჟინებით ვათვალეირებდი, მაგრამ ველარც „კ“ დავლანდე და ველარც ძაღლი. ტალღა კი ისე სასწრაფოდ მიიმალა ზღვაში, როგორც ძლიერი უკუქცევის დროს იმალება, როცა ზღვის ფსკერს ამიშვლებს ხოლმე და ჯებირზე მარტოდმარტო და თავზარდაცემული დამტოვა.

ისევე სიჩუმე ჩამოწვა. ისეთი უიმედო სიჩუმე, თითქოს ბგერა უმიზეზოდ გადაიკარგა. ტალღამ „კ“ დაითრია და ახლა შორს, ზღვის სიღრმისკენ მიექანებოდა. აღარც კი ვიცოდი რა უნდა მექნა. ერთი ვიფიქრე ნაპირზე ჩავალ, იქნებ „კ“ სადმე ახლომახლო ქვიშაში ჩაეფლო-მეთქი... შემდეგ გადავიფიქრე და ფეხიც არ მომიცვლია. მე ხომ კარგად ვიცოდი, რომ დიდი ტალღა ორჯერ ან სამჯერაც შეიძლება მოვარდნილიყო. ახლა ველარც ვიხსენებ ასე რამდენ ხანს ვიდექი. ალბათ არც თუ ისე დიდხანს, სულ რალაც ათი-თხუთმეტი წამი და როგორც ველოდი, ავისმოსურნე პაუზის შემდეგ, უშველებელი ტალღა კვლავ ნაპირისკენ დაიძრა. ჯერ ახლაც საშინელი გრუხუნი გაისმა, შემდეგ ღრიალი შენედა და მისი ადგილი წამოქორჩილმა, გიგანტურმა ტალღამ დაიკავა. თავისი წინამორბედივით ისიც ზეცას ასწვდა და სივრცე მომაკვდინებელი კლდესავით შეავსო.

ამჯერად არსად გავქცეულვარ. ჯებირზე თავზარდაცემული, მოჯადოებულივით ვიდექი და ტალღის მოვარდნას ველოდებოდი. აღარც კი მახსოვს რას ვფიქრობდი, იქნებ იმას, „კ“ უკვე მოიტაცა და მე სადღა გავიქცე-მეთქი, ან სულაც შემზარავმა შიშმა დამთრგუნა. არ ვიცი, აღარ მახსოვს. მეორე ტალღა არამც თუ ნაკლები, პირველზე დიდიც კი აღმოჩნდა და ისე მოასკდა, როგორც ციხე-კოშკის აგურის კედელი ინგრევა ხოლმე და ნელ-ნელა იცვლის ფორმას. რეალური ტალღისთვის იგი მეტისმეტად დიდი იყო. ტალღის სახემილებულ უცხო სხეულს გავდა. რალაც უცხო სხეულს, შორეული სამყაროდან ტალღის სახით რომ მოსულიყო და მეც ველოდი, როდის გადამყლაპავდა. თვალებიც კი არ დამიხუჭავს. საკუთარი გულისცემა მესმოდა. მაგრამ



ჩემს ფეხებთან მოგორდა თუ არა, ტალღა ისე შესუსტდა თითქოს მთელი ძალები უკვე დაეხარჯა და ასევე სივრცეში აზიდული გაიყინა. სულ რამდენიმე წამი ასე გაყინული იდგა, შემდეგ დაიშალა და ტალღის ზედაპირზე, გამჭვირვალე, სასტიკი ენის ზემოთ „კ“-ს ფიგურა ამკარად დავიწახე.

თუ გინდათ ნუ დამიჯერებთ, მართალი გითხრათ, თავადაც ძლივს ვიჯერებ და არც რამის ახსნა შემიძლია, მაგრამ ეს ილუზია არ იყო, არც მირაჟი გახლდათ. ნამდვილად დავინახე თითქოს კოკონში მოქცეული „კ“-ს სხეული ტალღაზე როგორ ირნეოდა. და თანაც, ღმერთო ჩემო, იქიდან მიღიმოდა. ტალღით ჩათრეული მეგობრის სახეს განვდილი ხელის მანძილზე ვხედავდი. არა, არ მეშლებოდა, მე მიყურებდა და მიღიმოდა. მაგრამ ისე კი არ იღიმებოდა, როგორც ჩვეულებრივად ადამია-ნები იღიმებიან ხოლმე, ყურებადმე პირახეული ილრიჭებოდა და გაყინულ მზერას არ მაშორებდა. მარჯვენა ხელიც კი ისე გამოეშვირა, თითქოს ჩავლება და იმქვეყანას ჩემი წათრევა უნდოდა. ამ ხელით ლამის მომწვდა და კიდევ უფრო ფართოდ გაიღრიჭა.

ამდენს ველარ გავუძელი და გონება დავკარგე. როცა გონს მოვეგე მამის საავადმყოფოში საწოლზე ვინექი. თვალი გავახილე თუ არა, მედამ მაშინვე მამაჩემი იხმო და ისიც პალატაში შლეგიანივით შემოქანა. ხელი მომიკიდა, პულსი დამითვალა, თვალის გუგებში ჩამხედა და სიცხე ხომ არა აქვსო, შუბლზე ხელი დამადო. განძრევა ვცადე, მაგრამ სხეული არ დამემორჩილა. სიცხით გათანგული ვინექი და აზრს ვერ ვიკრებდი. როგორც ჩანს, მაღალი სიცხე რამდენიმე დღე მქონდა. მამამ მითხრა სამი დღე-ღამე სულ გეძინაო. სახლში კი, ხელში აყვანილი მეზობელს მოვუყვანივარ, შორიდან დაუნახავს, რაც მოხდა. კიდევ მითხრეს „კ“ ტალღამ მოიტაცა და მეტად აღარავის უნახავსო. მამაჩემისთვის რალაცის თქმა ვცადე, მეგონა აუცილებლად რალაც უნდა მოვუყვე-მეთქი, მაგრამ გასიებული ენა პირში ვერ მოვაბრუნე. სიტყვაც ვერ ამოვლერღე, თითქოს პირში უცხო არსება ჩამსახლებოდა. მამამ ჩემი სახელი მკითხა და ესეც ვერ გავიხსენე, თუმცა ძალიან ვეცადე. შემდეგ გონება ისევ დავკარგე და წყვდიადის უფსკრულში ჩავიძირე.

მთელი კვირა საავადმყოფოს საწოლს ვლესავდი და მხოლოდ სითხეს ვსვამდი. დაუსრულებლად გულს მაზიდებდა და კოშმარებიც მანუხებდა. მამა სერიოზულად შიშობდა, რომ ეს მაღალი სიცხე ძლიერ შოკთან ერთად, ჩემს ცნობიერებაზე იმოქმედებდა. ისეთ დღეში ვიყავი, რომ ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო. და მაინც, ფიზიკურად ყოველივე დავძლიე და რამდენიმე კვირის შემდეგ ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდი. ნორმალურად ვჭამდი და სკოლაში სიარულიც კი შეეძელი, მაგრამ ამით ყველაფერი როდი მოწესრიგდა.

„კ“-ს ცხედარი ბევრი ეძებს, მაგრამ ვერა და ვერ იპოვნეს. მისი ძაღლიც უკვალოდ გაქრა. ჩვეულებრივ, აქ დამხრჩვალ ხალხს დინება აღმოსავლეთით მიაქანებდა და რამდენიმე დღის შემდეგ გამორიყავდა ხოლმე. „კ“ კი სამუდამოდ გაქრა.

როგორც ჩანს, ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი შორს, ღია ზღვაში გაითრია, ფსკერზე დაძირა და თევზების საჭმელად გადააქცია. ადგილობრივი მეთევზეების დახმარებით „კ“-ს ცხედარს ძალიან დიდხანს ეძებდნენ, მაგრამ ძიება უშედეგო აღმოჩნდა და ბოლოს და ბოლოს თავი მიანებეს. ცხედრის გარეშე კი, აბა ვის დაკრძალავდნენ. ამდენი უბედურებით „კ“-ს მშობლები მგონი ცოტა ჭკუაზე შეცდნენ. მთელი დღეები სანაპიროზე უმიზნოდ დაეხეტებოდნენ ან სახლში იკეტებოდნენ და ლოცულობდნენ.

და მიუხედავად ამისა, ჩემთვის ერთი საყვედურიც კი არ უთქვამთ. არავის მოუხლია ამ შუა ტაიფუნში ჩვენი შვილი ზღვაზე რად წაიყვანეო. ალბათ იმიტომ, რომ კარგად იცოდნენ: „კ“ მართლა ძმასავით მიყვარდა. ჩემი მშობლებიც ცდილობდნენ სიტყვა არ დასცდენოდათ, მაგრამ თავად ხომ მესმოდა, რომ თუ მოვინდომებდი „კ“-ს გადარჩენა შემეძლო. ჰო, მოვასწრებდი, მირბენას და მოშორებით მის გადათრევას მოვასწრებდი. ახლაც კი, ამდენი ხნის შემდეგ ვხვდები, რომ დრო მეყოფოდა. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მაშინ თავზარდაცემული ვახლდით, ამიტომ „კ“ მივატოვე და მხოლოდ თავი გადავირჩინე. იქნებ იმიტომ, რომ „კ“-ს მშობლებს არაფერი უთქვამთ ან იმიტომ, რომ ამ თემაზე საუბარს სხვებიც ერიდებოდნენ, ორმაგად ვიტანჯებოდი და ფსიქოლოგიური შოკისაგან თავი დიდხანს ველარ გამოვიხსენი. სკოლა მივატოვე, ძლივს-ძლივს რალაცას ვილოლნებოდი, მთელი დღე საწოლზე ვეგდე და ჭერს შევცქეროდი.

ტალღის მწვერვალზე მოქცეულ „კ“-ს გაღრეჯილ სახეს ვერა და ვერ ვივინყებდი. სულ თვალწინ მედგა ჩემსკენ გამოშვერილი ხელი, ეს თითები, თითქოს თავისკენ რომ მექაჩებოდნენ. თვალს მოვხუჭავდი თუ არა, მაშინვე მისი ხელები და სახე მეცხადებოდა. სიზმარში „კ“ თავის კოკონიდან ხტებოდა, მაჯაზე ხელს მტაცებდა და უფსკრულისკენ მიმაქანებდა.

ხშირად ვხედავდი ერთი და იგივე სიზმარს: ზღვაში ვბანაობ, ზაფხულის ერთ მზიან დღეს ტალღებს ბრასით მივაპობ. მზე ზურგს მინვაფს, წყალი კი სხეულს სასიამოვნოდ მიგრილებს. უცებ ვგრძნობ, რომ მარცხენა ფეხზე წყალში ვილაც მწვდება, ტერფზე გაყინული ხელი მეჭიდება და ძირს, ფსკერისკენ მექაჩება. იქ კი „კ“-ს სახეს ვხედავ. მაშინდელივით ყურებადმე პირახეული, ავი სიცხით მიყურებს. მიშველეთ-მეთქი, ვიყვირო მინდა, მაგრამ ხმა არ მემორჩილება. მხოლოდ წყალს ვყლაპავ და ფილტვები ამ წყლით მევსება. ეს კოშმარი ღამის სიბნელეში ოფლად გახვითქულს, განწირული კვილით მალვიძებს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვსუნთქავ და გონებას ნელ-ნელა ვიკრებ.

ბოლოს და ბოლოს მშობლებს განვუცხადე ამ ქალაქიდან რაც შეიძლება სწრაფად უნდა წავიდე და სადმე სხვაგან გადავსახლდემეთქი. იმ სანაპიროზე ცხოვრება, სადაც „კ“ ტალღამ წაღვეა და სადაც ყოველ ღამე კოშმარი მალვიძებდა, აღარ შემეძლო. მამამ მომისმინა, დამითმო და იანვრიდან ნაგანოს პრეფექტურის ადგილობრივ სკოლაში გადამიყვანა. ქალაქ კომოროს მიდამოებში მამას

მშობლები ცხოვრობდნენ და მათ შემეფარეს. დანყბითი სკოლაც იქ დავამთავრე და საშუალოც, მაგრამ არდადეგების დროსაც კი, მშობლიურ სახლში არასოდეს დავბრუნებულვარ. დროდადრო, ჩემს სანახავად თავად მშობლები ჩამოდიოდნენ.

ახლაც ნაგანოში ვცხოვრობ. ინსტიტუტი მექანიკის ფაკულტეტის განხრით დავამთავრე და ზუსტი მექანიზმების კომპანიაში დავინყე მუშაობა. დღესაც იქა ვარ, ისე ვმუშაობ, როგორც ყველა და ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ. როგორც ხედავთ, უცნაური არაფერი მჭირს. ვერ ვიტყვოდი, რომ ადამიანებს იოლად ვუახლოვდები, მაგრამ ალბინიზმმა გამიტაცა და რამდენიმე ახლო მეგობარი შემძინა, მთებში ერთად დავდივართ ხოლმე. მშობლიური ქალაქიდან წამოსვლის შემდეგ აღარც კომპარები მანუხებს ისე ხშირად, მაგრამ წარსული მაინც არ მასვენებს. დროდადრო კარზე, გადასახადის ამკრეფის ერთგულებით მიკაკუნებს და თავს მახსენებს. როგორც კი დავინყების ბინდი გადაეფარება, მაშინვე მომაკითხავს ხოლმე. ერთი და იგივე კომპარს ვხედავ და ისევე ყვირილით, ოფლში გახვითქული ვიღვიძებ.

იქნებ ცოლიც ამიტომ არ ვითხოვე. უბრალოდ არ მინდოდა, ვთქვათ, ორ-სამ საათში ერთხელ ვილაც ჩემს ნივილ-კვილს გაეღვიძებინა. თუმცა რამდენიმე ქალი მყავდა, ღამე არც ერთ მათგანთან არ გამიტარებია. იმ საზარელ შიშს, მთელი ჩემი არსება რომ დაეპყრო, ვერავის გავუზიარებდი.

ორმოცი წელი აღარც სამშობლოში ვყოფილვარ და არც ის ავადმოსაგონარი სანაპირო მინახავს. იმ სანაპიროს კი არა, საერთოდ ზღვას აღარ წავკარებოვარ, მეშინოდა კომპარი არ ამიხდეს-მეთქი. ადრე ცურვა ძალიან მიყვარდა, ამ ამბის შემდეგ კი, აუზშიც აღარ ჩავსულვარ. მდინარეებს, ტბებს, სანაოსნო ტრანსპორტს, ყველაფერს თავს ვარიდებდი. თვითმფრინავშიც კი არ ვმჯდარვარ და საზღვარგარეთაც არასოდეს მიმოგზაურია. და მიუხედავად ამისა, დამხრჩვალის პირქუში სიკვდილის ქიმერა თავიდან ვერა და ვერ მოვიშორე.

„კ“-ს სიკვდილის შემდეგ, იმ სანაპიროზე პირველად შარშან გაზაფხულს მოვხვდი. ერთი წლით ადრე, მამა კიბოთი გარდამეცვალა. ჩემმა ძმამ სახლი გაყიდა, რათა მემკვიდრეობა გაენაწილებინა და ნივთების გადარჩევისას, შემთხვევით, ჩემი ბავშვობისდროინდელი ნივთებით სავსე კოლოფი იპოვნა და ფოსტით გამომიგზავნა. შიგ, უამრავ უსარგებლო ნივთთან ერთად, „კ“-ს რამდენიმე ნახატი აღმოჩნდა, რომელიც თავის დროზე მე მაჩუქა და მშობლებს, როგორც ჩანს, სამახსოვროდ შემოენახათ. შიშის მარნუხებმა ყელში ისე წამიჭირა, თითქოს ნახატიდან „კ“-ს სული გადმოსულიყო. ნახატები თხელ ქალღმერთს სასწრაფოდ გავახვიე და კოლოფში უკან ჩავტენე. თავიდან მინდოდა მომეშორებინა. მაგრამ გადავდებო ვერა და ვერ გავბედე. რამდენიმე დღე ვიყოყმანე, შემდეგ ძალა მოვიკრიბე და „კ“-ს აკვარელები ისევე ამოვიღე.

თითქმის ყველა ნახატზე ჩემთვის ასე ნაცნობი პეიზაჟი გადაიშალა: ზღვა და სანაპირო, ტყვრი თუ პატარა ქალაქი მხოლოდ „კ“-სთვის დამახასიათებელი

ბელი საღებავებით ეხატა. საოცარია, ნახატები არც კი გამოხუნებულიყო, ძველებურად შთამბეჭდავი გახლდათ. და რაც უფრო დაჟინებით ჩავცქეროდი, ძვირფასი მოგონებები უფრო და უფრო ცოცხლდებოდა. ეს ნახატები ოსტატობის დონითაც და მხატვრული ღირებულებებითაც გაცილებით მშვენიერი აღმოჩნდა, ვიდრე მახსოვდა. თვალს ვერ ვაშორებდი და მცირეწლოვანი „კ“-ს გრძობადი სიღრმეებით ვიუღინებოდი. მის სამყაროს ისე რეალურად შევიგრძნობდი, თითქოს საკუთარი თვალებით ვუყურებდი. ნახატებს ერთი-მეორეს მიყოლებით ვათვალიერებდი და თვალწინ სხვა სურათები მიცოცხლდებოდა: როგორ ვთამაშობდით, ერთად როგორ დავრბოდით. ეს ხომ ჩემი ბავშვობის თვალებიც იყო. მაშინ ხომ მეც ასეთი უღრუბლო და ნათელი თვალები მქონდა.

ამის შემდეგ, სამსახურიდან დავბრუნდებოდი თუ არა, მაშინვე მაგიდას მივუჯდებოდი და „კ“-ს ნახატებს დაუსრულებლად ვათვალიერებდი. მასზე ხომ მშვენიერი პეიზაჟები, ჩემი ბავშვობის ის მშვენიერი პეიზაჟები ეხატა, მეხსიერებიდან ასე დიდი ხნით რომ ამოვიგდე. როცა ამ ნახატებს შევცქეროდი, ისეთი გრძობა მიჩნდებოდა, თითქოს სხეულში ჩუმად რაღაც ჩამისახლდა.

და აი, დაახლოვებით ერთი კვირის შემდეგ, გონება გამინათდა. ღრმად ხომ არ შევცდი? იქნებ ზღვის ტალღაზე მოქანავე „კ“-ს სულაც არ ვძულდი და უფსკრულში ჩემი ჩათრევა სულაც არ სურდა? იქნებ მე მომეჩვენა, რომ ხარხარებდა, ის კი ამ დროს სულაც უგონოდ იყო ან საუკუნო გამომშვიდობების ნიშნად მიღიმოდა? მისი ბოროტი გამომეტყველება კი, ვინ იცის, იქნებ ჩემი თავზარდამცემი შიშის ნაყოფიც იყო... „კ“-ს ნახატებს ისევე და ისევე ვუბრუნდებოდი და ეს რწმენაც თანდათან უფრო გამიძლიერდა. ამ აკვარელებში ხომ უმანკო, მშვიდობიანი სულის მეტი არაფერი მოჩანდა.

დიდხანს, დიდხანს უმოძრაოდ ვიჯექი. ჯერ მზე ჩავიდა, შემდეგ ოთახი ბინდმა მოიცვა, ბოლოს კი ღამის სიბნელეც შემოიპარა. ეს ღამე უსაშველოდ გრძელი აღმოჩნდა და სწორედ მაშინ, როცა მისი სიმძიმე აუტანელი გახდა, განთიადმაც შემოაბიჯა. ახალი დღის მზემ ზეცა ოდნავ შეაფერადა, ჩიტებმა გაიღვიძეს, აუღურტულდნენ და მე გავიფიქრე: „ჩემს ქალაქში უნდა დავბრუნდე, სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე“.

ჩანთაში ნივთები სასწრაფოდ ჩავყარე, ფირმაში დავრეკე, აუცილებელი საქმის გამო შევბუღებას ვიღებ-მეთქი, გავაფრთხილე, მატარებელში ჩავჯექი და სამშობლოსაკენ გავეშურე.

ქალაქი აღარ აღმოჩნდა ისეთი მშვიდობიანი ზღვისპირეთი მე რომ მახსოვდა. სამოციანი წლების ეკონომიკურმა აღმავლობამ გარეუბანში სამრეწველო რაიონი გააჩინა და ამ მხარის პეიზაჟებს სახე უცვალა. სადგურის წინ, სადაც კანტიკუნტად მხოლოდ სუვენირების კიოსკები გვხვდებოდა, ახლა მთელი სავაჭრო ქუჩა გაჭიმულიყო. ერთადერთი კინოთეატრი ვეებერთელა სუპერმარკეტად გადაეკეთებინათ. ჩემი სახლიც აღარ დამხვდა, რამდენიმე თვის წინ დაენგრიათ და გავერანებული უდაბნოლა დარჩენილიყო. ბაღიც გაეჩეხათ და

ალაგ-ალაგ პირდაღებული მინა მოჩანდა. „კ“-ს ძველი სახლიც გამქრალიყო და მისი ადგილი მოასფალტებულ, ფასიან სადგომს დაეკავებინა, სადაც რიგში მანქანები და მიკროავტობუსები ჩამდგარიყვნენ. თუმცა მე სენტიმენტალური არ გახლდით და ეს ქალაქიც უკვე კარგა ხანია ჩემი აღარ იყო.

სანაპიროს მიუზახლოვდი და ჯებირზე ავედი. ჩემს თვალწინ მარად დაუმორჩილებელი ზღვა გადაიშალა. შორეთში ჰორიზონტის სწორი ხაზი მოჩანდა. პეიზაჟი უცვლელი დამხვდა: ქვიშარიც ძველებურად უკიდევანო გახლდათ, ტალღებიც ხმაურობდნენ და ჯებირზეც ხალხი ძველებურად დასეირნობდა. ხუთი საათი იქნებოდა, საღამო ახლოვდებოდა და გარემო მზის რბილ შუქს შეემოსა. მნათობი ჩაფიქრებულს გავდა და დასავლეთისკენ დინჯად იხრებოდა. ქვიშაზე დაეჯექი, ჩანთა გვერდით მოვიდგი და პეიზაჟს მდუმარედ გავხედე – ისეთი არაჩვეულებრივად მშვიდობიანი პეიზაჟი იყო, ძნელად წარმოიდგენდი, რომ ოდესღაც აქ გადარეული ტაიფუნი მოვარდა და უზარმაზარმა ტალღამ ჩემი ერთადერთი მეგობარი წაღებო. მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა და ეს ამბავი ალბათ აღარც არავის ახსოვდა. სწორედ დაეჭვების დრო დამიდგა. საკუთარ ილუზიებს ხომ არ ვემსხვერპლე?

როცა გამოვფხიზლდი, სული უკვე დანმენდილი მქონდა. წყვილი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც ერთ დროს მოვიდა. ფეხზე წამოვდექი და ზღვაში ისე შევაბიჯე შარვალიც კი არ ამიკეცია. ასე ფეხსაცმელებიანად დავდექი და ტალღის მორბენას დაველოდე. მანაც არ დააყოვნა და ისეთივე მშვიდობიანმა, როგორიც ჩემს ბავშვობაში იყო, ტკივილამდე ნაცნობმა ტალღამ შარვალი და ფეხსაცმელები დამისველა. მდორე ტალღები წინ და უკან დუნედ მოძრაობდნენ. გამვლელი გაცეცხით შემომცქეროდნენ, მე კი ყურადღებას არავის ვაქცევდი. ბევრი, ბევრი წელი გავიდა, სანამ აქამდე ჩამოვალწევდი.

ზეცას ავხედე. ბამბის ქულასავით პატარა, ნაცრისფერ ღრუბელთა ნაფლეთები აქა-იქ ეკიდა.

სიოც კი არ იძროდა და ღრუბლებიც ერთ ადგილას გაყინულს გავდა. არ ვიცი როგორ აგისხნათ, მაგრამ მეჩვენებოდა ეს ღრუბლები მხოლოდ ჩემთვის კიდია-მეთქი. გამახსენდა ოდესღაც თავი როგორ ავნიე და ტაიფუნის თვალს როგორ ვეძებდი. შემდეგ სულში რაღაც ღერძის ღრჭილის ხმა გავიგონე და მთელი ეს ორმოცი წელი დამპალი სახლივით ჩამოიქცა. ძველი და ახალი დრო ერთ მორევში აირია, ბგერები გაქრა, შუქი აკანკალდა, მეც შევქანდი და მოახლოვებულ ტალღაში პირქვე ჩავემხე. გულს ბაგა-ბუვი გაჰქონდა, კიდურებს ვერ ვგრძნობდი. ასე დიდხანს ვინეკი და ადგომის თავი არ მქონდა, მაგრამ აღარაფრის მეშინოდა. ჰო, აღარაფრის მეშინოდა! ყველაფერი წარსულს ჩაბარებოდა!


ამის შემდეგ ის საშინელი სიზმარი აღარ მინახავს, ღამღამობით ყვირილით აღარ გამღვიძებია. ახლა ცხოვრება მინდა შევცვალო და თავიდან დავიწყო. თუმცა არა! თავიდან დანყებას ველარ მოვასწრებ, ცოტალა დამრჩა. მაგრამ მიხარია – ბოლოს და ბოლოს ხომ გადავრჩი! წამდვილად შეიძლებოდა დარჩენილი დროც საზარელ შიშსა და ყვირილში გამეტარებინა.“

მეშვიდემ ირგვლივ მდუმარედ მიმოიხედა. ხმა არავის ამოულია. სუნთქვაც კი არავისი ისმოდა. ყველა გაშეშებული იჯდა და მეშვიდეს თხრობის გაგრძელებას ელოდებოდა. ქარიც კი ჩადგა და ქუჩაც სამარისებულ დუმილს მოეცვა. მეშვიდემ პერანგის საყელო კიდევ ერთხელ ისე გაისწორა, თითქოს სიტყვებს ეძებდა.

„აი, რას ვფიქრობ. ამ ცხოვრებაში ყველაზე საზარელი შიში არაა. ის ყოველთვის არსებობდა და დღემდე სხვადასხვა სახით სულ გვევლინება, რათა სიცოცხლე გაგვიმწაროს. ყველაზე საზარელი ისაა, როცა შიშს ზურგს შეაქცევ და თვალებს დახუჭავ. მაშინ ვინმე თუ რამე უცილობლად მოვა და რაღაც ძალიან ძვირფასს წაგართმევს. ჩემს შემთხვევაში ეს ტალღა აღმოჩნდა.“

თარგმნა მანანა მიქელაძემ





ვლადიმერ  
ნაძოჯოვი

**ბახმანი**

არც ისე დიდი ხნის წინ გაზეთებში გაიელვა ცნობამ, სადაც იტყობინებოდნენ, რომ შვეიცარიის პატარა ქალაქ მარივალში გარდაიცვალა მთელი ქვეყნიერებისაგან მიტოვებული შესანიშნავი პიანისტი და კომპოზიტორი — ბახმანი. ამან ბახმანზე შეყვარებული ერთი ბანოვანის ამბავი გამახსენა, რომლის შესახებაც ანტრეპრენიორმა ზაკმა მიაგმო. აი ის ამბავიც.

ქალბატონმა პეროვამ ბახმანი გარდაცვალებამდე ათი წლის წინ გაიცნო. იმ დღეებში ბახმანის მგზნებარე, დიდებული, ღრმად გააზრებული დაკვრის ჟღერა უკვე აღბეჭდილი იყო ფირფიტაზე, თვითონ ის კი მსოფლიოს ყველაზე ცნობილ საკონცერტო დარბაზებში უკრავდა. და აი, ერთ საღამოს, შემოდგომის ერთ იმ ლურჯად მოკამკამე, ლაჟვარდისფერ საღამოს, როცა სიბერის უფრო გემინია, ვიდრე სიკვდილისა, პეროვამ მეგობარი ქალისაგან ბარათი მიიღო — მინდა ბახმანი გაგაცნო, დღეს კონცერტის შემდეგ ჩამთან იქნებაო, — სწერდა.

მე ახლაც ცხადად მაქვს წამოდგენილი, როგორ ჩაიცვამდა ქალი შავ, მხრებამოდებულ კაბას, მხრებსა და ყელ-კისერზე სუნამოს აჩქა-

რებით როგორ იპკურებდა, მარაოსა და ფიროზის ბუნიკიან ხელჯოხს როგორ აიღებდა, ტრიუმოს სამმაგ უფსკრულში ერთხელ კიდევ ჩაიხედავდა, დაფიქრდებოდა და მთელ იმ გზას თავისი სახლიდან მეგობრის სახლამდე დაფიქრებული როგორ გაივლიდა. იცოდა, ულამაზო იყო, ზომაზე მეტად გამხდარი, მეტისმეტი სიფერკრთალისაგან მის კანს ავადმყოფური იერი დაჰკრავდა, მაგრამ ეს ასაკში შესული, ცუდად შესრულებული მადონასსახიანი ქალი სწორედ იმით იყო მიმზიდველი, რისაც თავად ყველაზე მეტად რცხვენოდა — ბაგეთა სიფერმკრთალითა და ძლივს შესამჩნევი სიკოჭლით, რის გამოც იძულებული იყო ხელჯოხით ევლო. მისი მეუღლე, მარჯვე, გამჭრიახი საქმოსანი იმხანად ქალაქში არ გახლდათ, ამიტომაც ბატონი ზაკი პირადად მას არ იცნობდა.

როცა პეროვა მომცრო, იისფერი შუქით განათებულ სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც მისი მეგობარი — ტანსრული, ამეთვისტოს დიადეშიანი ქალი მძიმედ დაქოთქოთებდა სტუმრებს შორის, მისი ყურადღება უმალ ერთმა წარმოსადგემა, სუფთად პირგაპარსულმა, ოდნავ შეუდრულმა ბატონმა მიიპყრო, რომელიც როიალის შვერილზე ჩამოყრდნობილი იდგა და მის გვერდით მდგომ სამ ქალბატონს რაღაცას უყვებოდა. მის ფრაკს საუკეთესო ხარისხის ფაფუკი აბრეშუმი ჰქონდა გამოკრული, საუბრის დროს შავ, ჩაბზინებულ თმას წამდაუნუმ უკან გადაიყრიდა და ფერმკრთალი, ოდნავ კეხიანი ცხვირის ნესტოები ებერებოდა. მასში რა-ღაც დიდებული და ამავე დროს რაღაც უსიამოვნო იყო.

— სამინელი აკუსტიკაა! — ამბობდა და მხრებს იჩიქდა, — მსმენელები სულ გაციებულები არიან. ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ დაახველოს, მაშინვე ნახევარი დარბაზი აჰყვება... — ამ სიტყვებზე ზაკმა გაიღიმა, თმა გადაიყარა და განაგრძო, — იცით, ეს ისეა, ღამით სოფელში ძაღლებმა რომ იციან.

ამ დროს ხელჯოხზე მსუბუქად დაყრდნობილი პეროვა მიუახლოვდა და ის უთხრა, რაც თავში უცებ აზრად მოუვიდა:

— ბატონო ბახმან, კონცერტმა ალბათ დაგლალათ?

შექებით ნასიამოვნებმა ზაკმა თავი დაუკრა:

— ცოტა შეგეშალათ, ქალბატონო, ჩემი გვარი ზაკია, ჩვენი მანესტროსი მე მხოლოდ იმპრესარიო გახლავართ.

ამ სიტყვებზე სამივე ქალს გაეცინა. პეროვა შეცბა, მაგრამ მერე იმანაც გაიცინა. ის, რომ ბახმანი საუცხოოდ უკრავდა, ამის თაობაზე მას მხოლოდ ყურმოკვრით ჰქონდა გაგებული, მისი პორტრეტი კი არასოდეს ენახა. სწორედ ამ დროს მასთან დიასახლისი მივიდა, ხელი მოხვია, თვალთ ოთახის კურთხისაკენ ანიშნა და წასჩურჩულა:

— აგერ ისიც... გაიხედე.

ქალმა მხოლოდ ახლალა დაინახა ბახმანი. იგი სტუმრებისგან განცალკევებით იდგა. ეცვა შავი, განიერი შარვალი, მოკლე, ბოკორა ფეხები განზე გაედგა, დაჭმუჭნული გაზეთი თვალბთან მიეტანა და ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, როგორც ეს მცირემცოდნეთ სჩვევიათ. ტანდაბალი კაცი იყო, მელოტი, შემეჩხერებული თმა თავზე გარდიგარდმო ჰქონდა გადავარცხნილი, ეკეთა გახამებული, შეუფერებლად ფართო, გადაკეცილი საყელო. გაზეთისთვის თვალი არ მოუცილებია, მამაკაცის სამოსის ის ადგილი, რასაც თერძები ლაპოტს ეძახიან, ერთი თითით დაბნეულმა მოისინჯა და ტუჩები კიდევ უფრო გულმოდგინედ ააცმაცუნა. ჰქონდა ძალზე სასაცილო ზღვის ზღარბივით ნოლა, პატარა ნიკაპი.

— ნუ გაგიკვირდებათ, — უთხრა ზაკმა, — სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უცოდინარი ბრძანდება, სტუმრად სადმე ფეხს შეადგამს თუ არა, უმალ ხელში რაღაცას იღებს და კითხულობს.

— ბახმანმა იგრძნო, რომ ყველანი მას მისჩერებოდნენ. თავი ნელა მიატრიალა, დაფანჩული წარბები ასწია და საუცხოო, მორცხვმა, მოკრძალებულმა ღიმილმა სახე მსუბუქი ნაოჭებით დაუფარა.

ღიასახლისმა მისკენ გასწია:

— მუსიე ბახმან, ნება მომეცით, კიდევ ერთი თქვენი თაყვანისმცემელი გაგაცნოთ.

ბახმანმა ქალს თავისი რბილი, ნესტიანი ხელი გაუწოდა:

— სასიამოვნოა... ძალიან სასიამოვნოა...

თქვა და თავი ისევ გაზეთში წარგო.

პეროვა გაეცალა, ღანვისთავეები ვარდისფრად აღანძოდა, შავი, პრიალა მარათი ისე გაცხარებული ინიავებდა, საფეთქლებზე ქერა კულულები უთრთოდა, იმ პირველ საღამოს მან ჩემზე არაჩვეულებრივ, ტემპერამენტული, ძალზე ნერვიული ქალის შთაბეჭდილება დატოვა. ტყუილად როდი აქვს ისეთი მკაცრი ბაგე და თმის ვარცხნილობაო, — მეუბნებოდა შემდეგ ზაკი.

— ზუსტად ერთმანეთის შესაფერისები იყვნენ, — თქვა ზაკმა და ამოიოხრა, — ბახმანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ჭკუის ნატამალი არ გააჩნდა. იცით, მთავარი ისაა, რომ სვამდა. იმ საღამოს, როცა მათ ერთმანეთი გაიცნეს, უცებ კონიაკი მომთხოვა. რა უნდა მექნა, იძულებული გავხდი, სასწრაფოდ იქაურობისათვის გამეცილებინა, ვინაიდან დალევა მისთვის სრულიად შეუძლებელი იყო, ხომ გესმით, სრულიად შეუძლებელი... სულ იმას ვეხვეწებოდით, ხუთი დღე მოითმინე, მხოლოდ ხუთ დღეს ნუ დაღვე, როგორმე ეს ხუთი კონცერტი ჩაათავე, მოწვევა გვაქვს, ბახმან, გესმის, თავი შეიკავეო. ჩვენ ყველას პირდაპირ ილაჯი გვქონდა განყვეტილი. გარდა იმისა, რომ სვამდა, გესმით, ჭირვეული, ფეთხუმი კაცი იყო, სრულიად არანორმალური

სუბიექტი. მაგრამ, ისე უკრავდა... ისე უკრავდა...

ზაკმა შეთხელებული თმა გადაიყარა და თვალბი უსიტყვოდ გადაატრიალა.

ბატონ ზაკთან გაზეთის ამონაჭრების მძიმე ალბომს რომ ვათვალისწინებდი, სწორედ მაშინ დავრწმუნდი, რომ ამ გასაოცარი ადამიანის ჭეშმარიტად მთელ მსოფლიოში განთქმული, მაგრამ მეტისმეტად ხანმოკლე დიდება მას შემდეგ დაიწყო, რაც იგი პირველად შეხვდა პეროვას. როდის ან სად მოხდა მათი დაახლოება, არავინ იცის. ეს კია, მეგობარ ქალთან გატარებული იმ საღამოს შემდეგ პეროვას ბახმანის არც ერთი კონცერტი არ გამოუტოვებია, სად ან რომელ ქალაქშიც არ უნდა ჩატარებულიყო. იჯდა დარბაზის პირველ რიგში ნელში გამართული, სადად თმაგადავარცხნილი და შავ, მხრებმოშიშვლებულ კაბაში გამონყობილი. ზოგიერთები კოჭლ მადონასაც კი ეძახდნენ.

ბახმანი ისე გამოიჭრებოდა ესტრადაზე, თითქოს მტერს ან ვინმე აბეზარ ადამიანს უსხლტებო. დარბაზში მსხდომ ადამიანებს თვალსაც არ შეავლებდა, როიალთან მიირბენდა, მრგვალი სკამისკენ თავნახრილი დაატრიალებდა ფიცრის საჯდომ დისკს მოიარებით და ატრიალებდა და ატრიალებდა კარგა ხანს. ინგლისში ეს გულს უჩვილებდა მსმენელებს, საფრანგეთში სიცხლის გუნებაზე აყენებდა, გერმანიაში — ალიზიანებდა. საჭირო წერტილს რომ იპოვიდა, სკამს სიყვარულით დაჰკრავდა ხელისგულს, დაჯდებოდა და ლაქის ძველ ფეხსაცმლიან ფეხს პედალს უფათურებდა. მერე ამოიღებდა დიდ, არც ისე კარგად გახამებულ ცხვირსახოცს, ხელებს გულდაგულ შეინმენდდა და მორცხვი. ეშმაკური ღიმილით პირველ რიგს მოათვალიერებდა. ბოლოს რბილად დაუშვებდა ხელებს კლავიშებზე, უცებ თვალბებში მტანჯველი მოუსვენრობა გაუკრთებოდა, ენას გაანლაპუნებდა, სკამიდან გადმოვიდოდა და ისევ დაუნყებდა ტრიალს ნაზად მოჭრიალე სკამის დისკს.

ზაკის აზრით, როცა პეროვამ ბახმანს პირველად მოუსმინა და შინ დაბრუნდა, ალბათ ფანჯარასთან დაჯდა და მთელი ის ღამე ოხვრასა და ღიმილში გაატარა. ირწმუნებოდა, ბახმანს ასე კარგად, ასე შემლილივით არასოდეს დაუკრავს, მერე და მერე კი სულ უფრო და უკეთესად, ნამდვილი გადარეულივით უკრავდა. საოცარი ოსტატობით ჯერ თავს მოუყრიდა კონტრაპუნქტის ხმებს, მერე ნებაზე მიუშვებდა და მადისონირებელი აკორდებით ზღაპრული ჰარმონიის შთაბეჭდილებას ახდენდა. თემას არც სამმაგი ფუგის დროს შორდებოდა, როგორც კატა თავგვს, ისე ეთამაშებოდა, ნაზად და ჟინიანად. თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ჰა და ჰა, ხელიდან გაუშვაო, რომ უცებ კლავიშებზე დახრილი, ეშმაკური ღიმილითა და ხელის ზეიმური დარტყმით ისევ წამოეწეოდა.

იმ ქალაქში მისი მიწვევა რომ დამთავრდა, რამდენიმე დღე სადღაც გაქრა, როგორც ყოველთვის, სმას გადაჰყვა.

ქალაქის უღიმღამო გარეუბნის ნისლში ავადმოკიაფე საეჭვო სამიკიტნოების სტუმრები ხშირად ხედავდნენ ტანდაბალ, სანახევროდ გამელოტებულ, თმაანნილსა და წითლად თვალბოჭინულულ ბატონს, ვისაც, მართალია, თავი ყველასგან შორს ეჭირა, მაგრამ, თუ ვინმე გამოელაპარაკებოდა, ყველას სიამოვნებით უმასპინძლდებოდა. ერთმა მოხუცმა პიანინოს ამწყობმა, ხელიდან წასულმა, დაღუპულმა ადამიანმა, მას შემდეგ, რაც მასთან ერთად გადაჰყრა, გადანყვიტა, ორივენი ერთი ხელობისანი ვართო და კარგად რომ შეთვრებოდა, სკამზე აკაკუნებდა და წმინდა ხმით ზუსტ „ლას“ იღებდა. ზოგჯერ ერთ ღანჯმალად, გერგილიან მეძავს ბახმანი თავის სახლშიაც მიჰყავდა. იყო შემთხვევა, როცა სამიკიტნოს მევიოლინეს ხელიდან ინსტრუმენტი გამოჰგლიჯა და ზედ ფეხით შესდგა, რის გამო თურმე კარგა გვარიანადაც მოხვდა. იცნობდა ბანქოს მოთამაშეებს, მეზღვაურებს, გრიჟაჩამოსულ ათლეტებსა თუ სიტყვაძუნნი, თავაზიანი ქურდების მთელ ამქარსო, — ჰყვებოდა ზაკი.

ზაკი და პეროვა ხშირად მთელი ღამეები ეძებდნენ მაესტროს, თუმცა ზაკი მხოლოდ მაშინ ეძებდა, როცა მისი „მომართვა“ ანუ კონცერტისთვის მომზადება იყო საჭირო. ქალი ზოგჯერ პოულობდა დიდი ძებნის შემდეგ, ზოგჯერ კი ჭუჭყში ამოსვრილი, არყისგან გამოთავებული და საყელმომშვლეპილი თავად გამოეცხადებოდა პეროვას. პეროვა წყნარად, ფერებფერებით, ხმისამოულებლად ჩაანვენდა ლოგინში და ზაკს მხოლოდ სამი ან ოთხი დღის შემდეგ დაურეკავდა, ბახმანი ჩემთანააო.

ბახმანში ერთმანეთს როგორიღაც არამიწიერი მოკრძალება და გაფუჭებული ბავშვის აზარტულობა ერწყმოდა. პეროვას თითქმის არ ელაპარაკებოდა. როცა ქალი დასაყოლიებლად ხელში ხელს მოჰკიდებდა, ხელს გამოსტაცებდა, თითებში ურტყამდა და წვრილი ხმით ისე გაჰკიოდა, გეგონება ამ ქალის ოდნავი შეხებაც კი აუტანელ ტკივილს ჰგვრიდა. მერე წაიფარებდა საბანს და დიდხანს ტიროდა. ბოლოს მოვიდოდა ზაკი, გამოუცხადებდა ლონდონში ან რომში უნდა გავემგზავროთო და წაიყვანდა.

მათი ეს უცნაური კავშირი სამ წელიწადს გაგრძელდა. როცა ძლივძლიობით გამოფხიზლებულ ბახმანს პუბლიკას წარუდგენდნენ, როგორც წესი, პეროვა ყოველთვის პირველ რიგში იჯდა. შორეულ გასტროლებზე ყოფნისას ნომრები მუდამ გვერდიგვერდ ეკავათ. მთელი იმ ხნის მანძილზე პეროვა ქმარს მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა. თავისი ცოლის ბახმანისადმი ეს ერთგულება და აღფრთოვანებული ვნება, ისევე როგორც ყველამ, ქმარმაც, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ხელს არ უშლიდა, ისიც

თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა.

— ბახმანი ქალს პირდაპირ აწამებდა, — იმეორებდა დაბეჯითებით ზაკი, — არ მესმის, როგორ შეეძლო ამ კაცის სიყვარული. აბა ქალის გულს რას გაუგებ! ჩემი თვალთ ვნახე, ერთ ოჯახში, სადაც ისინი ერთად სტუმრობდნენ, მაესტრომ მაიმუნით კბილები როგორ დაუკრაჭუნა და, იცით, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ქალს მისთვის ჰალსტუხის გასწორება უნდოდა. ეს კია, იმ დღეებში ის მართლაც გენიალურად უკრავდა. სწორედ იმ პერიოდს განეკუთვნება მისი სიმფონია დე-მოლი და რამდენიმე რთული ფუგა. არავის უნახავს, როგორ წერდა. და მაინც, ყველაზე საინტერესო ეგრეთწოდებული „ოქროს ფუგაა.“ თქვენ არაფერი გსმენიათ მის შესახებ? მისი თემატიკა ძალზე თავისებურია. მაგრამ, მე ახლა ბახმანის ჭირვეულობაზე, მის გადარეულ ხასიათზე გელაპარაკებოდით. გავიდა ორი წელი და აი ერთხელაც მიუნხენში, სადაც იგი გამოდიოდა...

რაც უფრო უახლოვდებოდა ზაკი თავისი ამბის დასასრულს, თვალებს მით უფრო სევდიანად, მით უფრო მრავალმნიშვნელოვნად ჭუტავდა.

როგორც აღმოჩნდა, მიუნხენში ჩასვლის ღამეს ბახმანი თურმე სასტუმროდან გაიპარა, სადაც ჩვეულებრივ პეროვა და იგი გვერდიგვერდ ნომრებში დაბინავდნენ. იმის გამო, რომ სამი დღის შემდეგ კონცერტი უნდა ჩაეტარებინათ, ზაკი თურმე სიგიჟემდე იყო მისული. თურმე სად აღარ ეძებეს, მაგრამ ამაოდ. ეს ამბავი გვიან შემოდგომას მომხდარა. ცივ, თავსხმა წვიმაში პეროვა თურმე გაცივდა და ჩანვა, ანტრეპრენიორი კი ორ აგენტთან ერთად თურმე ისევ სამიკიტნოებში ეძებდა.

კონცერტის დღეს პოლიციიდან დაურეკავთ, ბახმანი ვიპოვეთო. ღამით თურმე ქუჩაში უნახავთ და განყოფილებაში მიუყვანიათ, სადაც კარგა გვარიანად გამოუძინია. განყოფილებიდან ზაკს თეატრში ისე წამოუყვანია, კრინტი არ დაუძრავს, თეატრში თავისი თანამშემწეებისათვის ისე ჩაუბარებია, როგორც ნივთი, თვითონ ფრაკისთვის სასტუმროში გაქცეულა, სასტუმროში პეროვასთვის მთელი ეს ამბავი კარებიდანვე მოუხსენებია და მაშინვე უკან, თეატრში დაბრუნებულა.

თვალეზე შავი ფერის შლაპაჩამოფხატული ბახმანი იჯდა თურმე სამსახიობოში გარინდული და მაგიდაზე თითებს მონყენილი აკაკუნებდა. ირგვლივ ყველანი თურმე შეშფოთებულები ჩურჩულებდნენ, და აი, ერთი საათის შემდეგ უზარმაზარ დარბაზში ხალხმა ადგილების დაკავება დაიწყო. გვერდებში ნაძერწი ორნამენტით დამშვენებული თეთრი, ნათელი ესტრადა თუ შავად მბზინავი ფრთაანული როიალი ჩუმი ზეიმით ელოდა კაცს, ვისაც ფაფუკი, ნესტიანი ხელები ჰქონდა და ვინც სადაცაა ბგერების ქარიშხალს დაატრიალებდა, წალეკავდა ესტრა-

დასაც და უზარმაზარ დარბაზსაც, სადაც მატლებივით ერთმანეთში იყო არეული ბანოვანთა თეთრად ფერმიმქრალი მხრები თუ მამაკაცების მელოტი, მოშიშვლებული თავები.

აი, სცენაზე ბახმანი შემოიჭრა. არც მისაღმების ნიშნად აგუგნებული დარბაზისთვის შეუხედავს, არც ჰაერში კონუსივით აზიდული, ყოვლის დამთრგუნველი ტაში ჩაუგდია რაიმედ, ფიცრის დისკი ფრთხილად დაატრიალა, ხელი ნაზად გადაუსვა, როიალს მიუჯდა, ცხვირსახოცზე ხელები შეიმშრალა და მოკრძალებული ღიმილით მზერა დარბაზის პირველ რიგს მოავლო. უცებ სახიდან ღიმილი გაუქრა, შუბლი შეეჭმუნხა, ცხვირსახოცი იატაკზე დაუვარდა, პირველ რიგში მსხდომთა სახეებს თვალი დაკვირვებით ერთხელ კიდევ შეავლო და რიგის შუაგულში ცარიელი ადგილი რომ შენიშნა, როიალი დახურა, სკამიდან წამოდგა, ესტრადის კიდესთან მივიდა, თვალები გადაატრიალა, ხელები ბალერინასავით ასწია და ორი-სამი უცნაური „პა“ გააკეთა. ამაზე დარბაზი გაირინდა. სადღაც სიღრმეში სიცილმა იფეთქა. ბახმანი შეჩერდა, რაღაც ჩაიდუღუნა და ფართო, წრიული მოძრაობით დარბაზს სამი თითის კომბინაცია აჩვენა.

— ეს ყველაფერი ისე უცებ მოხდა, — ყვებოდა ზაკი, — მისახმარებლად სცენაზე შერბენაც ვერ მოვასწარი. იმ სამი თითის კომბინაციის შემდეგ სცენიდან რომ გამოდიოდა, მხოლოდ მაშინ დავეჯახე და, ბახმან, რას შვრები, სად მიდიხარ-მეთქი? — მივაძახე, მაგრამ რაღაც უხამსი სიტყვა მითხრა და სამსახიობოში შევარდა.

მაშინ ზაკი თურმე თვითონ გავიდა ესტრადაზე, სადაც ხალხი აუტანელი ხმაურით და ღრინაცვლით შეხვდა. ზაკმა ხელი ასწია და როცა დარბაზის გაჩუმება შეძლო, დაჰპირდა, კონცერტი აუცილებლად ჩატარდებოდა. სამსახიობოში დაბრუნებული ხედავს, ბახმანი მაგიდასთან ზის და ვითომც არაფერი, ტუჩების ცმაცუნით პროგრამას კითხულობს.

ზაკმა იქ მყოფთ თვალი გადაავლო, წარბები მრავალმნიშვნელოვნად აწკიპა და პეროვასთან დასარეკად ტელეფონს ეცა. კარგა დიდიხანს არავინ პასუხობდა, ბოლოს რაღაცამ გაიჩხაკუნა და ქალის სუსტი ხმა გაისმა.

— ახლავე, ახლავე წამოდი, — სხაპასხუპით მიაყარა ზაკმა — თქვენს გარეშე ბახმანს დაკვრა არ სურს, პუბლიკა უკვე... რაო, რა თქვით? დიახ, დიახ, ხომ გითხარით, არ სურს-მეთქი, ალო! ალო! რა ჯანდაბაა!.. ეტყობა გაგვთიშეს!

პეროვა სიციხისგან იწვოდა, ექიმი, რომელმაც ორჯერ მოინახულა იმ დღეს, უსაშველოდ ავარდნილი ვერცხლის სვეტს გაოგნებული დასჩერებოდა... ტელეფონის ყურმილი რომ დადო (ჩანს, სანოლთან ედგა აპარატი), ქალმა ალბათ გახარებულმა გაიღიმა. მერე ლოგინიდან

წამოდგა და აკანკალებულმა ტანსაცმლის ჩაცმა დაიწყო. მკერდექვეშ აუტანელ ჩხვლეტას გრძნობდა, მაგრამ გაბრუებულსა და სიციხისაგან ყურებდაგუბებულს სიხარული ეძახდა. რატომღაც მგონია, წინდებს რომ იცვამდა, აბრეშუმი გათომილი ფეხის ფრჩხილებზე ედებოდა. თმა, როგორც იქნა, დაივარცხნა, ყავისფერ ქურქში გაეხვია, ხელჯოხის კაკუნით ოთახიდან გავიდა და შევიცარს ტაქსის გაჩერება სთხოვა. წვიმისგან ჩაშავებულ ასფალტს ლაპლაპი გაჰქონდა. მანქანის კარის სახელური სველი და ყინულივით ცივი იყო. ქალს მთელი გზა ბაგედან ბედნიერი ღიმილი არ მოსცილებია. თეატრს რომ მიუახლოვდა, დაინახა ხალხი თეატრიდან ქუჩაში ბრბოსავით მოედინება და გზადაგზა ქოლგებს გაბრაზებული ხსნის. ამის დანახვაზე ქალს ლამის გული წაუვიდა, მაგრამ, როგორც იქნა, გააღწია ხალხში. თეატრში რომ მივიდა, ზაკი სამსახიობოში დაუხვდა, გამწარებული ბოლთას სცემდა და ხან ერთ ლოყაზე იტაცებდა ხელს, ხან მეორეზე.

— კინალამ გავგიჟდი! — მიყვებოდა ზაკი, — ვიდრე მე ტელეფონთან ვჯახირობდი, მაესტრომ თავს უშველა — საპირფარეოში მივდივარო და გაიპარა. პეროვა რომ მოვიდა, ვეცი, სად იყავი, თეატრში შენს ადგილას რატომ არ იჯექიმეთქი? ხომ წარმოგიდგენიათ, აღარც კი მახსოვდა, გაციებული რომ იყო. მეკითხება — ესე იგი, ახლა სახლშია, ესე იგი, ავცდიო? მე კი ჭკუაზე არ ვიყავი, ყვირილი დაუწყე — „რა სახლი, რის სახლი! სამიკიტნოშია, გესმით, სამიკიტნოშია!“ მერე ხელი ჩავიქნიე და როგორმე მოლარე რომ მეხსნა, გავიქეცი.

აკანკალებულმა, ბედნიერად მომღიმარე პეროვამ ბახმანის საძებრად გასწია. ვარაუდით იცოდა, სად უნდა ეძებნა და გაოცებულმა მძლოლმაც იმ ბნელსა და შიშის მომგვრელ კვარტალში წაიყვანა. როცა იმ ქუჩაზე მივიდა, სადაც, ზაკის სიტყვით, წინა დღეს ბახმანი იპოვეს, პეროვამ ტაქსი გაუშვა და ირიბად წამოსულ შხაპუნა წვიმაში კუნუბიან პანელს ხელჯოხის კაკუნით მიჰყვა. სამიკიტნოებში რომ შედიოდა, ხმამაღალი, მყვირალა მუსიკისაგან ლამის ყურის ბარაბნები დახეთქოდა. კაცები მისკენ უტიფრად ბრუნდებოდნენ და უტიფრად აჩერებდნენ, ის კი აინუნშიაც არ აგდებდა — შევიდოდა კვამლით გაბინდულ, ათასფრად აჭრელებულ, ადგანდგარებულ დარბაზში, მიიხედ-მოიხედავდა და გამოვიდოდა ისევ კოკისპირული წვიმისგან კიდევ უფრო გაუკუნეთებულ ღამეში. მალე მოეჩვენა, ერთი და იგივე სამიკიტნოებში შევდივარო და მტანჯველმა სისუსტემ მხრები დაუმიძიმა. მოდიოდა, კიდევ უფრო კოჭლობდა, თავისთვის რაღაცას დუღუნებდა და სიცივისაგან გახევებული თითებით ფირუზის ბუნიკს ბღუჯავდა. პოლიციელი, რომელიც კარგა ხანია თვალს ადევნებდა, მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, მისამართი ჰკითხა და მბრძანებლური დაყვავებით მორიგე მეეტლის

შავ ლანდოსთან მიიყვანა. ლანდოს ღია კართან მუშამბის პრიალა მოსასხამიანი მეეტლე იდგა. ბოლოს როცა თავი სასტუმროს თბილ დერეფანში ამოყო, ქალი საოცარმა გულგრილობამ მოიცვა. თავისი ნომრის კარს ხელი ჰკრა და ოთახში რომ შევიდა, ხედავს, ფეხშიშველა, ღამის პერანგიანი, მხრებზე საბანამოსხმული ბახმანი მის საწოლზე ზის, მაგიდის მარმარილოს ზედაპირზე ორ თითს უკაკუნებს და სანოტო ფურცელზე ქიმიური ფანქრით წერტილებს სვამს, ამ საქმით ისეა გართული, არც კი გაუგია, კარი როგორ გაიღო, ქალმა ჩუმად ამოიკვნესა, ბახმანი შეკრთა და მხრებიდან საბანი ჩამოუცურდა.

ვფიქრობ, პეროვასთვის მთელ მის სიცოცხლეში ეს ერთადერთი ბედნიერი საღამო იყო, და რომ ამ ორმა ადამიანმა — ნახევრად შეშლილმა მუსიკოსმა და იმ მომაკვდავმა ქალმა იმ ღამეს იმ სიტყვებს მიაგნეს, რომლის მსგავსი მსოფლიოს თვით უდიდეს პოეტებსაც კი არასოდეს დასიზმრებიათ. მეორე დილას აღშფოთებული ზაკი სასტუმროში რომ მივიდა, ხედავს, პეროვა ფართო, უზარმაზარ საწოლზე გარდიგარდმო წევს, ზევიდან კუბოკრული საბანი ახურავს, ბახმანიც იქვე ზის და ქალს აღტაცებული ღიმილით შეჰყურებს. არავინ იცის, როცა იგი მეგობარი ქალის სიცხისაგან გავარვარებულ სახეს შეჰყურებდა, როცა მისი გახშირებული სუნთქვა ესმოდა, რას გრძნობდა ან რას ფიქრობდა? იქნებ თავისებურად ესმოდა, თავისებურად აღიქვამდა ქალის სნებაშეყრილი, ათრთოლებული სხეულის ბორგვას, მაგრამ ის, რომ ეს ყველაფერი ავადმყოფობის გამო იყო, ჩანს, თავში აზრადაც არ მოსდიოდა. ზაკმა ექიმს გამოუძახა. თავიდან ბახმანი მას უნდობლად, მორცხვი ღიმილით შეჰყურებდა, მერე მხრებში ჩააფრინდა, შუბლზე ხელი შემოირტყა, აბორგდა, აწრიალდა, წინ და უკან შემოილივით დარბოდა და კბილებს აკრაჭუნებდა. ქალი იმავე დღეს გარდაიცვალა, ისე, რომ გონებაზე არ მოსულა, სახიდან ბედნიერი ღიმილი არ მოსცილებია. ღამის

მაგიდაზე ზაკმა ნოტების დაჭმუჭნული ფურცელი იპოვა, მაგრამ ფურცელზე გაბნეული წერტილების ამოკითხვა ვერ შეძლო.

— ბახმანი მაშინვე წავიყვანე, — მიყვებოდა ზაკი, — ხომ მოგეხსენებათ, ვშიშობდი, ქმარი არ მოვიდეს-მეთქი. საბრალო, ჩვარივით იყო მოშვებული, უცებ ისე წამოიკვილებდა, თითქოს შეუღიტინესო, ყურებს იცობდა — არა, არ მინდა... არ მინდა... არ მინდა ბგერების გაგონებაო!.. მართალი გითხრა, არ ვიცი, რატომ იყო ასე შეშფოთებული, ჩვენს შორის დარჩეს და, ის უბედური ქალი მას არასოდეს ჰყვარებია. მოკლედ, ასეა თუ ისე, რაც არ უნდა იყოს, იმ ქალმა დაღუპა... პეროვას დასაფლავების შემდეგ ბახმანი უკვალოდ გაქრა. მართალია, მის სახელს ჯერ ისევ შეხვდებით პიანოლის ფირმებში, მაგრამ თვითონ ის აღარავის ახსოვს. მე და ის ბედმა მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ შეგვყარა, ისიც მხოლოდ ერთი წუთით. შვეიცარიის ერთ პატარა სადგურში მატარებელს ვუცდიდი. მახსოვს, დიდებული საღამო იყო. რა თქმა უნდა, მარტო არ ვიყავი. დიახ, დიახ, ქალთან ერთად გახლდით. ვხედავ, ხალხია შეგროვილი — ვილაც ტანდაბალ, შავ შლაპასა და შავ პალტოში ჩაცმულ კაცს შემოხვევია. კაცი მუსიკალური ავტომატის ხვრელში მონეტებს ჩრის და გულამოსკვნით ტირის — ჩაადებს მონეტას, მუსიკას უსმენს და ტირის. მერე ეტყობა ავტომატს რაღაც მოეშალა, მონეტა გაიჩხირა და კაცმა ყუთს ნჯღრევა დაუნყო. რაც ძალი დაღონე აქვს, ანჯღრევს და კიდევ უფრო ხმამალა ტირის. ბოლოს თავი დაანება და წავიდა. მე იგი, ცხადია, მაშინვე ვიცანი, მაგრამ, ხომ გესმით, მარტო არ ვიყავი, ქალთან ერთად გახლდით, იქაურობა კი ცნობისმოყვარე ხალხით იყო სავსე. ხომ ვერ მივიდოდი, გამარჯობა, ბახმან-მეთქი, ხომ ვერ ვეტყოდი, უხერხული იყო...

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა







წარწერა  
 1918-1928

**ბ ფ ი ც ი ს ი ს  
 ს ა ხ ა ც მ ნ ი ფ ო  
 უ ნ ი ვ ე ხ ს ი ს ი ბ ა ბ ი  
 1918-1928**

/იბეჭდება შემოკლებით/

I  
 ქართული უმაღლესი სასწავლებელი პოტენ-  
 ციურად მუდამ არსებობდა ჩვენს საზოგადოებრივს  
 შეგნებაში; მის შესაძლებლობას უზრუნველ-  
 ჰყოფდა: 1) მაღალი კულტურული ტრადიციები  
 ქართველი ხალხისა, 2) საკმაო რიცხვი ქართველი  
 მეცნიერებისა როგორც რუსეთში, ისე თვით  
 საქართველოში, 3) საკმარისი კონტინგენტი  
 მსმენელებისა, რომელნიც ყოველწლივ რუსეთის  
 უმაღლეს სასწავლებლებში აფარებდნენ თავს და  
 4) თვითმპყრობელობის მიერ გაღიზიანებული  
 ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნება ქართვე-  
 ლებისა. ოღონდ თვითმპყრობელობის დროს ასეთს  
 სასწავლებელზე ცხადად და გულახდილად ვერავინ  
 ბედავდა ჩვენში ოცნებასა და, მით უმეტეს, ლაპა-  
 რაკს. სადმე ვინრო წრეში თუ ჩამოვარდებოდა  
 ამაზე კონფიდენციალური ლაპარაკი, აქაც აზრთა  
 სხვადასხვაობა იჩენდა ხოლმე თავს: ზოგი პოლი-  
 ტიკური ტიპის სასწავლებელზე ოცნებობდა,

ზოგი უნივერსიტეტზე, ზოგი კიდევ სამეცნიერო  
 აკადემიის შექმნაზე. ასეთი გაუბედაობა და კონფი-  
 დენციალობა გასაგებია: თვითმპყრობელობა  
 უმაღლეს სასწავლებლებს თვით რუსეთშიაც კი  
 სთვლიდა ყოველგვარ „კრამოლის“ ბუდედ;  
 რასაკვირველია, ის ვერ შეურიგდებოდა ასეთი  
 სასწავლებლის, მით უმეტეს, ეროვნულის არსე-  
 ბობას ისეთს განაპირა ქვეყანაში, როგორც იყო  
 „წყეული“ კავკასია და კერძოდ, „მოსუვენარი“  
 საქართველო. მართალია, რევოლუციური მოძრა-  
 ობის ზრდისა და განსაკუთრებით, იმპერია-  
 ლისტური დიდი ომის ქარიშხლის ზეგავლენით,  
 უკანასკნელ წლებში თვითმპყრობელმა ბიურო-  
 კრატიათ, „ინოროდცების“ გულის მოსაგებად,  
 ჩვენშიც დაიწყო ლაპარაკი უმაღლესი სასწავ-  
 ლების დაარსების შესახებ, მაგრამ მას სახეში  
 ჰქონდა არა ეროვნული, არამედ რუსული სასწავ-  
 ლებელი. თან იდეა ასეთი სასწავლებლისა მან  
 პროვოკაციულ საშუალებად გამოიყენა, რათა  
 ამიერკავკასიის მოძმე ერები ერთიმეორისათვის  
 მიესია და ამით მას თვითონ ხელი მოეთბო. საკმა-  
 რისია მოვიგონოთ ის დაუნდობელი იდეური შეხლა-  
 შემოხლა ქართველებსა და სომხებს შორის,  
 რომელიც გამოიწვია ტფილისში პოლიტექნიკუმის  
 გახსნის პროექტმა, იმ პოლიტექნიკუმის, რომელიც  
 ცბიერმა ბიუროკრატიათ ფაქტიურად მაინც არ  
 გახსნა.

მაგრამ, ის რაც შეუძლებელი იყო ცარიზმის  
 დროს, თითქოს შესაძლებელი გახადა თებერვლის  
 რევოლუციამ, რომელმაც დაჩაგრულ ეროვნებათა  
 კულტურულ ოცნებებს ფრთები შეასხა. ესლა უკვე  
 თამამად, გაბედულად და ცხადად ლაპარაკობენ  
 ჩვენში ქართული უნივერსიტეტის შექმნის საჭი-  
 როებისა და შესაძლებლობის შესახებ, ითვალისწი-  
 ნებენ საქართველოში უმაღლესი სკოლის პერსპექ-  
 ტივებს, არკვევენ ქართველ სტუდენტთა რიცხვს  
 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე,  
 ქართველ მეცნიერთა რაოდენობას რუსეთსა და  
 საქართველოში, კითხულობენ მოხსენებებს  
 საქართველოში უნივერსიტეტის იდეის პოპულარი-  
 ზაციის მიზნით და სხვა. მაგრამ ჯერჯერობით ეს  
 მხოლოდ ლაპარაკი იყო; რეალურ საქმიანობაზე ამ  
 მხრივ ჩვენი საზოგადოება გადავიდა 1917 წლის  
 შემოდგომიდან, როდესაც ტფილისში დაარსდა  
 „საუნივერსიტეტო საზოგადოება“ და საორგანი-  
 ზაციო მუშაობა დაიწყო. ამ „საზოგადოების“  
 საფინანსო კომისია ეძებს მომავალი უნივერსი-  
 ტეტის მოსათავსებელ შენობას და შესანახ  
 წყაროებს, აკადემიური კომისია კი, პროფ. პ. მელი-  
 ქიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, იოს. ყიფშიძის, ექ.  
 თაყაიშვილის, ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, კ.  
 კეკელიძის, ა. რაზმაძის, ფ. გოგიჩაიშვილის და დ.  
 უზნაძის შემადგენლობით, ზრუნავს უნივერსი-  
 ტეტის მეცნიერული ორგანიზაციის შესახებ. თავის  
 დროზე შედგენილ იქნა პროექტი მომავალი  
 უნივერსიტეტისა, რომელიც მაშინდელი „ამიერ-  
 კავკასიის საგანგებო კომიტეტის“ მიერ წარეგზავნა  
 ცენტრში „დროებითს მთავრობას“ დასამტკიცებ-  
 ლად. დიდმპყრობელობითმა იდეამ, რომელიც  
 დამახასიათებელი იყო ცარიზმის პოლიტიკისა  
 პატარა ეროვნებათა მიმართ და რომელიც მემკვიდ-

რეობით „დროებითის მთავრობაშიაც“ გადმოვიდა, დამტკიცების მაგიერ, ამ პროექტის წინააღმდეგ და მის გასაბათილებლად სამეცნიერო აკადემიაც კი დარაზმა. მოვიგონოთ, თუგინდ, ერთერთი აკადემიკოსის ოფიციალური მოხსენება „**ОКавказском Унив-те в Тифлисе**“ რომელშიაც ავტორი ამტკიცებს, რომ დიდი რუსეთი ჰეგემონიას ხელიდან ვერ გაუშვებს ფაქტიურად მის მიერ შექმნილ ამიერკავკასიასა და ტფილისში, ამიტომ აქ უნდა იქნას ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსული უნივერსიტეტის ტფილისში; მის გვერდით შეიძლება დაშვებულ იქნას ნაციონალური უნივერსიტეტები, ისიც მეცნიერების პოპულიზაციის მიზნით მხოლოდ, ვინაიდან ნამდვილი მეცნიერების შესაქმნელად ქართველებს არც სამეცნიერო ძალები ჰყავთ, არც სამეცნიერო დაწესებულებანი მოეძებნებათ<sup>1)</sup>, თითქოს რუსული უნივერსიტეტი-სათვის ასეთი დაწესებულებანი უკვე მზად იყო ტფილისში. მართლაც, „დროებითმა მთავრობამ“ ქართული უნივერსიტეტის პროექტის საპასუხოდ „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს“ დეპეშით აცნობა, რომ ტფილისში 1918 წლის დამდეგიდან გაიხსნება რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაგრამ ის, რაც თებერვლის რევოლუციის პერიოდშიაც კი შეუძლებელი იყო თურმე, შესაძლებელი გახდა ოქტომბრის რევოლუციამ. ასე რომ, 1918 წლის 26 იანვარს (ძველი სტილით) ტფილისში, „დროებითი მთავრობის“ მიერ განზრახული რუსული უნივერსიტეტის მაგიერ, დიდი ზეიმით გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

ამნაირად, ქართულმა უნივერსიტეტმა ბოლოს-დაბოლოს მაინც გაიკაფა გზა და გაიმარჯვა.

## II

ტფილისის უნივერსიტეტი თავდაპირველად კერძო სასწავლებლად ითვლებოდა და მისი შესანახი რესურსებიც კერძო ხასიათის იყო; მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გამოცხადდა ის „სახელმწიფო უნივერსიტეტად“.

1. 1918 დამდეგს უნივერსიტეტი გაიხსნა მხოლოდ ერთი, ეგრეთწოდებული სიბრძნის-მეტყველების ანუ ფილოსოფიური ფაკულტეტის სახით; ამავე წლის შემოდგომიდან მას მიემატა ორი ფაკულტეტი: საექიმო და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო. ამ სამი ფაკულტეტის შემადგენლობით ჩაჰბარდა უნივერსიტეტი 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლებას. რა მოხდა მერე? 1921 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტში გაიხსნა აგრონომიული ფაკულტეტი, რომელსაც სამი განყოფილება აქვს: სოფლის მეურნეობის, მეტყვევობის, მებაღეობა-მელვინეობის. იმავე 1921 წლის შემოდგომიდანვე სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები გაერთიანებულ იქნა პედაგოგიურ ფაკულტეტის სახელით, რომელსაც დღეს ექვსი განყოფილება აქვს: საისტორიო, სალიტერატურო, სამათემატიკო,

საფარმაცევტო და საბუნებისმეტყველო; საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს თავის მხრივ ოთხი განხრა აქვს: ბიოლოგიური, ქიმიური, პედაგოგიური და გეოგრაფიული. 1922 წელს გაიხსნა სამი ფაკულტეტი: 1) სოციალურ-ეკონომიური, რომელსაც ორი განყოფილება აქვს: იურიდიული და ეკონომიური, უკანასკნელი სამი განხრით: სტატისტიკური, კოოპერატიული და ფინანსური; 2) მუშათა ფაკულტეტი, რომელიც მუშათა მასებს ამზადებს უნივერსიტეტში შესასვლელად და 3) პოლიტექნიკური, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგება: მექანიკური, სააღმშენებლო და სამთო; თვითეულ ამ განყოფილებას ორი დარგი აქვს: ელექტრო-მექანიკური და ჰიდრომექანიკური, სახუროთმოდგერო და სააღმშენებლო, ქიმიურ-მეტალურგიული და სამთო-მადნო. ამნაირად, დღეს-დღეობით ჩვენი უნივერსიტეტი წარმოადგენს უზარმაზარ ხეს, რომელსაც 33 განშტოება აქვს 6 ფაკულტეტის, 14 განყოფილების და 13 განხრის სახით. ასეთი ფართო მასშტაბის უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირში მეორე არ მოიპოვება. ეს აიხსნება მით, რომ ამ ერთადერთს უმაღლეს სასწავლებელს ჩვენს ქვეყანაში დაკისრებული აქვს მოამზადოს, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით, მეცნიერული მუშაკები ცხოვრების ყოველი დარგისათვის.

2. უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და სასწავლო-ტექნიკურ მუშაობას აწარმოებენ პროფესორები, დოცენტები, პრივატ-დოცენტები, ლექტორები, ასისტენტები, ასპირანტები, ორდინატორები და პრეპარატორები. უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა უზრუნველყოთ ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებელი სამეცნიერო ძალებით, რომელნიც ქართულ ენაზე შესაძლებს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის წარმოებას. ამ მხრივ გამოყენებულია და საქმეში ჩაბმული ყველა ის, ვინც მუშაობდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ანდა საქართველოში ეწეოდა კვალიფიციურ სამეცნიერო-აკადემიურ მოღვაწეობას. რადგან საჭირო ქართული ძალები ასი პროცენტით არ აღმოჩნდა, ზოგიერთი კათედრა ჩაბარდა არაქართველ მეცნიერებსაც, რომელთაც გარკვეულ ვადაში უნდა მოემზადებიათ ახალი ძალები ამათუიმ სპეციალობაში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდათაგან. ზოგს შემთხვევაში ეს მიზანი მიღწეულია, ზოგიერთში კი მუშაობა ეხლაც წარმოებს ამ მიმართულებით.

3. ქართული უნივერსიტეტის დაარსებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი ახალგაზრდობა. მას მოაწყდა ყველა, ვისაც კი იმ უნივერსიტეტის იდეა აინტერესებდა; მსმენელებად ისეთებიც კი ჩაირიცხნენ, რომელთაც უმაღლესი სწავლა სხვა უნივერსიტეტში ჰქონდათ მიღებული. ამიერკავკასიის უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ მან კარები გაუღო მის მსმენელებსაც, მოუწყო მათ პარალელური მეცადინეობა და საშვალეობა მისცა რუსულ ენაზე დაესრულებინათ კურსი. არსდროს ჩვენს მოზარდ თაობაში ინტერესი უნივერსიტეტისადმი არ შესუსტებულა, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ თანდათან

<sup>1)</sup> იხ. სამეცნიერო აკადემიის კრებული *Азиатский Сборник, Из Известий Российской Академии Наук, Новая серия, Петроград, 1918 год, стр. 1496—1566*, განსაკუთრებით 1508—1509.

დიდდება მოთხოვნილება, რომელსაც ვუყენებთ უნივერსიტეტში შემსვლელთ, რიცხვი სტუდენტების ყოველწლივ იზრდება.

4. პედაგოგიური მუშაობა უნივერსიტეტისა თანდათან უახლოვდება ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებებსა და სინამდვილეს. ამ მიზნით 1926-27 აკადემიური წლის დამდეგს გადასინჯულ იქნა სასწავლო პროგრამები, შემოღებული იქნა ახალი წესდება უნივერსიტეტისა, რომელიც უნივერსიტეტის მართვა-გამგეობისა და სასწავლო-აკადემიურ ორგანოებში ფართოდ გაულო კარები საზოგადოებრივ ელემენტებს. სტუდენტობა უახლოვდება ცხოვრებას, განსაკუთრებით საწარმო პრაქტიკაზე მივლინების გზით. ამ მივლინებისას სტუდენტი უშუალო მონაწილეობას ღებულობს იმ მუშაობაში, რომლისთვისაც ის სპეციალურად ემზადება, ეცნობა იმ წრეს და გარემოს, რომელშიაც მას მოუხდება მერე მუშაობა. საწარმოო პრაქტიკაზე მისავლენი ადგილები შედარებით ნაკლებია, მაგრამ ამ ნაკლს ავსებს ის გარემოება, რომ დიდ ნაწილს სტუდენტობისას, არსებობის წყაროს მოსაპოვებლად, უხდება სამსახური სხვადასხვა საწარმოო-სამეურნეო დაწესებულებაში, სადაც მათ მიერ შექმნილი თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოულობს. ერთი სიტყვით, თუ ძველი უნივერსიტეტი ცხოვრების გარეშე იდგა, დღევანდელი ჩვენი უნივერსიტეტი მის ცენტრშია მოქცეული, ის მუშაობს თანახმად იმ დირექტივებისა, რომელსაც ის ნამდვილი ცხოვრებისაგან, სხვადასხვა სამეურნეო-საწარმოო დაწესებულებათაგან, ღებულობს. 1923 წლიდან, როდესაც დაიწყო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა გამოშვება, ჩვენი განახლებული ცხოვრების სამეცნიერო-სატექნიკო და საწარმოო-სამეურნეო დაწესებულებებმა უნივერსიტეტიდან მიიღო 1356 მეცნიერულად მომზადებული სხვადასხვა დარგის მუშა-სპეციალისტი.

5. უნივერსიტეტში წარმოების ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიებით მუშაობა. იქმნება და მუშავდება სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდ წარმოდგენილია ეროვნული კულტურის განვითარება, ინერება მრავალი სამეცნიერო შრომა, სადოქტორო დისერტაცია, სამეცნიერო ნარკვევის თუ სახელმძღვანელოების სახით. დღეს არ არის არც ერთი დარგი მეცნიერებისა, რომლის კუნჭული, თუგინდ პატარაც, არ გაეშუქებოს ქართულ ენაზე დაწერილ შრომას და ქართველი მეცნიერის ლაბორატორიაში წარმოებულ მუშაობას. უნივერსიტეტის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში, სამეცნიერო ექსკურსიებისა და ექსპედიციების დროს, აგრეთვე კონფერენციკონგრესებზე წარმოებს შესწავლა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და აწმყოსი, ძიება მისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა. კერძოდ, საქეიმო ფაკულტეტის სამეცნიერო დაწესებულებებში წარმოებს საქართველოს მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების შესწავლა და მის შედეგებთან დაკავშირებით პროფილაქტიური საშუალებების გამოძებნა ადგილი; აქვს აგრეთვე ჯიშისა და ერის კონსტიტუციის, პათოლოგიის და ჰიგიენის შესწავლას, რაზედაც დამოკიდებულია ჩვენი ერის მომა-

ვალი კეთილდღეობა. აღმოჩენილია მთელი რიგი ისეთი დაავადებებისა, რომელთა შესახებ საქართველოში არც სამეცნიერო ლიტერატურამ, არც ადგილობრივმა ექიმებმა და არც საქეიმო ხელისუფლებამ არა იცოდა რა. უნივერსიტეტის მუშაკები ცდილობდნენ საქართველოს ფარგლების გარეშეც გაიტანონ უნივერსიტეტის სახელი და მისი მეცნიერული პროდუქცია: ისინი მონაწილეობას ღებულობენ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო გამოცემებში, დროგამოშვებით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში, — საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა 92 სამეცნიერო მივლინებას, კავშირს აბამენ სხვადასხვა მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან, აცნობენ მათ ქართულ უნივერსიტეტსა და ქართული მეცნიერების მიღწევებს. ისინი აბამენ წმინდა მეცნიერულ მუშაობაში სტუდენტობის ფართე მასებსაც სხვადასხვა სამეცნიერო წრეების სახით, როგორიცაა იურიდიული, ეკონომიური, აგრონომიული, ტექნიკური, მედიკური, საისტორიო, სალიტერატორო, ლინგვისტური, საბუნებისმეტყველო და სამათემატიკო წრეები. ერთი სიტყვით, მეცნიერული ფეხმომარება და წინსვლა ჩვენი უნივერსიტეტისა დღეს ცხადია იმათთვისაც კი, ვინც თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდა და რომანტიკოსობად სთვლიდა ჩვენს საქმეს. ამ ორი წლის წინათ აკადემიკოსმა ნ.მარმა მეცნიერების მუშაკთა ერთერთ ყრილობაზე პირდაპირ განაცხადა: ქართულ ენაზე, ქართულ უნივერსიტეტში, ისეთი შრომები ინერება, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგებში, რომლებიც საპატიო ადგილს დაიჭერდენ მსოფლიო მეცნიერებაში, ყველასათვის ხელმისაწვდომი რომ გახდებოდნენ ისინიო.

6. უნივერსიტეტს აქვს თავისი სამეცნიერო-დამხმარე დაწესებულებები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მისი ნაყოფიერი მუშაობა. პირველი ადგილი ამ დაწესებულებათა შორის უკავია წიგნთსაცავს, რომელიც მთავარი ძარღვია უნივერსიტეტის საქმიანობისა. ეს წიგნთსაცავი, რომელშიაც დღეს 205.000 ტომზე მეტია, ივსებოდა წლითი-წლად; ნაწილი წიგნებისა შემოწირულია, დიდი ნაწილი მთავრობის მიერაა გადმოცემული ამათუიმ საზოგადოების ან დაწესებულების ლიკვიდაციის შემდეგ, ნაწილი კიდევ შექმნილია ფულით თუ სხვადასხვა საკავშირო და საზღვარგარეთულ სამეცნიერო დაწესებულებებთან და გამომცემლობასთან გაცვლა-გამოცვლის გზით. წიგნსაცავის კეთილმოწყობას და შევსებას ახალი ლიტერატურით სერიოზული ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით 1923 წლიდან, როდესაც იწყება მისი ბიუჯეტის ზრდა. თვითეულ ფაკულტეტს აქვს თავისი სამეცნიერო დაწესებულებანი, სადაც წარმოებს როგორც პედაგოგიური, ისე წმინდა მეცნიერული მუშაობა; ესენია: ლაბორატორიები—26, კლინიკები—17, კაბინეტები—30, მუზეუმები—6, ინსტიტუტები—3, სადგური—1, სულ 83 დაწესებულება. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუხრანის სასწავლო მამული, რომელიც მთავარი ბაზაა აგრონომ-სტუდენტების პრაქტიკული ვარჯიშებისა და ფაკულტეტის სამეცნიერო

მოღვაწეობისა.

7. უნივერსიტეტის არსებობის წყაროს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტით განკუთვნილი თანხები და სხვადასხვა ხასიათის შემოსავალი, რომელთა შორის პირველი ადგილი სასწავლო გადასახადს უკავია. სასწავლო გადასახადი წელიწადში იძლევა არაუმეტეს 40-50 ათას მანეთისა, ვინაიდან უდიდესი ნაწილი სტუდენტობისა (70%) განთავისუფლებულია ამ გადასახადებისაგან; ასე რომ უმთავრესად უნივერსიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტზე არსებობს. მთელი ნახევარი წელიწადი, როგორც კერძო დაწესებულება, ის საქველმოქმედო და კერძოდ შემოწირული თანხებით არსებობდა, მერე, როდესაც ის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადდა, გადავიდა სახელმწიფო ბიუჯეტზე. 1918 წელს მისი ბიუჯეტი უდრიდა 21161 მანეთს, ხოლო 1927 წელს უკვე 827689. უდიდესი ნაწილი უნივერსიტეტის ბიუჯეტისა მიდის ხელფასზე (82%), რომლის ნორმა თანდათან იზრდება; მაგალითად, 1925 წლამდე პროფესორის ექვსსაათიანი განაკვეთი ღირდა 45 მანეთი, 1927 წელს ის ავიდა 110 მანეთამდე. საკავშირო რესპუბლიკათა უნივერსიტეტის ბიუჯეტთან შედარებით ბიუჯეტი ჩვენი უნივერსიტეტისა ძალიან მცირეა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ის ერთს წერტილზე არ გაჩერებულა და ყოველწლივ იზრდება. ამასთან, იზრდება აგრეთვე პროდუქცია პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა. ერთი სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა მიუდგეთ უნივერსიტეტს, მას ემჩნევა შეუჩერებელი წინსვლა, ზრდა და ცხოვრებასთან შესისხლხორცება იმდენად, რომ ქართული სინამდვილე უქართულუნივერსიტეტოდ წარმოუდგენელი ხდება.

III

ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ უნივერსიტეტი იდეალურ სიმაღლეზე დგას და მან დაამთავრა უკვე პროცესი ზრდა-განვითარებისა. ამას, რასაკვირველია, ობიექტურად თუ მიუდგებით საკითხს, ვერც მოვთხოვთ უნივერსიტეტს, რომელიც ქვეყნის სოციალ-ეკონომიურად გარდაქმნის პროცესში ყალიბდებოდა. დამთავრებული, სავსებით ჩამოყალიბებული უნივერსიტეტი ათ წელში კი არა, საუკუნეებით იქმნება; თან, როგორც ცოდნისა და მეცნიერების შეყენება არ შეიძლება ერთს წერტილზე, არც სამეცნიერო დაწესებულების შეჩერება შეიძლება ერთს დონეზე, ის მუდამ უნდა იზრდებოდეს და ღრმავდებოდეს. ამ თვალსაზრისით თუ მიუდგებით საკითხს, არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ზოგიერთ—desiderata, რომელ-თაც საპერსპექტივო მუშაობის ხასიათი აქვთ.

1. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ჩვენი უნივერსიტეტი ფართო მასშტაბითაა გაშლილი, მაგრამ მას მაინც აკლია ზოგიერთი ისეთი კათედრა და დარგი, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მაგალითად, არ გვაქვს ჯერჯერობით ვეტერინარული დარგი, რაც მეტად საგრძნობია ჩვენთვის, განსაკუთრებით თუ გვეხსომება, რომ ძველი თაობა მცირერიცხოვანი ბეითლებისა გადადის უკვე, მათი

შემცვლელნი კი არსად ჩანან. სიახლოვე სპარსეთისა და ოსმალეთისა, ეპიზოიტის ამ უშრეტი კერებისა, მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს ვეტერინარული თვალსაზრისით ჩვენი მეურნეობისათვის. საჭიროა ამ საფრთხის წინააღმდეგ აღმართოს საიმედო ციტადელი ვეტერინარული სასწავლო დაწესებულების სახით, რომელსაც არა მარტო ჩვენთვის ექნება მნიშვნელობა, არამედ მთელი ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირისათვის.

არ გვაქვს ჯერჯერობით არც სტომატოლოგი-ტოლოგიური ინსტიტუტი, რის გამო ერთ-ერთი მხარე მშრომელი ხალხის ჯანმრთელობისა უნუგემო მდგომარეობაშია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, როგორც სხვა უნივერსიტეტში, ისე ჩვენშიც, საექიმო ფაკულტეტი კბილის ექიმებს ვერ ამზადებს, პირიქით, კბილის ექიმები, რომელნიც ამ ფაკულტეტს ასრულებენ, თავიანთ სპეციალობას სტოვებენ. ამიტომ საჭირო ხდება დაარსება საექიმო ფაკულტეტთან სპეციალური ინსტიტუტისა, რომელიც მოგვცემს საჭირო კადრს კბილის ექიმებისას.

2. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს უნივერსიტეტის დაწესებულებათა მოსათავსებელ შენობებს. უნივერსიტეტი ამ ათი წლის განმავლობაში იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ ის აღარ ეტევა იმ შენობაში, რომლებიც თანდათანობით გადმოდიოდა მის ხელში. საექიმო ფაკულტეტი მთლიანად თითქმის მოთავსებულია ქალაქისა და ჯანსახკომის კლინიკებსა და დაწესებულებებში, ხოლო აგრონომიული ფაკულტეტი ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში, რომელიც 1927 წლის ზაფხულზე გადმოეცა საბოლოოდ უნივერსიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ, გარდა მთავარი კორპუსისა, რომელშიც გაიხსნა უნივერსიტეტი (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია), უნივერსიტეტის კუთვნილებას შეადგენს კიდევ ოთხი შენობა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში, შეუძლებელი ხდება მინიმალური გაშლა იმ დაწესებულებებისაც კი, რომლებიც ესხა არსებობენ უნივერსიტეტში. ნამდვილად რომ ვთქვათ, პოლიტექნიკურ ფაკულტეტს, არამც თუ თავისი საკუთარი ბინა, კუთხეც კი არ აქვს ჩვენს სინამდვილეში. უკეთეს მდგომარეობაში არც ნიგნოსაცავია. ის პატარა კუთხე, რომელიც მას დათმობილი აქვს სულქვედა სართულში, უკვე აივსო ნიგნებით იმდენად, რომ იქ ადგილი აღარაა ახალი კოლექციებისათვის. თან ეს კუთხე სრულიად გამოუსადეგია ნიგნოსაცავისთვის: მას არც სინათლე აქვს საკმაო, არც გათბობა, არც ფიცრის იატაკი, ამის გამო იქ ადგილი აქვს სინესტესს, რაც ნიგნებსაც აზიანებს და თანამშრომლებსაც ასნეულებს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სტუდენტებისათვის, რომელნიც საშინელ კრიზისს განიცდიან უბინობის მხრივ, ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი საზოგადო საცხოვრებელი სახლი. უნივერსიტეტის ხუთწლიან გეგმაში ნავარაუდევია ყოველწლივ თითო შენობის აგება, რომ ამ გზით თანდათანობით შენეღდეს ეს მწვავე კრიზისი.

3. გასული ათი წელი იყო ხანა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა შექმ-



ნისა. ეს ხანა სავსებით ჯერაც არ დამთავრებულა, ვინაიდან უნივერსიტეტში არის ისეთი კათედრები, რომელთაც არავითარი დაწესებულება არ მოეპოვებათ, განსაკუთრებით სოციალ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე. ახალი პერიოდი, რომელშიც გადავდივართ, უნდა იქნეს პერიოდი ამ დაწესებულებათა ჯეროვანი მოწყობისა და მეცნიერულად შეიარაღებისა. საქმე ისაა, რომ ჩვენს ლაბორატორიაში არაა არც მუშაობისათვის საჭირო მასალა, არც ხელსაწყო, ასე რომ ერთსადაიმევე მიკროსკოპზე, მაგალითად, ერთსადაიმევე დროს მეცადინეობს 20-30 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ, დაწესებულებათა მოწყობა-მოცულობასთან შედარებით სტუდენტთა რიცხვი არაპროპორციულად იზრდება, ადვილი გასაგები იქნება, ისეთი ანომალიები, როგორიცაა სტუდენტთა დავალიანება: სტუდენტებს უხდებათ თავიანთი ჯერის ლოდინი ლაბორატორიებში მუშაობისათვის. ამიტომ პრაქტიკუმი, რომელიც ჩატარებული უნდა ყოფილიყო, ვთქვათ, მეორე კურსზე, ტარდება რვა სემესტრის მოსმენის შემდეგ, ან, უკეთეს შემთხვევაში, მეოთხე კურსზე.

სასწავლო-სამეცნიერო მოწყობილების მხრივ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ნიგენტსაცავის შევსებას ახალი სამეცნიერო ლიტერატურით, ვინაიდან, დღევანდელი მისი ფონდები უფრო შემთხვევითი წარმოშობისაა, ვიდრე გეგმიანი აკადემიური შერჩევის ნაყოფი. უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება აგრეთვე საგამომცემლო საქმის გაძლიერებას. სხვა რომ არა იყოს, ჩვენს სტუდენტებს, რომელთაც უცხო ენები, მათ შორის რუსულიც, არ იციან იმდენად, რომ ამ ენაზე არასრული ლიტერატურით ისარგებლონ, ქართულად დაწერილი სახელმძღვანელოები უნდა ჰქონდეთ.

არც სამეცნიერო პერსონალი უნდა იქნეს დაზინყებული ამ შემთხვევაში, იმასაც უნდა მიეცეს საშუალება დროზე გამოაქვეყნოს შედეგები თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებისა და ქვეყანას დაანახოს მეცნიერული ფიზიონომია უნივერსიტეტისა, რათა მან მართლაც საპატიო ადგილი დაიკავოს საერთო საუნივერსიტეტო ოჯახში. საჭიროა აგრეთვე დაარსება კვლევა-ძიებითი სპეციალური ინსტიტუტებისა, სადაც წმინდა მეცნიერულ შემოქმედებას ჩამოშორებული ექნება პედაგოგიური მუშაობა: ასეთი ინსტიტუტები საკავშირო რესპუბლიკებში თითქმის ყველგანაა უნივერსიტეტთან, ჩვენ კი ჯერჯერობით ერთიც არა გვაქვს.

4. ერთერთი საზრუნავი საგანია მსმენელთა კადრის გაუმჯობესება მომზადების მხრივ და მათი მატერიალურად უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მსმენელებს საკონკურსო გამოცდებით იღებენ, დონე სტუდენტების მომზადებისა მეტად დაბალია. საშუალო სკოლის სტაბილიზაცია ჯერ არ მომხდარა, ის ცოდნა, რომელიც გამოაქვთ იქიდან შეგირდებს, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მათ მოისმინონ უნივერსიტეტის კურსი და ჯეროვნად შეითვისონ იგი. ამ მოვლენას, იმედი უნდა ვიქონიოთ, ყურადღებას მიაქცევენ შესაფერისი ორგანოები, რადგან უნივერსიტეტს თავისთავად არ შეუძლია

რაიმე გააკეთოს ამ მხრივ.

რაც შეეხება სტუდენტთა მატერიალურ მდგომარეობას, ის პირდაპირ წარმოუდგენელი, ერთ გამოუთქმელია. უდიდესი ნაწილი სტუდენტობისა განიცდის უბინობას, არიან ისეთები, რომელთაც არავითარი ბინა არ მოეძებნებათ, და ღამეს ათევენ ან ამხანაგებთან, ან როგორც მოხვდებით. თუ ვისმეს ბედმა გაუღიმა და ოთახი იშოვა, უმეტეს შემთხვევაში, არც სინათლე აქვს საკმაოდ, არც სითბო, რომ იქ მეცადინეობა შესაძლებელი იყოს. არ აქვთ მათ არც საკმარისი სასმელ-საჭმელი. ბევრია ისეთი, რომელსაც სასმელ-საჭმელი პროვინციიდან მოაქვს, გამოელევა თუ არა ჩამოტანილი სურსათი, კვლავ პროვინციისაკენ მიეშურება და მეცადინეობას წყვეტს. არ აქვთ მათ საშუალება, შეიკერონ ჯეროვანი ტანისამოსი და შეიძინონ საჭირო სახელმძღვანელოები და ხელსაწყოები, არსებობს წყაროს მოსაპოვებლად ზოგიერთები, უფრო მოხერხებულები, სამსახურში შედიან, რიცხვი ასეთებისა 20—25% უდრის, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი ველარ პოულობენ დროს მეცადინეობისათვის და თავის პირდაპირ მიზანს ღალატობენ. რა გვმართებს ასეთ პირობებში? აქ საჭიროა რადიკალური ზომები. თუ ჩვენ გვინდა, რომ უნივერსიტეტის კარები ფართოდ გაიღოს მშრომელი და ღარიბი მუშა-გლეხისათვის, კიდევაც უნდა მივცეთ მას საშუალება ისწავლოს და იმეცადინოს. ერთერთ ასეთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს სტიპენდიების რიცხვის გამრავლება. დღესდღეობით უნივერსიტეტს აქვს 387 ოცდახუთმანეთიანი სტიპენდია, ესე იგი 5<sup>1</sup>/<sub>2</sub>% მამინ, როდესაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიანტთა რიცხვი საშუალოდ 42% უდრის.

5. არანაკლები მეცადინეობა გვმართებს სამეცნიერო ძალების მომზადების, გამრავლების და უზრუნველყოფისათვის. ეს ნათელი იქნება, თუ მხედველობაში გვექნება, რომ კეთილმოწყობილ უნივერსიტეტში ერთს საგანს ორი-სამი და მეტი მეცნიერი პატრონობს, ჩვენში კი ერთს მეცნიერს ორი-სამის და მეტი საგნის პატრონობა უხდება. იმ უნივერსიტეტს, რომელიც არ ზრუნავს ახალი მეცნიერული თაობის აღზრდისა და მეცნიერულ ძალთა გამრავლებისათვის, მათი შერჩევის შესაძლებლობის მიზნით, მომავალი არა აქვს. ეს, შეიძლება, იმდენად საგრძნობი არ იყოს დიდი ქვეყნისათვის, სადაც რამოდენიმე უნივერსიტეტია: თუ ერთი უნივერსიტეტი ვერ ამზადებს საჭირო ძალებს, მოამზადებს მეორე ან მესამე. სხვა საქმეა ჩვენში, სადაც ერთადერთი უნივერსიტეტია. აქ განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. ჩვენ უკვე ვაჩვენეთ თავის ადგილას, რომ დღესდღეობით უნივერსიტეტში 32 კაცია დატოვებული, რომელნიც სპეციალურად ემზადებიან, საზღვარეთ თუ ადგილობრივ სამეცნიერო მუშაობისათვის. ეს რიცხვი, თუ მხედველობაში გვექნება ფართო მამუბაბი ჩვენი უნივერსიტეტისა და მაგალითი სხვა უნივერსიტეტებისა, სადაც დატოვებულთა რიცხვი ასობით ითვლება, ძალიან მცირეა და ის აუცილებრივ უნდა გადიდდეს, განსაკუთრებით იმ ფაკულ-

ტეტებზე, რომლებიც შედარებით ღარიბია სამეცნიერო ძალებით. ამას გარდა, საშუალება უნდა მიეცეს უნივერსიტეტს რეგულარულად მიავილოს ხოლმე საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში ის პირნი, რომლებიც უკვე ეწევიან სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას. თუ მხედველობაში გვექნება სიძნელე ახლადდაწყებული საქმისა და სიღარიბე ჩვენი წიგნთსაცავისა, ასეთი მივლინება აუცილებელია ჩვენს სინამდვილეში, არა მარტო იმ პირთათვის, რომელნიც ახლად იწყებენ მეცნიერულ მუშაობას, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ და გამობრძმედილებისათვისაც. განახლება და გაღრმეება ცოდნისა, გაცნობა მეცნიერების ახალი მიღწევებისა და მეთოდებისა, შესაძლებელია სწორედ ასეთი მივლინებების გზით. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი საგრძნობლად ჩამორჩება სხვა უნივერსიტეტებს. არანაკლებ საჭიროა ყურადღება მიექცეს უნივერსიტეტის მუშაკთა მატერიალურ მდგომარეობასაც; მართალია, მიმდინარე აკადემიური წლის დამდეგს, ჩვენი მთავრობის მზრუნველობით, უნივერსიტეტის სამეცნიერო პედეგოგიური პერსონალის ხელფასი საშუალოდ 18% გადიდა, მაგრამ, ამის შემდეგაც, ჩვენი უნივერსიტეტი, მოკავშირე უნივერსიტეტებთან შედარებით, ძალიან მოიკოჭლებს. სხვა რომ არა ვთქვათ, ეს გარემოება იმითაა სავალალო, რომ ის აიძულებს ჩვენს მუშაკებს, ეძიონ სამსახური უნივერსიტეტის გარეშე და ამით წაართვან უნივერსიტეტსა და მეცნიერებას ნაწილი თავისი ძალისა, ენერჯისა და დროისა.

ასეთია ზოგადად ჩვენი ნაკლი და მასთან დაკავშირებით ჩვენი desiderata; ჩვენ იმედი გვაქვს, სათანადო ხელისშეწყობით, უნივერსიტეტი, რომელიც განუყრელი ნაწილია ჩვენი ცხოვრებისა, შეძლებს პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშ-

ნულება; ეს დანიშნულება კი ჩვენ ასე გვეხატება:

- 1) ჩვენი ქვეყანა უხვადაა დაჯილდოებული ყოველგვარი ბუნებრივი სიმდიდრით, გვჭირია მხოლოდ მომზადებული სპეციალისტები ამ სიმდიდრეთა მოსაძებნად, დასამუშავებლად და გამოსაყენებლად. ეს სპეციალისტები უნდა აგვიზარდოს ჩვენმა უნივერსიტეტმა, მან უნდა მისცეს ჩვენს ქვეყანას საჭირო პედაგოგები, ექიმები, სტატისტიკოს-ეკონომისტები, აგრონომები და ინჟინრები. უნივერსიტეტი უნდა გადაიქცეს კულტურული რევოლუციის კერად საქართველოში.
- 2) ჩვენი ქვეყანა, და საერთოდ მთელი ამიერკავკასია, რომელიც ხალხთა შეუწყვეტელი მოძრაობის ასპარეზი იყო მუდამ, წარმოადგენს უნიკალურ ნატეხს უძველესი, ან უკვე გარდასული ცივილიზაციებისა. მისი ისტორია, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებით ენა, მრავალი ისეთის მომთხრობია, რაც დღესდღეობით მეცნიერებაში საიდუმლოებითაა მოცული. ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა აღზარდოს სპეციალისტები, რომლებიც ამ საიდუმლოებას ფარდას ახდიან და გააშუქებენ არაერთ კაბადონს უძველესი მსოფლიოს კულტურისას. დაიმედებულნი, რომ ყველაფერი ეს ასე იქნება, ჩვენ გადავდივართ მეორე ათეულ წელში და ვამბობთ: vivat Akademia!

ჟურნალი  
„მნათობი“ №2, 1928წ.  
წერილი გამოაქვეყნებლად  
მომზადდა თსუ იურიდიული  
ფაკულტეტის პირველი კურსის  
სტუდენტმა ლაშა მარგიშვილმა.





სლოპე  
უსწარმძვინ

## მინიატურები

### მზესთან სიმღერა მინდა

უჩვეულო დილა გათენდა. ჩიტების უღურტულმა გამაღვიძა. მზე თავის პანანკინტელა შვილებს ეფერებოდა. თავანუელი ბელურა კი ბარტყებს დაჰფოფინებდა. წარმოდგინეთ, მზე ანათებდა, ცაზე კი კაშკაშა ვარსკვლავები ბზინავდნენ.

დაუსაბამო ციდან ვარსკვლავის ნატეხი სიმღერ-სიმღერით ჩამოფარფატდა. ცისარტყელა მოძრავ კიბესავით ცაზე დადიოდა, მას გავყევი. დედოფალ მზესთან მიმიყვანა. გამიკვირდა, ყველა მე მიყურებდა, კამკამა ნაკადულიც... მზესთან შეხვედრის უსაზღვრო მოლოდინი მავსებდა. მას კი ორი ფრთაგაშლილი ვარსკვლავი დარაჯობდა. ნუთი ნუთს მიჰყვებოდა. დავიღალე მხურვალე მზესთან სიახლოვით. ფარფატა ფიქრებმა ამიტანეს. თვალახელილი ბარტყებიც მე მიცქერდნენ. უცებ შემრცხვა. ვედარ მოვითმინე და თვლები გავახილე, მაგრამ ჰოი ბედისწერავ, საწოლში არ ვწევარ?!

### „ქარი გიმღერის ნანასა“...

პატარა, უსუსური ფოთოლი ვარ, ჩემი არავის უხმის. ქარი ქრის, მოიცა, როგორ? ქარი ქრის და არ მცივა? წარმოდგინეთ, არ მცივა.

ფოთოლი ნუთით ჩაფიქრდა: რატომ? დღეს ქარი რაღაც სხვანაირია. უცებ, რაღაც ძალამ ზემოთ, ზემოთ ცაში ააქროლა, ფოთოლმა ხეებს, სახლებს, ეზოში მიძინებული ძაღლის, ნანვიმარზე ამოსულ სოკოს თვალის დახამხამებაში ჩაუქროლა. ამ ძალამ ერთი, უზარმაზარი, ჩაბნელებული, საიდუმლოებით მოცული სასახლის წინ გააჩერა. ფოთოლი გაკვირვებული იყურებოდა. უცებ ვილაცის ნაღვლიანი ხმა შემოესმა, ეს ხმა უთუოდ „ნანას“ მღეროდა, დაინტერესებული ფოთოლი ფრთხილად შევიდა სასახლეში და რაღაც, სულის მაგვარი არსება დაინახა, ნაღვლიანად იჯდა აკვანთან და ვილაცას „ნანას“ უმღეროდა. ეს ქარი იყო. თურმე, იმიტომ არ შესცივდა ფოთოლს, რომ ქარი თავისი სასახლისკენ მიფრინავდა.

### რატომ არ ბერდებიან ზღაპრები...

მივფრინავ... სად? არ ვიცი, მაგრამ... უდაბურ ტყეში ვარ... რატომ? უკვე მოხუცი ვარ. რაღა დროს ჩემი ოცნებაა? არ ვიცი, არა... იქნებ... იქაურობის სიჩუმეს ბურატინოს გასაღები ალებს. საიდანღაც ფიფქიას ნაზი ხმით ნამღერი სიმღერა მესმის. ის ხომ ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო... ისევ ისეთია როგორიც წიგნში ეხატა. მაგრამ ეს ცხოვრებაა, წიგნში არ ვარ. თავი ისევ სამი წლის ბავშვი მგონია. ისევ ისეთი ცრუპენტელა და ეშმაკი, როგორიც ბავშვობაში ვიყავი... როცა მოვიწყენდი, ზღაპრებით სავსე წიგნს გადმოვიღებდი კარადიდან და იმ ნუთიდან ჩემი თვალები ზღაპრებად გადაიქცეოდნენ... უცნაური გრძნობა დამეუფლა, მეგონა ჩემს ბავშვობას კონკიას დაკარგულ ქოშში ვუყურებდი. ეს წამები ისე გადიოდა, როგორი სისწრაფითაც ალისა იზრდებოდა. ვუყურებდი ჩემს ბავშვობას და თვალეზე ცრემლი მუშტებით მანვებოდა.

ვიდექი ჩემთვის და ვფიქრობდი: ყველაფერი ბერდება ზღაპრების გარდა იმიტომ, რომ ისინი ადამიანებს სიმართლე არ ჰგონიათ, მათ კი სწყინდათ. ისინი ამბობენ: იქამდე ვიცოცხლებთ, სანამ არ დაგვიჯერებენო... გული მტკივა, მეგობრებს ვერაფრით ვეხმარები. ხო, გაგიკვირდა? ვთქვი მეგობრებს-მეთქი. ასეთ ფიქრებში ვიყავი, როცა გვერდით ის ოქროსთმიანი ბიჭუნა მომიჯდა, რომელიც დედაბერს უნდა შეეჭამა. ჩემს წინ კი ჟასმინი იდგა თავისი ვეფხვით. სიხარულისგან ისე ვბრწყინავდი, ვინმეს რომ შემოგეხედათ, ყვავილის ფოთოლზე დაწვეთებული მარგალიტის ნამი გეგონებოდათ.

სად გარბიხარ? მოიცა, ცხოვრებავ, ამ  
წამებით მაინც დამატკბე!..

**მარტოსული ვარ!**

დავდივარ ტყეში მარტოდმარტო, რა  
მეშველება, ღმერთო, რა მომავალი მელის? თუ  
მთელი დარჩენილი სიცოცხლე ამ მიუსაფარი  
ტყის შვილად უნდა გავატარო?..

საიდანღაც ქარის დუდუნი მესმის და  
თვალეებს მახუჭინებს... ვიძინებ? არა, ნუთუ ეს  
სიზმარია? ღმერთო, ამხდენია... დამარჯ-  
ნებული მზე ოქროსფერი თვალეებით იყურება...  
მე მიყურებს? ო, არა. ოღონდ მე არა...მზეო,  
ვინმე სხვას შეხედე, მე ნუ, თორემ... თორემ...  
იღიმის და თან თვალს მიკრავს... „ნუ ღელავო!“  
მეუბნება. მე კი ფიქრი ცრემლად ქცეული  
თვალეებზე მანვეება და მოდის... მოდის  
ნაკადულის მსგავსად... ცვარი დამედო, ჩემი  
თვალეები ფოთლებს დაემსგავსა. ნუთუ მეც  
ტყედ გადავიქცევი? ნუთუ ეს ტყე ოდესღაც  
ადამიანი იყო?

დათ?! მე ვთქვი მცივა-მეთქი. განა არ შეიძლება,  
როგორც თქვენ ადამიანები ამბობთ: „უსულო  
საგანს“ არ შეუძლია შესცივდეს?! აქ ღამისფერი  
ნისლია ჩამონოლილი... უკვე იმედი აღარ მაქვს...  
ამ დროს დიდი ქვა გადაგორდა და სხივი სხივს  
შეეხო...

სამყარო მესხვაფერა, აქედან სულ ვერ  
ვხედავდი იმ დათოვლილ მწვერვალს... რა  
ლამაზი ყოფილა ცხოვრება?! მე კი... აქ ვიჯექი  
და ვერაფერს ვგრძნობდი.

ქვის გადაგორებისთანავე გამოქვაბულში  
ფარნით ვიღაც კაცი შემოვიდა...მე შემეშინდა და  
უკან დახვევა ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა, მე  
ხომ ფეხები არ მაქვს... იმ კაცს ვერცხლისფერი  
თვალეები ჰქონდა. გაგიკვირდა? ძალიან კარგი,  
ცხოვრებავ, შენ ხომ სხვადასხვა სიურპრიზებს  
მთავაზობ ხოლმე... ახლა ჩემი ჯერია.

იმ კაცს ხელში მერცხლის გულივით თეთრი  
ფუნჯი ეჭირა... ვერ მივხვდი ვინ იყო...

ვაიმე, ღმერთო, მიპოვნა... უთუოდ მიპოვნა.  
ფრთხილად შემახე ხელი!.. არ ესმის. ეი, შენ  
გეუბნები... ტირილი ამიტყდა... მიცანი?  
გეკითხები, მიცანი? არც ეს ესმის... მე ის პატარა  
სალამური ვარ, წიქარას და ბიჭუნას შორის  
კეთილ განწყობას რომ თესავდა...

**მე ის პატარა სალამური ვარ**

ოდესღაც მუხის ლერწმიდან გადმომხ-  
ტარვარ. მას შემდეგ ბევრი რამ შემემთხვა...  
ახლა ვგდივარ ერთ გამოქვაბულში, რომელშიც  
ბნელა და ძალიან ცივა, მცივა... ჰო, რა გაგიკვირ-







ფენოზა სუბტაძე

**მსხეთიანი მოხვები  
და მასხოვიის  
ჯვარისის ისტორია**

პრობლემის პირველი წარდგინება\*

**თანამედროვეობა და სახარების  
ისტორიული რეალობა — პრობლემის  
აქტუალობის საკითხი**

სახარებაში აღწერილი ისტორიული გარემო, ანუ რომის იმპერიის ერთერთ პატარა პროვინციაში — იუდეაში მოვლენილი იესო ქრისტე და მასთან დაპირისპირებული მთელი იუდეური ყოფიერება: ხელისუფლება და ღვთისმსახურება, წარმოდგენილი იუდეველთა რჯულის დამცველი ჩინოსანი ღვთისმსახურებითა, მნიგნობარ-ფარისევლებითა და სადუქველებით, დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო სივრცისა და მასშტაბის რეალობას, რომელშიაც იესო ქრისტე უკვე ქრისტიანული ეკლესიისა და ქრისტიანული სახელმწიფოების ისტორიად და თანამედროვეობად არის ქცეული, ხოლო იუდაიზმი — ისრაელის სახელმწიფოდ და იუდაზმის მსოფლიო მოძრაობად, იელოვას მონმეთა ჩათვლით.

დაინერა ნიმიეიჰენის (ნიდერლანდების) უნივერსიტეტის აღმოსავლური ქრისტიანობის ინსტიტუტში წარსადგენად 2005 წლის ივნისში;

კაცობრიობა თითქოს გაურბის ამ სურათის აღქმა-გაცნობიერებას და ჭეშმარიტებისათვის თვალეში შეხედვას. ერთგვარად თითქოს ფარულ, და მაინც ყველასათვის ცხად — ქრისტიანობისა და იუდაიზმის — ამ ახალ, მსოფლიო მასშტაბის დაპირისპირებაში, სრულიად უჩვეულო მოვლენად, შეიძლება ითქვას, ახალ სამოციქულო მისიად მოჩანს ამერიკელი კინორეჟისორის, მელ გიბსონის ფილმი, „ქრისტეს ვნებანი“, რომლითაც ფილმის შემოქმედი დღევანდელ კაცობრიობას ელაპარაკება დღევანდელი კაცობრიობისავე ენაზე — კინო ხელოვნების ენაზე — და აყენებს კაცობრიობის პასუხისმგებლობის საკითხს ყოველი ადამიანის წინაშე, რადგან ყოველი ადამიანი ნევერი იმ კაცობრიობისა, რომელმაც ჯვარს აცვა მაცხოვარი...

თავს ნებას მივცემ შევნიშნო, რომ პირადად ჩემს ხედვაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა უსწრებდა ამ ფილმის („ქრისტეს ვნებანი“) პრეზენტაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთი — ეს იყო ბალტიმორის (აშშ) წმ. მარიაშის უნივერსიტეტში მონვეული საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი იოანეს სახარებისადმი (რომელიც საოცარი დრამატიზმით გადმოსცემს მაცხოვრის ჯვარცმას, და, ფაქტიურად, ეს იყო საერთაშორისო კონფერენცია მაცხოვრის ჯვარცმის თემაზე, ხოლო მეორე — ეს გახლდათ ნიუ იორკის რაბინთა დებატები, რომლითაც ისინი მგზნებარებითა და გააფთრებით იცავდნენ იუდეველთა ღირსებას და გააფთრებულნი გამოდნენ მელ გიბსონის ფილმის საკაცობრიო მონოდებას.

ფილმში საგანგებოდ არის წარმოჩენილი ერთი საგანგებოდ გადაბინდული მოვლენა, რომ იესო ქრისტე მეტყველებს არა იმ ქვეყნის ენაზე, რომელშიაც მოვიდა იგი, არა ებრაულ, ანუ იუდეველთა ენაზე, არამედ — არამეულზე. იესო ქრისტეს მშობლიური ენაა არამეული. ბუნებრივია, რომ, არამეულია მხოლოდშობილი ძისა და დედა ღვთის-მშობლის ენა, ერთდროულად. ამრიგად, თუ გავიხსენებთ წინარე ფილმებსაც ქრისტეზე, შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობა შეუდგა სახარების კინემატოგრაფიულ ინტერპრეტაციას. კაცობ-რიობის სინდისი ვერ წყნარდება და გულგრილი ვერ ხდება ქრისტეს მიმართ. იესო ქრისტეს შემეცნება გრძელდება და ღრმავდება.

**„მალულა“ — კიდევ ერთი არამეული დეტალი**

უკვე არა მსოფლიოსათვის ესოდენ გახმაურებულ, არამედ მსოფლიოსათვის თითქმის სრულიად უცნობ ერთ ქართულ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც რეჟისორ გურამ პატარაიას ეკუთვნის, და ახლანდელი სირიის ტერიტორიაზე მდებარე ერთ, უძველეს არამეულ ენაზე მოლაპარაკე სოფელს აჩვენებს, მის მოსახლეობას და ზოგჯერ ნანგრევებად ქცეულ ადრექრისტიანულ ეკლესიამონასტრებს, სრულიად უტენდენციოდ მონიშნულია, რომ სოფელი „მალულა“ იმ ენაზე და იმ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხის სოფელია, რომელზედაც მეტყველებდაო იესო ქრისტე. როგორც ჩანს, რეჟისორი ძველი ტაო-კლარჯეთის და საერ-

თოდ ახლო აღმოსავლეთის ძველი ქართული ეკლესია-მონასტრების მოძიების დროს ამ ინფორმაციას გადააწყდა და როგორც საინტერესო ცნობა, ფილმში დატოვა. მაგრამ აქ სხვა რამ არის მთავარი: არის კი მსოფლიო ქრისტოლოგიაში სათანადოდ შემეცნებული იესო ქრისტეს არამეულ ენაზე მეტყველება; თუ მხოლოდ საბედისწეროდ გადარჩენილ წყაროებშია იგი მიყუჩებული?! და შემეცნებელს ელის.

### ქრისტიანული ფენომენოლოგია

თავისთავად ქრისტიანული ფენომენოლოგია, ჩვენი ფიქრით, ქრისტიანობის მესამე, ანუ სულინმიდის ათასწლეულში, უკვე მრავალი წანამძღვრის საფუძველზე შევიდა სრულიად ახალ ფაზაში, ამჯერად, ქრისტეს პიროვნების შემეცნების ახალ კოსმიურ ფაზაში. ამ ფაზაში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აზრის თავისუფლების იმ ხარისხს, რომელიც დღევანდელმა კაცობრიობამ თავისი მწარე ისტორიით მოიპოვა. ჩვენი პრობლემის სახელდება „მცხეთელი მოგვები და იესო ქრისტეს ჯვარცმის ისტორია“ — ჩვენ გვესახება, როგორც აღმოცენება ერთერთი საყრდენი დებულებისა ახალი ქრისტიანული ფენომენოლოგიის შესაქმნელად, აღმოცენება ქრისტეს შემეცნების საკაცობრიო გზაზე, რადგან იგი, ეს დებულება, სრულიად ახალ შუქსა ჰყენს ქრისტეს პიროვნების, როგორც მოვლენის გაგებას.

### „ნენანა“ — ღვთისმშობლის საგალობელი ათონის მთაზე

კიდევ ერთი საინტერესო ისტორიული ინფორმაცია იესო ქრისტეს და დედა ღვთისმშობლის არამეულ მეტყველებასთან დაკავშირებით:

ქრისტიანულ პირველ საუკუნეებში, ათონის მთაზე, ღვთისმშობლის სადღესასწაულო ხსენების დღეებში, ღვთისმშობლის საპატივცემულოდ, მე-19 საუკუნის II ნახევარში, ათონზე მოგზაური ერთერთი რუსი არქიმანდრიტის გადმოცემით, სრულდებოდა საგალობელი, რომელსაც ეწოდებოდა „ნენანა“. ქართველი ეპისკოპოსისა და მკვლევარ-მეცნიერის, მეუფე ანანიას (ჯაფარიძის) ხედვაში ეს საგალობელი გაიგივებულია ქართულ საგალობელთან: „იავნანასთან“, რომელიც, პატივცემული მკვლევარის აზრით გამოძახილი და დადასტურება უნდა იყოს მხოლოდ ისტორიული ურთიერთკავშირისა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობასა და იმ ქვეყნის მოსახლეობას შორის, რომელშიაც მოვიდა მაცხოვარი. „ნენანა“ მას ქართული „იავნანის“ გადასახლება და გავრცელება ესახება იმ საქართველოს მეზობელ ხალხებში, რომელიც ტიგროსისა და ევფრატის სანაპიროებამდე იყო გადაშლილი. როგორც ვიცით, ბიბლიური მოშქები, იგივე — მესხები, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობად ცნობილნი, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებამდეცა და სათავეებშიც იყვნენ განფენილნი, და ბუნებრივია, რომ ოდესღაც „იავნანას“

ტიგროსისა და ევფრატის სათავეებშიც გალობდნენ მოსხები. ქართული „იავნანა“, დღესაც ცოცხალი საქართველოში, ისეთ უძველეს რიტუალურ სიმღერად არის გაცნობიერებული, რომელსაც თავდაპირველად ქართველი ხალხი დედა ღვთაების — დიდი დედა ნანას — საპატივცემულოდ, თაყვანსაცემად და მისდამი შესავედრებლად გალობდა მხოლოდ. შემდეგ იქცა იგი ჩვილ ყრმათა დასაძინებელ დედურ სიმღერად — აკვნის საგალობლად. როგორ, რა ვერსიით შეიძლება ქართული „იავნანა“ ქცეულიყო „ნენანად“ — ღვთისმშობლის საპატივცემულო საგალობლად ათონის მთაზე, გამოსაკვლევი.

### ახალი სენსაციური ინფორმაცია მაცხოვრის ჯვარცმის ისტორიის

ამ წანამძღვრების ფონზე გვინდა გაუწყობთ სრულიად ახალი ცნობა ქრისტეს ცხოვრებისა და ქრისტოლოგიური შემეცნებისათვის, რომელსაც ჩვენ მსოფლიოსათვის უცნობ ქართულ ისტორიოგრაფიულ წყაროებში წავაწყდით და რომელიც ერთნაირად სცვლის ქრისტიანობის ისტორიის გაგებას, არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ისტორიის და ქართული ქრისტიანობის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ მთელი საქრისტიანოს ისტორიის მასშტაბითაც. ისტორიის ეს ახალი ცნობები — კაცობრიობის ისტორიის მართლაც ბრილიანტები, თითქოს განგების ძალითვე, სასწაულებრივად იყვნენ ნაცარმიყრილნი და თვალსმიფარებულნი ჩვენი გონითი და ფიზიკური ხედვისათვის (ამ ახალი ცნობების შესახებ ჩვენ გამოვაქვეყნეთ წერილები ქართულ ენაზე და გავეთებთ: „მშვიდობა ყოველთა“ — 2000 წ., „ლიტერატურული საქართველო“ — 2001 წ., შევეხეთ მოხსენებაში: „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, — ინგლისურ ენაზე, ბიზანტინოლოგთა XX საერთაშორისო კონგრესზე, პარიზში, 2001 წელს, გაგმართეთ ლექციები ნიუ-იორკის წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესიისა და რუსული მართმადიდებლური ეკლესიის მრევლისათვის, გამოვაქვეყნეთ წერილი ნიუ-იორკის ქართულ გაზეთში: „ივერია“, სათაურით: „სახარების მოგვები და ქართული ქრისტიანობის ისტორია“, (2003 წ.).

წინამდებარე მოხსენება: „მცხეთელი მოგვები და მაცხოვრის ჯვარცმის ისტორია“ — ჰოლანდიის ნიიმეიჰენის უნივერსიტეტის აღმოსავლური ქრისტიანობის ინსტიტუტისათვის სრულიად ახალ რაკურსში გადმოსცემს მცხეთელი მოგვების ისტორიის ჩვენეულ ინტერპრეტაციას.

ეს ახალი ისტორიული ცნობა მცხეთელი მოგვების შესახებ პირდაპირ კავშირს გვაწყობს სახარების მოგვებთან, რომელთაც ადამიანთა შორის პირველებმა სცეს თაყვანი ახალშობილ იესო ქრისტეს. ეს ახალი ცნობა მცხეთელი მოგვების შესახებ გზას გვიხსნის საერთოდ ბიბლიურ მოგვთა ფენომენისა და კერძოდ, მათეს სახარებისეული მოგვების სრულიად ახალი ინტერპრეტაციისაკენ.

## ცოტა რამ მათე მახარობლის მოგვების შესახებ

როგორც ცნობილია, მათეს სახარება უადრესია სახარებათა შორის, დაწერილია უშუალოდ ერთი თორმეტთავანი მოციქულის — მათეს — მიერ და, როგორც გადმოგვცემენ, დაწერილია თავდაპირველად არამეულ ენაზე, ანუ მაცხოვრის სამეტყველო ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ მახარობლები ქრისტესი იუდეველები იყვნენ (ლუკას გარდა ყველა), სახარებები, რომის იმპერიის ტერიტორიაზე იქმნებოდა და მათი თანადროული ვითარების შესაბამისად ბერძნულ სახალხო ენაზე — კოინეზე — გადმოიცემოდა. მათე მახარობლის მიერ დადასტურებულია, რომ ანგელოზი ეცხადება მარიამს და ახარებს მას მის მიმადლებულობას, განსაკუთრებულ რჩეულობას უფლისაგან, რამეთუ მან უნდა შვას მხსნელი თავისი ქვეყნისა, მხსნელი თავისი ხალხისა ცოდვათაგან (მათე 1, 23).

იბადება იესო ქრისტე და ანგელოზურ გამოცხადებათა დასტურად, ისევ მარიამსა და იოსებს, ანგელოზების ნაცვლად, უკვე უჩვეულო ადამიანები ეცხადებიან, სრულიად უცნობნი, რომელთაც აქვთ იდუმალი ცოდნა იმისა, თუ ვინ, რა მისიის აღმასრულებელი პიროვნება გაჩნდა ამქვეყნად იესოს სახით. მათე მახარობლის გადმოცემით, ეს უცხო ადამიანები, მიახლებულნი ახლადშობილ მაცხოვართან ბეთლემის ერთ მღვიმეში, არიან ის „მოგვნი აღმოსავლეთიდან“, რომლებიც მოვიდნენ ჯერ იერუსალიმში, როგორც წინასწარმეტყველნი უცხო ქვეყნიდან, შემდეგ კი ბეთლემში, მაძიებლნი და თავყვანისმცემელნი, ამ ქვეყნად ღვთიური მისიით მოვლენილი ახალშობილი ყრმისა. და ფაქტიურად, ისინი, უკვე ერთგვარად განსხეულებული მთავარანგელოზები, იოსებსაც და მარიამსაც აუწყებენ ახალმოვლენილი ყრმის იმ დიდი და ღვთაებრივი მისიის აღსრულების ღვთაებრივ მიზანსაც, რაიც მათ ამ დროისათვის მხოლოდ გამოცხადებრივი ცოდნითა აქვთ მინიჭებული!

ისმის ორი აუცილებელი, ლოგიკურად გარდუვალი კითხვა სახარების ამ მოგვთა ფენომენის მიმართებით:

ვინ იყვნენ ეს მოგვები, რას ნიშნავს საერთოდ მოგვობა და რატომ, ან რა გზით შეეძლოთ მათ (ამ სახარებისეულ მოგვებს) ადამიანთა შორის პირველებს სცოდნოდათ მაცხოვრის მოვლინება, ყოფილიყვნენ პირველწინასწარმეტყველნი და პირველმალარებელნი ქრისტეს თანამედროვეთა შორის ქრისტეს მოვლინებისა და ამ მისიის რეალური საწყისის? და:

მეორე კითხვა:

თუ ისინი, მათეს სახარებისეული მოგვნი რეალურად იყვნენ და მათი ისტორია რეალობაა, და არა ლეგენდა (!), თუ ეს მოგვთა თავყვანისცემა რეალურად შესდგა, სად გაქრნენ ეს მოგვნი, სამუდამოდ მაცხოვრის ცხოვრებიდან, და რატომ აღარასოდეს ჩნდებიან ისინი რაიმე სხვა ეპიზოდით მაინც, ან და რაიმე ფუნქციით მაცხოვრის სიცოცხლეში? ისინი ხომ მშვიდობიანად გაბრუნდნენ ბეთლემიდან?!

პირველი კითხვის პასუხად, შესაძლოა ითქვას,

რომ სახარების მოგვები დღემდე ამოუკითხავ საიდუმლოს წარმოადგენენ არა მხოლოდ ქრისტოლოგიისათვის. ისინი მსოფლიოს უდიდეს საიდუმლობათა რიცხვში არიან მოქცეულნი ჩვენი ცივილიზაციისა და მსოფლიო ისტორიის თითქმის უკლებლად ყველა ავტორისათვის.

როდესაც მათე მახარობელი გადმოსცემს ამ ისტორიას მოგვთა თავყვანისცემისას, ბუნებრივია, იგი დიდ პასუხისმგებლობას იღებს თავისთავზე, როგორც თავისი ხალხის, ასევე კაცობრიობის მომავალი ისტორიის წინაშე, რადგანაც იუდეველ ხალხს იგი აყენებს ფაქტის წინაშე: იუდეური, ე. ი. მისი — მათე მახარობლის — მშობლიური სჯულისა და იუდეველი ხალხის მიერ დაგმობილი და უარყოფილი მაგიის წარმომადგენელი ხდებიან მისი მოწმობით პირველმაძიებელნი და თავყვანისმცემელნი იუდეველთა ქვეყანაში მოვლენილი მესიის. მათ, ამ მოგვებს, არ დასჭირვებიათ ქრისტეს სასწაულებისა და მოწამებრივი სიცოცხლის ხილვა. მათთვის მაცხოვარი არის უკვე მაცხოვარი და მესია იმავე წამიდან, როგორც კი იბადება იგი. და ეს ცოდნა და ხედვა, ეს რწმენა და სიცხადე მათთვის მაცხოვრის ჭეშმარიტებისა, მათი პიროვნული და საიდუმლო კასტური შემეცნების საკუთრებაა. აღსანიშნავია, ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი. ოფიციალური დოკუმენტაციით, რომლითაც დაფიქსირებულია იუდეველთა სინედრიონის განჩინებანი და ბრალდებანი შეპყრობილი მაცხოვრის მიმართ, ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება მისი: მოგვობაა. იესო ქრისტეს ბრალად ედება რომ მოგვია — იგი.

## ცოტა რამ საერთოდ მოგვების შესახებ

სამშობლოდ მოგვებისა, როგორც ცნობილია, ძველი აღმოსავლეთია მიჩნეული. ცნობილნი არიან მიდიელი, სპარსელი, ეგვიპტელი, ასირიელი, ბაბილონელი მოგვები. ყველაზე ძველი და ყველაზე სახელგანთქმულნი მათ შორის, ეს ასირიელი და ბაბილონელი მოგვები არიან, და მათი საერთო სახელია „ქალდეველები“, რაც შემდგომში მთელ აღმოსავლურ სამყაროში იქცევა სინონიმად მოგვებისა. აქ ჩვენ საგანგებოდ ვიხმობთ მართლმადიდებლურ ენციკლოპედიურ განმარტებას „მოგვებისას“. (იხ. Православная Богословская Энциклопедия, под. ред. Проф. А.П. Лопухина. СПб. 1902)

მოგვები ჩვეულებრივი ადამიანების თვალში სასწაულმოქმედებად გამოიყურებოდნენ. სინამდვილეში, ისინი ფლობდნენ ბუნების საიდუმლოთა ისეთი კანონზომიერებების ცოდნას, რაიც ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია. მათ იცოდნენ, რომ ადამიანი ნაწილია მთელი ვარსკვლავიერი ყოფიერებისა, და ამ ნაწილზე (ადამიანზე), იდუმალი გავლენა და იდუმალი კავშირი აქვს თავად ყოფიერებასაც და მის ვარსკვლავებსაც. ამიტომ მაგიური ცოდნა თავისი დროის უნივერსალურ მეცნიერულსა და რელიგიურ ცოდნა — შემეცნებასაც გულისხმობდა და მოიცავდა, და ამ ცოდნის გამოყენების ხელოვნებასაც ადამიანის მიერ.

— ყოველ ხალხს, თავისი ამქვეყნიური მისია და დანიშნულება გააჩნია — წერს ცნობილი ინგლისელი

თეოსოფოსი — ანი ბენანტი. — ქალდეველი ხალხის მისია იყო შექმნა მეცნიერება და ეს მისია მან ბრწყინვალედ შეასრულა. ეს უნივერსალური მეცნიერება ქალდეველებისა — მაგია იყო.

— რომ შემდეგსო, დავწვავდიო ქვეყანაზე ყველა წიგნს, ქალდეური ორაკულებისა და პლატონის „ტიმაიოსის“ გარდა. — წერდა დიდი ფილოსოფოსი საბერძნეთისა, პლატონის დიდ მემკვიდრედ წოდებული, პროკლე დიადოხოსი. პროკლეს მიერი ესოდენ დიდი აღიარება ქალდეველთა წინასწარმეტყველებებისა (ორაკულების), სრულიად ლოგიკურად აღიქმება, თუ გავიხსენებთ, რომ მისი პირველი დიდი სულიერი წინაპარი და მასწავლებელი, პითაგორა ხელდასხმული იყო სწორედ ქალდეველი ქურუმების მიერ და, შეიძლება ითქვას, რომ დიდი ფილოსოფია საბერძნეთისა დაიწყო სწორედ ამ ქალდეური ხელდასხმით, დაიწყო კიდეც და დამთავრდა კიდეც, რამდენადაც პროკლე დიადოხოსი, შემაჯამებელი მთელი ბერძნული ფილოსოფიისა, როგორც ცნობილია, თავად მოგვევლინება, ერთდროულად: რკინისებრი და ჯადოსნური ლოგიკური აზროვნების მფლობელადაც, და მოგვადაც. რაც შეეხება ისევ სახარების მოგვეს...

მართალია, ეკლესიის დიდ მამათაგან, ყველასათვის არა, მაგრამ მრავალთათვის იყო ცნობილი, რომ აღმოსავლეთიდან მოსული მოგვეები ქალდეველები იყვნენ (მაგ. ეფრემ ასურისათვის), მაგრამ ევროპულმა ქრისტოლოგიამ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნისათვის, მაინც ჩათვალა საჭიროდ მეცნიერულად დაესაბუთებინა ყველაზე დიდი შესაძლებლობა სახარებისეული მოგვეების ქალდეველობისა, ანუ „აღმოსავლეთიდან მოსულ მოგვეთა“ წარმომავლობა იმ ქვეყნიდან, საიდანაც, ბიბლიის მიხედვით, გამოვიდა აბრაამი, პირველი დიდი პატრიარქი ებრაელი ხალხისა და პირველი დიდი ქადაგი ებრაელთა ღმერთის. არ უნდა დაგვაინყდეს, რომ აბრაამის გამოსვლა ქალდეველთა ქვეყნიდან, ეს არ იყო მხოლოდ გეოგრაფიული გადაადგილება, ან გამოცვლა საცხოვრისისა უფლის ბრძანებით. ეს მბრძანებელი უფალი უკვე აბრაამის უფალი იყო მხოლოდ და არა ქალდეველებისა. აბრაამის გამოსვლა ქალდეველთა ქვეყნიდან, ეს იყო სწორედ რომ დაპირისპირება ებრაელთა ღმერთისა და ერთის მონოთეისტურ — რელიგიური შემეცნებისა მთელ ქალდეურ რელიგიურ ცნობიერებასთან, დაპირისპირება — მთელ ქალდეურ ცივილიზაციასთან. ეს იყო ერთგვარად წართმევა აზროვნებისა და რელიგიური ჭეშმარიტების სადავეთა ფლობისა ქალდეველთა ქვეყნისგან...

აქედან უნდა დავიწყოთ პასუხის გაცემა ზემოთდასახელებულ მეორე კითხვაზე: სად ნავიდნენ და სად გაქრნენ ის ქალდეველი მოგვეები მათეს სახარებისა ასე უკვალოდ იესო ქრისტეს ცხოვრებიდან?!

აღმოჩნდა, რომ თუ მათე მახარობელმა კაცობრიობას შემოუნახა ეპიზოდი მოგვეთა თავყანისცემისა, იბერთა ქვეყნის — ქართველთა ქვეყნის — ქრისტეს შემდგომ მე-9 საუკუნეში შედგენილმა მატინამ — ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილმა „ქართლის ცხოვრებამ“ შემოგვინახა გადმოცემა, რომლითაც დღევანდელი საქართ-

ველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთაში, არსებობდა მოგვეთა საიდუმლო წრე, და არსებობდა უბანი მოგვეებისა, რომელსაც ეწოდებოდა „მოგვეთი“, ანუ „მოგვეთა უბანი“. ამ უბნისა და ამ წრის წარმომადგენელი იყო ქართული ეკლესიისა და ქართული ქრისტიანობის კორიფედ ცნობილი ისტორიული პიროვნება — ელიოზ მცხეთელი — რომლის მიერაც იერუსალიმიდან მცხეთაში იქნა ჩამოტანილი იესო ქრისტეს პერანგი, ნილხვედრით მიღებული ჯვარცმის შემდგომ. ელიოზის ოჯახი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით დახასიათებულია მატარებლად იმავე ცოდნისა, მაცხოვრის შესახებ, რომელსაც მაცხოვრისავე სიცოცხლეში, მის ჯვარცმამდე, ფლობდნენ მანძილზე მოგვენი სახარებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათეს სახარების მოგვენი წარმოჩენილნი არიან ქრისტეს შობის დროს, ამ შობასთან კავშირში, მახარობელ-მალიარებლებად ქრისტეს შობისა, ხოლო, მოგვენი მცხეთისანი — წინასწარმეტყველნი არიან მაცხოვრის ჯვარცმის. დედისაგან და დისაგან მცხეთელი ელიოზი წარიგზავნება ჭირისუფლად მოახლოებული ჯვარცმის ტრაგედიის.

მთელი ქართული ქრისტიანობა, მთელი ისტორია საქართველოში ქრისტიანული ეკლესიისა, არის გაგრძელება ამ ტრაგედიისა და კვართის ჩამოტანისა საქართველოს მიწაზე.

ამ ისტორიის მეცნიერული ანალიზი ისევე არ შემდგარა დღემდე, როგორც არ შემდგარა მეცნიერული ანალიზი მათეს სახარების მოგვეების მსოფლიოს ქრისტოლოგიურ ფენომენოლოგიაში.

„ქართლის ცხოვრებიდან“ ირკვევა რომ მცხეთელი მოგვეები მაცხოვრის ცხოვრების თანამდევნი სულივით კვალდაკვალ მისდევნენ მის სიცოცხლეს. მაგრამ ეს ყველაფერი, ეს კვალდაკვალ და განუყრელი, ყოფნა ქრისტესთან, ხდება შორიდან, მანძილზე, მათი ხედვის, მათი საგანგებო მიმადლებულობის, საგანგებო ნათელხილვის შემწეობით მხოლოდ: დედა ელიოზისა (რომლის სახელიც არ შემოგვინახა ისტორიამ), მანძილზე ხედავს ჯვარცმას და სულსა ლევს მაცხოვართან ერთად, ხოლო დაი ელიოზისა, დედა სიდონიად ცნობილი საქართველოში, დაელოდება ძმას და თავზარდაცემული ჯვარცმით, ვერ გაუძლებს რა კვართის დანახვას, ძმის მიერ ჩამოტანილ მაცხოვრის კვართზევე განუტევებს სულს. ფაქტიურად ელიოზის დედა და ელიოზის და — დედა სიდონია — მსოფლიო ქრისტიანობის ისტორიაში არიან ის პირველნი სძალნი უფლისანი, რომელნიც მონამებრივად ეწირებიან ქრისტეს. ვერავინ ვერ შესძლებს ერთმანეთს განაშოროს კვართი უფლისა და გულმიკვართჩაკრული დედა სიდონია, თვით მეფეც კი იბერიისა. და დედა სიდონია, დაიკრძალება ამ კვართთან ერთად: კვართი უფლისა ხდება უმთავრესი სინმინდე ქართველი ხალხისა. საფლავი კვართისა ხდება წმინდათა — წმინდა და საიდუმლო ნაკრძალი, რომელზეც VI საუკუნეში დაშენდება უდიდესი სინმინდე ქართველი ერისა: „სვეტიცხოველი“ — დედა-ტაძარი სიდონიას საფლავზე აღმართული ცხოველი სვეტისა. გამოსახულება ქრისტეს კვართისა უმთავრესი სიმბოლო ხდება ქართული სახელმწიფოებრიობისა და მისი

გამომხატველი დროშის, რადგან ქრისტიანობა ხდება ქართველი ერის სახელმწიფო რელიგია.

ამრიგად ქართველთა წმინდა მიწაზე, არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ქრისტიანობას, იწყებენ მოგვები, რომლებიც, როგორც გაირკვევა შემდგომ, ისევე, როგორც მათე მახარობლის მოგვნი, ქალდეველები შეიძლება იყვნენ; ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით: ქრისტეს-შობის მაღიარებლად და ქრისტეს თაყვანისსაცემად მურით, გუნდრუკითა და ოქროთი, ისინი მოვიდნენ ბეთლემს შორი აღმოსავლეთიდან. მცხეთელი მოგვები კი არსაიდან მოსულებად არ განიმარტებია. ნება მომეცით, ეს საკითხი განხილვისა და პასუხის გარეშე დავტოვოთ აქაც, დროებით.

ირკვევა რა, რომ კვართის ჩამომტანი მცხეთელი მოგვები ქალდეველები შეიძლება იყვნენ, თავიდანვე ისმის კითხვა: რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი მცხეთას?! ქალდეველთა ენა ბიბლიის მიხედვით არამეული ენაა. რა ენაზე მეტყველებდნენ მცხეთელი მოგვები?! არამეულზე?! ქართულზე?! ისევ ღიად დავტოვოთ კითხვა.

### „არმაზი“ — არამელთა კერპი საქართველოში

ჩვენში, ქართულ მეტყველებაში, შემორჩენილია სპეციფიკური ქართული გამოთქმა, რომელიც წყევლას ნიშნავს: „არამი იყოს! (შენზე)!\", „არმად გექცეს“. იგი ალტერნატიული ფრაზაა დალოცვისა: „ალალი იყოს“. რუსთაველი იტყვის დაწყველილ სიცოცხლეზე: „სიცოცხლე გაარმებული“—ო.

ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ამ გამოთქმისა: „არმად გექცეს“ (იგივე: „ღვთის ცეცხლი!“), ჩვენს ცნობიერებაში დაკარგულია. მაგრამ ჩვენ, ქართველებს, დღესაც გვაქვს ცოდნა იმისა, რომ მცხეთასთან განუყოფელია წარმართული ღვთაება არმაზი და მისი სამფლობელო. ქართული მეცნიერებისათვის და ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სახელმწიფოს ისტორიული კერპის — „არმაზისა“ და მისი კუთვნილი ადგილის შემეცნება სწორედ საქართველოს უძველეს დედაქალაქთან,

მცხეთასთან კავშირშია აღსაქმელი. არმაზის კერპის ადგილს დღესაც ჰქვია „არმაზი“, და მცხეთა და არმაზი ერთმანეთზე არიან მიჯრილი და ერთმანეთში არიან შეჭრილი.

ქართული მეცნიერული კვლევით „არმაზი“ უძველესი მთვარის ღვთაების: „არმა“—სამფლობელო და სამფარველოა. ხომ არ მოდის სახელწოდება არამელი ხალხისა ამ არმა—დედა ღვთაების სახელწოდებიდან, ისევე, როგორც „ასირიელების“ სახელწოდება მოდის დედა ღვთაება ასირიდან და ქალდეველებისა — დედა ღვთაება ქალდეგან?! რატომ ნიშნავს „მეშეხი“ ანუ „მესხი“ იუდეური ენციკლოპედიით, ისრაელი ხალხისათვის, პირდაპირ და უშუალოდ მხოლოდ მცირე აზიურ მოსახლეობას?! მესხები ხომ ისტო-რიულადაც და დღესაც წმინდა ქართველი არიან?! (იხ. ენც. იუდაიკა — მაკმილან). და რატომ არის ხაზგასმული ბიბლიის კომენტარებში „მეშეხ“ როგორც „შვილი არამისა“ (გენ. 10.23). არამეული ენის უდიდესი მკვლევარი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ასკვნის, რომ ძველი ქართული ასო-მთავრული დამწერლობა უფრო არქაულ ნიშნებს ატარებს, ვინემ არმაზული არამეული. ხომ არ ნიშნავს არამეული უძველესი ქართულის განშტოებას?!

ხომ არ დგება დღის წესრიგში ლოგიკური აუცილებლობა იმისა, რომ ქრისტეს მოვლინება იუდეაში გავაცნობიეროთ, როგორც ქრისტეს მოძღვრებაში გარდასახული ახალი გამოვლინება ქალდეურ — არამეული ცნობიერებისა, ერთგვარი რენესანსი ქალდეველთა ქვეყნის რელიგიური ცნობიერებისა, იმ ქვეყნის, საიდანაც, როგორც ბიბლიით ვიცით, გამოვიდა იუდაიზმის პირველი ქადაგი და პატრიარქი, იუდეველთა პირველი დიდი მამა და მოძღვარი—აბრაამი?!

თბილისი-ნიიმეიჰენი  
(პოლანდია)  
2005. ივნისი—ივლისი.





ნესტან სულაზა

„ახსნი, სახე და  
ღანიშნალება  
მძღაოთა“

„რამდენი ხნით რჩება ადამიანი სხვათა მეხსიერებაში? ოჯახის წევრები, ვთქვათ, რამდენიმე თაობის მეხსიერებაში რჩებიან; ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქმეთა აღმსრულებელნი – უფრო დიდხანს, იმის თანახმად, თუ საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ აღსრულებული საქმენი“, — წერს ჭაბუა ამირეჯიბი.

ქართული ერის ისტორიულ მეხსიერებაში ბევრი სახელია განსაკუთრებული, სასიქადულო, ძვირფასი, ხელიხელ საგოგმანები. ჭაბუა ამირეჯიბმა მათგან საქართველოს ერთ-ერთი წარჩინებული მეფე გიორგი ბრწყინვალე გამოარჩია და შექმნა რომანი, რომლის მთავარი პერსონაჟი თვით გიორგი ბრწყინვალეა, ისტორიკოსის სიტყვით, „საკვირველი და უმჯობესი კაცთა შორის“. ცხადია, მწერალი არ წერს სამეცნიერო გამოკვლევას საქართველოს ისტორიისა და გიორგი ბრწყინვალის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, იგი პერსონაჟთა ხატვისას ულამაზეს ფერწერულ მეთოდებს ეყრდნობა და ეპოქის სულს ხატოვნად, მრავალფეროვნად

გადმოგვცემს. მწერალმა „გიორგი ბრწყინვალეშიც“ მხატვრულ-ალეგორიული და იგავური მეთოდი აირჩია, რათა პიროვნების თავისუფლების, მისი ზნეობრივი არჩევანის, პოლიტიკური დეტერმინაციის პარადიგმა გადმოეცა. მთავარი ისაა, რომ გმირი რომანისა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული, უჩვეულო სახელითაა ცნობილი. გიორგი ბრწყინვალის სახით ქვეყნისა და ერის არსებობისათვის მარადიულ ბრძოლაზე ორიენტირებული პერსონაჟია წარმოჩენილი, რომლის მთელი მოღვაწეობა ერის ისტორიულ მეხსიერებასა და მომავლის რწმენას დაუკავშირდა. იმ დროს, როდესაც თანამედროვე ლიტერატურაში გაჩნდა იდეალის, მისაბაძი გმირის გაქრობის საფრთხე, ჭაბუა ამირეჯიბის გიორგი ბრწყინვალე ჭეშმარიტად რაინდული სულის მქონე, ფილოსოფიურად მოაზროვნე და მაღალ ზნეობაზე პროეცირებულ პერსონაჟად წარუდგება მკითხველს.

თავისთავად იბადება კითხვა, თუ რატომ შეირჩა რომანის თემად მაინცდამაინც გიორგი ბრწყინვალისა და მისი ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი ვითარების წარმოჩენა, რა მიზანი აქვს მწერალს ზოგადად ისტორიული რომანის, ხოლო ჭაბუა ამირეჯიბს – „გიორგი ბრწყინვალის“ შექმნისას?

ვფიქრობთ, მწერლის ინტერესი გიორგი ბრწყინვალისა და მისი ეპოქისადმი განაპირობა ერის საზრისის, დანიშნულების მსოფლიო ხალხთა შორის კუთვნილი ადგილის ძიებამ, საქართველოს, როგორც კავკასიის ერთ-ერთი ცენტრალური სახელმწიფოს ფუნქციის ძიებამ. მას სურს აჩვენოს, იმპერიული უცხო ძალების დასუსტების საწყის ეტაპზე თუ როგორი ფრთხილი, წინდახედული, დიპლომატიური სვლები ჰმართებდა დამონებული, იავარქმნილი, სისხლით მორწყული მიწის მკვიდრს, რაშიც ნათლად იკითხება ალეგორიული თვალთახედვა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს სახელმწიფოს, ოდითგანვე მნიშვნელოვანს ევროპისა და აზიის დიდი თუ მცირე სახელმწიფოებისათვის, უდიდესი, კერძოდ, სამყაროთა და ცივილიზაციათა, კულტურათა და ეკონომიკურ ურთიერთობათა შემკვრელის როლი ეკისრებოდა, რომლის დაკარგვას მტკივნეულად განიცდის მწერალი და ფილოსოფიური განსჯის საგნად აქცევს „დათა თუთაშხიაში“. სწორედ ამ ფუნქციის აღდგენის შეფარული აზრია გამოხატული „გიორგი ბრწყინვალეშიც“, რომელშიც ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა, მარად აქტუალური ჩვენი ერის ცხოვრებაში, ალეგორიულ ხასიათს იძენს, რის განსასაზღვრავადაც აუცილებელია გიორგი V ეპოქისა და ბაგრატიონთა დინასტიის ისტორიის გათვალის-

წინება, თვით გიორგი მეფის ისტორიული და სულიერი მისიის წარმოჩენა.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროების მიხედვით, VIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს სამეფო ტახტს ფლობს ბაგრატიონთა იესიან-დავითიან-სოლომონიანი ღვთისაგან ცხებული სამეფო საგვარეულო, რომელსაც პოლიტიკური მოღვაწეობით, სიძლიერით, გმირული შემართებით, ღვთისაგან მიმადლებული შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული მრავალი ღირსეული წარმომადგენელი ჰყავდა. ქართველი მეფე ბიბლიურ მეფეთა სახეებში ხედავდა მაგალითს, ნიმუშს და მათ წარმოსახვაში საკუთარ თავსაც მოიხარებდა, ვითარცა სწორუპოვარი ხელმწიფისა და მხატვრული სიტყვის ოსტატისა. მეფის ბიბლიური იდეალი ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას გულისხმობდა. ბიბლიიდან იმზირებიან ღვთისაგან ცხებულ მეფეთა ბრწყინვალე სახეები, რომელთა არქეტიპად, პირველნიმუშად უფლის რჩეული ერის მეორე მეფე დავით წინასწარმეტყველი წარმოჩნდება. სწორედ პიროვნული ღირსებებით დაჯილდოებულ დავითში ხედავდნენ ქართველი ბაგრატიონები მაგალითს, თუმცა, ყოველთვის ახსოვდათ, რომ მეფეც ადამიანია და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. მეფე თავისი ერის წინამძღოლი უნდა ყოფილიყო ყოველ საქმეში, ხოლო მისი სიტყვა და საქმე შერწყმული, სულხან-საბა ორბელიანის სიტყვით, მეფეს უნდა ახასიათებდეს საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი. თუმცა ყველა მეფე ერთნაირად წარმატებული და ღირსეული მწყემსი არ ყოფილა თავისი ერისა სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერც იქნებოდა, ვინაიდან „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ (შოთა რუსთაველი).

ქართველ მეფეთა შორის ერთი განსაკუთრებული, მეფური თვისებებითა და ღირსებებით გამორჩეული გახლდათ გიორგი V ბრწყინვალე, რომელმაც „სიტყვა საქმიანად და საქმე სიტყვიანად“ ქმედებით ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა და რომელმაც, როგორც მათიანეებში დაცული მწიერი ცნობებიდან ჩანს, ზედწოდება „ბრწყინვალე“ სიცოცხლეშივე მიიღო, ხოლო ჭაბუა ამირეჯიბმა „მძლე“ უწოდა და მძლე კაცთა მოდგმისად მიიჩნია.

ისტორიული ქრონიკები და დოკუმენტები მიგვითითებენ, რომ XIV საუკუნის დამდეგის საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დანაწევრებული, გათიშული, იავარქმნილი, ზედამდგომელ მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი ქვეყანა გმინავდა, როდესაც მემათიანის სიტყვით, „და იწყო აღმოცისკრებად მზემან მეფისამან გიორგი“, რომელმაც – „მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან, სახელგანთ-

ქმულმან“ თავისი დიდი წინაპრების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი საზღვრები აღუდგინა ლამის სისხლისაგან დაცლილ საქართველოს, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუუმჯობესა, მონღოლური „ყაზანაურის“ ნაცვლად ქართული „გიორგაული თეთრი“ მოჭრა, საკანონმდებლო ნიგნები შექმნა და ქვეყანას სამართალი გაუჩინა, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტატუსი აღადგინა და განამტკიცა, რის შედეგიც იყო წმინდა ქალაქში, იერუსალიმში, ქართველთა თავისუფლად შესვლის უფლების მოპოვება, იერუსალიმისა და სინას მთის ეკლესია-მონასტრების განახლება და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გაცხოველება, დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგება ახლო თუ შორეულ საზღვარგარეთულ ქვეყნებთან.

სწორედ ეს „საკვირველი და უმჯობესი კაცთა შორის“ გიორგი ბრწყინვალეა ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მთავარი პერსონაჟი, რომლის ირგვლივაც შემოკრება მწერალმა ყველა, ვინც კი გაივლევს მასში, მიუხედავად დროის ვირტუალობისა.

რომანი თავისებური კომპოზიციის მქონე მხატვრული ნაწარმოებია, რომლის შესახებ უპირველესად თავად მწერლის ნააზრევის გათვალისწინება გვმართებს: „დავაკვირდეთ ჯვრის მონასტრისა და სვეტიცხოვლის კომპოზიციას. ჯვარი მკაცრი პროპორციების, მოცულობათა გეომეტრიული სიზუსტით განლაგების სტილშია გადაწყვეტილი. სვეტიცხოველში ერთსა და იმავე ხუროთმოძღვრული დეტალის განმეორებას ვერავინ ნახავს. ტაძრის კომპოზიცია აგებულია პრინციპით: მრავალი, მკვეთრად განსხვავებული უმშვენიერესი დეტალების ერთ ისეთ კომპოზიციაში თავმოყრა, რომელიც ერთ, მთლიან მშვენიერებას ქმნის. დაახლოებით ასეა აგებული ჩემი რომანები: მრავალი ნაჭრისა თუ დეტალის ერთ კომპოზიციაში მოქცევის ცდა, რომ ყველამ ერთად მთლიანობა, განზრახული მშვენიერება შექმნას – განზრახული-მეთქი – და არა მიღწეული! დავიდოთ გულზე ხელი: უძნელესი და ურთულესი სტილია, მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ ასეთმა სტილმა უნდა შექმნას ურთულესი, მაგრამ ადვილად გონმისაწვდომი მშვენიერება“, - ამგვარად აფასებს საკუთარ სტილს ჭაბუა ამირეჯიბი.

„გიორგი ბრწყინვალე“ იმგვარადაა ორგანიზებული და კომპოზიციურად აგებული, რომ მისი დასრულება მკითხველის ცნობიერებასა და გონებაშია ნავარაუდები მწერლის მიერ. იგი მხოლოდ ფრაგმენტებს, ეპიზოდებს წარმოაჩენს მეფის ცხოვრება-მოღვაწეობიდან, შორეული ასოციაციებით, რემინისცენციებით, ისტორიულ-კულტურული ალუზიებით ხატავს უზარმაზარ ისტორიულ დრო-სივრცეში ჩამკვიდრებულ პერსონაჟებს, ცხოვრებიდან

იდებს სხვადასხვაგვარად აქცენტირებულ სურათებს, რომელთა გამთლიანებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას მწერალი მკითხველის საქმედ მიიჩნევს.

ჭაბუა ამირეჯიბის რომანი ქრონოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის ძალზე ვრცელ, ფართო დრო-სივრცულ არეალს მოიცავს, ვინაიდან, ავტორის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალის სული ამქვეყნიურობას მეშვიდედ მოევიდნა და, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ შეისხამს იგი ხორცს. რომანის დრო და სივრცე კონცეფციურია, ვინაიდან აქ დროის ორი პლანი ერთიანდება: 1. ესაა გიორგი ბრწყინვალის დროინდელი მოვლენითი დრო; 2. ვირტუალური, რომელშიც თავმოყრილია ვერტიკალური დროის წარმოსახვები, ინტუიციური და ფანტაზიის შედეგად შექმნილი ხილვები. რომანის ყველა პერსონაჟი, ვირტუალური დროის მკვიდრიც, გიორგი მეფის ცნობიერებაში აღიქმება და აისახება. ფანტაზია, მხატვრული გამონაგონი, რითაც ესოდენ მდიდარია „გიორგი ბრწყინვალე“, სამყაროსა და მოვლენების უკეთ აღქმაში ეხმარება მკითხველს, ზოგიერთ ფაქტსა და მოვლენას წინასწარმეტყველების ფუნქცია ეკისრება, რითაც კითხვის პროცესში წარმოქმნილი ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდება. ეს მით უფრო ღირებულია მხატვრულ ნაწარმოებთა „გადანერის“ ეპოქაში, როდესაც თანამედროვე ლიტერატურაში ადგილი აქვს ენობრივ-სტილისტურ, ჟანრობრივ, თემატიკურ რეინტერპრეტაციებს, ან კიდევ სხვა ავტორთა ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟების საკუთარ „თხზულებაში“ გადანერგვას, რაც, ზოგი თეორეტიკოსის მოსაზრებით, ინტერტექსტუალურ მოვლენად აღიქმება. ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალე“ მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს, ამავე დროს, თანამედროვეობას ეხმაურება თავისი სტილით, პერსონაჟთა სახე-ხასიათების წარმოჩენით, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით; თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომანში ერთმანეთს ერწყმიან ქართული კლასიკური პროზის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და პოსტმოდერნისტული მწერლობის ტენდენციები.

„გიორგი ბრწყინვალე“ მრავალსაუკუნოვანი, მრავალნაზნაგოვანი რომანია, რომელშიც თხრობა პირველ პირობა წარმართული. მთელი ნაწარმოები გიორგი ბრწყინვალის აღსარებაა, მონოლოგია, რომელშიც საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია მოაზრებული, რისთვისაც მწერალი ხან გარდასული დროის პიროვნებებს გამოიხმობს პერსონაჟებად, ხან მომავლისას და აჩვენებს, თუ რა გარდასახვებია მოსალოდნელი დროში და როგორ ხორციელდება მასში მოგზაურობა სულისა. აქედან გამომდინარე, სივრ-

ცეც უკიდევანოა.

გიორგი ბრწყინვალე დინჯად, საქმიანად, სადად ჰყვება თავის თავგადასავალს, თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიას. ეს თხრობა საოცრად მიმზიდველად და უჩვეულოდაა რეალიზებული რომანში, ვინაიდან, ჩვეულებრივ, მკითხველთან დიალოგი მშვიდ, უშუალო, ინტიმურ, მეგობრულ განწყობილებებს ქმნის და გიორგი მეფის დიალოგსაც მკითხველთან სწორედ ეს მიზანი აქვს. ყველაფერი, რაც რომანში ხდება, მეფის მონათხრობია, მეფე გვიყვება გარდასულ ამბებს, საუკუნეების წინ მომხდარს, და მომავალ საუკუნეში გარდასახდელსაც. მეფეს ურთიერთობა აქვს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთან და თითოეულის შესახებ გვიამბობს მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდს, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტულ პერსონაჟს გვაცნობს, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ვითარებასაც. მეფე ყვება რეალურ ამბებსაც და ხილვა-ზმანებებსაც. ამ თხრობაში იკვეთება მეფე-პერსონაჟის ცოცხალი, მეტყველი სრულყოფილი სახე, რომელსაც წუთითაც არ ტოვებს ფიქრი ღმერთისა და ადამიანის არსებობის საზრისის შესახებ, სამშობლოსა და საკუთარი ხალხის, ქართველი ერის მეობისა და სამყაროში ადგილის შესახებ, მარადიულ და წარმავალ ღირებულებათა შესახებ.

მეფე გიორგი ბრწყინვალე გვანვდის შეულამაზებელ სურათებს ქვეყანასა და ზოგადად სამყაროში, მოგვითხრობს ადამიანთა და სახელმწიფოთა შორის არსებული სისასტიკის, დაუნდობლობის, უსულგულობის, ცოდვის, დაცემის, სიმდაბლის, ცხოვრებისეული ჭუჭყისა და სიბნელის შესახებ. მაგრამ იმასაც გვაცნობს, რომ ყოველივე ზემოხსენებულის მიღმა სამყაროში არსებობს მარადიული წესრიგიც, ღვთაებრივი მადლი, ნყალობა, ამაღლებულობა, მშვენიერება, განონასწორებულობა, დიდსულოვნება, შენდობა, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება. ამიტომ გიორგი ბრწყინვალის მონათხრობში დრო და სივრცე განუსაზღვრელია, პირობითია; შეიძლება ითქვას, დროსივრცული არეალი გადალახულია და ყოველივე მარადისობის თვალსაწიერიდანაა დანახული.

რომანის სიუჟეტი ლიტერატურაში ნაცადი, საუკუნეების წინ გამოყენებული მონაცვლეობის პრინციპითაა აგებული და მასში პარალელურად რამდენიმე ამბავია მოთხრობილი, რომლებიც თითქოს დამოუკიდებელი ნაწარმოების სახითაც შეიძლება არსებულიყო და რომლებიც, მიუხედავად დროის მონაცვლეობისა, უთუოდ გიორგი ბრწყინვალის ცხოვრება-მოღვაწეობას უკავშირდებიან.

ნაწარმოების დასაწყისში გიორგი ჯერ კიდევ არაა სრულიად საქართველოს მეფე, იგი უფლის-





წულად ითვლება, რასაც ქრონიც, გიორგის alter ego-ც, აღნიშნავს და უწინასწარმეტყველებს, რომ იგი საქართველოს სამეფოს ტახტის რეალური მფლობელი გახდება. თუმცა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იგი ჯერ კიდევ ბავშვი აკურთხეს მეფედ 1299 წელს, რათა ზედამდგომელ მონღოლებს უფროსი ძმის, დავითის სანინააღმდეგოდ და თავიანთი პოლიტიკის შესაფერისად გამოეყენებინათ. მას იმ ხანებში თბილისის მეფეს უწოდებდნენ, ვინაიდან მისი იურისდიქცია სრულიად საქართველოს ვერ სწვდებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში მისი ძმები და ძმისწული მეფობდნენ, დასავლეთში – დავით ნარინის, რუსუდანის ძის ნაშიერები. გიორგი თავისი უფროსი ძმის, დავითის ძის გიორგის მეურვეც იყო, სწორედ მისი გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე და ოცდათორმეტი წელი იმეფა, იმეფა სვიანად, განგებინად, ძლევამოსილად, სამართლიანად... და შექმნა კვლავ ძლიერი სახელმწიფო, შექმნა ეპოქა, რომელსაც მაღლიერმა და მისი ღვაწლის დამფასებელმა ღირსეულმა შთამომავლობამ გიორგი ბრწყინვალის ეპოქა უწოდა. ეს იყო მისი პოლიტიკური ალღოიანობისა და დიპლომატიის, საღი აზროვნებისა და გონივრული გადაწყვეტილებების მიღების, გამჭრიახობისა და წინასწარჭვრეტის შედეგი.

ჭაბუა ამირეჯიბი ყოველივეს განსჯის პიროვნების, ეროვნული ყოფიერების, ზოგადსაკაცობრიო ინტერესების შესაბამისად. მის მიერ წარმოსახული გიორგი ბრწყინვალე, მისი საარსებო-სასიცოცხლო სივრცე მთლიანად მოცულია საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ზრუნვით, ცდით, ბრძოლით, რის შედეგადაც აღდგება და ყალიბდება იდეა და მოდელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული დამოუკიდებლობისა, მსოფლიოში ადგილის დამკვიდრებისა, რაც გიორგი ბრწყინვალის მაგალითზეა ნაჩვენები, მაგრამ მწერალს იგი ქართველი ერის მარად საზრუნავ საქმედ მიაჩნია. ვფიქრობთ, ეს საფანელი უდევს საფუძვლად გიორგი ბრწყინვალის ერის მარადიულ არსებობასთან იდენტიფიცირებას, რაც მისი სულის შვიდგზის განსხეულების იდეითაა გადმოცემული. „შვიდი“ საკრალურ რიცხვთა რიგს განეკუთვნება და ამიტომ მის სიმბოლოებას, ენიგმატურობას რომანში საგანგებო მხატვრული ფუნქცია ეკისრება, რაც რიცხვთა მითოსური საწყისების გააზრებითა და ბიბლიური პრონოეტული სახისმეტყველებით აიხსნება. იგი სისრულის, სრულყოფის მაუნყებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეინკარნაციის იდეას ქრისტიანული რელიგია უარყოფს, იგი ანტიკურობიდან, კერძოდ პლატონის ფილოსოფიიდან მომდინარეობს. ლალი ავალიანმა აღნიშნა, რომ რეინკარნაციის იდეა მომგებიანი მხატვრული ხერხი აღმოჩნდა, რომელმაც მწერალს სხვადა-

სხვა დროის საქართველოს შთამბეჭდავი ეპიზოდების გადმოცემის საშუალება მისცა; პირველი კარის ეპიგრაფად წამძღვარებული სიტყვები გიორგი ბრწყინვალის ვერტიკალურ განასერში წარმოსახვას ედება საფუძვლად, ვინაიდან ის განსაზღვრავს მის სულიერ მისიას, აფასებს გიორგი მეხუთის სულიერ წინაპართა დამსახურებებსა და ღირსებებს. გიორგი მეფე ზესთასოფლიდან მიმართავს მწერალს: „ჩვენ, მეშვიდე სიცოცხლეში ღვთივცხებით გვირგვინოსანი, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონი, მეფე აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა, კახთა და რანთა, შაჰანშა და შირვანშა, ბრწყინვალედ წოდებული გიორგი მეხუთე, საიქიოდან ვბრძანებთ შენდა, რომელი გამოჩნდე მჩხიბავი ნამყო ვითარებათა, მეცნიერი კაცთა ბუნებისა, სახეობრივ მფიქრველი და კაზმულად აღმწერი გაგონილისა, რათა ეტყოდა ჩამომავალი ქართველთა და არაქართველთა ნაუბარსა ჩვენგან“. მეფის მიმართვა მწერლისადმი ერთდროულად წარმოაჩენს გიორგი მეფის პიროვნებას, როგორც ბაგრატიონთა ერთ-ერთ უღირსეულეს წარმომადგენელს, რომელმაც „ბრწყინვალის“ ზედწოდება სიცოცხლეშივე მოიპოვა, და რომანის ავტორს, ჭაბუა ამირეჯიბს, როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატს, როგორც ადამიანთა ბუნების მცოდნეს და ორიგინალური სტილით, მანერით, სახეობრივი აზროვნებით გამოჩენილ მწერალს. სიმბოლოურად დატვირთული და მრავლისმთქმელია რომანის დასაწყისი, პირველი კარი. პირველსავე წინადადებაში მულავნდება საქართველოს ტრაგიკული ყოფა და ამგვარ პირობებში სიმბოლოურად, მეტაფორულად, ალუზიურად ისახება გიორგი ბრწყინვალის გამოჩენა.

ყურადღებას იქცევს ის ქრონოტოპი, საქართველოს მომავალი მეფე რომ გამოჩნდება: „უგზოზე მოვდიოდი. წყვდიადი იყო. სარწყუნისის ბოლოს და მირკნის დამდეგს გარიჟრაჟის წინ იცის უმთვარო ღამემ ასე ჩაკუმეტება. მალე უნდა გათენებულყო. ღრუბელი გაიფანტებოდა, მზიან, კაშკაშა დღეს დაიჭერდა, ვიცოდი, მაგრამ მაინც იმ ღამეზე ვფიქრობდი, ხვალინდელ მზიანს რომ უნდა მოჰყოლოდა – იმიტომაც, რომ ბნელოდა და გზებსაც კარგა ხნის აცდენილი ვიყავი. ცხენის ალლოსლა მივყვებოდი: ხეები ბარისკენ გარბიან, ბარში მდინარეები დიან, მდინარეებთან სოფლები ან ნასოფლარები და გზებიც.“ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა სიღრმისეულად გაიაზრება. საქართველოს მძიმე ყოფა, უმთვარო ღამე და წყვდიადი, ნასოფლარები თუ სოფლები მომავალი მეფის საზრუნავია; ამასთან, იმ სიტყვებში გიორგი მეხუთის „ბრწყინვალედ“ წოდებისაკენ, დიდებისაკენ, სრულყოფილებისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლაა მინიშნებული. სივრცე, საითკენაც მიეშურება იგი, მოსანესრიგებელია; დრო, როდესაც სვლას იწყებს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ

უფლისწული გიორგი, დასაწყისია ქვეყნის მონესრიგება-ალორძინებაზე მომავალი მეფის ფიქრისა და ზრუნვისა; გიორგი ბრწყინვალის შემოსვლა საქართველოში ხვალისდელ დღედა დასახული. რომანის დასაწყისი თვით მეფის არსებობის, მისი მომავალი მოღვაწეობის საზრისს მოიცავს, ხოლო დასასრულს მეფის მონოლოგი მის მიერ აღსრულებულ საქმეთა შეჯამებით წარმოაჩენს გიორგის ისტორიულ მისიას, უკვე აღსრულებულს.

რომანი იწყება გზით, უფლისწული გიორგი, მეფე დიმიტრი თავდადებულისა და მისი მესამე მეუღლის, ბექა ჯაყელის ასულის ნათელას ძე, საქართველოში ბრუნდება გარე სამყაროდან, მონღოლთა ურდოდან. გზის მეტაფორა-სიმბოლო ძველთაძველია, იგი ჟამთა სვლის უსასრულობის სიმბოლოა დრო-სივრცეში. ეგვიპტიდან გამოსული უფლის რჩეული ხალხი აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალ გზაზე ყალიბდება ერთად, რასაც ორმოცი წელიწადი დასჭირდა. შინ მიმავალი გზა გიორგისათვის აგრეთვე სიმბოლოურია, ვინაიდან უცხო, გარე სამყაროდან შინა სამყაროში უნდა შევიდეს, რათა მოაწესრიგოს იგი. უფლისწულ გიორგის სულიერი მისია შინისაკენ მიმავალი გზით იწყება, რათა გიორგი ბრწყინვალედ გარდაისახოს და სისხლისაგან დაცლილ, ჭრილობებიან ქვეყანას მკურნალად მოეწვინოს.

პირველი, ვინც უფლისწულს საქართველოში დაბრუნებისას ხვდება, ქრონია, რომლის მისტიურობა მისსავე სახელშია გაცხადებული. „ქრონი“ ბერძნული წარმომავლობისაა და დროს, ჟამს აღნიშნავს. ქრონის სახელი მიუთითებს, ერთი მხრივ, დროის უსასრულობას, დაუსაბამობას, უსაწყისობას, მეორე მხრივ, საქართველოს დასავლური, ქრისტიანული სამყაროსაკენ შემობრუნების აუცილებლობას, ვინაიდან „ზედამდგომელ“ მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ შეარყია საქართველოს ხერხემალი, წარყვნა ზნეობა, დაანანევრა და გააჩანაგა მამული. სწორედ ქრონი შთააგონებს უფლისწულ გიორგის, რომ იგი ღვთის რჩეულია, მძლეა, მან უნდა იხსნას იავარქმნილი, მრავალგზის ტანჯული, ამჯერად მონღოლ ზედამდგომელთაგან ქედდადრეკილი, დამონებული სამშობლო.

ეროვნული იდეის, სახელმწიფოებრივი საზრისის, გიორგის ისტორიული მისიის განსაზღვრას შეეხება გიორგი ბრწყინვალისა და საქართველოს უკვდავი სულის სიმბოლოს – ქრონის დიალოგი, რომლის წინასახედ მოვიზრებთ რომანის გამოცემისათვის წამძღვარებულ ჭაბუა ამირეჯიბის ავტორიტერვიუს. წინასწარმეტყველურად ჟღერს ქრონის თითოეული სიტყვა: „შენგვარი კაცი მუდამ ეგრე მოდის – წყვილიაში, გათენების პირს, სარწყუნისის მინურულს, ხანდახან მირკნის დამდეგს... ის კაცი, მძლე!“ წყვილიად

სამშობლო ქვეყნის მდგომარეობას ასახავს, ხოლო სარწყუნისის მინურული თუ მირკნის დამდეგი გაზაფხულის პირია და სიმბოლოურად ქვეყნის განახლების დასაწყისს მიუთითებს.

ვინ არის ქრონი? რეალურია იგი თუ მისტიკური? ვინაიდან ქრონისა და გიორგის დიალოგში იკვეთება საქართველოს მარადიული პრობლემები, რომელიც საოცრად ეხმიანება თანამედროვეობასა და ბევრ მნიშვნელოვან, საჭირობოროტო კითხვაზე იძლევა პასუხს, ამიტომ მასზე ვრცლად შევჩერდებით. თავად ქრონი ამბობს, ეს სახელი მარტო მას ჰქვია აქ, საქართველოში, თორემ სხვაგან, ალბათ, იქნებთან. იგი იღია ჭავჭავაძის მოხუცი აჩრდილის სულიერი მემკვიდრეა, საქართველოს წარსულზე, აწმყოს და მომავალზე მაფიქრალი, საქართველოს მარადიული სულია, რომელსაც ილიას მოხუცისამებრ შეუძლია თქვას: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“. საქართველოს მომავალი მეფის, გიორგის აზრით, იგი „ან საერთოდ არასოდეს ყოფილა, ან დასაბამითვე იყო, დღესაც არის და უკუნისამდე იქნება!“ ქრონი კი, ვითარცა დრო, მარადიულია, ყიველთვის იყო და მარად იარსებებს, როგორც თანამდევი უკვდავი სული სრულიად საქართველოსი.

რომანის მიხედვით, იგი დავით აღმაშენებლის მიერ აგებულ ქსენონში სწეულეს მკურნალობს, სწეულესში სულით გვემულნი ჭარბობენ, რითაც კვლავ ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარებაა გასიმბოლოურებული; ქვეყანას მკურნალი ეჭირვება და ამიტომაც მუდმივად დარაჯობს... მართალია, მუდმივმყოფი ქრონი მკურნალის როლს ასრულებს, მაგრამ ეს მარტო მას არ ძალუძს, ამიტომაც ელოდება „მძლე“ გამოჩენას, ანუ გიორგის, რომელიც „სუსხმა და სიმძიმეში მოიყვანა“, თავის წინამორბედთა მსგავსად. კვლავაც მოვა, — ასე სწამს ქრონს, ასე სწამს გიორგის, ასე სწამს ჭაბუა ამირეჯიბს.

უფლისწულ გიორგისა და ქრონის დიალოგში მჟღავნდება დიდი ხნის მოლოდინი იმგვარი მეფისა, რომელსაც სამშობლო-ქვეყნის მხსნელის მისია დაეკისრება: „ეს ორი კვირაა, შუალამის მერე გამოვდივარ და ვზივარ, — ამბობს ქრონი, — ამ დროს მოდის ხოლმე ის კაცი. ყოველ წელს აგრე ვჩადი — გამოვალ, ვზივარ და ველი, იქნება მოვიდეს მეთქი. აი, მოხვედი კიდეც. ის კაცი ხარ! მალე მირკანი დადგება...“ გიორგისნაირი კაცი, ქრონისავე სიტყვით, „ხან ორას წელიწადში ერთხელ მოდის, ხან ორს და სამს ამდენს იგვიანებს.“

ქრონი განმარტავს, ვინ არიან მძლენი: „მძლენი არიან ჩუბინი თვალისა და გამჭრიახი გონების მქონენი, საჭირო საკეთებლის მიმგნები და მხნედ მოქმედნი, ჟამთა სიჩაღის მბრძოლნი და შორსჭვრეტით ძლევა მოსილნი — მეფენი იქნებიან, მხედართმთავარნი, მერჯულენი თუ ერისკაცნი ვიეთნი — ვინაც ცხოვრების დიდი თუ



მცირე ნაწილის წარსამართავ სადავეთა ხელდება იდო თავს. მძლენი მდაბიოთაგანაც მოდიან ჟამდაჟამ და კეთილშობილთაგანაც უფრო... მძლენი იმით განსხვავდებიან ძლიერთაგან, თუ მარტივთაგან, რომ ნაფიქრი და ნახილვი ფიქრში აქვთ გამოტარებული; ადამიანის, ხალხისა ერისა და კაცობრიობის ბუნებაში სიღრმით მწვდომელნი არიან; მოვლენ, მიმოხეულ, გათითოკაცებულ სიკეთეს თავს უყრიან, თორ-აზჯრად და სატევრად ანივთებენ, საკაცობრიო ბოროტებას ებრძვიან, თრგუნვენ და ამდაბლებენ. ეგ არის არსი, სახე და დანიშნულება მძლეთა.“ აქ არა მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის, არამედ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ისტორიული დანიშნულებაა განსაზღვრული, რასაც მომავალი მეფე ღვთისაგან ბოძებულ წარსულ ვითარებათა ხილვის უნარით უნდა მისწვდეს, როდესაც ამის დრო დადგება. ქრონისავე სიტყვებით ისიც მინიშნებულია, რომ გიორგის მეფობა წინასწარი მონაცემებით, კერძოდ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ყრმა ნაადრევად დააქორწინეს ქართველ, დიდგვაროვანის გამრეკელ-თორელის ასულზე და არა რომელიმე მეფის ასულზე, შეიძლება ვერ შემდგარიყო, მაგრამ ღვთის განგებით ყოველივე სხვაგვარად წარიმართა, ძლიერი და გონიერი ბექა ჯაყელის აღზრდილი გიორგი აღმოჩნდა ქვეყნის მომავლის „მამულისა და ჩუეულები-საებრ“ წარმმართველი, რომელსაც დრომ, თავისმა ეპოქამ შთააგონა, რომ ერს მორჩილება სპობს და არა წინააღმდეგობა. ამიტომ იგი ქრონისაგან შეიმეცნებს, რომ ქვეყნის ხსნა მარტოკაცს არ ძალუძს, დიდ საქმეთა აღსრულება მარტოკაცს ისევე არ ხელეწიფება, როგორც მონამეობრივი მსხვერპლის გაღება დარჩება აუხსნელი, თუ მისი გაგება, შეგრძნება, განცდა არ შეუძლია მთელ ერს. ცხადია, გიორგი ბრწყინვალეს სწამს, რომ მარტოკა ვერაფერს გახდება მამულიშვილურ საქმიანობაში, გაჭირვებამ და გაუსაძლისმა პირობებმა უნდა შეკრას და გააერთიანოს ერი, რათა თავისი მეობა დაადასტუროს, მეტრძოლი ბუნება გამოავლინოს და მძვინვარე მტერი განდევნოს. ამისთვის დიპლომატიური სვლებიცაა საჭირო; ოღონდ ერს წინამძღოლი სჭირდება.

გიორგი გულისტკივილით აღიარებს, რომ ქართველთ ბევრი ნაკლი აქვთ და ქრონთან საუბარში ცდილობს ჭეშმარიტების მიკვლევას: „დაბნეული ხალხი ვართ ქართველები, მკურნალო. ერთნი მარტოკაცობით უკიდურეს მსხვერპლს ან სატევარს მივნივთებართ; მეორენი თვალახვეულნი ვცხოვრობთ, თითქოს მამულის გასაჭირისა სულაც არა გვესაქმებოდეს რა; მესამენი ვამბობთ: მრავალრიცხოვანი, მძვინვარე და ნაირ-ნაირი თესლის მტერი გამუდმებით გვყავს და სიმცირისა თუ უმწეობის გამო მათთვის მხოლოდღა ადვილი ლუკმა ვართ. ერთს ვაოტებთ, მეორე მოდის,

მესამე თავის ჯერს ელოდება. ვგონებ, კაციც აგრეა: საკუთარი მერყეობით, ერთი რამ მტკიცე გზის უქონლობის მონაა და არა გარემოებისა თუ ვითარების.“ ჩვენ წინაშე დგას თავისი ქვეყნისა და ერის არსზე, მეობაზე დაფიქრებული მეფე, რომლის ყოველი ფრაზა საქართველოს ისტორიის ნებისმიერ პერიოდს შეიძლება მიესადაგოს; თითქოს დღევანდელ ქართველ საზოგადოებას მოძღვრავდეს, ისე თანამედროვედ ჟღერს მეფის სიტყვები, თანაც არა რიგითი, ჩვეულებრივი მეფისა, როგორებიც მრავლად ყოფილან ჩვენშიც და სხვაგანაც, არამედ გამორჩეული, ბრწყინვალედ ნოდებული მეფისა. რა ნაცნობია მეფის მიერ სამ კატეგორიად დაყოფა ადამიანებისა და თითოეულის შეფასება! მარტოკაცის მსხვერპლზე საუბრისას, ალბათ, მამის – დიმიტრი თავდადებულის თავგანწირული ქმედება უდგას თვალწინ. ქრონს ხალხისა და მამულისათვის მძიმე მსხვერპლის გაღება და მტერზე პირისპირ მისვლა სიკეთედ მიაჩნია, თუნდაც მას სარგებელი არა მოჰქონდეს რა. ეს მხოლოდ რჩეულ ადამიანთა ხვედრია, „სულგრძელთა, მიზანმსწრაფთა და თავდადებულთა.“ გიორგის ყველაზე მეტად ადამიანთა მესამე ტიპი აინტერესებს და ქრონისაგან მოელის პასუხს. თითქოს დღეს უსვამდეს ამ კითხვას მეფე გიორგი საქართველოს მარადიულ სულს – ქრონს: „იმ მესამეთა გამო რატომ არაფერს უბნობ, ვინც ქედზე დაბჯენილი უღლის კალთად გადმოფარებას სასოებს?“ თავიდან გიორგისათვის ქრონის „სიტყვას და ნათქვამის არსს მძაფრი, გულისმომგვრელი და გაუგებარი უფრო ეთქმოდა, მაგრამ ფიქრია აღმძვრელი და სასაუბროდ ნამქეზებელიც იყო სწორედ ამიტომ“... ქრონის პასუხში წარმოჩნდება გიორგის ისტორიული მისია, რომ იგი „მძლედა“ მოწოდებული: „ეგენიც სხვასავით საქორებენ მხმობელს, ოღონდ საით და რისთვის არიან სახმობნი, მაგისას არაფერს ვიტყვი. მხმობლად მრავალნი ევლინებიან ქვეყანას, მხოლოდ მძლედ – მცირედნი ერთობ. ყოველი მეფე გვირგვინის, ერის, სკიპტრისა და ტახტის წინაშე არის ვალდებული, მხმობელი იყოს, მაგრამ მძლეობა არა ყოველსა მათგან უბოძა განგებამ. ასევე, სიცოცხლეშივე მძლედ აღიარებული ცოტაა ერთობ, რამეთუ თვით ნამოქმედარი მძლესი მეტად ძნელი საწვდომია. მის მიერ აღსრულებულ საქმისა გამო სწორი აზრის დადგენას ან სხვა მძლე კაცის ფონება უნდა, ან მოკვდავთ მიერ საუკუნეების მანძილზე ჩხიბვა – სადაგნი არიან მოკვდავნი და ამაღ. შენ, ვითარცა უფლისწულსა და სამეფოდ განზრახულს, მხმობლობა თავისთავად და აწვე გამართებს, ახლო მომავალში, — როცა ხელმეორედ დაგსვამენ ტახტზე. მძლეობაც შეგეძინება, რადგან ამისთვის მოგავლინა განგებამ და შენი უმთავრესი საკეთებელი სწორედ მაგ მესამეებთან ურთიერთობა იქნება.

დანიშნულება და ხვედრი გეტყვის, საითკენ და რისთვის უნდა უხმო მათ და რით უნდა დაიწყო ღვანლთა დება.“

ქრონთან საუბარმა შეაცნობინა უფლისწულ გიორგის, რომ სულ სხვა მისიით იყო მოვლენილი უფლისაგან, ვიდრე თავად წარმოედგინა, განსწავლითაც შემზადებული იყო და საკუთარი გონებითაც იცოდა, რომ „მეფედ წოდებული მონა უნდა ყოფილიყო — სხვადასხვა ჯურის მედროვეებისა ცალკე, თვით მონღოლებისა ცალკე და თავისი ხვედრი ერის ხორციელი არსებობის შენარჩუნებისათვის ფიქრად და ღვანლად მოეზრებინა და არა უკვდავ, საგმირო საქმეთა აღსრულებად. ამგვარ მომავალს, თავის ახლო ნათესავთა მსგავსს, თითქმის შერიგებულ-შეგუებული იყო, როდესაც ღმერთმა ქრონის სახით შეახვედრა საქართველოს მარადიულ, უკვდავ სულთან, რომელიც მისგან გაცილებით მეტს მოითხოვდა, ვიდრე ფიქრობდა და განიზრახავდა.

რომანის მიხედვით, ქრონთან, ვითარცა საქართველოს მარადიულ სულთან, შეხვედრამ და საუბარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა უფლისწული გიორგის პოლიტიკური თვალთახედვის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მან ფრთხილი, გონივრული, წინასწარ გააზრებული, დიპლომატიური ქმედებით საქართველო გაათავისუფლა მონღოლ „ზედამდგომელთა“ საუკუნოვანი ბატონობისაგან, აღორძინა ეკონომიკა და კულტურა, შექმნა საკანონმდებლო წიგნები, განახორციელა ეკონომიკური რეფორმები.

გიორგი მეფე მოგვითხრობს ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფის, ერეკლე მეორისა და ილია ჭავჭავაძის შესახებ. სწორედ ილიას გულისხმობს ქრონის წინასწარმეტყველება პირველი კარის დასასრულს, როდესაც მომავალში ახალი მძლეს მოვლინებაზე საუბრობს: „იმ დროში მეფეთა გვართათვის, მათი მოდგმის მძლეთათვის საქართველოში ტახტი ველარ მოიძებნება. ერი იტყვის თავის სათქმელს და მძლევ გამოიძებნება.“ დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქის გახსენება იმისთვისაა აუცილებელი, რომ გიორგი ბრწყინვალემ გაისიგრძეგანოს საქართველოს დიდებული წარსული, რით იყო იგი ძლიერი და როგორ მიაღწია სახელმწიფოებრივ და კულტურულ მთლიანობას, ჰარმონიას, რისთვისაც იბრძოდა და იღვწოდა გიორგი ბრწყინვალისაგან ხუთი საუკუნით დაშორებული ილია ჭავჭავაძე და რისთვისაც მოკლეს იგი. რომანში ეს მკვლევლობა მართალი და ბრძენი კაცისა მოჩქარეთა ნახელავადაა მიჩნეული, იმ მოჩქარეებისა, რომლები ყოველივე ინდივიდუალურს, ეროვნულს უარყოფდნენ. ჭაბუა ამირეჯიბი წმინდა ილია მართალს ათქმევინებს იმას, რაც ღღესაც აქტუალური და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ერისათვის: „ალარც

საკუთარი სახელმწიფო უნდა გვეკონდეს, აღარც ქრისტიანები ვიყოთ, აღარც ჩვენი ენა გვეკონდესო. მთელი დუნია უნდა გავერთიანდეთ, ერთ ენაზე უნდა ვიუბნოთ ყველამო. ამის თანხმობა ვერა ვთქვი...“ ამიტომ ესროლეს წინამართან და ნაადრევად შეწყვიტეს ერის მამად წოდებული, შემდგომ ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული ბრძენკაცის სიცოცხლე ისე, რომ თავისი უდიდესი მიზანდასახულობის აღსრულება ვერ მოასწრო.

„ავტონიტერვიში“ ჭაბუა ამირეჯიბი წერს: „ყოველი ადამიანი გარკვეული დანიშნულებითურთ — მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ფუნქციითურთ იბადება და მიდის მაშინ, როდესაც თავის ფუნქციას ამოწურავს“. გიორგის სწორედ ამ ფუნქციისთვის, ისტორიული და სულიერი მისიისთვის უნდა მიეგნო და მიაგნო კიდეც, რაც მის მიერ საქართველოს დარღვეული ერთიანობის აღდგენით დაგვირგვინდა. რომანის პრობლემატიკა საოცრად თანამედროვედ გამოიყურება; ამხელს კოლონიალიზმის უარყოფით მხარეებს, ყოველივეს ფილოსოფიურად ჭკრეტს და განსჯის; სწორედ გიორგის დროს დაემხო ტოტალიტარიზმი და მონღოლთა იმპერია დაიშალა.

ვერ ვიტყვით, რომ მწერლის მიერ დახატული გიორგი ბრწყინვალე იდეალურია; არც შეიძლებაოდა, რადგან ქვეყნის საჭიროება მოითხოვდა და სასტიკად ებრძოდა შინაურ თუ კარსმოჯარულ მტრებს, რის მაგალითად შეიძლება დავიმომოთ ჰერეთისა და სომხეთის ურჩ ერისთავთა ამოხოცვა, რომლებიც სანადიროდ მიიწვია, სინამდვილეში თავად მოინადირა ისინი. პიროვნული ცოდვებიც საკმაოდ აქვს. ასე რომ, გიორგი ბრწყინვალე ცოდვილიცაა და მონანიეც, ჭეშმარიტი აღმსარებელი ქრისტიანობისა და მკრეხელიც, კაცთმოყვარეც და დაუნდობელიც. ყველა ამ თვისების გამოა იგი ასე მიმზიდველი პერსონაჟი, რომელსაც რეალისტური, რომანტიკული ელფერიც გასდევს და პოსტმოდერნისტული იერიც დაჰკრავს. მთავარი კი ისაა, რომ გიორგი მეფე საკუთარ თავგადასავალსა და სამშობლო ქვეყნის ბედს ერთმანეთთან კავშირში წარმოაჩენს, მეფე ხომ კერძო პიროვნება არაა, მას საქვეყნო საქმე და ღვთიური მოწოდება განსაკუთრებულ - ერის წინამძღოლ პიროვნებად აყალიბებს.

დროში გარდასახვა ის მხატვრული ხერხია მწერლისთვის, რომელიც ახალ-ახალი პერსონაჟების შემოყვანით ერთმანეთისაგან განსხვავებულ ადამიანებს გვაცნობს. ესენი არიან დილიკა, ხურცი, ლარგველი ანანია, ბარკილი - ართავაჩოს ძეთა ჩამომავალი, სლანი-ეგარსლან ბაკურციხელი, ლოდი გაბო, მამა იონათამი, ქარცი გრაპო, თომა თუ სხვანი, რომლებიც, როგორც ავტორი ამბობს, სხვადასხვაგვარ



საქმეში აბანდებენ თავიანთ წუთისოფელს, ზოგი კეთილისქმნაში, ზოგიც ბოროტისა. მწერალს საგანგებოდ შემოაქვს ბიბლიური, მითოსური და ისტორიული პასაჟები, რომელთა მეშვეობით მიზნად ისახავს სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, ცოდვისა და მადლის, აგრეთვე, ადამიანისა და საზოგადოების არსისა და დანიშნულების შეცნობას.

ვინ არიან ხურცი და მისი საძმოს წევრები? უსამართლობის წინააღმდეგ ერთბაშად, მომენტის შესაბამისად წარმოშობილი ძალა, რომელიც XX საუკუნის ბოლოს საქართველოში წარმოქმნილი საძმოების ასოციაციას ბადებს. ამგვარი საძმო მაშინ იქმნება, როდესაც სამართალი არ სამართლობს. ვინაა ანანია ლარგველი, რომელთანაც მრავალი საინტერესო ეპიზოდია დაკავშირებული? ესაა კაცი, რომელმაც საფუძვლიანი განათლების მისაღებად „ნიგნებში ჩააბანდა წუთისოფელი“, რათა თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის იზრუნოს და იბრძოლოს. თუმცა დიპლომატიური მოლაპარაკება, სავაჭრო საქმეები და სხვა მსგავსი საქმიანობაც კარგად ეხერხება, რითიც ჩვენს თანამედროვეობას ეხმიანება.

გიორგის მუდმივად თან სდევს მამის — დიმიტრი თავდადებულისა და პაპის, თავისი აღმზრდელისა და სულიერი წინამძღვრის, ბექა ჯაყელის სახეები, რომლებიც მაგალითნი იყვნენ მისთვის, პირველი — ქვეყნისათვის, ერისათვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლშენივით, მეორე — ბრძნული ქადაგებებით, დარიგებებით, რჩევებით, რომელთა შედეგი იყო საბოლოოდ უფლისწულ გიორგის მეფედ, ბრწყინვალედ ჩამოყალიბება.

მწერალი ალუზიებით, თავისუფალი ასოციაციებით, მეტაფორებით ხატავს ყოველი პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, ცნობიერებას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ქვაბლელთა ნაშიერი, საგვარეულოს ერთადერთი გადარჩენილი წარმომადგენელი დილიკა, რომელიც რომანში რამდენიმეჯერ გაიელვებს და ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. მის სახეში შეზავებულია ტრადიციული და პოსტმოდერნისტული ხერხები პერსონაჟის წარმოსახვისა. იგი სიმბოლურად სამშობლოს განასახიერებს; ქალის, დედის სამშობლოდ გააზრება ძველთუძველესი პარადიგმაა. აქედან გამომდინარე, საქართველო ისევეა მტრის მიერ გათელილი, შეურაცხყოფილი, იავარქმნილი, როგორც დილიკა, იმ სამოცდაერთი ქვაბლელის გვარისა და მოდგმის ქალი, ერთად რომ მოაშთობინა მონღოლთა ყაენმა. გიორგი ვერაფრით ათავსებს სამოცდაერთი ქვაბლელი მამულიშვილის, შეუდრეკელი და სპეტაკი ზნეობის მქონე ძირძველი გვარის წარმომადგენელთა მონამეობრივ სიკვდილსა და მათივე ნაშიერის საზარელ საქციელს ეკლესიის ნანგრევში; ეს ის

შემთხვევაა, როდესაც ქალს მიზნის მისაღწევად უმძიმესი, ცოდვა—ბრალით აღსავსე ნაბიჯი აქვს გადადგმული, მან ყოველივე პირადული — რწმენა, ღვთის შიში და სიყვარული უარყო და მრუშობა დაიწყო, რაც თავად წინასწარ განზრახულ პირუთვნელ საქციელად და მსხვერპლად მიაჩნია, იმ სამოცდაერთი ვაჟკაცის მსგავსად სურს საკუთარი თავი მსხვერპლად შესწიროს. ეს სიცოცხლით სავსე მშვენიერი ქალი ტრაგიკულ ხვედრს ირჩევს, მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მეტად უცნაურ, შემზარავ ფორმას მოძებნის, რასაც გიორგისთან საუბარში გაამხელს. გიორგის თვალთ დანახული დილიკა „ქალი კი არა, ვარდისწყლის შადრევანი იყო... წარმტაცი, ჭეშმარიტი მდედრი! მძლავრი სხეული ჰქონდა, მაგრამ მოხდენილი და სხარტი, პირდაპირ მიწის ამონახეთქი ჯეჯილივით.“ გიორგის სიტყვით, ამ „განწირული მშვენიერების“ საქციელი და მსხვერპლი, ნაფიქრ—ნააზრევი შეცდომათა ერთობლიობას ემყარებოდა: „შეცდომა იყო ქართულად აღზრდილი, მონღოლურ სისხლწარევე კაცთაგან ვარამიდან დახსნის მოლოდინი და მაშინ შეცდომა იყო დილიკას ეგზომი მსხვერპლიც. შეცდომა იყო იმის ფიქრი, რომ ბავშვი უეჭველად ჩაისახებოდა, იშვებოდა და შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრიც, რომ შობილი, სახელდობრ პირთეთრი, თვალციხფერი უნდა ყოფილიყო; შეცდომა იქნებოდა ამისთვის განკიცხვის შიშით გვარის ღირსების შენახვისათვის თვითმკვლელობაც... ღმერთო, საიდან აღიძვრის ამდენი შეცდომა, სად არის ამის სათავე, რასა და როგორ უნდა მოველოს, რომ ადამიანებმა თავი დააღწიონ გულისა და გონების ამ გაუტანელ ნისლსა და არმურს...“

დილიკას პიროვნებაში ხედვის პერსპექტივები და ორიენტირები, მთლიანად სამყაროს მოდელია შეცვლილი. მის ერთგვარ შორეულ არქეტეპად წმინდა მარიამ მეგვიპტელის მოიაზრება შეიძლება, თუმცა სხვაობა მათ შორის ძალზე დიდია. დილიკა სინმიდეთა დესაკრალიზებით, რასაც თავად პერსონაჟი მსხვერპლად აღიქვამს, ცდილობს ფრიად უცნაური მიზნის მიღწევას. ტაძარი თუ ნატაძრალი შებლალულია, შეურაცხყოფილია, სინმინდე შებილწულია, ვერარა მიზანი მას ვერ გაამართლებს! მაგრამ... უნდა მოხდეს განწმენდა, რისი დასტურიცაა მეფისაგან მუცლადღება და არა უცხო თესლისაგან; წინასწარმეტყველური აღმოჩნდა გიორგის ფიქრები და წარმოსახვა დილიკას პირველი დანახვისას, „ეგეთი ქალი არც ფეხმძიმობაში დაგონჯდებო: ნაყოფიერებას მოისხამს, მოიდოვლათებს, მომრგვალდება, მაგრამ მაინც მშვენიერი იქნება“... მეფეს მუდამ ახსოვს საფარელი ბერის იოანეს ჩავონება - დიაცის ყველა საქციელი მისი მომავალი შვილიერებიდან მოდისო და მას აქეთ ყველა დიაცი ფეხმძიმედ წარმოუდგებოდა. ეს იმის ქვეცნობიერი ანარეკლიცაა, რომ დედო-

ფალ თინათინს, გიორგის მეუღლეს, არა და არ შერჩა შვილი. სწორედ დილიკამ შვა და აჩუქა მეფეს ტახტის მემკვიდრე. ადვილი არ იყო დედობაზე უარის თქმა, მაგრამ ასე სჯობდა მეფისთვისაც, ტახტის მემკვიდრისთვისაც... იქნებ, თვით დილიკასთვისაც...

დილიკა რომანის დასასრულს კიდევ გამოჩნდება და მისი სახე ამ შემთხვევაშიც ტრადიციულ ქართველ ქალად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ეროვნული ინტერესებისათვის ზედამდგომელთა მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი ქალისა.

განადგურებული გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, გათელილი, შეურაცხყოფილი, „განწირული მშვენიერება“ ერის ძლიერი გენეტიკის შემნახველიცაა, ვინაიდან მასში კოდირებულია ქართველი ერის უძლეველობა, რაც ნაწარმოების დასასრულს დილიკას მიერ მძინარე აბუსაიდის ხანჯლით განგმირვით წარმოისახება სიმბოლურად. კარისკაცებს თავად უთხრა: „მან ქესტუმ აბუსაიდ!“ და იმავე ხანჯლით განიგმირა თავი. დილიკას მიერ აბუსაიდის მოკვლის, მისი შურისგების, ქვაბლელთა ამოხოცვის გამო სამაგიეროს მიზღვის შედეგად მონღოლთა უზარმაზარი და ძლიერი იმპერია დაინგრა, ნოინები ერთმანეთს დაერივნენ და ორიოდვე თვეში განადგურდა ის სახელმწიფო, რომელმაც მრავალი სამეფო აღგავა პირისაგან მიწისა. დილიკას მიერ ნაშობი დავითი კი რომანში საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ მოგვევლინა. დილიკას აღსასრულის გაგების შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს არ სცილდება მისი სახე, სახე ქალისა, რომელმაც, ცხოვრება მიზანს მიმდგარმა გაატარა და სიკვდილიც სახელოვანი ირგუნა...“ და გაიხარეს სამოცდასამთ ქვაბლელის ნაშიერთ საქართველოში და თვით მსხვერპლმა — საიქიოში!“

რომანში ხშირად იჩენს თავს შორეული ლიტერატურული ასოციაციები და რემინისცენციები, ისტორიულ—კულტურული ფაქტების ამსახველი ალუზიები. „გიორგი ბრწყინვალე“ კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს უმთავრესზე, ერის დანიშნულებაზე და არსზე, რისთვის მოვსულვართ და საით მივდივართ. გიორგი მეფის მონოლოგი, რომელშიც შეჯამებულია მისი დამსახურება და ღვანლი ქვეყნისა და ერის წინაშე, მთავრდება მომავლის რწმენით, რასაც საფუძვლად ღვთის სასოება და სიყვარული უდევს: „მრწამს უღრმესად, რომ მომავალი აღმოაცენებს წიაღიდან ერისა ქართველთა კაცს, რომელი სძლევს დროთა ვითარებას,

სიმუხთლესა ჟამთა აღასრულებს ოცნებას ყოველთა ქართველთა და ღონის ძიებითა თვისითა შეუვალ ქმნის საქართველოს მტერთა და მოძულეთაგან, რამეთუ მაღალი ღმერთი არს მსურველი ამისა.“ თითქმის საუკუნენახევრის წინაც ერისკაცი ილია ჭავჭავაძე და წმინდა ილია მართალი ნატრობდა ამგვარ გმირს: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი.“ ამ რწმენითაა გამსჭვალული ჭაბუა ამირეჯიბიც, რომლისთვისაც ამგვარ კაცთა რიცხვს განეკუთვნება გიორგი ბრწყინვალე — ურთულეს, მონღოლ ზედამდგომელთა ასწლოვანი ბატონობის შემდეგ ქართული სივრცის ჰარმონიულობა რომ შექმნა: საზღვრები, კანონი, ეკონომიკა, კულტურა, ის, რაც ერის მეობასა და საზრისს აყალიბებს. ამ დიდი სულიერი მისიით მოვიდა „ცოტად უცნაური და ნეტარი“ მეფე საქართველოსი — გიორგი ბრწყინვალე.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ჭაბუა ამირეჯიბის მხატვრული ენა საზოგადოდ და „გიორგი ბრწყინვალისა“ კერძოდ. ენის ტექნიზაციისა და სლენგების მომრავლება-მოძალების ეპოქაში ენის სიცოცხლის გარანტი ლიტერატურაა, მხატვრული ლიტერატურა, მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია. „გიორგი ბრწყინვალე“ ამის დასტურია, ტრადიციული სიტყვა-კაზმულობით შექმნილი რომანი. ენა, რა თქმა უნდა, მხატვრული ენა მარადიულობას სწვდება, იგი მუდმივად ვითარდება, რის გამოც მხატვრული სისტემის ტრანსფორმაცია მუდმივ ხასიათს ატარებს. რომანში ენის ესთეტიკური ფუნქცია სხვადასხვა ასპექტით ვლინდება, კერძოდ, მხატვრული თხრობის ორგანიზაციის ხერხებით, პერსონაჟთა ინდივიდუალობით, რაც ავტორის სტილსა და მანერას გვიჩვენებს. ამ რომანით წარმოჩნდა ქართული ენის, მხატვრული ენის გამომსახველობითი შესაძლებლობები; სტილი, მეტყველება სადაა, მაგრამ ამავე დროს მკვეთრად ლაპიდარული, უაღრესად დახვეწილი, საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ხატოვანი ქართული, თავანკარა, აუმღვრეველი, მშვენიერი ენობრივი ქსოვილი, რაც თვით მწერლის ფსიქოლინგვისტურ სრულყოფილებასა და მონესრიგებულობაზე მეტყველებს. მან ეპოქისეული, ისტორიული კოლორიტი და ტენდენციები ენითაც შეინარჩუნა და გააგრძელა თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტად მდიდარი ტრადიციები.





ფაუზი  
კიკინიძე

მუსიკალური  
ბაზაფხელი  
მიუნხენში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაფუძნებული მიუნჰენის საზაფხულო საოპერო ფესტივალი, რომელიც ტრადიციულად ტარდება ბავარიის ნაციონალურ თეატრში, 2005 წელს, 18 ოპერასთან ერთად ბალეტს, სიმფონიურ და კამერულ კონცერტებს და ვოკალისტების სოლო კონცერტებს უჩვენებდა. დაგეგმილი იყო 3 საოპერო პრემიერა: კარლ ამადეუს ჰარმანის „სიმპლიციუს სიმპლიციმუსი“, ვერდის „ბედის ძალა“ და ჰენდელის „ალცინა“. და ეს ყველაფერი (საშუალოდ 50 წარმოდგენდა) უნდა ჩატეულიყო 35 დღეში, ივნისის ბოლოდან ივლისის ბოლო რიცხვებამდე. აღსანიშნავია, რომ ივლისის ბოლოდან და მთელი აგვისტო გრძელდება ზალცბურგის ცნობილი ფესტივალიც და იმის გათვალისწინებით, რომ ზალცბურგი საათნახევრის სავალზეა მიუნჰენიდან, ბევრი მუსიკის მოყვარული გადაბმულად ესწრება ორივე ფესტივალს. ამისათვის სპეციალური საზაფხულო ტურებიც კი იქმნება, როგორც ამერიკელი, ასევე ევროპელი და აზიელი ტურისტებისათვის.

ფესტივალის წინასწარი პროგრამის გაცნობისას ჩემი ყურადღება, ბუნებრივად, პირველ რიგში ცნობილი ვოკალისტების გვარებმა მიიპყრო და

მხოლოდ ამის შემდეგ კონკურენტულმა ნაწარმოებებმა. ფესტივალის პრეს-ოფისმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და საშუალება მომცა რამდენიმე მათგანს დაესწრებოდი. გუნოს „რომეო და ჯულიეტა“, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“, კავალის „კალისტო“ და ჰენდელის „ალცინა“ — აი სპექტაკლები, რომლებიც ფესტივალის მსვლელობისას, 21-დან 24 ივლისამდე მოვისმინე. „რომეო და ჯულიეტა“-ში მოუთმენლად ველოდი ამჟამად პოპულარული არგენტინელი ტენორის, მარსელო ალვარესის გამოჩენას, „ჯადოსნურ ფლეიტა“-ში — გერმანელ ვოკალისტებს: სოპრანო დიანა დამრაუს, ტენორ რაინერ ტროსტსა და ბარიტონ ჰანო მიულერ-ბრახმანს, „კალისტო“-ში პირველ რიგში სახელგანთქმულ მაგდალენა კოჟენას და „ალცინა“-ში დოროთეა როშმანსა და ვასელინა კაზაროვას.

ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლებმა იმედი არ გამიცრუეს, მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებულის ნაცვლად მაგდალენა კოჟენა და დოროთეა როშმანს ფესტივალში მონაწილეობა არ მიუღიათ (როგორც გავიგე, მათი ორსულობის გამო). გუნოს ოპერა, დამდგმელი რეჟისორის ჩანაფიქრით, დიდბრიტანულ თანამედროვე საუნევერსიტეტო გარემოში უნდა განვითარებულიყო. ამიტომაც კოსტუმები და დიზაინი მაქსიმალურად სადა და უბრალო იყო, მისადაგებული სტუდენტურ ცხოვრებას. შესაბამის უნიფორმებში გამოწყობილი ორი სასწავლებლის სტუდენტების ურთიერთდაპირისპირება „სიმბოლური“ კალამკალმისტრითა და ფანქრით, პირველ სიყვარულზე გამოცემული გადიდებული ინგლისურენოვანი წიგნების დეკორაციის ფონზე, რეალობაში არც ისე შთამბეჭდავი აღმოჩნდა. რომ არა ავარესის ლამაზი ტემბრი, გაბედული მძღვლები და ზოგიერთი სხვა მომღერლის კარგად შესრულებული პარტია (იტალიელი ანა ბონიტატისუი — სტეფანოს და მაურიციო მურარო — მამა ლაურენცის როლში), დადგმა არ დატოვებდა დადებით შთაბეჭდილებას. უნდა აღვნიშნო, რომ 2004 წლიდან სპექტაკლების დირიჟორი იყო ფრანგული რომანტიკული ოპერის უბადლო ინტერპრეტატორი, სახელგანთქმული მარჩელო ვიოტი, მაგრამ მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო, სპექტაკლებს წლევანდელ ფესტივალზე დირიჟორობდა ფრანგი ფედერიკ შასლინი.

„კალისტო“-ში, რომელიც ბავარიის სახელმწიფო ოპერის 2004-2005 წლის სეზონის პრემიერა გახლდათ, თავი ბაროკო ოპერას მრავალმა ცნობილმა შემსრულებელმა მოიყარა: ფრანგებმა ვერონიკა ჟენსმა და დომინიკ ვიკემ, იტალიელებმა მინიკა ბაცელიმ და უმბერტო ჩიუმომ; ამერიკელმა კონტრატენორმა ლაურენს ზაზომ და სხვებმა. მთავარ პარტიაში მოგვევლინა ბრიტანელი მომღერალი სალი მეთიუზი. ჩემთვის მოულოდნელი იყო ასეთი გამოკვეთილი შარმისა და კარგი ვოკალური მონაცემების სინთეზი უბადლო ტექნიკასთან, რაც ასე აუცილებელია ძველებური მუსიკის შესრულებისას. XVII საუკუნის მეორე ნახევრის იტალიელი კომპოზიტორის კავალის ოპერების (როგორც საერთოდ ადრეული მუსიკის) მოსმენა, ჩანაწერების სახით ითხოვს გარკვეულ მომზადებას

და მოთმინებასაც კი. ამიტომ, როდესაც დარბაზში განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით ახალგაზრდა მსმენელი ვნახე, გამიკვირდა კიდეც. მაგრამ სპექტაკლის მსვლელობამ ახსნა ამ მოვლენის მიზეზი. დევიდ ალდენის რეჟისურამ, ბუკი შოფის კოსტიუმებთან ერთად შექმნა ისეთი თვალწარმტაცი დადგმა, რომ მაყურებელი უკვე ადვილად აღიქვამდა კავალის მუსიკას. ასეთი გაბედული სინთეზი თეატრალობისა და მუსიკისა, წაადგა ოპერას — სცენა სავსე იყო მოქმედებითა და ირონიით. დატვირთული სიუჟეტი, რასაც საფუძვლად დაედო ძველბერძნული მითი კალისტოზე, კარგი ნიადაგი აღმოჩნდა ეროტიზმის ელემენტების შემოსატანად, ამან კი ყველა თაობის მაყურებელი მოიზიდა ოპერაში. მიუნჰენის ნაციონალური ოპერის ძველებური მუსიკის ორკესტრს ხელმძღვანელობდა იავორ ბოლტონი, ბაროკო მუსიკის ცნობილი ინტერპრეტატორი. გასაოცარი იყო ოპერის მოსმენა ძველებური ინსტრუმენტების თანხლებით (ვიოლა, გამბა, ლიუტენა) — მათმა უღერადობამ განსხვავებული აურა შექმნა დარბაზში, რამაც მეტი პიკანტურობა შემატა გმირების მოქმედებას.

„ჯადოსნური ფლეიტა“ წარმოადგენდა 1978 წლის დადგმის ოდნავ განახლებულ ვერსიას. ამიტომაც დანარჩენი სამი სპექტაკლისაგან განსხვავებით იგი ტრადიციულ სტილში იყო გადაწყვეტილი — ბავარიის საოპერო თეატრი კოსტიუმებზე, განათებაზე და დეკორაციებზე ეკონომიას ნამდვილად არ აკეთებდა. ეფექტური იყო ლამის დედოფლის გამოსვლები — დიანა დამრაუს დრამატული ხმა უშეცდომო შესრულება წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. მან მაყურებლის გულუხვი ოვაცია დაიმსახურა. რაინერ ტროსტის (ტამინო) ლამაზი ხმის მიუხედავად, მას ინტერპრეტაციაში ემოციურობა აკლდა, რაც ასე ამშვენებს მომღერალს. პაპაგენოს შემსრულებელ ჰანო მიულერ-ბრახმანს ძლიერი ხმა ჰქონდა, ამიტომაც უნებლიედ მანუხებდა წარმოსახვა, თუ რამდენად უკეთ შეასრულებდა გრაფის პარტიას „ფიგაროს ქორწინებაში“. ძალზე იუმორისტული და სითბოთი სავსე იყო ოპერის ფინალში პაპაგენოსა და პაპაგენას მიზანსცენა. არ შემოძლია არ აღვნიშნო ორკესტრის როლი — მისი სწრაფი და აქცენტებით სავსე შესრულება, ჩემი აზრით, არა მხოლოდ იავორ ბოლტონის, არამედ იმ დირიჟორთა მთელი პლეადის დამსახურება, რომლებიც 1978 წლიდან იდგნენ მოცარტის ამ შედევრის სადირიჟორო პულტთან.

„ალცინა“ — ფესტივალის ერთ-ერთი პრემიერა, არა მხოლოდ უშუალო მსმენელის ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა, არამედ ტრანსლირებული იყო ბავარიის ტელევიზიით. მიუნჰენში სამი საოპერო თეატრია. ყველაზე დიდი ტრადიციების მქონე — ჯოზეფ-მაქსის მოედანზე განლაგებული ნაციონალური თეატრია სიძველით მეორე თეატრია — პრინცრეგენტთეატრი. მასში წლებანდელი ფესტი-

ვალის მსვლელობისას სრულდებოდა ორი პრემიერა — ჰარტმანისა და ჰენდელის ოპერები. დარბაზს ჰქონდა კარგი აკუსტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ჩამოუვარდებოდა ნაციონალური თეატრის დარბაზს. „ალცინა“ ჰენდელის შემოქმედების მწვერვალია. და როგორც ბაროკო ეპოქის საუკეთესო ნიმუშებს შეეფერება, მასში უთვლელი რაოდენობის ულამაზესი არიებია, რომელსაც ძველებური მუსიკის გამოცდილი შემსრულებლები სჭირდება. მე მოუთმენლად ველოდი სპექტაკლს, რადგან მასში, ზემოხსენებულ შემსრულებლებთან ერთად, პროგრამის მიხედვით უნდა ემღერათ ვერონიკა კანგემის, სონია პრიმას, დებორა იორკს და ჯონ მარკ ეინსლის. როშმანის ნაცვლად ალცინას პარტიას ასრულებდა ჩემთვის საერთოდ უცნობი გერმანელი სოპრანო ანია ჰარტეროსი. მისი თხელი, მაღალი და სიმპათიური ფიგურა სრული პალიტრით ხატავდა ალცინას პერსონაჟს. მაგრამ ვოკალურად მისი დიდი დრამატული ხმა, ჩემი აზრით, ვერისტული ოპერებისათვის იყო ზედგამოჭრილი. იგი არ იყო უფერული ალცინას როლში, პირიქით, მაგრამ სხვა შემსრულებლები ამ ფონზე დაიჩრდილა, რადგან მისი ხმა არა მარტო ავსებდა, არამედ აზანზარებდა პრინც-რეგენტის თეატრის დარბაზს. კახაროვას ლამაზი ხმა ამ ფონზე პატარა გამოჩნდა და სონია პრიმა ძელივს ისმოდა. მარტო ვერონიკა კანგემი — ძლიერი და მოქნილი სოპრანოთი (ალცინას და, მორგანა) კიდეც უწევდა მეტოქეობას ჰარტეროსს, რითაც ჩემი დიდი სიმპათია დაიმსახურა. მიზანსცენები ოსტატურად იყო დადგმული, რათა დინამიზმი შეეტანა ამ კამერულ დადგმაში. მოქმედებაში თანამედროვე მილიტარისტული ელემენტების ჩართვამ, განსაკუთრებით ბოლო აქტში, სადაც უკვე ძველი ეპოქის ყველა დეტალი გაქრა (კოსტიუმებში და დეკორაციებში), დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დარბაზში, თუმცა მგონია, რომ ეს ჰენდელის მუსიკას არ მიესადაგება. ორკესტრი იყო ბრწყინვალე — იავორ ბოლტონმა სრულად გამოავლინა თავისი ნიჭი და გემოვნება: ტემპი ბრწყინვალე, დეტალები ფილიგრანულად გამოყოფილი, სოლო ინსტრუმენტების პარტია შესრულებული იქნა უმაღლეს დონეზე.

თუ შევაჯამებ ყველაფერს, შეიძლება ითქვას, რომ ხმების მოსასმენად მისულს, დამხვდა დირიჟორული და რეჟისორული ინტერპრეტაციები, სადაც მომღერლები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ამოცანას და მეტს არაფერს. ოპერა უკვე სანახაობაა, სადაც ერთიანი გენერალური ხაზი და ჩანაფიქრი დომინირებს. ამის მაგალითია კავალის „კალისტო“, რასაც ამგვარმა მიდგომამ მეორე სუნთქვა შთაბერა და „რომეო და ჯულიეტა“, რამაც ამგვარი მიდგომის სისუსტეც გამოავლინა. ორივე დანარჩენი სპექტაკლი გარკვეული კომპრომისი იყო ვოკალისა და სცენოგრაფიის, და იკავებდნენ შუალედურ პოზიციას აშკარა წარმატებასა და წარუმატებლობას შორის.





კოე  
ჩერეი

## იბი მშვიდობისათვის ამჟინა

ცა. ზეცა. უკიდევანო, შემოუსაზღვრელი, ეთეროვანი და გამჭვირვალე. შემეცნების სურვილს ასდევნებია თვალისჩინი, გონებით მიაპობ ლაყვარდს და თავისუფლად დანავარ-დობ თვალსაწიერში. იქნებ არც ისე შორსაა სამყაროს ცენტრი? იქნება უსასრულობის აღქმაც შესძლო? და მაინც, რა უფრო მიზიდავს, მისი სიღრმე თუ მისტიკურობა? ჰმ, ბევრიც რომ იფიქრო... უნებურად ძირს დაეშვები, რადგან ზომაზე მეტად გეფერება ცის სილურჯე, არჩევანს არ გიტოვებს მატერია, ადამიანი ხარ მაინც... ერთხელაც იქნება, სხვა განზომილებაში გადააბიჯებ, ვერც დროს იგრძნობ, ვერც მანძილს და „დიდი თვალის“ წინაშეც წარსდგები თურმე, ყურადღების გარეშე რომ არ დაუტოვებინარ არც ერთი ნუთით, წამით; ხედავდა შენს ყოველ მოქმედებას, ესმოდა შენი ყოველი სიტყვა, გულისხმაც კი. მერე განსჯაც უშველებელი კითხვის ნიშანივით აგესვეტება წინ, სალათისფერ მოლზე მიმავალს, „ჰქმენ კი, რისთვისაც ჩაგედგა სულიო“ და შენი პასუხი ფერებად დაიშლება, იმ ფერთა გამად, ასეთი ლივლივით რომ გადადის ერთმანეთში: ყვითელი, ნარინჯის-

ფერი, მწვანე... აი იასამნისფერიც... ნაკლებად მაგრამ შავიც.

ეს ბესოა, ბესო ყაზაიშვილი — ამერიკაში მცხოვრები ქართველი, ჩვენი თანამემამულე.

ახალი სიტყვა ფერწერაში? ახალი არა, ახალგაზრდა კი და საკმაოდ ცნობილიც. საქმე ისაა, რამდენად იცნობენ და აფასებენ საქართველოში, თორემ შეერთებულ შტატებში უკვე თავისიანად თვლიან და ჩემულობენ კიდევ. სადაო მისი ხელწერა და სტილია კიდევ, დღემდე ვერ შეთანხმებულან სპეციალისტები — აბსტრაქცია? ორი აზრი არ არსებობას, მაგრამ უფრო კეთილი, ვიდრე დალი... უფრო ფილოსოფიური, ვიდრე პიკასო.

იქნება ახალი მიმდინარეობის ფუძემდებელი მხატვრობაში? არც ესაა მოკლებული რეალობას. ის ჯერ მართლა სულ ახალგაზრდაა, მაგრამ მრავალი ჯილდოს პატრონიც.

შორი მანძილები დაფარეს მისმა ნახატებმა: ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია... აშშ-ს თითქმის ყველა შტატი. არჩეულია პიტსბურგის, ლიუდერდეილის, ფორტვორთის საპატიო მოქალაქედ; მსოფლიო მშვიდობის სამსახურში წვლილის შეტანისთვის 1993 წ. 11 მარტი მილვორქის მერმა „ბესოს დღედ“ აღიარა, ნევადის შტატის გუბერნატორმა 11 აპრილი; ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს კონგრესის წევრის ბრედ შერმანის მოწოდებით, დროშა კაპიტოლიუმზე ჩვენი თანამემამულის პატივსაცემად აღმართეს; 2000 წელს, მსოფლიო მშვიდობის ფესტივალის ხელმძღვანელობაც მას დააკისრეს, რადგან მისი შემოქმედების მთავარი თემა მშვიდობაა.

ხატვა რომ დაიწყო, საქართველოში ცხოვრობდა, ქუთაისში. მაშინ სულ პატარა იყო, 4 წლის, იმ ასაკში, მისი თანატოლები რომ სათამაშოებით ერთობიან, ეზოსაკენ მიუწევთ გული. მას კი შეეძლო, საათობით მჯდარიყო ფანჯრის რაფაზე, ბუნებისათვის ეცქირა. ხელჩაკიდულს, ძალით თუ გაიყვანდი სახლიდან, ისიც აუცილებელ შემთხვევაში. და — ძმებშიც თვინიერებით გამოირჩეოდა, ალალი ღიმილით და ფიქრიანი თვალებით. ერთადერთი, რითიც ერთობოდა ქალაქისგან ფიგურების გამოჭრა იყო, იმასაც უფროსი ძმის მიბაძვით მოჰკიდა ხელი. მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, თბილისის დედა — ქუჩა ცეცხლში იწვოდა, ძმას ესროდა ძმა... ეს იყო სადარდებელი ოჯახსა და მის გარეთ.

ერთ, დღეს ახალგამოღვიძებულმა, ფუნჯი და საღებავები მოითხოვა, სავსებით გააზრებულად, ზედმეტი მოძრაობის გარეშე „ვარსკვლავიერი განსხეულებების სამყარო“ დახატა და „გალაქტიკა“ დაარქვა, რაც მანამდე არასოდეს გაუგონია მშობლებისგან. ეს იყო მისი პირველი, მაგრამ უკვე სერიოზული ნამუშევარი — მასშტაბების დაცვით და კომპოზიციურად შეკრულიც, კომენტარით: „იქ სიმშვიდეა, იქ არავის კლავენ“.

ვფიქრობ, მისი ნახატების საქველმოქმედო გამოფენა პიტსბურგში (პენსილვანიის შტატი) იმ ომთან დაკავშირებული რეაქციაა, ყოველი ქართველის გულს რომ დააჩნდა ლაქად. გამოფენის სავიზიტო ბარათად სამოცდათვრამეტი ფერისაგან

შექმნილი ტილო იქცა, სახელწოდებით: „მოვდივარ მშვიდობისათვის“ და ბესო „ახალგაზრდა წინამძღოლის“ სიველით დააჯილდოვეს.

მის ცხოვრებაში კოსმოსი ღრმა, ფილოსოფიური ფიქრის საგანია („კოსმოსის მტვერი“, „გაფრთხილება კოსმოსიდან“, „დედამინის გადარჩენა“, „თვალების ძალით დაჩოქილი ადამიანი“...)

საინტერესო სიუჟეტის ქარგაზეა შექმნილი „კოსმოსური ტირილი“, სადაც ცისფერ ფერში მცურავი დედამინა ათასამდე, სხვადასხვა ჭრილის და ფორმის თვალთავან გადმოღვრილ ცრემლთა წვიმით სველდება.

„თვალების სევდა და ცრემლი“ — საქართველოში ჩამოსულ ბართოლომეოს მეორესთვის მირთმეული საჩუქარი, შვიდი წლის მხატვარმა ასე ახსნა: საქართველოში არის სევდიანი და ცრემლიანი თვალებიო. რომელი ცნობილი ადამიანის კედლებს არ ამშვენებს მისი ნამუშევრები: უნეტარესისა და უწმინდესისა ილია II, ედუარდ შევარდნაძის...

8 წლის ასაკში დაასურათა „გრძნობა და აზრი“, „არწივი ვნახე დაჭრილი“... ვაჟს შემოქმედებას განსაკუთრებული გრძნობით უდგებოდა, ბუნების მესაიდუმლეს მესამე გახელილი თვალთ ხატავდა... „ბუნებას რომ ვშორდებით იმიტომ ვკარგავთ სიკეთესო“ - ამბობდა ხშირად.

9 წლის ასაკში მძიმე სოციალური პირობების გამო იგი საქართველოდან გაემგზავრა ლონდონში, საქართველოს ელჩის თეიმურაზ მამაცაშვილის ოჯახში, რომელმაც მფარველობა აღუთქვა მომავლის მხატვარს. ბესო საკუთარი ხარჯებით მამაცაშვილებთან ქუთაისის მერმა თეიმურაზ შანშიაშვილმა წაიყვანა, დიდი დახმარება გაუწია მას ცეკავშირის გამგეობის თავჯდომარემ ნუგზარ ულენტმა. კეთილ ხალხს რა დაღვეს... ბესო და მისი ოჯახი საოცრად მაღლიერია ყველა იმ ადამიანის, რომლებიც გვერდში დაუდგა მათ გაჭირვების უამს.

ინგლისში ბესოს სამუშაო პირობები ექმნება და ბევრს ხატავს ტუშით, გუაშით, აკვარელით, ზეთით... სამშობლოსა და ახლობლებთან გამოწვეულ სევდას ფუნჯითა და ფერებით იქარვებს; ერთ დღეს ამთავრებს ურთულეს ნახატებს, რომლებიც წინასწარმეტყველურია (ბუნებითი თუ პოლიტიკური), აწყობს გამოფენებს ინგლისში მცხოვრები ქართველების დახმარებით, დიდი მოთხოვნილებებია მის ნამუშევრებზე...

ორი წლის მერე ხვდება ოჯახს და მალე ახალი მეცენატის წყალობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადის საცხოვრებლად. გარდატეხის პერიოდში წყვეტს ხატვას და ერთი წლის შესვენების შემდეგ მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დგება — კავშირის ძიება ბუნებასა და ადამიანს, კერძოდ ქალს შორის, მაგრამ დასკვნებს ძირითადად ჩანახატებით აკეთებს, ვიდრე ტილოზე მუშაობით.

„მომენტალურად მოდის მუზა. არა მაქვს დაგეგმილი წინასწარ რა უნდა დავხატო და რატომღაც, ხშირ შენთხვევაში, ზემოდან ვინყებ ხატვას. ვმოქმედებ და თითქოს მესამე თვალიც მეხილებაო, უკვე კონტურებსაც ვხედავ, ფერებსაც და ვიცი, როგორ დავასრულოო, — მეუბნება ბესო. მხატვრად თავს არ ვთვლი, მე მხოლოდ ვხატავ და იცი, უფრო

მწერალი მგონია ჩემი თავი, კალმის მაგივრად ფუნჯით რომ წერსო.“

რა არის მაინც მესამე თვალი, მესამე თვალის ძალა? მისტიკური ხედვა? რატომ ეძლევა ერთეულებს? რა ნიშნით არჩევს მათ უფალი?

პარალელს ვავლებ ბესოსა და გურამ დოჩანაშვილის ნათქვამს შორის: „მე ვინა ვარ? მე ერთი გადამწერი კაცი ვარ. ისევე როგორც კომპოზიტორი, რომელიც მუსიკის გადამწერის როლს ასრულებს; ისევე როგორც მხატვარი, რომელსაც როგორც მწერალსა და კომპოზიტორს, სულიწმინდა კარნახობს, ის კი ფუნჯით გადამწერია. საქმე ის არის როგორი პიროვნება ვარ, თორემ...“

გურამ დოჩანაშვილის პიროვნებით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი ფაქტიზი ბუნების ადამიანი თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში. ბესო ყაზაიშვილი რომ შეიცნო, მის გონების ჰორიზონტს უნდა მივწვდეთ, მსოფლმხედველობა გაიცნო, მისი ნამუშევრების გაცნობით უნდა შევხვდეთ ხელოვანის სულის ძაფებს, გულწრფელობა დაინახო.

„თვალს“ ბესოს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და „იგი იმიტომ ხატავს მას, რომ თვალი ყველაფერს ხედავს“.

მართლა ისეთია ღმერთი, როგორსაც ბესო წარმოადგენს? მისი ნახატები არ არის დატვირთული რელიგიური სიმბოლოებით და ელემენტებით, მაგრამ უზენაესი შემოქმედების როლი ქვეყნიერების შექმნაში, ყოველ ნახატში იგრძნობა. „თვალი ადამიანს აკონტროლებს“, რომ „ყველა პატარა თვალი“ ისევ მასთან დაბრუნდეს, რადგან „ყოველი პატარა თვალი“ ისევ „დიდი თვალიდანაა!“ ნამოსული და ბედნიერი იქნება „ვინც მას მიუახლოვდება“ - მისხნის ბესო.

აი, თუნდაც ნახატში „სამი ცხოვრება“. ადამიანს სამი ცხოვრება აქვს: ფიზიკური, სულიერი და ტრანსცედენტული. სამივე გარეგნულად ერთმანეთის მსგავსია ფორმით, ელემენტებით, მაგრამ ფერთა წყობით განსხვავებული. ფერები გზებია, ადამიანის ცხოვრებაში გასავლელი ეტაპები, დროები, პერიოდები. პირველი ორი ამკარად გრძნობადია, მესამე კი აღსაქმელი მაშინ, როცა ადამიანი „მეორე ნაპირზე“ გადადის. მაშინ იგი (მესამე ცხოვრება) მიისწრაფვის „დიდი თვალის“ არეალისაკენ, ჩაკეტილისაკენ, თითქმის უახლოვდება და თუ „დიდი თვალის“ ნებაა, იქნება, გზაც კი მოინახოს მის ადგილსამყოფელში დასავანებლად. ეს პირველი ორ ცხოვრებაზე დამოკიდებული, ეს დიდი სურვილია, დიდი ოცნება (ლურჯი ფერი). გვირგვინის მსგავსი ქუდი ადამიანზე კი წლებია თავისი თავგადასავლებით, ისტორიებით — მსჯელობს მხატვარი და ბოდიშს მიხდის გაუმართავი ქართულისათვის.

მართლაცდა „სადაურსა სად წაიყვან, ბედო?!“ სამშობლოში დაბრუნების ფიქრი და მშობლიური ენის მაღლი სულ ტრიალებს ყაზაიშვილების ოჯახში, მაგრამ ბავშვების სააზროვნო, საურთიერთობო ენა მაინც ინგლისურია, მწარე სინამდვილეს ვერ გაექცევი.

ბესომ უფროს ძმასთან ერთად დაამთავრა კომპიუტერული სკოლა. არის საუკეთესო გრაფიკოს-დიზაინერი, სერიოზული იდეებითა და ჯილდო-

ებით. მუშაობს შეერთებულ შტატების წამყვან ფიზიკოსებთან, ხორციელ სამოსელს ასხამს გამომგონებელთა აზრებს, იქნება ეს სამხედრო თუ კოსმოსური მანქანები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა თუ სხვა.

ღრმა ფიქრის საგანია მისი „შემგროვებელი ანუ ადამიანის გაჩენა“ სადაც აქცენტი კოსმიური და მიწიერი ენერგეტიკის შერწყმაზეა გაკეთებული. სამედიცინო ტექნიკის წყალობით შესალებელია ჩანასახის განვითარებისთვის თვალის დევნება; ცნობილია ბავშვის ორგანოთა ჩამოყალიბების დრო და თანმიმდევრობა, მისი მუცლადყოფნის უამს. მაგრამ რა ჰყოფს უჯრედს, რით იზიდავს ძვალი ხორცს... რთული წარმოსადგენია.

ბესოს წარმოსახვაში ადამიანის შექმნა ფერთა ჭიდილია: თეთრისა (სიკეთე) და შავის (ბოროტება) სანყისი უჯრედის დაუფლებისაკენ, თეთრის გამარჯვების შემთხვევაში ირთვება გენეტიკური კოდი. მომავალი დედის მზერა კონცენტრირდება „დიდი თვალისაკენ“, რომელიც მისკენ ენერგიას გზავნის გარკვეული დროით და დოზით. ეს ენერგია (ცეცხლისფერი) ქალში თავის ტვინისა და ზურგის ტვინის მეშვეობით შედის, ბალანსირდება, მიემართება საშვილოსნოში მყოფი ცოცხალი არსებისაკენ, მატერიალად გარდაიქმნება, მყარდება, ქსოვილებად (კუნთოვანი, ნერვული...) იქცევა და ორგანოებად ყალიბდება. ახალგაზრდა მხატვრის ფუნჯმა ამ ბოლო დროს ქალის ფენომენის გასახსნელადაც მოიცალა, ქალის სამყაროს ესტუმრა, მის სულს ეფერება, მისი სიხარული უხარია, მასთან ერთად ტირის კიდეც. ქალი ფიქრია, ქალი გრძნობაა

(„არჩევანი“). ორივე კი ვარდისფერია, ვარდის ფურცლებით ჩახვეულ-ჩანყობილი თვით ქალის არსში.

ქალის ხატება სიცოცხლესთან ასოცირდება („სილამაზის დაბადება“). ქალი სიცოცხლის სანყისი და გამგრძელებელია.

სიცოცხლე კი მშვენიერია, ქალივით ლამაზი. სილამაზე დადებით ემოციას ქმნის, სიკეთისათვის განგანყობთ; მზესავითაა, გამშვიდება, გათბობს; მზისფერია, ოქროსფერია; თვალგაუხელებლადც შესაგრძნობი, დასანახი. თურმე შეხებაც კი შეიძლება მასთან (აბსტრაქტული რეალურში გადადის).

უამრავი შეიძლება ითქვას ბესო ყაზაიშვილის შემოქმედებაზე, სამომავლო გეგმაზეც... აი, თუნდაც ერთ-ერთი: სურს, ააშენოს „მშვიდობის კედელი“ თავისი ნამუშევრების კოლაჟით (265 ცალი სურათი, მშვიდობის თემაზე, მიძღვნილი აქვს ერებისა და ქვეყნებისათვის), რომლითაც იგი ხმას მიანვდენს კეთილი ნების ყოველ ადამიანს და გვერდში დაუდგება თითოეულს მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

და კიდევ, არ ვიქნებოდი მართალი, თქვენთვის ბესოს იმ ტკივილის შესახებ არ მეთქვა, სამშობლოს მონატრება რომ ჰქვია და ერთადერთი საქართველოსთან შეხვედრის სიხარული თუ დათრგუნავს ამ ტკივილს, მშობლიური მიწის მადლი თუ სურნელი. იქნება არც ისე შორია ეს დღე?!

აშშ ნიუჯერსის შტატი





# მსხუნა გუგუჩხორი

## ფიჩხები ქახთაძე თაბახუა

156 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა ქართველმა დრამატურგმა და თეატრალურმა მოღვაწემ, გიორგი ერისთავმა, მოყვარულ მსახიობებთან ერთად მოამზადა და 1850 წლის 14 იანვარს თბილისის ვაჟთა გიმნაზიის სააქტო დარბაზში წარმოადგინა მისივე პიესის საფუძველზე დადგმული კომედია „გაყრა“. ეს თარიღი პროფესიული ქართული თეატრის დაბადების დღეაა მიჩნეული. იგი ჩვენს ქვეყანაში ყოველ წელს აღინიშნება. ამჯერად ქართული თეატრის დღის მთავარი მოვლენა სოხუმის თეატრის იუბილეა — 120 წელი.

### კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი

იგი მუდამ ჩვენი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო — 1885 წლიდან დაწყებული, როდესაც სცენისმოყვარეთა პირველი წარმოდგენა შედგა, შემდგომ,

როდესაც სოხუმის თეატრალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის შესანიშნავი ქართველი გასტროლოგი მსახიობები თბილისიდან. ეს პროცესი კიდევ უფრო გამყარდა 1928 წლიდან, როდესაც სანდრო შანშიაშვილის „ჭერეთის გმირების“ პრემიერით დასაბამი მიეცა სოხუმის პროფესიული ქართული თეატრის ისტორიას.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, სოხუმის თეატრის ქართული და აფხაზური დასები ერთ შენობაში მოღვაწეობდნენ. 1978 წელს ისინი განცალკევდნენ. 1982 წელს ქართულ თეატრს დიდი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას სახელი მიენიჭა.

სოხუმის ქართული თეატრი მუდამ ეროვნული სასცენო ხელოვნების განუყოფელი ნაწილი იყო, ორგანულად ერწყმოდა ერთიანი საქართველოს კულტურას, თავისი სპექტაკლებით მთელ აფხაზეთს ემსახურებოდა. მაგრამ ბოლო ორი-სამი ათწლეულის მანძილზე მას მაინც სპეციფიკურ პირობებში უზღებოდა მუშაობა. თანდათან მწიფდებოდა ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელიც სისხლიან ტრაგედიად იქცა. სოხუმის ქართული თეატრიც, თუ შეიძლება ითქვას, ეროვნული პოლიტიკის ნაწილი გახდა. ზუსტად შეაფასა ეს მოვლენა რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ: „სოხუმის ქართული თეატრი არ იყო მარტო თეატრი, ეს იყო ქართული ხელოვნებისა და კულტურის ციხე-სიმაგრე და ჩვენ ვიყავით მეციხოვნენი. ბევრ ალყას გავუძელით, ბევრ შემოტევას, მაგრამ ვიდექით ამაყად, როგორც შეურყეველი ბურჯი.“


ვინ მოთვლის, რამდენ ცნობილ ქართველ რეჟისორს დაუდგამს სპექტაკლები სოხუმში, რამდენ შესანიშნავ მსახიობს უთამაშია, რამდენჯერ აღფრთოვანებულან თბილისელები მათი წარმოდგენებით. თუმცა, არა მარტო თბილისელები. 80-იან წლებში დიდი წარმატებით ჩატარდა გასტროლები ახლო და შორეული საზღვარგარეთის მრავალ ქალაქში. ამ პერიოდს სოხუმელები თეატრის „ოქროს ხანას“ უწოდებენ. იგი დაკავშირებულია მაშინდელი სამხატვრო ხელმძღვანელის, გოგი ქავთარაძის სახელთან, მის ჩინებულ სპექტაკლებთან — „დიდოსტატის მარჯვენა“, „ერთი ცის ქვეშ“, „1832 წელი“, „ბრძოლა ტახტისათვის“, „ფსკერზე“, „თოლია“, თბილისიდან მოწვეულ შესანიშნავ რეჟისორთა: დიმიტრი ალექსიძის („ვენეციელი ვაჭარი“), გიგა ლორთქიფანიძის („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), გიზო ყორღანიას („მარადისობის კანონი“, „ყვარყვარე“) წარმოდგენებთან. დღეს ყოველივე ეს სიამოვნებით გასახსენებელი წარსულია. მაგრამ წნორედ თეატრის მდიდარმა და საინტერესო ისტორიამ ჩაუყარა საფუძველი იმ მყარ მთლიანობას, რომელსაც სოხუმის

თეატრის ქართული დასი ჰქვია და, რომელმაც ღირსეულად გადაიტანა 90-იან წლებში თავს დატეხილი უამრავი ტრაგედია.

აფხაზეთის ომში სოხუმის ქართულ თეატრს 10 თანამშრომელი მოუკლეს. რამდენი ფიზიკური და სულიერი ტრავმა, მშობლიურ სახლკარს მონყვეტა, ახალ გარემოსთან იძულებითი შეგუების რთული პროცესი... ლტოლვილ დასს დახმარების ხელი გაუწოდა რუსთაველის თეატრმა, მას საკუთარი მცირე სცენა დაუთმო, სადაც 1993 წლიდან დაიდგა: ფრიდრიხ შილერის, ჟან ანუის და ბერტოლდ ბრეხტის „ლეგენდა ორლეანელ ქალწულზე“ (რეჟ. გიორგი სიხარულიძე), მიხეილ ბულგაკოვის „სრბოლა“ (რეჟ. რობერტ სტურუა, დავით ხინიკაძე), ედუარდ ბონდის „ვინრო ბილიკი ჩრდილოეთისკენ“ (რეჟ. დავით საყვარელიძე), დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ (რეჟ. კოტე აბაშიძე), ქემალ აბდულას „ვინა სთქვა, რომ ფასკუნჯი არ არსებობს?“ (რეჟ. გოგი ჩაკვეტაძე, გოჩა კაპანაძე), ვლადიმერ ნაბოკოვის „ემიგრანტები“ და „ორი ნოველა“ (რეჟ. ლევან ნულაძე), ალექსანდრე სუმბათაშვილის „ლალატი“ (რეჟ. გოჩა კაპანაძე), უილიამ შექსპირის „კორიოლანოსი“ (რეჟ. ალექსანდრე ქანთარია), დავით ზურაბიშვილის „მოგზაურობა სიზმარეთში“ (რეჟ. ვია კიტია) — განსხვავებული ავტორები, სხვადასხვა შემოქმედებითი ხელწერის მქონე რეჟისორები, რომლებსაც წარმოდგენების დასადგმელად იწვევს თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი, დიმიტრი ჯაიანი. რუსთაველის თეატრისადმი მაღლიერების გრძნობით გამსჭვალულ სოხუმელთა შემოქმედებითი ცხოვრება თანდათან სტაბილური გახდა. მას საკუთარი მაყურებელი გაუჩნდა. დასმა სწრაფად დაიბრუნა ფორმა. და კვლავ



ახალი სირთულე — რუსთაველის თეატრის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით კ.გამსახურდიას სახელობის თეატრს შენობის დატოვება მოუხდა. ახლა მას დახმარების ხელი სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრმა გაუწოდა და ორი სპექტაკლის — ედუარდ რაძინსკის „ქალი ყვავილით“ (რეჟ. გიზო ჟორდანი) და ნიკოლას ბაიერის „ადრენალინის“ (რეჟ. ბექა ქავთარაძე) დადგმის საშუალება მისცა. 2005 წლის სექტემბერში კი სოხუმელთა დიდი ხნის ოცნება ასრულდა — შესანიშნავმა რეჟისორმა, თემურ ჩხეიძემ, მისი თხოვნით, სპეციალურად გამსახურდიას თეატრისათვის დანერგილი პიესა, გურამ ოდიშარიას „...ზღვა, რომელიც შორია“ დადგა. სპექტაკლი სამეფო უბნის თეატრის სცენაზე განხორციელდა. წარმოდგენა ესება ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის არა პოლიტიკურ, არამედ ზნეობრივ, ადამიანურ მხარეს. ამის შესახებ ჩინებულად წერს თავად თ.ჩხეიძე: „სოხუმის თეატრში სპექტაკლის დადგმაზე დიდი ხანია ვფიქრობდი. ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ის, რომ ამ საინტერესო შემოქმედებით კოლექტივთან შეხვედრა ასეთი აქტუალური თემით შედგა. მთავარია, მაყურებელი დაფიქრდეს იმაზე, რომ გაუთავებლად ანგარიშსწორება არ შეიძლება, გაუთავებლად არც ის შეიძლება, რომ ერთმანეთს ვახსენოთ მომხდარი... ამ ომს გამარჯვებული არ ჰყავს. ქართველიც და აფხაზიც — ორივე დამარცხებულია, მაგრამ დამნაშავე ყოველთვის



სხვაში არ უნდა ვეძებოთ. სანამ იმის ძალა არ გვექნება, რომ საკუთარი შეცდომები ჩვენშივე მოვიძიოთ „და ამაღლება შევძლოთ, არაფერი გამოგვივა...“ ვფიქრობ, თ.ჩხეიძის ეს სპექტაკლი სცილდება მხოლოდ ხელოვნების საზღვრებს, მისი მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე ერთი კონკრეტული, თუნდაც მაღალი დონის მხატვრული ნაწარმოებისა. იმედია, სოხუმელთა წარმოდგენა საკუთარ, ღირებულ სიტყვას იტყვის ე.წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ურთულეს პროცესში.

საოცარია, მაგრამ უსახლკარობის, მატერიალური თუ სხვა გასაჭირის მიუხედავად, სოხუმელები სასონარკვეთილნი მაინც არ არიან. ისინი კვლავაც იმედით შესცქერიან მომავალს. ეს გაჭირვებით დაბრძენებული ძლიერი ხალხის რწმენაა. რომ არ იცოდე, რა აქვს გადატანილი თითოეულ მათგანს, ისე ამას ვერ მიხვდები. არასოდეს შეგანუხებენ თავიანთი პრობლემებით. ექვსი წელია მათთან ერთად ვმუშაობ და ხშირად ვფიქრობ, როგორ არ გააბოროტა ისინი უბედურებამ, მკვეთრად არ დაუპირისპირა ერთმანეთს, როგორ ახერხებენ სტაბილურად ურთიერთობის შენარჩუნებას? ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველას ერთნაირად უყვარს ერთმანეთი. უბრალოდ, მათ იციან, რომ ერთი მთლიანი, მდიდარი ისტორიის მქონე დასის წევრები არიან. ამ მთლიანობის შენარჩუნება მხოლოდ ურთიერთპატივისცემითა და ურთიერთთანადგომითაა შესაძლებელი. ყოველი მათგანი ცდილობს, კარგი პროფესიული ფორმა შეინარჩუნოს, რომ ოდესმე ღირსეულად წარდგეს მაყურებლის წინაშე მშობლიურ სოხუმში. 120 წლის სოხუმის თეატრი ამის იმედს არ კარგავს!

### როგორ ხვდება ქართული თეატრი წლევანდელ 14 იანვარს?

ახალი სპექტაკლებით, ძველი ფინანსურ-ორგანიზაციული პრობლემებით, მოსალოდნელი ცვლილებებით კანონში თეატრების შესახებ, იმედიანი სამომავლო გეგმებით და, რაც მთავარია, სამი განახლებული თეატრალური შენობით. მაგრამ ამაზე — ცოტა მოგვიანებით.

ქართულ თეატრზე საუბარს, რატომღაც, სულ თბილისით ვინყებთ და ვამთავრებთ, რაიონის თეატრების ბედი თითქოს ნაკლებად გვაღელვებს. არა და, იქ სერიოზული პრობლემებია. თეატრების მუშაობა, იშვიათი გამოწვევის გარდა, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. დიდი ვაი-ვაგლახით (ფინანსური გასაჭირი მაქვს მხედველობაში) მოამზადებენ ახალ სპექტაკლს, რამდენჯერმე ითამაშებენ, უმძიმეს პირობებში მომუშავე მსახიობებსა და თეატრის სხვა თანამშრომლებს რაღაც იმედი, სტიმული მიეცემათ, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოდგენების სისტემატურად გამართვის საშუალება კვლავაც არ არის. ასე რომ, თეატრი



პერიოდულად, სპონტანურად შეახსენებს ხოლმე თავს ერთგულ მაყურებელს. მისი სრულფასოვანი მუშაობა კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ იგი რაგულარულად მართავს სპექტაკლებს. ვფიქრობ, ეს პრობლემა მოგვარებადია იმ შემთხვევაში, თუ თითოეული რაიონის ხელმძღვანელი ხელს შეუწყობს თეატრს მაყურებლის მოზიდვასა და ორგანიზებაში; თუ კარგად გააცნობიერებს იმას, რომ დღეს, საქართველოს რეგიონებში სწორედ თეატრია კულტურისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი კერა. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს სპექტაკლების მაღალ მხატვრულ დონეზე განხორციელების მატერიალური საშუალება, მსახიობებს — შრომის ნორმალური ანაზღაურება, შენობა, რომელშიც წყალი არ ჩამოდის, მაყურებელი არ იყინება, სინათლე არ ქრება. ზოგჯერ თეატრს ელექტროგენერატორში სანვავის ჩასხმის საშუალებაც არა აქვს. უნებურად გახსენდება დრო, როდესაც სცენის გასანათებლად სანთლებსა და ნავთის ლამფებს იყენებდნენ. იმ პერიოდის ცნობილი მსახიობის, ნიკო გოცირიძის სასაცილო მოგონებაც განათების პრობლემასთან არის დაკავშირებული: სპექტაკლში „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, გასტონს ვთამაშობდი. პიესის მსვლელობით, საღამო ხანს უნდა შევსულიყავი ოთახში, სანთელი ამენტო და ოთახი გამენათებინა. მართლაც, გავკარი ასანთს, ავანთე სანთელი. უცებ იგი მაგიდიდან გადმოვარდა და ჩაქრა. ცხადია, თუ სანთელი ჩაქრა, სცენა უნდა დაბნელებულიყო. მაგრამ თეატრს ამის მოწყობილობა არ ჰქონდა და სცენა ისევ ჩვეულებრივად განათებული დარჩა. ვითომ ბნელოდა, დავინყე იატაკზე ხელების ფათური და სანთლის ძებნა. სანთელი კი იქვე ეგდო. მაგრამ რაკი სიბნელე უნდა ყოფილიყო, განზრახ არ ვამჩნევდი სანთელს და ძებნას ვაგრძელებდი. უცბად დარბაზიდან ხმა მომესმა:

— ძია ნიკო, აგერ, მარცხნივ გდია სანთელი. ვითომ ვერ გავერკვიე, გავაგრძელე ხელების ფათური. „მარცხნივ, მარცხნივ, ძია“, კვლავ

გაისმის შეძახილები. იხტიბარს მაინც არ ვიტყვ, არ მინდა როლი გავაფუჭო და ვაგრძელებ სანთლის ძებნას. უცბად, ვიღაც ბრგე კაცმა ამოალაჯა სცენაზე, დასწვდა სანთელს, მომანოდა და მითხრა: „მიირთვი, ბატონო ნიკო!“ შემდეგ ძლიერ კმაყოფილი ჩამოვიდა სცენიდან და დარბაზში თავისი ადგილი დაიკავა.“

შესაძლოა, ვინმეს ამ კურიოზის გახსენება დღევანდელობასთან მიმართებაში გაზვიადებულიად ეჩვენოს, მაგრამ ერთი რამ, ვფიქრობ, უდავოა — რაიონების ხელმძღვანელობამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს თეატრების მიმართ, თუ მათ საერთოდ აინტერესებთ სულიერების — კულტურისა და ხელოვნების სფერო.

**რა ხდება თბილისის თეატრებში?**

დედაქალაქის თეატრები გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. თბილისში ბევრი თეატრია. ისინი საკმაოდ აქტიურად ფუნქციონირებენ. ბოლო ხანებში პროფესიულ წრეებში ხშირად კამათობენ, საჭიროა თუ არა ამდენი თეატრი — სარდაფში, სხვენზე თუ სხვა „არატრადიციულ“ სივრცეში. მგონია, რომ ამამი ცუდი არაფერია. ბევრი თეატრი ბევრ სპექტაკლს ნიშნავს. მათ შორის, საშუალო დონის და წარუმატებელ დადგმებთან ერთად, საინტერესო სცენური ნაწარმოებებიც იქმნება. დრო ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს. მაყურებელი თავად აირჩევს, სად წავიდეს, რა ნახოს, რომელ თეატრს თუ სპექტაკლს მიანიჭოს უპირატესობა. თუმცა, სავსე დარბაზი, სისტემატური ანშლავი ყოველთვის იმას არ ნიშნავს, რომ წარმოდგენა — მაღალი ხელოვნების ნიმუშია. მაგრამ ამ

თემაზე საუბარი შორს წავიყვანს.

სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დღეს ქართული თეატრი ცენზურისაგან თავისუფალია. მაგრამ მსგავსი სიამაყით ვერ განვაცხადებთ, რომ იგი ისეთივე საინტერესო სპექტაკლებით გვანებიერებს, როგორც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, მკაცრი კომუნისტური ცენზურის პირობებში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — მაშინ, როდესაც რუსეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ერთმანეთის მიყოლებით იკრძალებოდა წიგნები, ფილმები და სპექტაკლები, ქართულ სცენაზე იდგმებოდა: მიხეილ თუმანიშვილის „ანტიგონე“, რობერტ სტურუას „სეილემის პროცესი“, „ყვარყვარე“ და „რიჩარდ 111“, თემურ ჩხეიძის „გუშინდელნი“, „ჯაყოს ხიზნები“, „ჰაკი აძბა“, მოქალაქეობრივი ჟღერადობითა თუ მხატვრული ხარისხით უაღრესად შთამბეჭდავი სხვა სპექტაკლები. საკვირველია, როგორ იხილეს მათ რამის შუქი იმ სახელმწიფოში, სადაც შეუპოვრად და ენერგიულად ებრძოდნენ ადამიანური ღირსების, პიროვნული თუ ეროვნული თავისუფლების გამოვლენის ყოველგვარ მცდელობას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ დადგმათა სცენური სიცოცხლე, მათ შემქმნელებთან ერთად, საქართველოს იმდროინდელ ხელისუფალთა დამსახურებაა.

ე.წ. „უძრავის ხანაში“ კარგად ვიცოდით, რის წინააღმდეგ იყო მიმართული თეატრალური ხელოვნების საუკეთესო, თამამი ნაწარმოებები. რას გვეუბნებოდნენ ისინი არა პირდაპირ, არამედ შეფარვით, ქვეტექსტით, მეტაფორებისა და მხატვრული სახეების მეშვეობით, იმ ენაზე, რომელზეც საუბრობს ნამდვილი ხელოვნება. თითქოს უცნაურია, მაგრამ მკაცრი ცენზურა ამის ერთ-ერთი საფუძველი იყო.

დღეს ქართულ თეატრში ცენზურა აღარაა. ბოლო წლების სცენურ ნაწარმოებთა შორის არის უდავოდ საინტერესო წარმოდგენები, მაგრამ საუკეთესო სპექტაკლების მოქალაქეობრივი ჟღერადობა, ვფიქრობ, „უძრავის პერიოდის“ რეპერტუარს, ამ მხრივ, ჯერ-ჯერობით ვერ უტოლდება. რატომ? მიზეზი არა ერთია. უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების საერთო სულიერი მღელვარება და ფორიაქი, ზნეობრივ ფასეულობათა მრავალჯერადი, რადიკალური გადაფასების ვითარებაში, ტრადიციად დამკვიდრებული მორალური ორიენტირების დაკარგვა და ახლის ძიება. ასეთ დროს, უპირატესად, კლასიკას მიმართავენ თავისი მარადიული, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით. ამასთანავე, დღეს ქართული თეატრი თანამედროვე ეროვნული დრამატურგიის დეფიციტს განიცდის. როგორც ჩანს, ისტორიულად ჯერ კიდევ მცირე დროა გასული ჩვენს ქვეყანაში მომხდარი თუ მიმდ-





ნარე სოციალური კატაკლიზმებიდან იმისათვის, რომ მათ პიესებში ჰპოვონ ასახვა. როგორც პიზინია ერისთავი ამბობს: „ქანდაკებას ესაჭიროება დისტანცია!“ დრამატურგიასაც ესაჭიროება დისტანცია, ოღონდ არა ტერიტორიული, არამედ — დროისა. თუმცა უკვე საკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ შეიქმნას ნაწარმოებები ყველაზე მნიშვნელოვანსა და ამაღელვებელზე. არა ყოფითსოციალურ დისკომფორტსა თუ მატერიალურ გასაჭირზე, არამედ იმ სულიერ პროცესებსა და კონფლიქტებზე, რომლებიც წარმართავენ ჩვენი აფორიაქებული, ჭრელი საზოგადოების რთულ ცხოვრებას, სადაც პოლიტიკამ ქუჩისა თუ სატელევიზიო შოუს სახე მიიღო, თეატრში კი — სანახაობის ელემენტები გაფერმკრთალდა.

არ მინდა იფიქროთ, თითქოს კომუნისტების დროს შევნატროდე და ცენზურის მარწმუნებს ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების დაბადების აუცილებელ პირობად მივიჩნევდე. არავითარ შემთხვევაში. იმედია, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სტაბილიზაციის, გამყარების კვალობაზე გამოიკვეთება ქართული თეატრის, როგორც ამ მოვლენათა ამსახველი ხელოვნების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები. თუმცა, ეს პროცესი რთული, წინააღმდეგობრივი და არაერთმნიშვნელოვანია.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ქრონიკული უფულობა. დღეს უკვე თითქმის რიტუალადაა ქცეული გაჭირვებაზე წუნუნა. უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრს, არსებობის 156 წლის მანძილზე მატერიალური კეთილდღეობა ხშირად არ უგემია. ნიჭიერი შემოქმედი ყოველთვის ბევრი გვყავდა, მაგრამ მსახიობებისა და რეჟისორებისათვის ფუფუნება უცხო ხილი იყო, იმდენად, რომ საქმე ხშირად კურიოზებამდე მიდიოდა. დიდი ქართველი

მსახიობი მაკო საფაროვა-აბაშიძისა მოგვითხრობს: „პიესაში პატარძალი უნდა მეთამაშა. ადამ ჩუბინაშვილმა შავი საქვრივო მირინოსის კაბა მომიტანა. ეს ხომ საქვრივო კაბაა, მე კი პატარძალს ვთამაშობ, თანაც უნდა ვიცეკვო. არა უშავს, გენაცვალე, განა არ შეიძლება, იმ პატარძალს ახლობელი მოკვდომოდეს და შავ კაბაში იწერდეს ჯვარსა? — მორიდებით მიპასუხა ადამმა. წარმოდგენის დღეს, რის ვაივავლახით ვიშოვე კაბა და დალილილ-დაქანცული გამოვედი სცენაზე.“ მართალია, ერთი საუკუნის შემდეგ მდგომარეობა არც ასე კურიოზულად თავზარდამცემია, მაგრამ არასაკმარისი დაფინანსების გამო, თბილისის თეატრების უმრავლესობა ცდილობს დადგას 2-3 კაციანი სპექტაკლები, მინიმალური დეკორაციითა და კოსტიუმებით. მუნიციპალური თეატრების ბიუჯეტში წარმოდგენების დადგმისათვის საჭირო თანხები არ არის გათვალისწინებული. კულტურის სამინისტრო და ქალაქის მერიის კულტურის სამსახური ცალკეული თეატრალური პროექტების დაფინანსებას გვპირდებიან. ვნახოთ! ზოგმა თეატრმა შეიძლება სპონსორიც იშოვოს. შეიძლება იშოვოს, შეიძლება — ვერა! არც იმგვარი სიტუაციაა გამორიცხული, რომელშიც დიდი ქართველი მსახიობი ვასო აბაშიძე აღმოჩნდა გასული საუკუნის დასაწყისში: ერთ-ერთი ფინანსური კრიზისის პერიოდში, როდესაც თეატრს დახურვის საფრთხე დაემუქრა, ცნობილი მსახიობები — ვასო აბაშიძე და კოტე მესხი — ბანკირ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკისთან (მუხრანბატონთან) მივიდნენ და სპექტაკლის დასადგმელად სესხად 500 მანეთი სთხოვეს. მუხრან ბატონმა გაიცინა და ვასო აბაშიძეს ჰკითხა — შენ არ იყავი გუშინ, წარმოდგენის დროს რომ შეხტი, შემობზრიალდი და ყველანი გააცინეო? მე ვიყავი



— უპასუხა მსახიობმა. აბა, ახლაც შეხტი, შემობზრიალდი და ფულსაც მიიღებო. ვასო აბაშიძე სიბრაზისგან აცახცახდა, კოტე მესხმა კი ყურში ჩასჩურჩულა: „რა გენაღვლება, შეხტი, ეგებ ფული მართლაც მოგვცესო“. რა უნდა ექნა დიდ მსახიობს, სიბრაზისგან განინმატებული უფრო გამეტებით შეხტა, ცალ ფეხზე შემოტრიალდა და ზედ დააყოლა: „იფ, კნიაზჯან!“ მუხრან ბატონს სიცილი აუტყდა და 500 მანათი აჩუქა.

ვერ გეტყვით, ვის წინაშე უნდა „შეხტენ და შემობზრიალდნენ“ ქართული თეატრის მოღვაწენი დღეს, სასცენო ხელოვნების საქმე უკეთ რომ წარიმართოს, რომ სპექტაკლის შემქმნელებმა მხოლოდ წარმოდგენის დადგმაზე იფიქრონ, მის მხატვრულ მხარეზე, არაფრით შეიზღუდონ და ფანტაზიას სრული გასაქანი მისცენ. მით უმეტეს, რომ დასრულდა სამი უმნიშვნელოვანესი — რუსთაველის, მარჯანიშვილისა და კინომსახიობთა თეატრების ძირეული რეკონსტრუქცია- რემონტი. კინომსახიობთა თეატრი უკვე ორი სეზონია განახლებულ შენობაში მუშაობს, რუსთაველის თეატრი სულ ახლახანს ამოქმედდა, მალე მარჯანიშვილის თეატრიც გახსნის სეზონს. იმედია, უახლოეს ხანში დამთავრდება მოზარდ მაყურებელთა

თეატრის რეკონსტრუქცია. (იგი სასიცოცხლოდ აუცილებელია ქართული თეატრალური სივრცისათვის, რომელშიც, სამწუხაროდ, უკვე თაობები აღიზარდნენ მათთვის განკუთვნილი თეატრის გარეშე). ამ უზარმაზარ საქმეს აკეთებს ადამიანი, რომელსაც არ სურს საკუთარი გვარის გახმაურება, თუმცა იგი თითქმის ყველასათვის ცნობილია. რა ბედნიერებაა, რომ ასეთი ადამიანი არსებობს. მან თბილისის წამყვან თეატრებს მუშაობის არაჩვეულებრივი პირობები შეუქმნა. იმედია, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი თეატრალური სივრცე ორიგინალური, უჩვეულო და საინტერესო თეატრალური იდეებით შეივსება.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ქართულ თეატრზე, მის ავ-კარგზე, კონკრეტულ სპექტაკლებსა თუ მნიშვნელოვან მოვლენებზე. ამის გაკეთებას მომავალში შევეცდები. ამჯერად კი მინდა მივულოცო პროფესიული დღესასწაული ქართულ თეატრს — ჯანის სიმრთელე და სულის სიძლიერე ვუსურვო, საქმის სიყვარული და შემოქმედებითი აღმაფრენის უმშვენიერესი წამები, რომელთა გარეშეც ადამიანის სიცოცხლეს ფასი არა აქვს.





1905 წ. აკაკი წერეთელი (საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლე, ბალის მხარე) დავით სარაჯიშვილის და ეკატერინე ფორაქიშვილის ვერცხლის ქორწილზე.




---

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ზაზა გულაშვილი


რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42  
ტელ.: (+995 32) 93 18 69;  
8 99 25 60 14



ბესო ყაზაიშვილი

შემგროვებული ანუ ადამიანის გაჩენა



4-00  
 შიშველი  
 ზიზღისა



ქართული "საქართველო და სხვა სხვა"

ნ. 28/3 შვიდვე ნომერში დაბეჭდვა

კურამ დახანაძე

ახალი შთახიზნა

"რუბა-ვი, ხედი სიყვარულს..."



**ბესო ყაზაიშვილი**

ხატვა რომ დაიწყო; საქართველოში ცხოვრობდა, ქუთაისში... ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს, კონგრესის წევრის, ბრედ შერმანის მოწოდებით, დროშა კაპიპოლიუმზე ჩვენი თანამემამულის პატივსაცემად აღმართეს. 2000 წელს, მსოფლიო მშვიდობის ფესტივალის ხელმძღვანელობაც მას დააკისრეს, რადგან მისი შემოქმედების მთავარი თემა მშვიდობაა...

ფასი 3 ლარი

ბესო ყაზაიშვილი

სილამაზის დაბადება